მიხაილ ლაიტმანი

ვხსნიათ ფიქრს

ვირების გამრეკი

მიხაილ ლაიტმანი



ვსან�itor ზოლის

ვირების გამრეკი

კაბალის
საერთაშორისო
აკადემია

УДК 130.12
ББК 87
Л18

Лайтман Михаэль
Л18 Открываем Зоар – М: НФ «ИПИ», 2010. – 192 с.

Laitman Michael
Unlocking The Zoar – M: NF «IPI», 2010. – 192 pages

მიხაელ ლაიტმანი
ვხსნით ზოარს – 2015. – 260 გვ.

ISBN 978-5 -91072-020-0

წიგნი „ზოარ''-ის სამყარო სავსეა იდუმალებით და დაშიფრული სიმბოლოებით. იგი თითქოს არ ლაპარაკობს ჩვენს ცხოვრებაზე, მაგრამ მათ, ვისაც შეხება ჰქონია ამ წიგნთან, იციან, რომ სინამდვილეში ქვეყნად არ არსებობს ადამიანთან უფრო ახლო მდგომი მონათხრობი.

ადამიანი ეს ძალთა და თვისებათა მთელი სამყაროა, სურვილების სამყარო, სიბრძნით და გულმოწყალებით სავსე სამყარო. წიგნი „ზოარი'' კი რუკაა, რის გარეშეც ადამიანი დაიკარგება ამ მრავალფეროვან, უსასრულო სამყაროში.

წიგნების ახალი სერია, საერთო დასახელებით „ვხსნით ზოარს", გამოდის იმისათვის, რომ დაეხმაროს ადამიანს ამ რუკის გამოყენებაში. რუკის, რომელიც წარსულის დიდმა კაბალისტებმა დაგვიტოვეს.

ბაალ სულამის ორიგინალური ტექსტი გამოყოფილია **მუქი შრიფტით**.
მიხაელ ლაიტმანის კომენტარები კი განთავსებულია უშუალოდ ორიგინალის ქვემოთ.

© М. Лайтман, 2015
© Laitman Kabbalah Publishers, 2015

ISBN 978-9941-0-7360-1

სარჩევი

შესავალი 4

ვარდი..... 10

ყვავილების ყლორტები..... 21

ვინ შექმნა ეს 41

რაბი ხიას ხილვანი (ნაწილი I) 67

რაბი ხიას ხილვანი (ნაწილი II)..... 96

ვისი მეწყვილენი ხართ? (ნაწილი I)..... 117

ვისი მეწყვილენი ხართ? (ნაწილი II)..... 143

ვირების გამრეკი (ნაწილი I)..... 164

ვირების გამრეკი (ნაწილი II) 192

ვირების გამრეკი (ნაწილი III)..... 219

დანართი..... 248

შესავალი

როდესაც ადამიანი იწყებს წიგნი „ზოარის“ შესწავლას, წიგნი ზემოქმედებას ახდენს, გარდაქმნის ადამიანს – იგი აიძულებს მას სულ სხვაგვარად აღიქვას სამყარო, რომელსაც იგი შეიგრძნობს, სხვაგვარად იაზროვნოს, სხვაგვარად „მიიღოს“ გადაწყვეტილებანი. იგი შინაგანად ძერწავს ადამიანს იმ სამყაროს შესაბამისად, რომელშიც იგი უნდა შევიდეს მომავალში. ისე, როგორც გასაღები ყველა პარამეტრის მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს ბოქლომს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მას ვერ გააღებს, ასევე ჩვენ, იმისათვის რომ შევიდეთ უმაღლეს სამყაროში, მთელ ჩვენ თვისებებს და მათ ერთიმეორეს შორის შესაბამისობას უნდა მივცეთ მისი (უმაღლესი სამყაროს) პირველი საფეხურის ფორმა.

ჩვენ ახლაც თქვენთან ერთად ვიმყოფებით ამ უმაღლეს სულიერ სამყაროში. მაგრამ ისე როგორც ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა შევიგრძნოთ, დავუშვათ, რადიოტალღები ან კოსმოსური გამოსხივებანი, ასევე ჩვენ არ ძალგვიძს სულიერი სამყაროს შეგრძნება. პრინციპში, ეს უბრალოდ სხვა ბუნება არის, და ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენში მისი შესაბამისი აღქმის ორგანოები. წიგნი „ზოარი“ თანდათან ქმნის ჩვენში აღქმის ამ დამატებით ორგანოებს, და ჩვენ – ჩვენი წინსვლის

შესაბამისად – შევიგრძნობთ ამას.

ეს იმაზე არის დამოკიდებული თუ რამდენად მოვექცევით ჩვენ წიგნის გავლენის ქვეშ. ადამიანს ხომ შეუძლია მოისმინოს და ვერ შეიგრძნოს; მას შეუძლია შეიგრძნოს, მაგრამ არ მოისურვოს მასში – თავის თავში ცვლილების მოხდენა; შესაძლებელია მან მოისურვოს ეს ცვლილებები, მაგრამ ისე, თითქოსდა გარედან აკვირდებაო იმას, რაც მასში ხდება. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ თვითონ მიიღო მონაწილეობა საკუთარ გარდაქმნაში, მე ვიტყოდი, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში, სინათლის ძალასთან ერთად, წიგნი „ზოარის“ ძალასთან ერთად, („ზოარი“ ქართულად – „ნათება“), იმიტომ, რომ სწორად ეს სინათლე ჰქმნის იმ ფორმას, რომელშიც შენ იმყოფები ამჟამად.

აი, ამგვარად, ეს სინათლე, ეს ელვარება ავსებს მთელ მოცულობას ჩვენს გარშემო, და მასში, მის შიგნით არსებობს ყველა სამყარო, მათ შორის, ჩვენი სამყაროც, და მათ შორის, ჩვენც თქვენთან ერთად.

ეს ყოველი არსებობს აქ და ამჟამად, და თუ ჩვენ, წიგნი „ზოარის“ დახმარებით, შევძლებთ განვეწყოთ მთელი ამ მოცულობის შეგრძნებისათვის, მაშინ, ერთის მხვრივ, დავინახავთ, რომ ჩვენი სამყარო – ყველაზე პატარა, ყველაზე დაბალი, ყველაზე უფრო ცუდია ყველა სამყაროებს შორის, და მეორეს მხვრივ, გავიგებთ, რომ ჩვენ გვაქვს

შესაძლებლობა შევცვალოთ ჩვენი სამყაროს ბედი. საქმე იმაშია, რომ წიგნი ისე არის დაწერილი, რომ იგი თითქოსდა კაფავს გზას – მიდის წინ, და ადამიანი, მისდევს რა მას, თავისი მისწრაფებით შედის უმაღლეს სამყაროში.

და ტექსტის ეს სასწაულებრივი თვისება უბრალოდ გასაოცარია! ადამიანებს, რომლებიც იწყებენ ამ წიგნის კითხვას, უკვე აღარ შეუძლიათ მისგან მოწყვეტა. მათ შეუძლიათ ის არაერთხელ გადაიკითხონ, იმდენად მრავალმხრივ, მრავალნაირად აღწერს იგი მთელ ჩვენს სინამდვილეს, და, საერთოდ, მთელ სამყაროს. იგი მუდმივად ახდენს ჩვენი წარსული შთაბეჭდილებების განახლებას.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თქვენ შეძლებთ წიგნის აღქმის პირველი, არც თუ ისე ძალიან ადვილი ეტაპის დაძლევას. უნდა შეიგრძნოთ მისი სტილი, მისი ის მეთოდი, რომლითაც იგი მოგმართავთ თქვენ: ზოგჯერ იქნება რაღაც ნაწყვეტი აზრები, რომელიც თქვენ უნდა შეავსოთ; იქნება ერთგვარი დაბნეულობა, იმიტომ რომ წიგნი თითქოსდა ერთი დონიდან მეორეზე ხტება და გვესაუბრება ხან სულის შესახებ, ხან ხეების შესახებ, და უცებ – შემქმნელზე, მერე უცებ – ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ გარემოებაზე. და ეს შემთხვევით არ არის ასე. სწორად ამგვარად ჩვენ გვიჩვენებენ, რომ როგორც სულიერი,

ასევე მატერიალური სამყაროები ჩვენი შეგრძნების ფარგლებში იმყოფებიან; სწორად ამგვარად ჩვენ თანდათან გადაგვიშლიან სამყაროს მთლიან სურათს – ყოველთვის სულ უფრო ღრმასა და ურთიერთდაკავშირებულს.

რა თქმა უნდა ჩვენთვის საინტერესოა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ დაწერა ეს წიგნი ორი ათასი წლის წინ.

ესენი იყვნენ იმ ადამიანთა ჯგუფის მიმდევრები, რომელიც აბრაამმა ჩამოაყალიბა ძველ ბაბილონში. ამ ჯგუფს ეწოდებოდა „ისრაელი“, „პირდაპირ შემქმნელისაკენ“, იმიტომ, რომ მათ მიზნად დაისახეს მიეღწიათ შემქმნელის დონემდე, აბსოლუტური გაცემის დონემდე. წიგნის ავტორები – ათი კაბალისტი – სრულ ერთიანობაში იმყოფებოდნენ უმაღლეს ძალასთან – შემქმნელთან. თითოეული მათგანი წარმოადგენდა ერთ თვისებას სამყაროს ათი ფუძემდემდებლური თვისებებიდან. და ამიტომ, სწორად მათ მიერ, ერთად იყვნენ რა შეერთებულნი, შექმნილ იქნა ეს დიდებული წიგნი, რომლის საშუალებითაც ისინი მოგვმართავენ ჩვენ. და თუ ჩვენ ვენდობით მათ, მივყვებით მათ, ისინი უბრალოდ შეგვიწოვენ მაღლა, უბრალოდ ჩაგვრთავენ ჩვენ უმაღლეს სულიერ სამყაროში.

წიგნი „ზოარი“ მოგვითხრობს მხოლოდ სულიერი სამყაროს შესახებ, ხოლო ჩვენ კი უნდა გავხსნათ, გადავშალოთ ჩვენი გრძნობები, უნდა დავიწყოთ ამ სამყაროს

შეგრძნება ჩვენში. ნუ შეეცდებით დაივიწყოთ, მაგრამ ნურც დამახსოვრებას შეეცდებით. თუ თქვენ გრძნობთ, რომ წიგნის კითხვისას თქვენში რაღაც მოხდა, ხოლო მას შემდეგ კი არაფერი არ დარჩა, – ეს ნორმალური მოვლენაა. ყველაზე მთავარია ის, რომ ჩვენში უნდა განხორციელდეს გრძნობადი ცვლილებანი. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენში იმის შესაძლებლობა, რომ შევიგრძნოთ. როდესაც ჩვენ დავიწყებთ შეგრძნებას, მაშინ დავიწყებთ ჩვენი შეგრძნებების შედარებას, და მაშინ მოგვევლინება გონება.

ესე იგი გონება მოგვევლინება მას შემდეგ, როგორც კი ჩვენში წარმოიქმნება შეგრძნებათა გარკვეული ოდენობა, და ჩვენ დაგვჭირდება მათში გარკვევა. გონება ეს არის ჩვენი თვისებების განუყოფელი ნაწილი. იგი აუცილებელია, რამეთუ გავიგოთ, თუ რას შევიგრძნობთ, განვავითაროთ ის, რასაც შევიგრძნობთ, ან პირიქით, ჩამოვშორდეთ მას. ამიტომ, რაში მდგომარეობს ჩვენი სწავლა? იგი, პრინციპში, იმაში მდგომარეობს, რომ კითხულობთ რა ტექსტს, თქვენ შეძლოთ წარმოიდგინოთ რაიმე – და არა იმდენად გონებაში, რამდენადაც გრძნობებში, ხოლო შემდეგ გონებაში – როგორღაც, ოდნავ – გაიგოთ: „თუ რა შეიძლება ეს იყოს“. ამგვარად, ჩვენ განვივითარებთ უმაღლესი სამყაროს შეგრძნების ორგანოს.

სინამდვილეში კი ჩვენ იმას ვაკეთებთ, რასაც

პატარა ბავშვი, როდესაც ის ჩვენს სამყაროს შეიცნობს. მან არ იცის, თუ რა ხდება მის თავს, არ იცის თუ რას უჩვენებენ, რას ეუბნებიან - იგი უბრალოდ აგროვებს შთაბეჭდილებებს, რომელთაგანაც შემდეგ იქმნება, ყალიბდება რაღაცნაირი შინაგანი მოდელები. ბავშვი იმახსოვრებს მათ, ახდენს მათ შედარებას – და აი, ასე იწყება შეცნობა, ახალ სამყაროში შესვლა.

და ამავე პრინციპის მიხედვით – შეცნობის, განვითარების აბსოლუტურად ბუნებრივი პრინციპის მიხედვით – ჩვენ თქვენთან ერთად ვკითხულობთ რა წიგნ „ზოარს“, ვიწყებთ ჩვენს სულიერ განვითარებას, უმაღლესი სამყაროს შეცნობას.

ვარდი

(პუნქტები 1 – 3)

წიგნი „ზოარი“ მოგვმართავს ჩვენ თითოეული იმ ათი უდიდესი კაბალისტის სახელით, რომლებმაც ეს წიგნი შექმნეს. ამ ჯგუფს სათავეში ედგა რაბი შიმონ ბარ-იოხაი (რაშბი), რომელიც ყველაზე მაღალ სფირას განასახიერებს (სფირა-სულიერი სამყაროს ერთ-ერთი ობიექტია), რომელსაც ქეთერი ეწოდება. დანარჩენი ცხრა კაბალისტი, რომლებიც მისი მოსწავლეები იყვნენ, წარმოადგენენ შემდეგ ცხრა სფირას: ხოხმა, ბინა, ხესედ, გვურა, თიფერეთ, ნეცახ, ჰოდ, იესოდ, მალხუთ.

წიგნს ერთერთი მათგანი, რაბი ხიზკია, იწყებს.

1. რაბი ხიზკიამ გახსნა: „ნათქვამია, როგორც ვარდი ეკლებს შორის“. კითხულობს: „რას ნიშნავს ვარდი?“ პასუხობს: „ეს ისრაელთა საკრებულოა, მალხუთია. რამეთუ არის ვარდი და არის ვარდი. ისე როგორც ვარდი ეკლებს შორის, არის მასში წითელი და თეთრი, ასევე ისრაელის საკრებულო, მალხუთი, არის მასში კანონი და წყალობა. როგორც გააჩნია ვარდს 13 ფურცელი, ასევე შედგება ისრაელის საკრებულო 13 სახის წყალობისაგან, რომელიც გარს აკრავს მას ყოველი მხრიდან. და თვით ელოკიმმა, როგორც ნათქვამია: „ბერეშით“ –

დასაბამიდან, თავისი ჩანაფიქრით შექმნა 13 სიტყვა ისრაელის საკრებულოს გარშემოსარტყავად და მის დასაცავად...“

რაბი ხიზკიამ გახსნა – ანუ მან სინათლეს გზა გაუხსნა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე და თავისი ზემოქმედების ძალით ნაბიჯ-ნაბიჯ, თითო-თითო საფეხურით ავყავართ უზენაესი, უმაღლესი სულიერი სამყაროს შეგრძნებისაკენ.

თითოეული ამ დიდი კაბალისტთაგანი, რომლებმაც წიგნი „ზოარი“ შექმნეს, ფლობდა შესაძლებლობას გადმოეცა ჩვენს სამყაროში ადამიანისათვის (გაეცნო, გაეხსნა ჩვენთვის) უმაღლესი სამყაროს ის თვისებები, რომელიც თვითონ მან შეიცნო თავისი პირადი თვისების შესაბამისად. ამ შემეცნებათა ზემოქმედების ძალა, მათი სწორი ურთიერთმოქმედების შემთხვევაში, აყალიბებს ადამიანს ჩვენ სამყაროში.

ისრაელის საკრებულო ეს არის სულების ერთობლიობა, რომლებიც მიისწრაფვიან, შემქმნელისაკენ და, რომლებიც ერთად არიან შეკრებილნი ამ მიზნის მისაღწევად *(სული ეს არის კაბალისტური ტერმინი, რომელიც შეგრძნების განსაკუთრებულ ორგანოს აღნიშნავს, რომელიც ადამიანში განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნება და ამ ორგანოში ადამიანი უმაღლეს მმართველ ძალას – შემქმნელს შეიგრძნობს).* ამ სულების ერთობლიობა მალხუთს – ათი სფირიდან

ყველაზე ქვედა სფირას – წარმოადგენს.

ამ საკრებულოს ალეგორიულად ვარდი ეწოდება. საკითხავია რატომ? იმიტომ, რომ სულიერი კონსტრუქცია, რომელსაც ეს სულები წარმოქმნიან, ვარდის ანალოგიურია.

ისე, როგორც არის წითელი და თეთრი ვარდი, ორი განსხვავებული სახეობა, ორი თვისება, ასევე ისრაელის საკრებულოში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისება: კანონი, ანუ შეზღუდვა, და წყალობა არსებობს.

ისე, როგორც ვარდი ეკლებს შორის... იმის შესაბამისად, როგორც სულები ერთიანდებიან ერთად იმისთვის, რომ „ამაღლდნენ“ შემქმნელამდე, ჩვენს სამყაროშიც ადამიანები, რომელთაც სურთ იგივე მიზნის მიღწევა, ქმნიან ჯგუფებს. როგორც კი ისინი იკრიბებიან ერთად, გამოვლინდება „ეკლები“, რომლებიც, ერთი მხრივ, იცავენ მათ, ხოლო მეორე მხრივ – მათი დაძლევის მიზნით, ადამიანს უდიდესი ძალისხმევა ესაჭიროება, რამეთუ გადალახოს ისინი და შეუერთდეს ამხანაგებს ჯგუფში.

ეკლები ეს ჩვენი ყოველგვარი ჩვეულებები, შეხედულებები, წარმოდგენებია, რომლებიც ხელს გვიშლიან გაერთიანებაში; ეს ის სიძულვილია, რომელიც ჩვენში არსებობს, განზიდულობაა, რომელიც არსებობს ჩვენში ერთმანეთის მიმართ, ეს ის არის, რის წინააღმდეგაც იბრძოდა აბრაამი ჯერ კიდევ ძველ ბაბილონში.

ის დაშორიშორება, რომელიც მან (აბრაამმა)

აღმოაჩინა, ურთიერთგაუგებრობა – უცებ თითქოს მრავალი ენა გაჩნდა, – სწორად იმისთვის იყო შექმნილი, რომ ყოველი ამის საწინააღმდეგოდ გაერთიანებულიყვნენ და ამ ბაბილონის გოდოლის ზევით, ზეცამდე, შემქმნელამდე მართლაც ამაღლებულიყვნენ. და როგორც კი ადამიანები ერთად იკრიბებიან შემქმნელის მიღწევის მიზნით, ისინი მაშინვე მისი მფარველობის ქვეშ ხვდებიან.

ვარდის ცამეტი ფურცელი ცამეტი თვისებაა, რომლებიც ერთი მხვრივ იმ ადგილს იცავენ, სადაც ეს ადამიანები, ეს სულები იკრიბებიან. ეს განსაკუთრებული ადგილია – იქ ყველას არ უშვებენ, უშვებენ მხოლოდ იმათ, ვისაც ამ წინააღმდეგობის გადალახვა შეუძლია. მეორე მხვრივ, როგორც კი ისინი ამ წინააღმდეგობებს გადალახავენ, წინააღმდეგობის ძალები მაშინვე დამხმარე ძალებად იქცევიან, ანუ შეზღუდვის კანონის სიმკაცრე წყალობის თვისებად გადაიქცევა.

2. და შემდეგ სახელი ელოკიმ მეორედ მოიხსენება: „ელოკიმ მერახეფეთ“ – „ელოკიმი დალივლივებს“. რატომ არის გამოყენებული ამ აზრით? ეს იმისთვის, რომ ხუთი მაგარი ფოთოლი გაჩნდეს, რომლებიც გარს ახვევიან ვარდს, და რომელთაც „ხსნა“ ეწოდება. და ეს ხუთი ჭიშკარია. და ამ საიდუმლოს შესახებაა ნათქვამი: „ხსნის ფიალას ავწევ – ეს კურთხევის ფიალაა“. ფიალა ხუთ თითზე უნდა იყოს მოთავსებული, როგორც ვარდი

ზის ხუთ მყარ ფოთოლზე, რომლებიც ხუთი თითის შესაბამისია. და ეს ვარდი კურთხევის ფიალაა. თორაში მეორედ მოხსენიებულ სიტყვა ელოკიმ-სა და მესამედ მოხსენიებულ სიტყვა ელოკიმ-ს შორის ხუთი სიტყვაა: დალივლივებდა, წყლის, ზედაპირის, ზევით, თქვა – სულ ხუთი სიტყვაა ხუთი ფოთლის საპირისპიროდ. და შემდეგ: „და თქვა შემქმნელმა: „და იყოს სინათლე“ – ეს შექმნილი, მაგრამ შემდეგ დაფარული და კავშირში ჩართული სინათლეა, რომელიც ვარდში შევიდა და მისცა მას თესლი. და ამას ეწოდება: „ნაყოფის მომცემი ხე, რომელშიც მისი თესლი მისი ჯიშის მიხედვითაა.“ და ეს თესლი კავშირის ნიშანში იმყოფება.

შემქმნელის ურთიერთობა ქმნილებებთან თავისთავად ორ მიმართულებას, ორ ხაზს შეიცავს: მარჯვენას და მარცხენას, წყალობას და სიმკაცრეს. ბუნებრივია, ჩვენს სამყაროში, შედეგების სამყაროში, ისინი კიდევ მრავალ გამოვლინებად იყოფა, და ჩვენ ყოველი მხრიდან – არც კი ვიცით თუ რისგან და როგორ – მათ ზემოქმედებას შევიგრძნობთ.

ელოკიმ ეს შემქმნელის ერთ ერთი სახელია, რომელიც ქმნილებისადმი მის მკაცრ დამოკიდებულებას გულისხმობს.

და შემდეგ სახელი ელოკიმ მეორედ მოიხსენება: „ელოკიმ მერახეფეთ“ – „ელოკიმი დალივლივებს“. რატომ არის გამოყენებული ამ აზრით? ეს იმისთვის, რომ ხუთი მაგარი

ფოთოლი გაჩნდეს, რომლებიც გარს ახვევიან ვარდს, და რომელთაც „ხსნა“ ეწოდება.

გრძელდება სულიერი კონსტრუქციის აღწერა, რომლის ანალოგიცაა ვარდი. ყვავილის ცამეტი ფურცლისა და ეკლების გარდა, საუბარია ხუთ განსაკუთრებულ ფოთოლზე, რომელთაც ხსნის ჭიშკრები ეწოდებათ. ეს ის თვისებებია, რომელთა საშუალებითაც – იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ როგორმე მოვახდენთ მათ ადაპტირებას ჩვენში, შევიძენთ ამ თვისებებს – ჩვენ აღმოვჩნდებით ისრაელის სულიერი ერთიანობის შიგნით, ანუ იმ სულთა საკრებულოში, რომლებიც შემქმნელისაკენ ისწრაფვიან.

და ამ საიდუმლოს შესახებაა ნათქვამი: „ხსნის ფიალას ავწევ – ეს კურთხევის ფიალაა“.

რატომ არის ნათქვამი „საიდუმლოს შესახებ“? იმიტომ, რომ უნდა გავიგო, თუ როგორ ზემოქმედებენ ეს თვისებები ჩემზე, როგორ შემიძლია ამ ჭიშკრების გახსნა. მე თუ ე.წ. ჭიშკრის თვისებების შესაბამისი ვარ, ვიღებ მათ, – მაშინ ჭიშკრები იხსნება; ხოლო თუ მე მათი თვისებების საწინააღმდეგო თვისებები გამაჩნია – ჭიშკრები დაკეტილია.

ვის ვუღებთ ჩვენ კარს? ვის ვიღებთ სახლში? სახლში ის შეიძლება იმყოფებოდეს, ვის მიღებაზეც თანახმა ვართ, ის ვინც ახლოს არის ჩვენთან, ჩვენი მსგავსია.

აქაც ისევეა. თუ მე ვღებულობ ამ ხუთი ჭიშკრის პირობებს, მაშინ ისინი ჩემთვის

ხსნის ჭიშკრებად იქცევიან, მე გავდივარ მათ, რამეთუ უკვე ვფლობ მათ თვისებებს, და შევდივარ ამ ერთობაში, შემქმნელისა და სულის ერთობაში და ვაკურთხებ შემქმნელს იმისათვის, რომ მან შემიქმნა ჩემსა და მას შორის კავშირის სისტემა.

ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ უცებ ხტება „ზოარი“ ერთი თემიდან მეორეზე, ჯერ იყო რაღაც ეკლები, იყო ყვავილის 13 ფურცელი, გაჩნდა კიდევ 5 ფოთოლი და უცებ! – ყველა ამ „ბოტანიკური“ სახეობის ნაცვლად – **„ხსნის ფიალას ავწევ“**.

რისთვისაა ეს საჭირო? რატომ იყენებს „ზოარი“ ჩვენს სამყაროში არსებულ ასეთ სახეობებს? იმიტომ, რომ, ყველა ამ სახეობის ერთმანეთთან დაკავშირებით, მას ყველაზე ოპტიმალური გზით უმაღლესი სამყაროს შეგრძნებაში შევყავართ. შემდგომში თქვენ დაინახავთ, თუ როგორი ღრმა გაგებით, ბუნებაში ჩაწვდომით დაწერეს მათ ეს წიგნი, რომლის თითოეული სიტყვა თითქოს მხსნელი ინფუზიაა, რომელიც წვეთ-წვეთ იღვრება ჩვენში და სულიერი სამყაროს შეგრძნება შემოაქვს ჩვენში.

ჩვენ თქვენთან ერთად თანდათან დავიწყებთ იმის გაგებას, თუ როგორ არის დაწერილი, რის შესახებ მოგვითხრობს თორა. ის კი მოგვითხრობს შემქმნელის ჩვენთან დამოკიდებულების შესახებ. იმის შესახებ, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენ, მისი

ჩვენსადმი დამოკიდებულების შესაბამისად, მოვახდინოთ რეაგირება, გავიგოთ შემქმნელის ენა, გავიცნოთ ის. აი, ეს არის გახსნა.

ახალდაბადებული ბავშვი – დედა რაღაცას ლაპარაკობს, იღიმება – ის საერთოდ არ ახდენს რეაგირებას. შემდეგ იწყებს როგორღაც დედის გაგებას, იწყებს ღიმილს, იწყებს რაღაცის ტიტინს, მოთხოვნას და ასე შემდეგ, ანუ სულ უფრო და უფრო გაცნობიერებულად შედის კავშირში. ჩვენც ასე ვართ.

ფიალა ხუთ თითზე უნდა იყოს მოთავსებული, როგორც ვარდი ზის ხუთ მყარ ფოთოლზე, რომლებიც ხუთი თითის შესაბამისია. და ეს ვარდი კურთხევის ფიალაა. თორაში მეორედ მოხსენიებულ სიტყვა ელოკიმ-სა და მესამედ მოხსენიებულ სიტყვა ელოკიმ-ს შორის...

როდესაც ადამიანი იწყებს შემქმნელის კურთხევას, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი იწყებს იმის გაგებას, თუ რისთვისაა შექმნილი, და რომ მასა და შემქმნელს შორის კავშირის მთელი სისტემა შექმნილია მისთვის, გამომდინარეობს შემქმნელის წყალობიდან, შემქმნელის სურვილიდან, რომ ადამიანი თავის ტოლად აქციოს. და ეს ქმედება – თორის ტექსტის შესაბამისად – ხდება თორაში მეორედ მოხსენიებულ სიტყვა ელოკიმ-სა და მესამედ მოხსენიებულ სიტყვა ელოკიმ-ს შორის. ამ ორ სიტყვა ელოკიმ-ს შორის თორაში დაწერილია ხუთი სიტყვა. და ეს ხუთი სიტყვა ხუთ მყარ

ფოთოლს განასახიერებს, რომლებზეც ვარდი ზის, ან ხუთ თითს, რომლებიც ფიალას მაღლა სწევენ.

და შემდეგ, როდესაც თორაში სიტყვა ელოკიმ მოიხსენება მესამედ, ნათქვამია: **„და იყოს სინათლე!“** – ეს უკვე საინტერესოა – **ეს შემქმნელის მიერ შექმნილი სინათლეა, შექმნილი, მაგრამ დაფარული...** მას შემდეგ, რაც ადამიანი გადის „დაცვის“ სისტემას და იძენს თვისებებს, რომლებიც უხსნიან მას „ხსნის ხუთ ჭიშკარს“, მისი ხუთი თითი, ანუ ადამიანის ხელი (მისი სურვილი) შემქმნელის მაკურთხეველი ფიალის საფუძვლად იქცევა. ამ კურთხევის შედეგად ადამიანს ეხსნება სინათლე – **და ეს არის შუქი შექმნილი, მაგრამ დაფარული...** ადამიანი ამბობს: „და იყოს სინათლე“,– ეს მისი აღმოჩენა, მისი გახსნაა, ის თვითონ მივიდა ამ გაგებამდე.

...და კავშირში ჩართული სინათლეა, რომელიც ვარდში შევიდა და მისცა მას თესლი. ე.ი. სინათლე, რომელიც იხსნება ვარდში, იწყებს მასში რაღაცის ჩასახვას. და ამ „რაღაცას“ **ეწოდება: „ნაყოფის მომცემი ხე, რომელშიც მისი თესლი მისი ჯიშის მიხედვითაა.“ და ეს თესლი კავშირის ნიშანში იმყოფება** – სულსა და შემქმნელს შორის კავშირში.

რაღაც მოხდა, ჩვენ რაღაცა ვიგრძენით, ჩვენში შევქმენით რაღაც კავშირის ჩანასახი. ეს სამყაროს დასაწყისია, სამყაროსი, რომელიც ჩვენთვის ჯერჯერობით გაუგებარია,

რომელშიც როგორღაც ერთმანეთთან ერთიანდება რაღაც ობიექტები.

ყოველი ეს თანდათანობით უფრო ნათელი ხდება და რაღაც ფორმების, გრძნობების სახით ვლინდება, შემდეგ კი ჩვენ დავიწყებთ იმის შეგრძნებას, რომ ეს ყველაფერი ჩვენში ცოცხლობს, ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე, და ჩვენ შესაბამისად ამ ზემოქმედებაზე რეაგირება შეგვიძლია. ასეთი სახით გვიტყუებს „ზოარი“ ჩვენ იმ სამყაროში.

3. ისე როგორც, კავშირი ნაყოფიერდება 42 ზივუგად იმ თესლით, ასევე საიდუმლო სახელი ავსებს და ანაყოფიერებს შექმნის საწყისი ქმედების ყველა 42 ასოს.

ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ისე, როგორც კავშირი ადამიანსა და შემქმნელს შორის ხორციელდება 42 შეერთებისა და შეხამების საფუძველზე, ასევე საიდუმლო სახელი – მხედველობაშია მცნებები „შემქმნელი“ და „ქმნილება“, რომელთა არსიც ეხსნება ადამიანს – ნაყოფიერდება **შექმნის საწყისი ქმედების** ყველა 42 ასოთი. ესე იგი თუ ჩვენ გავხსნით თორის ორიგინალურ ტექსტს, მაშინ ჩვენ იქ დავინახავთ ტექსტს, რომელიც სინამდვილეში 42 ასოსგან შედგება.

ამგვარად, იმის შედეგად, რომ ადამიანი ახერხებს ხუთი ჭიშკრის გავლას, აკურთხებს შემქმნელს, რომ მან შეუქმნა მას თავისთან ასეთი კავშირის შესაძლებლობა, და ბრწყინდება სინათლით, – სინათლე, როგორც

თესლი, ღვივდება, იწყებს აღმოცენებას ადამიანის სულში და ასრულებს სამუშაოს, რომელსაც „42 განსაკუთრებული ასო“ ანუ სულსა და შემქმნელს შორის შეერთების, შერწყმის, კონტაქტის 42 განსაკუთრებული სახეობა ეწოდება.

ჩვენ ერთად გავიარეთ ადამიანის განვითარების, ადამიანის შემქმნელთან კონტაქტში შესვლის რაღაც განსაკუთრებული ეტაპები, რომლებიც ალეგორიულადაა აღწერილი ჩვენი სამყაროს ობიექტებით, სახეებით. სინამდვილეში ეს ალეგორია არ არის. რასაც ვხედავთ, რასაც ვაკვირდებით ჩვენს სამყაროში, – ეს ის ძალებია, რომლებიც ჩვენ ამ სურათს გვიხატავენ. იგივე ვარდი ჩვენს სამყაროში ეს ის ძალებია, რომლებიც ჩემში ასეთ გამოსახულებას ქმნიან.

ასე რომ, იგივე ძალები ქმნიან ჩემში ასეთივე შთაბეჭდილებას უმაღლესი სამყაროდან. და ეს ხუთი თითი, და ეს ფიალა, და კურთხევა, და ეკლები, და ყვავილის ფურცლები – ყოველი ეს პრაქტიკულად ერთი და იგივე ძალების გამოვლინებაა, იმიტომ, რომ ყველა სამყარო პარალელურია. და ამიტომ ვხატავთ რა ჩვენში, თითქოს ჩვენი სამყაროს სურათებს, ჩვენ, ამასთან ერთად თანდათან, ჩვენდა შეუმჩნევლად, ამ სურათების საშუალებით, მოულოდნელად შევდივართ ურთიერთობაში ძალებთან, შეგრძნებებთან და რეაქციებთან ჩვენსა და შემქმნელს შორის.

ყვავილების ყლორტები

(პუნქტები 4 – 6)

მოვლენები, რომლებიც წიგნ „ზოარ“-შია აღწერილი ალეგორია არაა – ეს მოვლენებია, რომლებიც ნამდვილ, სულიერ, სამყაროში ხდება და არა დღევანდელ მოჩვენებით სამყაროში, რომლის სურათებადაც ეს მოვლენები ჩვენ გვეხატება.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ქმნილებას – შემქმნელის მიერ შექმნილი სიამოვნების მიღების სურვილს, – კაბალისტები ვარდს ადარებენ. ანუ, მათი თვალსაზრისით, მთელი ჩვენი სამყარო – ეს არის თუნდაც ლამაზი, მაგრამ მხოლოდ ყვავილი; უფრო მეტიც, მიღების და გაცემის ძალების გაერთიანების სულიერი ფესვი ჩვენს სამყაროში ქმნილების მხოლოდ მცენარეულ დონეზე წარმოგვიდგება. საკითხავია რატომ?

ამ, თითქოს, „შეუსაბამოებებიდან“ შინაგან შთაბეჭდილებათა ისეთი მოზაიკა ყალიბდება, რომელიც ჩვენ თანდათან უმაღლესი სამყაროს შეგრძნებამდე მიგვიყვანს. მე ეს ჩემს თავზე გამოვცადე, და იმედი მაქვს, რომ მომავალში თქვენც ასევე შეძლებთ ყოველი ამის განცდას...

4. დასაწყისში. რაბი შიმონმა გახსნა: „ყვავილების ყლორტები გამოჩნდა დედამიწაზე“. ყლორტები - ეს ქმედებაა შექმნის სათავისა. გამოჩნდა დედამიწაზე

- როდის? მესამე დღეს, როდესაც ითქვა: „და აღმოაცენოს დედამიწამ მცენარეული“. „ბულბულის გალობის დრო დადგა“ - ეს მეოთხე დღეა - სიმკაცრის, კანონის, შეზღუდვის შექების და აღიარების დრო. ამიტომ მეოთხე დღეს სიტყვა „მანათობლები“ დაწერილია ასოს გამოკლებით, რაც გადაკვრით კანონისა და შეჩვენების სიმკაცრეზე მიგვითითებს. „გვრიტის ხმა ისმის“ - ეს მეხუთე დღეა, როდესაც ითქვა: „აფუთფუთდეს წყლები“ შეიქმნას შთამომავლობა. მაგრამ სიტყვა „ისმის“ - ეს უკვე მეექვსე დღეა, რომელშიც ითქვა: „შევქმნათ ადამიანი“, რომელიც მომავალში გაგების წინ მოქმედებას წაიმძღვარებს. რამეთუ აქ ნათქვამია: „შევქმნათ ადამიანი“, იქ კი ნათქვამია: „გავაკეთებთ და გავიგონებთ“. „ჩვენს ქვეყანაში“ - ეს შაბათია, რომელიც როგორც სიცოცხლის ქვეყანა, მომავალი სამყაროა.

დასაწყისში – ამითი იწყება სტატია.

რაბი შიმონმა გახსნა: „ყვავილების ყლორტები გამოჩნდა დედამიწაზე“.

„გახსნა“ - ესე იგი გამოამჟღავნა, ერთი მხრივ, თუ როგორ ჩამოდიან უმაღლესი სიბრძნის, უმაღლესი შუქის ნაკადები უსასრულობის სამყაროდან სამყარო აცილუთში და, მეორე მხრივ, თუ როგორ „ადიან“ სულები ჩვენი სამყაროდან სამყარო აცილუთში, და როგორ ხდება მათი გაერთიანება სინათლესთან, მათი შევსება ამ სინათლით. რაბი შიმონი

მოგვითხრობს ამის შესახებ შეცნობის იმ საფეხურიდან, რომელსაც „სამყარო აცილუთი“ ეწოდება.

თავისი შინაგანი განვითარების პროცესში, რომლის არსიც „შემქმნელის“ ანუ „ბუნების“ (ივრითულ ენაზე სიტყვები „შემქმნელი“ და „ბუნება“ ერთი და იგივე რიცხობრივი შემადგენლობით ხასიათდებიან) შეცნობაში მდგომარეობს, ადამიანი ადის ხუთ ძირითად საფეხურზე, რომელთაც სამყაროები (ივრითულად – ოლამოთ) ეწოდებათ. სიტყვა „ოლამ“ (მრავლობითში- ოლამოთ) წარმოებულია სიტყვიდან „ეელემ“ (რაც გაქრობას, გაუჩინარებას, დაფარვას ნიშნავს) - ამ სამყაროს ყველა სურათის მიღმა დაფარულია ერთიანი ძალა. ჩვენს მატერიალურ სამყაროში ადამიანი შეიგრძნობს არა ამ ერთიანი ძალის, არამედ უამრავი კანონებისა და ძალების ზემოქმედებას. მაგრამ როგორც კი იგი მატერიის მიღმა მოქმედი ძალების შეცნობას იწყებს, ესე იგი ადის ამ ხუთ საფეხურზე, აფართოებს რა თავის შემეცნებას, ქრება დაფარვა და მის მაგიერ ადგილი აქვს დაფარულის გამომჟღავნებას.

ადის რა ამ საფეხურებზე, ადამიანი აღწევს შემქმნელის სრულ შეცნობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, უსასრულობის სამყაროში ადის.

როგორაა აგებული ეს სისტემა? სამყარო აცილუთის ზევით სამყარო ადამ კადმონია, მის ზევით კი - უსასრულობის სამყარო.

ყოველივეს, რაც სამყარო აცილუთის ზევითაა, „შემქმნელი“ ეწოდება, ხოლო ყოველივეს, რაც სამყარო აცილუთის ქვევითაა, „ქმნილება“ ეწოდება. თვითონ სამყარო აცილუთი ეს სისტემაა, რომლის საშუალებით ხდება შემქმნელის მიერ ქმნილებაზე ზემოქმედება.

მოდით ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ ამ სამყაროს ყოველი დეტალი, ჩვენს სამყაროში არსებული მთელი არაცოცხალი მატერიის უსასრულო მასა, ვარსკვლავები, ყველა გალაქტიკა და მთელი არსებული მცენარეულობა, ცხოველები და ადამიანი - ყოველი ეს იმ ძალების მიერ იმართება, რომლებიც სამყარო აცილუთიდან მომდინარეობენ. და ჩვენ უნდა დავინახოთ თუ როგორ ახდენს სამყარო აცილუთი ყოველი არსებულის მართვას – ისე, რომ თითოეულმა მათგანმა მიაღწიოს სულიერ მდგომარეობას, დაუბრუნდეს რა თავის ფესვებს, საიდანაც ოდესღაც გამოვიდა – უსასრულობის სამყაროს.

საქმე იმაშია, რომ ყოველი არსებული უსასრულობის სამყაროდან მომდინარეობს და საბოლოო ჯამში ისევ იქ უნდა იქნეს დაბრუნებული. არა მარტო ჩვენი სულები, არამედ ყოველი ის, რასაც ჩვენ შევიგრძნობთ და შევიცნობთ, ის რასაც ჩვენ ამჟამად ვხედავთ – ყველაფერი ეს, მთელი ეს სამყარო, უსასრულობის სამყაროს დონემდე უნდა ამაღლდეს. ამგვარად, ზევიდან ქვევით ჩამოსვლა, და ჩვენი ისტორია აქ ამ სამყაროში,

და ჩვენი უკან დაბრუნება ზევით – ყოველი ეს ხდება იმ სამუშაოს შედეგად, რომელსაც ადგილი აქვს სამყარო აცილუთში.

სიტყვა „რაციონ“-ს ივრითულ ენაზე ორი მნიშვნელობა აქვს – „დედამიწა“ და „სურვილი“. ანუ „ყლორტები აღმოცენდა დედამიწიდან“ – იგივეა, რაც „ყლორტები აღმოცენდა სურვილიდან“.

ყლორტები - ეს ქმედებაა შექმნის სათავისა. გამოჩნდა დედამიწაზე - როდის? მესამე დღეს, როდესაც ითქვა: „და აღმოაცენოს დედამიწამ მცენარეული“.

პირველ დღეს გაცემის თვისება იქმნებოდა, მეორე დღეს – მიღების თვისება. ამგვარად პირველი და მეორე დღე - ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალის, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისების გამოვლინებაა, რომელთაგანაც მთელი სამყარო შედგება. მესამე დღეს კი, **როდესაც ითქვა: „და აღმოაცენოს დედამიწამ მცენარეული“**, ანუ როდესაც ხდება ამ ორი ძალის, ორი თვისების შეერთება, შერწყმა, აი, მაშინ ჩნდება ქმნილება, ახალი სიცოცხლე იქმნება.

როგორ ხდება ამის პროეცირება ჩვენს სამყაროზე?

დედამიწა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, – ეს მიღების სურვილია. წყალი, კაბალის მიხედვით, - ეს წყალობაა (ივრითულად ხესედ), გაცემის თვისება. როდესაც წყალი მიწაში ჩადის, ჩაჟონავს, ესე იგი გაცემის

სურვილი მიღების სურვილთან შედის ურთიერთობაში, მაშინ იქმნება ახალი თვისება - მიღების სურვილი გაცემის განზრახვით. და აი, მაშინ იქმნება შესაძლებლობა, რომ ამ მიწიდან ყლორტები აღმოცენდნენ, რომ შემდეგი დონე გაჩნდეს - არაცოცხალი დონე კი არა, არამედ უკვე მცენარეული დონე. გვევლინება ქმნილება, რომელიც თვითონ ისწრაფვის მზისკენ, სინათლისკენ, გაცემისაკენ.

„გალობის დრო დადგა“ – ეს მეოთხე დღეა – სიმკაცრის, კანონის, შეზღუდვის შექების და აღიარების დრო.

იმ მიზნით, რომ ქმნილებას თავისი განვითარების შემდგომ ეტაპზე გადასვლის საშუალება მიეცეს, აუცილებელია შეზღუდვები, რომლებიც მან უნდა გადალახოს. ის, რომ ქმნილებაზე ზემოქმედება ხდება, მასში ეგოისტური სურვილის გადიდებას იწვევს, და ასე, თანდათანობით, მცენარეული სამყაროდან ცხოველური სამყარო – ეგოისტური განვითარების შემდგომი დონე, სულიერი განვითარების შემდგომი დონე – წარმოიშვება.

ამიტომ მეოთხე დღეს სიტყვა „მანათობლები“ დაწერილია ასოს გამოკლებით, რაც გადაკვრით კანონისა და შეჩვენების სიმკაცრეზე მიგვითითებს.

წიგნი „ზოარი“ სიურპრიზებითაა სავსე. ერთი შეხედვით სრულიად გაუგებარია თუ

როგორ შეესაბამება „ქებათა-ქება“ („ყვავილების ყლორტები გამოჩნდა დედამიწაზე“) თორაში მოთხრობილ გაჩენის ექვს დღეს...

ორი მნათობი – მზე და მთვარე – ურთიერთწინააღმდეგობაში იმყოფება. მზე – სულიერ სამყაროში – ეს გამცემი, გამჩენი, შემავსებელი საწყისია. ხოლო მთვარე – მიმღები. დედამიწა თავისთავად მთელ ჩვენ სამყაროს განასახიერებს, ხოლო მთვარე კი დედამიწასა და მზეს შორის შუამავალია.

სამწუხაროდ, ჩვენ არა მარტო წარმოდგენაც კი არა გვაქვს თუ რას ნიშნავს სულიერ სამყაროში მთვარის დედამიწაზე ზემოქმედება, არამედ ჩვენს სამყაროშიც კი ჩვენი თანამგზავრის გავლენა ჯერ კიდევ არა გვაქვს გაგებული და გამოკვლეული. ჩვენ თვითონ – როგორც ფიზიკურად, ასევე ფიზიოლოგიურად – მთვარეზე მთლიანად ვართ დამოკიდებულნი. ხოლო მთვარის ფაზები, მზის დაბნელება ჩვენს სამყაროში – ეს ანარეკლია ურთიერთსაწინააღმდეგო ძალებს – „მზესა“ და „მთვარეს“ – შორის იმ მეტად საინტერესო ურთიერთმოქმედებებისა, რომლებსაც სულიერ სამყაროში აქვს ადგილი.

და შემდეგ „ზოარში“ ისევ – „ქებათა ქებაც“ და „თორაც“ – ერთად...

„გვრიტის ხმა ისმის“ - ეს მეხუთე დღეა, როდესაც ითქვა: „აფუთფუთდეს წყლები“ შეიქმნას შთამომავლობა. მაგრამ სიტყვა „ისმის“ - ეს უკვე მეექვსე დღეა, რომელშიც

ითქვა: „შევქმნათ ადამიანი“, რომელიც მომავალში გაგების წინ მოქმედებას წაიმძღვარებს.

„ქებათა ქებაში“ ნათქვამია: „გვრიტის ხმა ისმის“ - ეს მეხუთე დღეა, რომლის შესახებაც ნათქვამია თორაში: „აფუთფუთდეს წყლები“ რათა შეიქმნას შთამომავლობა. ხოლო სიტყვა „ისმის“ უკვე მოგვითხრობს შექმნის მეექვსე დღის შესახებ, როდესაც ნათქვამია თორაში: „შევქმნათ ადამიანი“, რომელიც მომავალში გაგების წინ მოქმედებას წაიმძღვარებს.“ სხვაგვარად რომ ვთქვათ წინასწარ მოახდენს თავის ქმედებას გაცემისა და სიყვარულის განზრახვით, იმ პრინციპის მიხედვით, რომელიც გულისხმობს „გავაკეთებთ და გავიგებთ“, ანუ მზად არის განახორციელოს ის ქმედება, რომელიც იწვევს გაცემის თვისების წარმოქმნას.

ამგვარად, შექმნის პროცესში პირველად იქმნება ობიექტი, რომელიც თავისუფალი ნების მდგომარეობაში იქნება: იგი შეძლებს შემქმნელის თვისების თავის თავში დამოუკიდებლად შექმნას და განვითარებას, და ამგვარად ზრდას ისე, რომ დაემსგავსოს შემქმნელს, და ეს არის ადამიანი.

რამეთუ აქ ნათქვამია: „შევქმნათ ადამიანი“, იქ კი ნათქვამია: „გავაკეთებთ და გავიგონებთ“.

ესე იგი დასაწყისში ექნება განზრახვა – გახადოს თავისი თავი შემქმნელის მსგავსი და

შემდეგ მხოლოდ ამ განზრახვით იმოქმედებს ადამიანი.

„ჩვენს ქვეყანაში“ - ეს შაბათია, რომელიც როგორც სიცოცხლის ქვეყანა, მომავალი სამყაროა (ეს ისევ „ქებათა ქებაა“).

ლაპარაკია სურვილზე, რომელიც გაცემის განზრახვითაა გამოსწორებული. საბოლოო ჯამში მიიღება მდგომარეობა, რომელსაც შაბათი ეწოდება.

შაბათი – ივრითულ ენაზე „შაბათი“-ა, სიტყვიდან „ლიშბოთ“ (შეწყდეს ნებისმიერი საქმიანობა). ესე იგი შემქმნელის ყოველგვარი ქმედება ექვს დღეში დამთავრდა და აი, მოდის მეშვიდე დღე, რომელიც შაბათს განასახიერებს.

მაგრამ ჩვენთვის ეს არის ძალიან სერიოზული, ძალიან გაჯერებული, მუშაობისთვის განკუთვნილი დღე. შაბათი, სინამდვილეში, ყოველი იმის გვირგვინს განასახიერებს, რაც შემქმნელმა შექმნა და ჩვენ გადმოგვცა, და იმას, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ იმ მიზნით, რომ ჩვენი თავი შემქმნელის ტოლ მდგომარეობამდე მივიყვანოთ. და როცა ჩვენ ამ მდგომარეობაში შევდივართ, ანუ მთლიანად ვემსგავსებით სინათლეს, მაშინ ბუნებრივია, ჩვენი გამოსწორების მთელი მუშაობა წყდება – ჩვენ მთლიანად შემქმნელის მსგავსი ვხდებით და უსასრულობის სამყაროს, აბსოლუტური სრულყოფილების მდგომარეობაში შევდივართ. აი, ამ მდგომარეობას ეწოდება „შაბათი“.

ისევე, როგორც პირველ და მეორე დღეს შემქმნელი ქმნის პირობებს მესამე დღეს ქმნილების მცენარეული, ხოლო შემდეგ კი ცხოველური დონის მოსავლენად, ასევე მეოთხე და მეხუთე დღეები ეს არის მზადების დღეები, რათა მეექვსე დღეს ადამიანი გაჩნდეს და დაიწყოს შემქმნელთან შეფარდებით განვითარება.

„და იქნება შენს თვალწინ დღე ისე, როგორც ათასი წელი“, – ნათქვამია თორაში, და ამიტომ ათას წელიწადს „შემქმნელის დღე“ ეწოდება. ესე იგი ჩვენი გამოსწორების დასასრულამდე უნდა გავიდეს ექვსი ათასი წელი, რომლის შემდეგ ჩვენ შევდივართ მდგომარეობაში, რომელსაც „მეშვიდე ათასწლეული“ ეწოდება. ამ ექვსი ათასი წლიდან 5774 წელი უკვე გავიდა, და, ამგვარად დაგვრჩა 226 წელი.

უნდა ველოდოთ თუ არა ამ წელს? იქნება კი სამყაროს დასასრული თუ არა? არც უნდა ველოდოთ და არც იქნება.

ესე იგი, მას შემდეგ, როდესაც ჩვენ გამოსწორების ყველა პირობა გვაქვს მოცემული, ჩვენ სრული გამოსწორების მდგომარეობას, მეშვიდე ათასწლეულს, უფრო ადრე შეგვიძლია მივაღწიოთ, ვიდრე გაივლის ეს ექვსი ათასი წელი. გარდა ამისა, პრინციპში ჩვენ თქვენთან ერთად ამ მოქმედებაში უკვე ვიმყოფებით.

5. სხვაგვარი განმარტება: ყლორტები ეს მამები არიან, მამები, რომლებიც შევიდნენ

გონებაში და შევიდნენ მომავალ სამყაროში, ბინაში და დაიმალნენ იქ. და იქიდან გამოდიან დაფარულები და იმალებიან ჭეშმარიტ წინასწარმეტყველებში. დაიბადა იოსები – და დაიმალენ მასში. შევიდა იოსები წმინდა მიწაზე და ააშენა ისინი იქ. მაშინ გამოჩნდნენ დედამიწაზე და გამომჟღავნებულნი იქნენ იქ. როდის გამოჩნდნენ ისინი? როდესაც ჩანს ცისარტყელა, აი, მაშინ ხდება მათი გამომჟღავნება. ამ დროს მოდის გალობის დრო, ანუ დედამიწაზე ყველა ცოდვილის განადგურების დრო. რატომ გადარჩნენ? რამეთუ ყლორტები გამოჩნდა დედამიწიდან. და თუ ადრე მოხდებოდა მათი გამოჩენა, ვერ შეძლებდნენ ისინი სამყაროში დარჩენას, და სამყარო ვერ შეძლებდა არსებობას.

რას ნიშნავს „სხვაგვარი განმარტება“? განა არსებობს რამდენიმე განმარტება, თუ ჩვენ ჭეშმარიტების შესახებ ვსაუბრობთ?

არსებობს, იმიტომ, რომ პრინციპში ეს მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ ადამიანს, რომელიც შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარ მდგომარეობაში იყოს, მისი გარე სამყაროს რაც შეიძლება უფრო სრულყოფილი სურათი მიეცეს.

ხოლო სულიერ სამყაროში ასეთი რამ არ არსებობს: ერთი ახსნა-განმარტება, მეორე, ერთი თვალსაზრისი, მეორე... ადამიანი „იჭერს“ აბსოლუტურ, სრულყოფილ სურათს, და მას სხვადასხვა განმარტებების შესახებ

არავითარი კითხვა არ უჩნდება.

და აი, **მამები, რომლებიც შევიდნენ გონებაში და შევიდნენ მომავალ სამყაროში, ბინაში და დაიმალნენ იქ** – ეს სულიერი სამყაროს დონეა, რომელსაც ა ვ“ი – აბა ვე იმა (ივრითიდან „მამა და დედა“ – „მშობლები“) ეწოდება. **და იქიდან გამოდიან დაფარულები და იმალებიან ჭეშმარიტ წინასწარმეტყველებში** – ეს კვლავ სულიერი დონეა, რომელიც „აბა ვე იმა“ - სთან შედარებით ერთი საფეხურით უფრო ქვევითაა და, რომელსაც „წინასწარმეტყველები“ ეწოდება.

„აბა ვე იმა“ და „წინასწარმეტყველებიც“ ეს მეცნიერება კაბალის ტერმინებია. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეადაროთ ისინი ჩვენს მიწიერ მცნებებს. არავითარ შემთხვევაში.

„ზოარი“, როგორც მთელი მეცნიერება კაბალა, ერთი სიტყვითაც არაფერს არ ამბობს ჩვენი სამყაროს შესახებ. კაბალა მოგვითხრობს მხოლოდ სულიერი სამყაროს შესახებ და მხოლოდ ადამიანში არსებული წერტილის შესახებ, რომლის განვითარებაც მას შეუძლია და რომელიც მან უნდა განავითაროს. ყოველი დანარჩენი ჩვენ მხოლოდ ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების შესაბამისად უნდა გავაკეთოთ. და მთელი ძალისხმევა უნდა მოვანდომოთ ჩვენში არსებული ამ წერტილის გავითარებას, ვინაიდან იგი უმაღლესი, სულიერი სამყაროს ნაწილია. ყველაფერი დანარჩენი ჩვენში – ეს „ცხოველურია“,

რომელშიც არავითარი თავისუფალი ნება არ არსებობს. და ჩვენ მასთან არავითარი განსაკუთრებული საქმე არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ მის მდგომარეობაზე ვიზრუნოთ: ვბანოთ, ვკვებოთ, ვაძინოთ და ასე შემდეგ. მორჩა და გათავდა.

და ასე, „აბა ვე იმა“, და შემდეგ „წინასწარმეტყველები“, და შემდეგ კიდევ სხვა დონეები (რომელთა შესახებ ჩვენ თქვენთან ერთად კვლავ გვექნება საუბარი) – ეს თითქოს ეკრანებია, შრეებია სულიერ სამყაროში, და მათი გავლით ჩამოდის ჩვენთან უმაღლესი სინათლე. ის თანდათან სულ უფრო და უფრო მკრთალი ხდება, ვიდრე ჩვენამდე, ჩვენს სამყარომდე ჩამოაღწევს, და ჩვენ კი აქ შევძლებთ მის რაღაცნაირად აღქმას.

იგი, თითქოს, იმდენად მკრთალია, რომ ჩვენში არ უნდა გამოიწვიოს რაიმე ტანჯვა. მაგრამ მიუხედავად ამისა, სურს რა ჩვენი მიზიდვა, ჩვენი მასთან ამაღლება, იგი ისეთი კაშკაშით ანათებს, რომ ჩვენში ტკივილით პოულობს ასახვას, ვინაიდან ჩვენი თვისებები მისი თვისებების საწინააღმდეგოა.

დაიბადა იოსები – და დაიმალენ მასში. შევიდა იოსები წმინდა მიწაზე და ააშენა ისინი იქ.

„იოსები“ წარმოებულია სიტყვიდან „ლეესოფ“ (შეგროვება), იმიტომ რომ იგი თავის თავში აგროვებს უმაღლესი სამყაროს მთელ ენერგიას, მთელ თვისებებს, მათ შორის „აბა ვე

იმა“ და „წინასწარმეტყველების“ საფეხურების თვისებებსაც.

და შემდეგ ეს თვისება „იოსები“ შედის მიწაზე და ქმნის მისგან „სიწმინდის მიწას“. რას ნიშნავს „სიწმინდე“? „მიწა “ეს სურვილია, „სიწმინდე“ გაცემის თვისებაა, ანუ მიღების სურვილი გაცემის განზრახვით.

თორა მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ იოსები ეგვიპტეში აღმოჩნდა, შემდეგ იქ მთელი მისი ოჯახიც აღმოჩნდა და შემდეგ კი ებრაელები ეგვიპტეს ტოვებენ. სინამდვილეში არავინ არსად არც შედის და არც გამოდის. ამგვარად თორა ალეგორიულად ასახავს „აბა ვე იმა“–დან „წინასწარმეტყველებ“ – ზე გადასვლას და როგორც ამის შედეგი, ადამიანის მიერ მისი სულიერი სამყაროდან გაძევების შეგრძნებას.

ადამიანი თანდათან იწყებს თავისი სურვილების შეგრძნებას როგორც „ეგვიპტეს“, როგორც გაძევებას. იგი ამ სურვილების მიმართ მუშაობას იწყებს და თანდათან მათ „უდაბნოდ“ გადააქცევს – ეს იმის შეგრძნებაა, რომ იგი მთლიანად მოწყვეტილია სულიერ სამყაროს, და ეს აუცილებელი პერიოდია, რამეთუ შეიგნოს ადამიანმა თუ სად იმყოფება. და შემდეგ მუშაობს რა თავის თავში მყოფ უდაბნოზე (უდაბნო ისაა, რის შეგრძნებასაც ნაწილობრივ უკვე ვიწყებთ დღეს ჩვენს სამყაროში, ჩვენს ცხოვრებაში) იგი ამაღლებს

თავის თავს და შედის წმინდა მიწაზე. ესე იგი თავის სურვილებს წმინდა სურვილებად გადააქცევს.

წმინდა მიწა – წმინდა სურვილები – ეს არის სურვილები, რომლებიც პირდაპირ შემქმნელისკენ, პირდაპირ გაცემისკენ არის მიმართული.

დღეს ჩვენ ვიწყებთ იმის შეგრძნებას, რომ ერთმანეთთან ინტეგრალურად ვართ დაკავშირებული; ამასთან ერთად ვგრძნობთ, რომ აბსოლუტური ეგოისტები ვართ, რომ ჩვენ არ ძალგვიძს რაიმე გავაკეთოთ და ჩვენს სამყაროზე რეალური გავლენა მოვახდინოთ, რაღაც აბსოლუტურად ჩაკეტილ, ჩვენთვის გაუგებარ გარემოში ვიმყოფებით და ვერ გაგვიგია რა მოგვდის, რისთვის ვართ ჩვენ...

ეს მდგომარეობა ჩვენი ყველა იმ წინა თვისებების შედეგია, რომლებმაც ჩამოგვაყალიბა. ამ თვისებას, რომელიც ადამიანის ყველა ადრინდელი თვისების დემონსტრირებას ახდენს, „იოსები“ ეწოდება.

მაშინ გამოჩნდნენ დედამიწაზე და გამომჟღავნებულნი იქნენ იქ. როდის გამოჩნდნენ ისინი? როდესაც ჩანს ცისარტყელა, აი, მაშინ ხდება მათი გამომჟღავნება.

ჩვენ გვიხარია, როდესაც ცაზე ცისარტყელას ვხედავთ.

სინამდვილეში ცისარტყელა – მხედველობაში გვაქვს ცისარტყელა არა ჩვენს, არამედ სულიერ სამყაროში – ეს შემქმნელის რისხვის

გამოვლინებაა ადამიანის მიმართ, იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც თავის დროზე თავის გამოსწორებას არ აღწევენ. ამაშია ცისარტყელის ცაზე გამოჩენის აზრი – ანუ ვგულისხმობთ იმას, რასაც უმაღლეს სამყაროში ცა ეწოდება, იმას, რასაც უმაღლეს სამყაროში ცისარტყელა ეწოდება, და იმას, რასაც უმაღლეს სამყაროში ადამიანი ეწოდება, რომელიც ამ მოვლენას თვალყურს ადევნებს.

...გთხოვთ გვაპატიოთ ჩვენი მოუთმენლობა და მცდელობა, რომ ყველაფერი ერთბაშად ავხსნათ... ეს ხომ შეუძლებელია.

ჩვენ თანდათან შევეჩვევით „ზოარს“. ნელ-ნელა ეს ალეგორიები – ეს ძნელად დასამახსოვრები, ამგვარად იდუმალი სურათები, – ჩვენი გრძნობების სამყაროში შემოვა და ჩვენში გამოძახებას ჰპოებს, გამოძახების თვისებების, სხვადასხვა შეგრძნებების მარცვლების სახით.

ამ დროს მოდის გალობის დრო, ანუ დედამიწაზე ყველა ცოდვილის განადგურების დრო.

ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ყოველ-გვარი სურვილები, რომელსაც ადამიანი შეიგრძნობს, როგორც ცოდვას – ანუ სურვილები რომლებიც შემქმნელის საწინააღმდეგოა, ეგოსტიურია – ყველა ეს სურვილი განადგურებას ექვემდებარება. „განადგურება“ – ში იგულისხმება ამ სურვილების გაცემის სურვილებად

გამოსწორება. ცოდვილები კი მართლებად გადაიქცევიან.

რატომ გადარჩნენ ეს ცოდვილნი? **რამეთუ ყლორტები გამოჩნდა დედამიწიდან. და თუ ადრე მოხდებოდა მათი გამოჩენა, ვერ შეძლებდნენ ისინი სამყაროში დარჩენას...**

ადამიანი იმყოფება თავისი განვითარების მცენარეულ დონეზე – თავისი საკუთარი ნებით იგი სინათლისკენ, მზისკენ, გაცემისაკენ სწრაფვას იწყებს, მას თავისი საკუთარი სულიერი სიცოცხლე გააჩნია. სწორად ამ პერიოდში ხდება „ბოროტების შეცნობა“ – თავისი ცოდვილი სურვილების შეცნობა, და მათი გამოსწორების აუცილებლობა. და თუ ეს გამომჟღავნება ადრე, კატეგორია „ცოდვილების“ გამოვლენამდე, მოხდებოდა, გამოსწორების აუცილებლობა არ წარმოიქმნებოდა,

... და სამყარო ვერ შეძლებდა არსებობას.

ესე იგი ყველაფერი გარკვეული სცენარის მიხედვით, გარკვეული თანმიმდევრობით უნდა გამოჩნდეს. რა თქმა უნდა, ადამიანს შეუძლია თავისი თავისუფალი ნებით სულიერი საფეხურების მიხედვით აღმასვლის დაჩქარება, მაგრამ მხოლოდ დაჩქარება, ისე რომ ვერც ერთ საფეხურს ვერც გადაახტება და ვერც გააუქმებს.

6. და ვინ ახდენს სამყაროს გაცოცხლებას და „აბა ვე იმას“ გამომჟღავნებას. ეს ბავშვების ხმაა, რომლებიც თორას სწავლობენ. ამ ბავშვების

წყალობით არსებობს სამყარო. ამიტომაა ნათქვამი: „ოქროს სამკაულებს გაგიკეთებთ შენ“. ეს ბავშვები არიან, სამყაროს მოზარდნი, როგორც ნათქვამია: „გააკეთე ორი ოქროს კრუვიმი“.

და ვინ ახდენს სამყაროს გაცოცხლებას და „აბა ვე იმას“ გამომჟღავნებას.

უმაღლესი სამყაროს ძალები, თვისე-ბები, მათ შორის „აბა ვე იმა“ და „წინასწარმე-ტყველები“ (რომელთა შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი), რომლებსაც აგროვებს და გადმოგვცემს ჩვენს „ქვევით“ იოსები, ჩვენში ფარულად არსებობენ.

და აი, ვინ ახდენს შემდგომში მათ გამომჟღავნებას ჩვენში?

ეს ბავშვების ხმაა, რომლებიც თორას სწავლობენ.

ყლორტებს, რომლებიც აღმოცენდებიან დედამიწიდან (სურვილიდან), სურთ ზრდა გაცემის განზრახვით და ამიტომ ისინი შემქმნელის სინათლისკენ ისწრაფვიან.

აქედანაა ბავშვების სახე, რომლებიც თორას სწავლობენ. თორა – სიტყვიდან „ორ“ – სინათლე. როგორც ნათქვამია: „მე შევქმენი ეგოიზმი (მიღების სურვილი საკუთარი გამორჩენის განზრახვით), და შევქმენი თორა მისი ეგოიზმის გამოსწორების მიზნით“, რამეთუ თორაში მყოფი სინათლე ახდენს ჩვენს გამოსწორებას.

ამ ბავშვების წყალობით – ანუ ბავშვების,

რომელთაც სურთ განვითარება რამეთუ თავიანთი თვისებებით შემქმნელის თვისებებს დაემსგავსონ – **არსებობს სამყარო.**

ადამიანი, როგორც უკვე აღნიშნული იქნა, იზრდება ორი ძალის, დაფარვის – „მარცხენა“, და გამომჟღავნების – „მარჯვენა“ ძალის, მუდმივი ზემოქმედების საფუძველზე. იმის შესაბამისად, თუ რამდენად ახდენს ადამიანი ამ ძალების ადაპტირებას, თუ რამდენად შეუძლია მას ამ ორი ძალის თავის თავში გაერთიანება, წარმოიქმნება „საშუალო“ ძალა, და ამის შესაბამისად ადამიანი უმაღლესი სამყაროს გამომჟღავნებას ახდენს.

ამიტომაა ნათქვამი: „ოქროს სამკაულებს გაგიკეთებთ შენ“. ეს ბავშვები არიან, სამყაროს მოზარდნი, როგორც ნათქვამია: „გააკეთე ორი ოქროს კრუვიმი“.

ეს ალეგორია ემყარება ორი ფრინველის გამოსახულებას (კრუვიმ – სიტყვიდან „კა-როვ“ – ახლობელი) აღთქმის კიდობანზე იერუშალაიმის ტაძარში.

„ოქროს სამკაულებს გაგიკეთებთ შენ“ – ეს „ქებათა ქება“-ა.

როდესაც ბავშვები ამბობენ: „ოქროს სამკაულებს გაგიკეთებთ შენ“ – მათ მხედველობაში ჰყავთ შემქმნელი: ჩვენ შეგამკობთ შენ ჩვენი ეგოიზმით, რომელიც გაცემის და სიყვარულის თვისებებად გადაიქცევა.

ხოლო შემდეგ ბავშვები იზრდებიან და ორი

ძალის დახმარებით – ჩვენ არა მარტო ოქროს სამკაულებს გაგიკეთებთ შენ, არამედ ორ „კრუვიმს“ – უახლოვდებიან შემქმნელს.

აი, ამგვარად მაღლდებიან სულები (ანუ ჩვენ თქვენთან ერთად) სხვადასხვა დონემდე: „წინასწარმეტყველების“, „აბა ვე იმას“ დონემდე და ასე შემდეგ შემქმნელთან სრულ შერწყმამდე.

ადამიანი ეწოდება არა იმ ორფეხა პირდაპირმოსიარულეს, რომელსაც ჩვენს წინაშე ვხედავთ, არამედ ადამიანი ეწოდება იმ ნაწილს ჩვენში, იმ სურვილს, რომელიც შემქმნელისკენ მიისწრაფვის და თავისი თვისებებით შემქნელის თვისებებს ემსგავსება. ხოლო სხვა დანარჩენი, რასაც ჩვენში და ჩვენს გარშემო ვხედავთ, ეს ყველაფერი ცხოველური სამყაროს ფარგლებს იქით არ გადის.

ამიტომ ფუჭია ფიქრი იმის შესახებ, თითქოს სულიერ სამყაროსთან რაიმე ურთიერთობაში ვიმყოფებით, იმ ერთადერთი შესაძლებლობის გარდა – გარდა იმ წერტილისა ჩვენში, რომელსაც შეუძლია ჩვენი ზევით აქაჩვა, თუ ჩვენ მის სწორად განვითარებას დავიწყებთ. და ჩვენ ამიტომ უნდა მივიღოთ ყოველი თქმული, მხოლოდ ამ წერტილთან აბსოლუტურ კავშირში, და ეს წერტილი ჩვენ უნდა განვავითაროთ „ბავშვების“, „აბა ვე იმას“ საფეხურების გავლით და ასე შემდეგ-შემქმნელის სრულ მსგავსებამდე.

ვინ შექმნა ეს

(პუნქტები 7 – 13)

წიგნი „ზოარის“ დანიშნულება იმაში არ მდგომარეობს, რომ შეგვავსოს ყოველგვარი „გრძნული ცოდნით“, „ზოარი“ გრძნობადი შესვლაა უმაღლეს სულიერ სამყაროში. ჩვენ ხომ ჩვენს სამყაროშიც გრძნობებით ვხელმძღვანელობთ, ჩვენი გონება კი მხოლოდ აკონტროლებს და იკვლევს მათ.

ამიტომ თქვენ უნდა განეწყოთ, რომ:

ჯერ ერთი, ვერაფერს ვერ გაიგებთ;

მეორე, თანდათან, ისე როგორც ბავშვი, რომელიც იზრდება ჩვენს სამყაროში, თქვენ დაიწყებთ წაკითხულის გარკვევას.

ამგვარად, წიგნ „ზოარს“ ადამიანი უმაღლეს სამყაროში შეჰყავს.

საჭიროა უბრალოდ ისე, როგორც ბავშვმა, ფართოდ გაახილოთ თვალები, იკითხოთ იმის შესახებ, რაც უცნობია, გაუგებარია და რაც არ გესმით, დაეწაფოთ ისე ხარბად, როგორც ბავშვი ეწაფება; რამეთუ შეიცნოთ ყველაფერი, ჩაეჭიდოთ ყოველივეს, სხვა არაფერი არ არის საჭირო, დანარჩენი ყველაფერი მოვა. ცოდნის, რაღაც კონკრეტული შეგრძნების საშუალებით კი არა – ჩვენ ჯერ არა გვაქვს არც ერთი და არც მეორე – არამედ სწორად ასე, უბრალოდ: „იშსუთ, ათიკ, მ“ი, ზეცის საზღვარი. არაფერი არ მესმის!“.

ძალიან კარგი. არ არის საჭირო გაგება. ჩაერთე ამაში და შენში უცებ რაღაც შინაგანი შეგრძნებები დაიწყებენ გამოვლინებას, და შენ აღმოჩნდები სამყაროში, რომელშიც ამჟამადაც იმყოფები, მაგრამ რომელსაც ჯერ-ჯერობით ვერ შეიგრძნობ...

7. დასაწყისში. გახსნა რაბი ელაზარმა და თქვა: „მაღლა აღაპყრეთ თვალები და დაინახავთ, ვინ შექმნა ეს (ივრითი: **מי ברא אלה** – მი ბარა ელე).“ საით აღვაპყროთ თვალები? იმ ადგილას, რომელზეც ყველას თვალებია დამოკიდებული. ვინ არის იგი? ის არის თვალების ამხელი, ა“ა-ის (არიხ ანფინ-ის) თავის მალხუთი. და იხილავთ იქ, რომ დაფარულია ათიკი და მასში – პასუხი შეკითხვაზე, ვინ შექმნა ეს. ვინ – მ“ი, ბინ-ის ზა“თ-ი, ცის უმაღლესი საზღვარი, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. და ვინაიდან მასშია შეკითხვა, ხოლო იგი კი დაფარულია, ეწოდება მას მ“ი. რამეთუ მ“ი – როგორც ეკითხებიან – მი – ვინ? რადგან მის ზევით შეკითხვები უკვე აღარ არის. მხოლოდ ცის ზედა საზღვარზეა შეკითხვა.

დასაწყისში. გახსნა რაბი ელაზარმა და თქვა: „მაღლა აღაპყრეთ თვალები და დაინახავთ, ვინ შექმნა ეს (ივრითი: **מי ברא אלה** – მი ბარა ელე).“

რაბი ელაზარი ეს უდიდესი კაბალისტია,

რაბი შიმონის **(რაშბის)** შვილი.

საერთოდ ის ლაპარაკობს ჩვენი დროის შესახებ – დაწყებული წიგნი „ზოარის“ გახსნის, გამხელის დროიდან (ეს ხდება ჩვენ დროს, ბოლო 10-15 წლის განმავლობაში) და შემდეგ სრულ გამოსწორებამდე, რომელსაც, იმედი გვაქვს, ერთად ვნახავთ.

მაღლა აღაპყრეთ თვალები, – ამბობს რაბი ელაზარი – ესე იგი დაიწყეთ უმაღლესი სინათლის, „გაცემის“ სინათლის ხილვა, ძიება, და არ იყოთ დაკავებული, როგორც გჩვევიათ, იმის ძიებით თუ რისი მიღება შეგიძლიათ ამ სამყაროში. მოიკრიბეთ გულისყური, წარმართეთ თქვენი სურვილი უმაღლესი სინათლის მოსაძებნად, და **დაინახავთ** თქვენ **ვინ შექმნა ეს**.

საით აღვაპყროთ თვალები? – სვამს კითხვას წიგნი „ზოარი“. **იმ ადგილას, რომელზეც ყველას თვალებია დამოკიდებული.** („თვალები“ – ანუ ხედვა, თვალთახელვა). ვინ არის ის – ვინც შექმნა ეს? **ის არის თვალების ამხელი** – ადამიანის სურვილის გამომასწორებელი – **ა“ა-ის (არიხ ანფინი-ს) თავის მალხუთი** (არიხ ანფინის პარცუფი).

პარცუფი (მრავლობითი – „პარცუფიმ“) ეს სულიერი ობიექტია, რომელსაც ეკრანი გააჩნია, რომლის წყალობითაც შეუძლია სიამოვნების (უმაღლესი სინათლის) მიღება.

იმედი გვაქვს, რომ მკითხველი უკვე საკმაოდ მომზადებულია და ამიტომ

წიგნ „ზოარში“ აღწერილს ჩვენი სამყაროს სურათებს კი არ დაუკავშირებს, არამედ შემლებს წაკითხულის ამგვარად წარმოდგენას: მე, შემქმნელი და ეკრანი ჩვენს შორის; და ასე აგებს ურთიერთობათა სისტემას მასსა და შემქმნელს შორის.

ეკრანი, ეს რაღაც ტიხარი კი არ არის ჩემსა და შემქმნელს შორის, ეს მთელი სისტემაა, რომლის საშუალებითაც ვახდენ გამოთვლას თუ რამდენად (რა ზომით) შემიძლია ჩემი სურვილი სინათლეს დავამსგავსო. ეკრანი სიამოვნების მიღების სურვილის ზევით კი არ იმყოფება, არამედ მთლიანად ჩართულია ამ სურვილში.

პარცუფის თავი (როშ პარცუფ) – აქ ვიღებ გადაწყვეტილებას, თუ სურვილის რა ნაწილი შემიძლია მივაკუთნო სინათლეს. სურვილის იმ ნაწილს, რომელსაც ვამსგავსებ სინათლეს, თოხ პარცუფ (პარცუფის შიგნეულობა) ეწოდება; ხოლო იმ ნაწილს, რომელიც არ შემიძლია სინათლეს დავამსგავსო, სოფ პარცუფ (პარცუფის ბოლო) ეწოდება.

ყველა ამ ნაწილში მუშაობს ეკრანი, ანუ მუშაობს ის სისტემა, რომელიც მე შემქმნელთან მაკავშირებს.

სამყარო აცილუთი, ისე როგორც ნებისმიერი სხვა სამყარო, ხუთი პარცუფისგან შედგება: ათიკ, არიხ ანფინ, აბა ვე-იმა, ზეირ ანფინ და მალხუთ. ნებისმიერი პარცუფი ხუთი სფირისგან შესდგება: ქეთერ, ხოხმა, ბინა, ზეინ

ანფინ და მალხუთ.

სულიერი სამყაროების ხისტი სისტემა ორ ნაწილად იყოფა გარკვეული ზღვარის საშუალებით, რომელსაც ფარსა ეწოდება. ამ საზღვრის ზევით იმყოფება სამყაროები: აცილუთი, ადამ კადმონი და უსასრულობის სამყარო; ხოლო მის ქვევით – სამყაროები: ბრია, იეცირა, ასია.

ფარსა ეს საზღვარია, რომელიც ჰყოფს (მოდით შემოვიღოთ ტერმინი – ადგილი) შემქმნელის ადგილს – ადგილს, სადაც ვრცელდება უმაღლესი სინათლე, ქმნილების ადგილისაგან – ადგილისგან, რომელიც არ არის გამოსწორებული.

სულები არსებობენ სამყაროებში ბრია, იეცირა, ასია. ეს სულები „ადიან“ სამყარო აცილუთის პარცუფ მალხუთში და პარცუფების ზეინ ანფინისა და აბა ვე იმას გავლით აღწევენ სფირა მალხუთს – პარცუფ არიხ ანფინის ქვედა სფირას. სწორად ამ ადგილას სული იწვევს მასზე უმაღლესი სინათლის გამოვლენას და ეს არის **ა“ა-ის (არიხ ანფინი-ს) თავის მალხუთი.**

აი, ამგვარად მოქმედებს ეს მრავალ–საფეხურიანი სისტემა.

და იხილავთ იქ, რომ დაფარულია ათიკი და მასში – პასუხი შეკითხვაზე, ვინ შექმნა ეს. ვინ-მ“ი, ბინ-ის ზა“თ-ი, ცის

უმაღლესი საზღვარი, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

ათიკი საერთოდ დაფარულია. მას „ათიკი“ სწორად ამიტომ ეწოდება, რომ მისი სახელწოდება მიღებულია სიტყვიდან „ნეეთაკ“ – „მოწყვეტილი“, „განცალკევებული“.

... **და მასში – პასუხი შეკითხვაზე, ვინ შექმნა ეს**, ანუ, ვინ შექმნა ყოველი ის, რაც ამ ქვეყნად არსებობს.

ივრითულ ენაზე „ვინ შექმნა ეს“ ჟღერს ასე – „მი ბარა ელე“. ქართულ ენაზე ეს თითქოს სიტყვების თამაშია (კითხვაც არის და პასუხიც). ივრითულ ენაზე არავითარ სიტყვების თამაშს არა აქვს ადგილი – თვითონ სიტყვები გამოსახავენ სულიერ ქმედებას, იმიტომ, რომ თვითონ ენა, პრინციპში, სულიერი თვისებებიდან არის წარმოქმნილი.

და ამგვარად იგი ამბობს: **მ“ი, – ბინ-ის ზა“თ-ი** (ანუ იშსუთ-ი, სფირა ბინ-ის ნაწილი, რომელსაც გააჩნია უმაღლესი სინათლის მიღების უნარი), **ცის უმაღლესი საზღვარი, ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.**

და ვინაიდან მასშია შეკითხვა, ხოლო იგი კი დაფარულია, ეწოდება მას მ“ი. რამეთუ მ“ი - როგორც ეკითხებიან - მი - ვინ? რადგან მის ზევით შეკითხვები უკვე აღარ არის. მხოლოდ ცის ზედა საზღვარზეა შეკითხვა.

შეკითხვა რომელსაც **„მი“** ანუ „ვინ“ ეწოდება – ეს შეკითხვაა: მე მინდა შევიცნო, მე

მინდა ჩავწვდე, მე მინდა შევივსო უმაღლესი შეგრძნებით. მაგრამ **„მ“ი**, ამის გარდა, ეს ქეთერ-ი და ხოხმაა, ორი სფირა, რომლებმაც შექმნეს **ეს. ელე** ეს შემდეგი სამი სფირაა: ბინა, ზეირ ანფინ-ი და მალხუთ-ი. ანუ ქეთერ და ხოხმა ეს შექმნის ჩანაფიქრი, მისი პროგრამაა, ხოლო ბინა, ზეირ ანფინ და მალხუთ ეს უკვე მოქმედება, თვით სულებია.

ამიტომ სიტყვები: „მი ბარა ელე“ (ვინ შექმნა ეს) პრინციპში ეს შეკითხვა არაა, – ეს დამოწმებაა. ქეთერმა და ხოხმამ, რომელთაც **„მ“ი“** ეწოდებათ, შექმნეს **ელე**, ანუ ბინა, ზეირ ანფინი და მალხუთი.

და მაშასადამე, რის შესახებ მოგვითხრობს წიგნი „ზოარის“ ეს პუნქტი.

სულები აღავლენენ თავის სურვილებს, თავის შეკითხვებს, სამყაროთა სისტემის საფეხურებით ცის ზედა საზღვრამდე. მის ზევით შეკითხვები აღარ არის – იქ ყველაფერი გახსნილია, გარკვეულია, მაგრამ იქ მოხვედრა შეიძლება მხოლოდ სრული გამოსწორების შემდეგ. თავიანთი შეკითხვებით ისინი (სულები) იწვევენ უმაღლესი სინათლის ჩამოშვებას: **მ“ი** გადასცემს სინათლეს **ელე**-ს, ხოლო **ელე**, თავის მხრივ, გადასცემს სინათლეს იმ სულს, რომელმაც გამოიწვია (აღაგზნო) თავის შეკითხვაზე პასუხის გაცემის სურვილი, სურვილი იმ სინათლის მიღებისა, რომელიც ახდენს გამოსწორებას.

8. მაგრამ არის კიდევ ერთი ქვევით, რომელსაც მ“ა ეწოდება (მ“ი - ს გარდა). რა საერთოა ამასა და ამას შორის? (მ“ი - სა და მ“ა - ს შორის) პირველი დაფარულია, მას მ“ი ეწოდება. არის მასში შეკითხვა, რამეთუ იკითხოს ადამიანმა, გამოიკვლიოს, რომ ნახოს და იცოდეს ყველა საფეხური, ყველა საფეხურის ბოლომდე, მალხუთამდე. ეს არის მ“ა. ეს ნიშნავს მ“ა = მა = რა, რა იცი შენ, რას ხედავ, რას იკვლევ, ყველაფერი ხომ დასაბამიდანვე დაფარულია.

მას შემდეგ მას შემდეგ რაც დასმულ იქნა კითხვა „**მი?**“ – „**ვინ შექმნა ეს**?“ ლოგიკურია შემდეგი კითხვა: „**მა?**“ – „რა არის შექმნილი?“

ვღებულობ რა პასუხს კითხვაზე: „ვინ შექმნა?“ ესე იგი, ვღებულობ რა უმაღლესი სინათლის ულუფას, მე ვიწყებ იმის შეცნობას, თუ რა შექმნა მან. მან შემქმნა მე, და მე მხოლოდ მაშინ ვიწყებ იმის შეგნებას თუ ვინა ვარ „მე“. იმიტომ რომ შექმნაში მონაწილეობს მხოლოდ ორი ელემენტი შემქმნელი და მე. და მე შემიძლია ჩემი თავის შეცნობა მხოლოდ ჩვენი თვისებების დაპირისპირების შედეგად. შეცნობა გულისხმობს გამოკვლევებისა და შედარებების პროცესს ორ რაიმე

ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენას, თვისებას შორის. მაგალითად: სიბნელე - სინათლე, მწარე – ტკბილი, და ა.შ.

და პრინციპში ეს არის ყველაზე მთავარი, იმიტომ, რომ შემქმნელის შეცნობა შეგვიძლია მხოლოდ საკუთარი თავის შეცნობიდან გამომდინარე.

იმდენად, რამდენადაც ჩვენი თავის გამოკვლევით გვესმის თუ რა შექმნა მან, რატომ შეგვქმნა ასეთები, რისთვის, როგორ... რა მოგვეთხოვება იმისთვის, რომ მის მიერ დასახული მიზნისაკენ მივისწრაფოდეთ, – მხოლოდ მაშინ ხდება ნათელი ჩვენთვის თუ ვინ არის შემქმნელი. როგორც ნათქვამია: „მი მაასეხა იქარნუხა“ – ანუ „შენი მოქმედებიდან შეგიცნობ შენ“.

და, მაშასადამე, კითხვას: „**ვინ** შემქმნა მე?“ მოსდევს შემდეგი შეკითხვა „**რა** შექმნა მან?“ ასე ვიღებთ პასუხს იმის შესახებ თუ ვინ არის ის, ვინც შემქმნა მე.

და თუმცა თავდაპირველად ყველაფერი დაფარული იყო, სწორად ჩემი ამ ერთი კითხვის შედეგად ჩნდება მიზეზ-შედეგობრივ მოვლენათა მთელი ჯაჭვი, და მას მივყავართ პასუხამდე, თუ ვინ ვართ ჩვენ და ვინ არის შემქმნელი.

9. და აი, ამ საიდუმლოს განსაზღვრავს სიტყვა მა: რა-ს მოწმობ შენ და რა არის შენი ტოლი. როდესაც დაინგრა ტაძარი, გამოვიდა ხმა და თქვა: „რა (მა) მიგითითო

შენ, რა (მა) არის შენი სადარი“. მაგრამ აქ მა ნიშნავს: „რა აღთქმა, მოწმობა, მა – რა არის შენი ტოლი“. რამეთუ მოწმედ გიდგებიან შენ წინა დღეები დღითიდღე, როგორც ნათქვამია: „მოწმედ ვიხმობ ცასა და დედამიწას ახლა მე თქვენზე“. რა არის შენი ტოლი. როგორც ნათქვამია: „შეგამკე მე შენ წმინდა სამკაულებით და გაგხადე შენ სამყაროს წარმართველი“. როგორც ნათქვამია: „ნუთუ ეს არის ის ქალაქი, რომელსაც სილამაზის სრულყოფას უწოდებდნენ?“. დაგარქვი შენ „აღდგენილი ჩემი იერუშალაიმი“. „რა შეგედრება შენ?“ როგორც შენ ზიხარ, ისე არის ის ზევით, უმაღლეს იერუშალაიმში. როგორც არ შედის შენში წმინდა ხალხი, ასე გეფიცები მე შენ, რომ არ შევალ მე ზევით, სანამ არ შემოვალ შენში ქვევით. და ესაა შენი დაწყნარება, რომ გაგათანაბრებ მე შენ ამ საფეხურთან, ზემო იერუშალაიმთან, ანუ, უმაღლეს მალხუთთან, რომელიც მეფობს, სუფევს ყველაფერში (სიტყვა მალხუთი ივრითულად სამეფოს ნიშნავს). ჯერ-ჯერობით კი აქ ხარ შენ და „ზღვასავით დიდია შენი უბედურება“. მაგრამ თუ იტყვი, რომ არ გაგაჩნია შენ არც არსებობა და არც შველა, მ“ი - ვინ განგკურნავს შენ (მი? - ვინ? - კითხვის ნიშნით კი არა, არამედ უმაღლესი ძალა, რომელსაც მ“ი - ვინ ეწოდება, განგკურნავს შენ), ანუ ის უმაღლესი დაფარული საფეხური, რომელსაც მ“ი, ბინა ეწოდება, რომელიც

ყველაფრის მაცოცხლებელია, გაგკურნავს და გაგაცოცხლებს შენ.

და აი, ამ საიდუმლოს განსაზღვრავს სიტყვა მა: რა-ს მოწმობ შენ და რა არის შენი ტოლი.

მა და **მი**, გარდა იმისა, რომ ითარგმნება როგორც „რა“ და „ვინ“, აღნიშნავენ აგრეთვე მოქმედი სულიერი ობიექტების სახელებს. ესე იგი **მა** ეს ის არის, რაც შემქმნელმა ჩემში შექმნა, რის შესახებაც ყველა ჩემი თვისება ლაპარაკობს, თუ ჩემი თვისებებიდან რომელი შეესაბამება შემქმნელის თვისებებს და რომელი - არა, და როგორ შემიძლია ჩემი თვისებები შემქმნელის თვისებებს დავამსგავსო.

როდესაც დაინგრა ტაძარი, გამოვიდა ხმა და თქვა: „რა (მა) მიგითითო შენ, რა (მა) არის შენი სადარი“. („რაზე შემიძლია მიგითითო შენ, ვის შეგადარო შენ, იერუშალაიმის ასულო?“ *ეიხა, 2,13*)

ტაძარი - მხედველობაშია სული, რომელიც მთლიანად შემქმნელის მსგავსი და, ამ მდგომარეობაში, მასთან აბსოლუტურად შეერთებული, შერწყმული იყო. ეს შეერთება დაირღვა და ამას ეწოდება ტაძრის დანგრევა.

ეს დარღვევა, განადგურება ვლინდება როგორც შეკითხვა: „რა შექმენი შენ?“ - იქიდან რაც შენ შექმენი, იქიდან რასაც მე ახლა ვუკვირდები, რა არის შენი მსგავსი და ან რა არის შენი საპირისპირო? იმიტომ, რომ თუ ჩემსა და შემქმნელის გარდა არაფერი არ არსებობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი

ჩემი თვისება ან რამით გავს მას და ან რაიმეთი მისი საპირისპიროა.

მაგრამ აქ მა ნიშნავს: „რა აღთქმა, მოწმობა, მა – რა არის შენი ტოლი“. რამეთუ მოწმედ გიდგებიან შენ (შექმნის ჩანაფიქრის შესახებ) **წინა დღეები** (ჩამომავალი საფეხურები) **დღითიდღე, როგორც ნათქვამია: „მოწმედ ვიხმობ ცასა და დედამიწას ახლა მე თქვენზე“.**

რას ნიშნავს „მოწმედ ვიხმობ ცასა და დედამიწას“? მოწმედ დადგომა, დამოწმება - ეს გამოკვლევას და დასკვნამდე მისვლას ნიშნავს. რანაირად? „ცისა“ და „დედამიწის“ შედარებით, ანუ შემქმნელის თვისების (გაცემის ძალის) და ქმნილების, გამოუსწორებელი სულის თვისების, (მიღების სურვილის) შედარებით.

რა შემიძლია მე გამოვიკვლიო? - **რა არის შენი ტოლი** (შენი გაცემის თვისების ტოლი) „**რა**“ - მხედველობაშია ქმნილება.

აქედან დაწყებული და შემდგომ შემქმნელი მიმართავს სულს.

როგორც ნათქვამია: „შეგამკე მე შენ წმინდა სამკაულებით (ანუ მოგეცი შენ ჩემი თვისებები) **და გაგხადე შენ სამყაროს წარმართველი** (მისი გამოსწორების წამმართველი)“.

თავდაპირველად სული მხოლოდ უბრალო ეგოისტური სურვილისგან შედგება. შემქმნელმა შეამკო იგი წმინდა სამკაულებით - გაცემისა და სიყვარულის თვისებებით, რომელთა საშუალებითაც სულმა მიიღო, „სამყაროზე“ მბრძანებლობის

უფლებამოსილება. სამყარო ეწოდება ადამიანის იმ სურვილებს, რომლებშიც ის შეიგრძნობს თავის თავს ვიღაც გარე მყოფის გარემოცვაში არსებულს. სინამდვილეში ჩვენს გარდა არავინაა, და ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო არსებულად გვეჩვენება, – ჩვენი შინაგანი თვისებების აპლიკაციაა.

როგორც ნათქვამია: „ნუთუ ეს არის ის ქალაქი, რომელსაც სილამაზის სრულყოფას უწოდებდნენ?“. – ესე იგი სულის მდგომარეობა მის დამსხვრევამდე. **დაგარქვი შენ „აღდგენილი ჩემი იერუშალაიმი“**. აღდგენილი – ესე იგი, როდესაც სული უბრუნდება გამოსწორებულ მდგომარეობას. იერუშალაიმი („ირ“ – ქალაქი, „შალემ“ – სრულყოფილი) – სრულყოფილი ქალაქი ანუ სრულყოფილი სული.

ამგვარად არის გამოუსწორებელი, დღევან–დელი სული – ჩვენში, და გამოსწორებული სრულყოფილი სული, რომელსაც „აღდგენილი იერუშალაიმი“ ჰქვია.

„რა შეგედრება შენ?“ როგორც შენ ზიხარ, ისე არის ის ზევით, უმაღლეს იერუშალაიმში.

ფარსის, ცის საზღვრის ზემოთ, იმყოფებიან ჩვენი სულები გამოსწორებულ მდგომარეო–ბაში. აქ, მათ უმაღლესი იერუშალაიმი ეწოდებათ, ხოლო ფარსის ქვემოთ ჩვენი „დამსხვრეული“ სულები – ეს დამხობილი, დანგრეული იურუშალაიმია.

როგორც არ შედის შენში წმინდა ხალხი...

ჩვენში არსებობს სურვილები არაცოცხალ, მცენარეულ, ცხოველურ დონეებზე და დონეზე, რომელსაც „ადამიანი“ ჰქვია ჩვენში. პირველი სამი დონის სურვილები ჩვენ არ უნდა გამოვასწოროთ. ჩვენი გამოსასწორებელია ყველაზე მთავარი – „ადამიანის“ დონის სურვილები ჩვენში. სწორად ამ სურვილებს ჰქვია ხალხი. ასე რომ, „წმინდა ხალხი“ - ეს „ადამიანის“ დონეზე არსებული ის სურვილებია, რომლებსაც ჩვენ გაცემისა და სიყვარულის თვისებები შეგვიძლია მივანიჭოთ.

... ასე გეფიცები მე შენ, რომ არ შევალ მე ზევით, სანამ არ შემოვალ შენში ქვევით.

შემქმნელი ამბობს, რომ სანამ არ ავა ყველა სული ზემოთ ანუ სანამ არ დავამთავრებთ ჩვენ გამოსწორებას ქვემოთ, არ აღდგება უმაღლესი იერუშალაიმი.

და ესაა შენი დაწყნარება, რომ გაგათანაბრებ მე შენ ამ საფეხურთან, ზემო იერუშალაიმთან, ანუ, უმაღლეს მალხუთთან, რომელიც მეფობს, სუფევს ყველაფერში. ანუ სული უნდა ავიდეს იმ საფეხურზე, რომელსაც უმაღლესი იერუშალაიმი ეწოდება, და მთლიანად დამკვიდრდეს (ჩაჯდეს) მასში.

ჯერ-ჯერობით კი აქ ხარ შენ და „ზღვასავით დიდია შენი უბედურება“. მაგრამ თუ იტყვი, რომ არ გაგაჩნია შენ არც არსებობა და არც შველა, **მ“ი - ვინ** განგკურნავს შენ...

ვინ - შეკითხვა არ არის, ეს ძალის

სახელია - ᗪ“ᑎ, რომელიც განგკურნავს შენ. ეს უმაღლესი დაფარული საფეხური – ბინა – ყოველივეს მაცოცხლებელი, განგკურნავს და გამოგაცოცხლებს შენ, ანუ სულს.

რა გავიგეთ ჩვენ მეცხრე პუნქტიდან. რომ არსებობს სულის პირველსახე ᗪ“ᑎ - ს შიგნით (პარცუფები - ათიკი, არიხ ანფინი). ამ თვისებას „უმაღლესი იერუშალაიმი“ ეწოდება. ის ჩვენში მასთან „ასვლის“ სურვილს იწვევს. და სანამ ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, არც ის არ იმყოფება სრულყოფილ მდგომარეობაში.

აი, ეს ორი მდგომარეობა: ზედა – თითქოს გამოსწორებული, პოტენციალში, და ქვედა - გამოუსწორებელი, მოქმედებაში – ისინი უნდა დაემთხვნენ ერთმანეთს ისე, რომ ადის სული ცის საზღვართან, გადის ცის საზღვრის ზემოთ, და ერთვება ᗪ“ᑎ - ში.

ᗪ“ᑎ გამოგასწორებს შენ.

ჩვენ უბრალოდ უნდა ვიკითხოთ წიგნი „ზოარი“ და თანდათან მისი სახეები ჩაჯდებიან, დაიმკვიდრებენ ადგილს ჩვენში. თვითონ მოგვითხრობენ, თუ როგორ ვიმუშაოთ მათთან. წიგნი თვითონ გვასწავლის. ჩვენ არ უნდა ვიყოთ „ჭკვიანები“ - უბრალოდ უნდა ვისმინოთ, და მაშინ წავა დავიწყებაში გარეგანი შთაბეჭდილება, მაგრამ ისვე მოახდენს ჩვენში შინაგან ფორმირებას. ნუ შეეცდებით გაგებას - ეცადეთ შეათავსოთ თქვენი თავი ტექსტს, შეიგრძნოთ...

წიგნი ლაპარაკობს ჩემს შესახებ, ჩემი სულის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა მოცულობაში არსებობს ის, როგორ იცვლება ის თანდათან, რა ძალები ახდენენ მასზე ზეგავლენას. ***ათიკ, არიხ ანფინ, აბა ვე-იმა, ზონ*** *- ეს ძალებია, რომლებიც ზემოქმედებენ მასზე. მე არ ვიცი რა არის ეს, არ ვიცი რა ხდება ჩემს სულში. მაგრამ როდესაც ვფიქრობ ამაზე, ვცდილობ როგორღაც ვპოვო ჩემი თავი მასში, ამით ვიწვევ უმაღლესი სინათლის ზემოქმედებას ჩემზე და თანდათან, როგორც ბავშვი ჩვენს სამყაროში, ვიწყებ, ჯერ კიდევ გაგებამდე, სულიერი სამყაროს შეგრძნებას.*

პატარა ბავშვმა ხომ არ იცის სად იმყოფება, იგი პირდაღებულმა იყურება, გრძნობიერად, შეგრძნებების საშუალებით, ჯერ-ჯერობით გაგების გარეშე, აი, ასე - უშუალოდ შეიცნობს თავის გარემომცველ სამყაროს. ის ქაღალდის სუფთა ფერცელს ჰგავს.

ჩვენ გვგონია, რომ ეს სწორი არ არის: „რატომ წინასწარ არ მიეცა მას გონება? რატომაა ბუნების მიერ ასე მოწყობილი, რომ ჩვენ ამგვარად აღვიქვამთ სამყაროს?“ იმიტომ, რომ ამ სამყაროში სიცოცხლისათვის ჩვენი სათანადოდ მომზადება და ფორმირება მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი.

ასეთივეა სულიერ სამყაროში შესვლა. ჩვენ ვსწავლობთ, – გვგონია, რომ ვისმენთ,

ვუყურებთ ნახაზებს... სინამდვილეში ეს ასე არაა – სინამდვილეში ჩვენ სულს ამ წიგნის გავლენის ქვეშ ვაქცევთ. ზოარის შთაბეჭდილებანი ჩვენი სულის ფორმირებას მოახდენენ, და ამგვარად ჩვენ შევალთ სულიერ სამყაროში.

10. მ“ი - ვინ საზღვრავს ცას ზევიდან - იშსუთი. მ“ა - რა საზღვრავს ცას ქვევიდან - ზ“ა და მალხუთი. და ეს მემკვიდრეობით მიიღო იაკობმა, რამეთუ იგი ზეირ ანფინია, რომელიც ანათებს კიდით კიდემდე. ერთი კიდიდან, მ“ი, სხვა კიდემდე, მ“ა. რამეთუ იგი, ზ“ა, იაკობი, დგას შუაში იშსუთსა და მალხუთს შორის. ამიტომ ნათქვამია: მი ბარა ელე, მი - იშსუთმა, ბარა - გააჩინა, ელ“ე - ზ“ა და მალხუთი.

ისმის როგორც კითხვა: „ვინ საზღვრავს? რას საზღვრავს?“ სინამდვილეში კი ეს მტკიცებაა. მ“ი - ვინ საზღვრავს ცას ზევიდან – ეს სამყარო აცილუთის ზედა ნაწილია, იშსუთია; მ“ა – რა საზღვრავს ცას ქვევიდან – ეს ზეირ ანფინი და მალხუთია.

ესე იგი ჩვენ უკვე მოგვითხრობენ უფრო შინაგანი, ჩვენთვის უფრო ახლობელი სისტემის შესახებ. ორ მოსაზღვრე, შემზღუდავ ხაზს შორის - ზედა და ქვედა ხაზს შორის, გადის გამყოფი ხაზი - ცის საზღვარი.

და ეს მემკვიდრეობით მიიღო იაკობმა, რამეთუ იგი ზეირ ანფინია, რომელიც ანათებს

კიდით კიდემდე. ანუ ზ“ა (ზეარ ანფინი) - ეს პარცუფი იაკობია, რომელიც იშსუთსა და მალხუთს შორის იმყოფება.

ამიტომ ნათქვამია: მი ბარა ელე - ვინ გააჩინა ეს: იშსუთმა გააჩინა ზეირ ანფინი და მალხუთი.

11. თქვა რაბი შიმონმა: „ელაზარ, შვილო ჩემო, გახსენი უმაღლესი საიდუმლო, რომელიც სრულიად უცნობია ამ სამყაროში მაცხოვრებლებისათვის“. დუმდა რაბი ელაზარი, ატირდა რაბი შიმონი, შემდეგ გაჩუმდა და თქვა: „ელაზარ, რას ნიშნავს ელ“ე? თუ იტყვი, რომ ეს ისეა, როგორც ვარსკვლავები და ზოდიაქოს (ბედის) ნიშნები, მაგრამ ისინი ხომ ხილულნი არიან ყოველთვის (და არა ცვალებადნი, როგორც ბედის ნიშნები) და შექმნილნი არიან მ“ა - ში, ანუ მალხუთში, როგორც ნათქვამია: „გამჩენის სიტყვით შექმნილ იქნა ზეცა“, ანუ მალხუთით, რომელსაც გამჩენის სიტყვა ეწოდება, შეიქმნა ზეცა. და თუ მოგვითხრობს ელ“ე დაფარული საიდუმლოებების შესახებ, მაშინ არ უნდა ყოფილიყო დაწერილი ელ“ე, რამეთუ ვარსკვლავები და ბედის ნიშნები ყველასთვის ხილულია (სიტყვა ელე = ეს – ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საგანი ნათელია).

თქვა რაბი შიმონმა: „ელაზარ, შვილო ჩემო, გახსენი უმაღლესი საიდუმლო,

რომელიც სრულიად უცნობია ამ სამყაროში მაცხოვრებლებისათვის“.

„შვილი“ - ეს შემდგომი, უფრო დაბალი საფეხურია. და ამ საფეხურს ტყუილად არ ეწოდება „ელაზარი“. სიტყვა „ელ“ ივრითულად შემქმნელია, „აზარ“ - დამხმარე, ესე იგი: „შემქმნელი დამხმარეა“ ან „შემქმნელის დამხმარე, თანაშემწე“. ეს ის დახმარებაა, რომელიც ახლა ესაჭიროება რაბი შიმონს.

დუმდა რაბი ელაზარი.

ესე იგი არ ჰქონდა მას შესაძლებლობა - თუმცა იგი ელაზარია და პრინციპში, მას უნდა გაეწია დახმარება, – გაეკეთებინა ის, რის შესახებაც სთხოვს მას ზედა, მაღალი საფეხური.

ატირდა რაბი შიმონი,

რა თქმა უნდა აქ არავითარ „თვალებში ცრემლებით“ ტირილზე არ არის ლაპარაკი. მხედველობაშია ის, რაც სულებს მოსდით: ისინი უკმარისობას შეიგრძნობენ, უკმარისობას ძალაში, სურვილში, ზევიდან დახმარებაში და ასე შემდეგ.

... **გაჩუმდა და თქვა** ... - ესე იგი მოემზადა შემდგომი შეცნობისათვის (წვდომისათვის).

... „ელაზარ, რას ნიშნავს ელ“ე? თუ იტყვი, რომ ეს ისეა, როგორც ვარსკვლავები და ზოდიაქოს ნიშნები (ბედის ნიშნები**), მაგრამ ისინი ხომ ხილულნი არიან ყოველთვის (და არა ცვალებადნი, როგორც ბედის ნიშნები)**

და შექმნილნი არიან სიტყვაში **მ“ა, ანუ მალხუთში, როგორც ნათქვამია: „გამჩენის სიტყვით შექმნილ იქნა ზეცა“, ანუ მალხუთით, რომელსაც გამჩენის სიტყვა ეწოდება, შეიქმნა ზეცა.**

ესე იგი ის, რაც ჰყოფს იშსუთს და **ზო“ნ**-ს – უმაღლეს სფირას ქვედა სფირისაგან და სულებისაგან, - ყოველი ეს შემქმნელის სიტყვითაა შექმნილი. აქედან გამომდინარე შეიძლება გავიგოთ აგრეთვე სიტყვების: „დუმდა“, „ატირდა“, „გაჩუმდა“, „არ შეეძლო ლაპარაკი“ სხვა მნიშვნელობა. უმაღლეს სფირაში არ არსებობს რაიმე, სახელდობრ მასში განსაზღვრული ქმედება, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ დაწყებულ იქნას შემქმნელის ჩანაფიქრის გახსნა, ესე იგი შემქმნელის სიტყვებისა: „და იყო სიტყვა“.

„და იყო სიტყვა“ - ეს მალხუთია, რომელშიც იხსნება შემქმნელის სიტყვები და ამ სიტყვით შეიქმნა ზეცა, **ანუ მალხუთით, რომელსაც გამჩენის სიტყვა ეწოდება შეიქმნა ზეცა** (მალხუთში უკვე ადგილი აქვს გარკვეულ ქმედებას).

და თუ მოგვითხრობს ელ“ე (ანუ ქმნილებები) **დაფარული საიდუმლოებების შესახებ, მაშინ არ უნდა ყოფილიყო დაწერილი ელ“ე, რამეთუ ვარსკვლავები და ბედის ნიშნები ყველასთვის ხილულია (სიტყვა ელე = ეს – ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საგანი**

ნათელია).

პრინციპში, საიდან ჩამოდიან ძალები, რომლებიც ახდენენ ჩვენს ფორმირებას: ისინი ან წინასწარ ვლინდებიან ცაზე - იშსუთში, და ეს ითვლება ზოდიაქოს ნიშნებად; ან ეს ხდება **ელ"ე** - ში, და მაშინ ისინი უკვე ყველასთვის ხილულნი არიან და არ არიან ბედის საიდუმლო ნიშნები? როგორ დავუკავშირდეთ იმ ძალას, **მ"ი** - ს, რომელიც ახდენს ჩვენს ფორმირებას, გამოსწორებას? ეს ჯერჯერობით კითხვაა.

აი, ნახეთ, რას წერს „ზოარი" - რაღაც ნაკლებად გასაგებ ან სრულიად გაუგებარ რამეებს.

ეს წიგნი იმისთვის არაა განკუთვნილი, რომ ყოველმხვრივი ცოდნით შეგვავსოს. ჩვენ ჭარბად გვაქვს მასალა, რომელიც მოგვითხრობს შექმნის მიზნის, მისი მიღწევის გზების, ნების თავისუფლების, ყველა სამყაროს და მათ შორის, ჩვენი სამყაროს, აგებულების შესახებ... ყოველი ეს არის მეცნიერება კაბალაში – ის საერთოდ ყველაფერს შეიცავს. მაგრამ ახლა გადავდოთ ეს გვერდზე..

წიგნი „ზოარი" უბრალოდ ხელში გიყვანს, როგორც თოთო ბავშვს, და იწყებს შენს შეყვანას უმაღლეს სამყაროში.

არაფერი არ მესმის! - არა აქვს ამას მნიშვნელობა. აი, ასე უბრალოდ, პირდაღებულმა გააგრძელე, წადი წინ. და

თუ გექნება ასეთი დამოკიდებულება, მაშინ მიაღწევ წარმატებას შენ.

მაგრამ ამასთან, პარალელურად შენ შეგიძლია შეისწავლო ის მასალაც, რომელშიც მთელი მეცნიერება კაბალაა მოცემული.

12. მაგრამ საიდუმლო ეს სხვა დღეს იქნა გამხელილი, როდესაც ზღვის პირას ვიყავი მე. გამომეცხადა ელიაუ წინასწარმეტყველი და თქვა: „რაბი, იცი თუ არა შენ, რას ნიშნავს მი ბარა ელე - ვინ შექმნა ეს?“ ვუპასუხე: ეს ზეცა და ციური ძალებია, შემქმნელის ქმედებები, რომელთა ხილვის დროს ადამიანებმა უნდა აკურთხონ იგი (შემქმნელი), როგორც ნათქვამია: „როდესაც ვხედავ მე ზეცას, შენი ხელის ნამოქმედარს“, „შემქმნელო! უფალო ჩვენო! რა დიდებულია სახელი შენი მთელ დედამიწაზე!“

მაგრამ საიდუმლო ეს სხვა დღეს იქნა გამხელილი,

სულიერ სამყაროში დრო არ არსებობს. სხვა დღე - ეს შემდგომი, უფრო მაღალი შეცნობაა.

...როდესაც ზღვის პირას ვიყავი მე.

ზღვა - ეს ორ ხოხმას, სიბრძნის შუქის, შეცნობის შუქის ზღვაა (ორ ხოხმა – სიბრძნის შუქი – ეს ქმნილებისადმი უმაღლესი შუქის ერთერთი გამოვლინებაა). ჩემს წინაშე გადაშლილი იყო შემეცნების სინათლის ზღვა,

რომელიც თავისთავად უსაზღვროა. მაგრამ მე ნაპირზე ვიყავი, ანუ ამ ზღვის მხოლოდ ვიწრო ზოლს შევიცნობდი.

გამომეცხადა ელიაუ წინასწარმეტყველი...

ჩვენს მიმართ შემქმნელის გამოცხადებას „ელიაუ ანავი“, „ელიაუ წინასწარმეტყველი“ ეწოდება.

...და თქვა: „რაბი (მიმართავს რაბი შიმონს), იცი თუ არა შენ, რას ნიშნავს მი ბარა ელე - ვინ შექმნა ეს?“ ვუპასუხე: ეს ზეცა და ციური ძალებია, შემქმნელის ქმედებები, რომელთა ხილვის დროს ადამიანებმა უნდა აკურთხონ იგი (შემქმნელი), როგორც ნათქვამია: „როდესაც ვხედავ მე ზეცას, შენი ხელის ნამოქმედარს“.

ესე იგი, როდესაც ჩვენ გვეხსნება, ჩვენთვის ნათელი ხდება შემქმნელის ნამოქმედარი - **„როდესაც ვხედავ მე ზეცას, შენი ხელის ნამოქმედარს“**, მაშინ ვაკურთხებ მე მას.

„შემქმნელო! უფალო ჩვენო! რა დიდებულია სახელი შენი მთელ დედამიწაზე!“

დედამიწა - „ერეც“, წარმოქმნილია სიტყვიდან „რაცონ“ - სურვილი.

ესე იგი, ყველაფერი, რაშიც კი შენ ვლინდები ჩემს სურვილებში, ანუ ასწორებ მათ, იმყოფები მათში, ამ შემთხვევაში შენი ყოფნა მათში იწვევს ჩემში შენი კურთხევის, შენდამი მადლიერების შეგრძნებას.

„ზოარი“ ქარაგმულად მოგვითხრობს იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც სულში ვლინდებიან.

აი, რაბი შიმონი (ეს არის სულის განსაკუთრებული დონე) მიმართავს თავის ვაჟს, რაბი ელაზარს. მისგან პასუხს არ ღებულობს. შემდეგ კი მოგვითხრობს თუ რამ მიიყვანა იგი ამ კითხვამდე.

*ოდესღაც იგი იყო შეცნობის ზღვარზე, რასაც „ზღვის ნაპირი“ ეწოდება. ამ მდგომარეობაში მოევლინა მას ელიაუ წინასწარმეტყველი (ელიაუ ანავი) და უთხრა: „იცი თუ არა, შენ რას ნიშნავს: „**ვინ შექმნა ეს**“? ეს ვლინდება ადამიანში მაშინ, როდესაც ის ხედავს ზეცას, შემქმნელის ხელის ნამოქმედარს. და როდესაც ამ ზეცაში მისთვის მჟღავნდება ის, რაც შექმნა შემქმნელმა, მაშინ იგი ავტომატურად, აქედან გამომდანარე, აკურთხებს შემქმნელს.*

13. მიპასუხა მან: „რაბი, დაფარული აიღო შემქმნელმა და გაუხსნა ის უმაღლეს საბჭოს. და აი, ეს: რომ მოისურვა გამოვლინება იდუმალთაგან ყველაზე იდუმალმა, შექმნა მან დასაწყისში ერთი წერტილი, მალხუთი, და ავიდა ის მის გონში, ანუ ბინაში, ანუ ავიდა მალხუთი და შეუერთდა ბინას. ასახა მასში ყველა შექმნილი და დაამტკიცა მასში ყველა კანონი“.

მიპასუხა მან: „...უმაღლესი საიდუმლო

აიღო შემქმნელმა და გაუხსნა ის უმაღლეს საბჭოს. და აი, ეს (ის, რაც მან გახსნა): **რომ მოისურვა გამოვლინება იდუმალთაგან ყველაზე იდუმალმა** (ლაპარაკია პარცუფ ათიკის შესახებ), **შექმნა მან დასაწყისში ერთი წერტილი, მალხუთი, და ავიდა ის მის გონში, ანუ ბინაში, ანუ ავიდა მალხუთი და შეუერთდა ბინას. ასახა მასში ყველა შექმნილი და დაამტკიცა მასში ყველა კანონი“**. სად? ბინაში.

რაში მდგომარეობს მთელი სიბრძნე? მალხუთი, ადის რა ბინაში, თავისი სურვილებით, თავისი მისწრაფებებით აიძულებს ბინას სინათლე ხოხმის მიღებას. და აი, მაშინ ბინა, იღებს რა სინათლე ხოხმას (სიბრძნის სინათლეს), იწყებს ყოველი იმის შექმნას, რაც მის ქვევით იმყოფება.

წიგნი „ზოარის“ კითხვის დროს ჩვენ ყოველთვის - და ეს ყველაზე უფრო მთავარია! - უნდა გვახსოვდეს იმის შესახებ, რომ ყოველი ის, რაც კი მასშია აღწერილი, ხდება თითოეულ ჩვენთაგანში. და ჩვენ ეს უნდა გამოვავლინოთ.

პარცუფების, სფირების, სხვადასხვა მოქმედებების დასახელებებმა - ყველა ამ ტერმინმა ჩემში უნდა გამოიწვიოს მხოლოდ ერთი სურვილი, ერთი მისწრაფება: „როდისღა შევიგრძნობ იმას, რომ ყოველი ეს ჩემში ხდება?! სად არის ეს თვისებები და ქმედებანი ჩემში, ჩემს შეგრძნებაში. აი, მაგალითად, ფარსა. ეს იგი არ მაძლევს მე ბრიადან აცილუთში

ასვლის შესაძლებლობას!“

ყოველი ეს უნდა გაიხსნას თვით ადამიანში. ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ სულიერი სამყარო სადღაც შორს, რაღაც სივრცეებშია, მაგრამ მთელ სინამდვილეს ჩვენ ხომ ჩვენში შევიგრძნობთ, ხოლო სულიერს - როგორც ჩვენს ყველაზე ღრმა შინაგან ფენას.

ამიტომ მე, ქირურგივით უნდა მივისწრაფოდე, რომ გავხსნა ჩემში, ჩემს ყველაზე ღრმა შეგრძნებებში, ის უმაღლესი სისტემა, რომლის შესახებაც „ზოარი“ მოგვითხრობს.

რაბი ხიას ხილვანი

(დასაწყისი, პუნქტები 49 – 55)

ჩვენ გვეჩვენება, რომ ჩვენს გარშემო ვეებერთელა სამყარო არსებობს: თვალუწვდენელი კოსმოსი, რომელშიც ჩვენ სულ ახალი და ახალი ობიექტების აღმოჩენას ვახდენთ, ჩვენი პლანეტა თავისი მცენარეული და ცხოველური სამყაროთი, კაცობრიობა...

ადამიანის გარეთ აბსოლუტურად არაფერი არ არსებობს უმაღლესი სინათლის გარდა, რომელსაც ჩვენ ვერ შევიგრძნობთ. ჩვენ მხოლოდ ამ სინათლესთან ჩვენს შესაბამისობას, ან შეუსაბამისობას შევიგრძნობთ, და ეს შეგრძნებანი ჩვენში ჩვენი შინაგანი მდგომარეობის ყოველგვარ სურათებს ქმნიან, რომელსაც ჩვენი სამყარო ეწოდება. სინამდვილეში: სამყარო ეს ვარ მე უმაღლესს სინათლესთან შეფარდებით.

წიგნი „ზოარი“ მხოლოდ ადამიანის შინაგანი სამყაროს შესახებ მოგვითხრობს, ამიტომ, ვთხოვთ მკითხველს „ზოარის“ კითხვის დროს შეეცადოს, რომ იფიქროს იმაზე, თუ სად ხდება ეს მასში; ეძიოს თუ სად იმყოფება ყველა ეს განსაზღვრება, ქმედებანი, ობიექტები, ძალები მასში.

ყოველი ეს ხომ მისი შინაგანი თვისებებია.

და კიდევ. შეუძლებელია ყოველთვის თორის ან წიგნი „ზოარის“ „თარგმნა“ ჩვენთვის გასაგებ ენაზე: მაგალითად ის, რომ დედამიწა სურვილს ნიშნავს, და ასე შემდეგ. ამიტომ უნდა ვეცადოთ დავიმახსოვროთ ის „თარგმანები“, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ, და – რაც ყველაზე მთავარია! – უნდა ვეცადოთ, რომ წიგნის ტექსტი აღვიქვათ გრძნობიერად და არა სიტყვა – სიტყვით – ჩვენი სამყაროს ფიზიკური ქმედებისა და მატერიალური რეალობის სახით. „ზოარი“ მოგვითხრობს იმ ადამიანის სულიერი შეგრძნებისა და განცდების შესახებ, რომელმაც გრძნობიერად აღიქვა, შეიცნო სულიერი სამყარო.

49. განერთხო რაბი ხია დედამიწაზე და აკოცა მას. ატირდა და თქვა: „მტვერო მიწისა, რამდენად უდრეკი და უგულო ხარ შენ, რამდენნი შთანთქე, სინათლის ყველა სვეტი, დიდებული სულები შთანთქმული იქნენ შენს მიერ. და უდიდესი, მთელი სამყაროს მნათობი, მანათობელი და მმართველი ჩვენთან ჩამომავალი სინათლისა, ის, რომლის წყალობითაც არსებობს ჩვენი სამყარო – რაბი შიმონი, ყველა სამყაროს სინათლე, – ისიც შთანთქე შენ, და შენ მბრძანებლობ სამყაროში?“ მაგრამ გონს მოეგო უეცრად და თქვა: „ნუ იამაყებ, მტვერო მიწისავ, სამყაროს მნათობნი არ

მოგეცემიან შენ, და არა შთანთქმულა რა რაბი შიმონი შენს მიერ!“

მოდით შევეცადოთ ოდნავ გრძნობიერად წავიკითხოთ ეს ტექსტი და ვნახოთ თუ რა იგულისხმება ამ სიტყვებში. ასე რომ, ჩვენ ჩვენს შიგნით ვიხედებით.

განერთხო რაბი ხია დედამიწაზე და აკოცა მას.

„რაბი ხია“ (მოცემულ კონტექტში) – ეს ჩვენი რომელიღაც თვისებაა, რომლის სურვილიც შემქმნელის მიღწევაა. მის წინაშე მაგალითია – რაბი შიმონი. რაბი შიმონი ეს, ერთი მხრივ, წიგნი „ზოარის“ ავტორია, მეორე მხრივ, – სული, რომელმაც შემქმნელის თვისებები შეიცნო.

და ამგვარად, რაბი ხიამ (და აგრეთვე ჩვენც) დაიწყო თავის თავის, თავისი სურვილის გამოკვლევა.

ქმნილება იმის შედეგად ვითარდება, რომ თავის თავში აგებს უმაღლეს სისტემას – შემქმნელთან მსგავსებას. და როგორ შეიძლება ამის გაკეთება თუ მასში სხვადასხვა თვისებების მქონე ნაწილები არ იქნება? მაშინ როგორ შეიძლება განისაზღვროს თუ ვინ არის შემქმნელი?

ამიტომ განვითარების პროცესში ჩვენ შორის განსხვავება არსებობს, და ის აუცილებელია – ზოგი სული უფრო მაღალია, ზოგი – უფრო დაბალი. მაგრამ, როდესაც, გამოსწორების დასასრულს,

ყველა სიყვარულში და ურთიერთგაცემაში ერთიანდება, ყოველგვარი განსხვავება იშლება.

მაშ, რა ჰპოვა რაბი ხიამ?

მტვერო მიწისა – იგულისხმება სურვილის ყველაზე მდაბიო, პირველადი, ბაზისური მდგომარეობა; **რამდენად უდრეკი და უგულო ხარ შენ** – რამდენად ეგოისტური ხარ; **რამდენნი შთანთქე** – რამდენ ძალისხმევას ახმარს ადამიანი, რამდენ ტანჯვა-წამებას განიცდის იგი, რამეთუ დაძლიოს თავისი თავი და ამაღლდეს შენს ზევით. ხოლო შენ კი ყველა ამ განცდების ყველა ძალისხმევის საფასურს იმითი უხდი, რომ ამ სულებს შთანთქავ, ასაფლავებ ამ სულებს; **სინათლის ყველა სვეტი,** ანუ **დიდებული სულები შთანთქმული იქნენ შენს მიერ** – ასე აღიქვამს იგი თავის ეგოიზმს, როდესაც „ტირილის“ მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო თითოეული ჩვენთაგანის შიგნით უსასრულობის სამყაროს ვეებერთელა ეგოიზმია.

და უდიდესი, მთელი სამყაროს მნათობი, მანათობელი და მმართველი ჩვენთან ჩამომავალი სინათლისა – ...

სულიერ სამყაროში სულები პირამიდის სახით აგებულ იერარქიას წარმოადგენენ. პირამიდის მწვერვალში იმყოფება სული, რომელიც ჩვენამდე უმაღლეს სინათლეს ატარებს. ამ სულს, შემქმნელის მიერ

შექმნილი უზარმაზარი სურვილის ამ ნაწილს, „რაბი შიმონი“ ეწოდება.

თქვენ შეგიძლიათ იკითხოთ: „რაბი შიმონი“ ყველაზე „დიდი“ სულია? მაშ სად არიან დანარჩენი დიდებული წმინდანები? სად არის ადამი, სად არის მოშე, სად არიან მამები: აბრაამი, იცხაკი, იაკობი, სად არიან ისინი? რაბი შიმონი – ის ხომ მხოლოდ ერთ-ერთია მთელი რიგი კაბალისტებისაგან. რატომ მაინც და მაინც ის?“

საქმე იმაშია, რომ ცნება „ყველაზე მთავარი“ ჩვენთვის ყოველთვის შეფარდებითია. ბავშვისთვის ყველაზე მთავარი დედაა, მის გარეშე იგი არავინ და არაფერი არ არის. ზრდასთან ერთად ეს ტიტული სხვა ადამიანებზე გადადის: მასწავლებლებზე, ხელმძღვანელზე და ა.შ.

ასეა აქაც. ჩვენ თქვენთან ერთად სულიერ სამყაროში ჯერჯერობით პატარები ვართ, და ამიტომ ის სული – „რაბი შიმონი“, – რომელმაც ჩვენამდე, ჩვენს სამყაროში, უმაღლესი სინათლე გაატარა, ჩვენ პირამიდის მწვერვალზე მოვათავსეთ.

ჩვენი სამყარო ისედაც, თავისთავადაც არსებობს, არსებობდა რაბი შიმონამდეც. მაგრამ იმ სინათლის წყალობით, რომელიც მისგან ჩვენსკენ მომდინარეობს, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ავმაღლდეთ და შევიცნოთ ეს სინათლე.

... – **რაბი შიმონი, ყველა სამყაროს**

სინათლე, – ისიც შთანთქე შენ, და შენ მბრძანებლობ სამყაროში? – კითხულობს „რაბი ხია“, ანუ ერთი იმ სულთაგანი, რომელთაც მაღლა სწრაფვა სურთ.

მაგრამ მას შემდეგ როდესაც მან ჩაატარა გამოკვლევა, შეაღწია თავისი სურვილის სიღრმეში, **გონს მოეგო უეცრად და თქვა**, ესე იგი გამოარკვია: „**ნუ იამაყებ, მტვერო მიწისავ**, არ არის შენში ძალა, რომ შთანქა ასეთი სულები, **სამყაროს მნათობნი არ მოგეცემიან შენ, და არა შთანთქმულა რა რაბი შიმონი შენს მიერ!**“

ჩვენი ეგოისტური სურვილი ვეებერთელაა. იგი ისეთ ფენებს მოიცავს, რომელთა დაძლევაც ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ ჩვენ მათთან სულაც რომ არ გვქონდეს ურთიერთმოქმედება, სულაც რომ არ ვახდენდეთ მათ გამოსწორებას, საკმარისია რომ მხოლოდ მოვწყდეთ მათ, და მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ მივაღწიოთ გამოსწორებას, მივაღწიოთ უმაღლეს სინათლეს.

სულის გამოსწორება შემდეგი პრინციპის მიხედვით ხდება.

ნებისმიერი სული ხუთი სტადიისგან შესდგება (ვერტიკალურად): ქეთერი, ხოხმა, ბინა, ზეირ ანფინი, მალხუთი, სურვილების შესაბამისი დონეებით: 0,1,2,3,4. თითოეული სტადია, თავის მხრივ, იმავე შემადგენელ ნაწილებს მოიცავს (ჰორიზონტალურად),

სურვილების იმავე დონეებით.



ასე რომ ყველაზე დიდი ეგოიზმის, ანუ ზეინ ანფინისა და მალხუთის სტადიების, ისევე როგორც მათში მესამე და მეოთხე დონის სურვილების, გამოსწორება ჩვენ არ შეგვიძლია. მაგრამ რაღაცნაირად ჩვენ შეგვიძლია ამ ეგოიზმის გამოყენება, მისი შემოერთება. რანაირად? ამისათვის აუცილებელია იმ პირობის შესრულება, რომელსაც „ციმცუმ ალეფი“ (პირველი შეკვეცა) ეწოდება: ჩვენ ჩვენში არაფრის მიღება არ გვინდა.

და შემდეგ? შემდეგ, როდესაც გამოვითიშებით ნებისმიერი სინათლის მიღებისგან, ვიწყებთ ჩვენი მხოლოდ იმ სურვილების გამოსწორებას, რომელთაც

„გალგალთა ეინაიმ“ ეწოდება (ჯერჯერობით ეს მხოლოდ ტერმინია). გალგალთა ეინაიმში ჩვენ ჩვენს „მე“-ს შევიგრძნობთ, და შემდეგ, როდესაც ჩვენს გარდა მთელ სამყაროს ვიკვლევთ, (ყოველი ის, რასაც მე შევიგრძნობ, ხომ ჩემსა და გარემო სამყაროსგან შედგება), ვიწყებთ დარჩენილი ნაწილების შემოერთებას, იმდენად, რამდენადაც შეგვიძლია მათი ჩართვა და გამოსწორება.

ამიტომაც ამბობს რაბი ხია, რომ თუმცა ჩვენ ამ სურვილებს, გალგალთა ეინაიმის გარდა, არ ვასწორებთ, მაინც არ ვნებდებით მათ, და მათ არ ძალუძთ ჩვენი შთანთქმა. მიუხედავად იმისა, რომ გვეჩვენება თითქოს ეგოიზმი იმდენად საშინელი და ძლიერია, რომ მის საწინააღმდეგოდ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, ჩვენ, ყველაზე უმცირესი, ის შეგვიძლია, რომ ეს ვეებერთელა ეგოიზმი ნაწილობრივად მაინც არ გამოვიყენოთ.

ჩემი ეგოიზმის, ჩემი საძაგელი მდგომარეობის და ცუდი თვისებების მიუხედავად, უნარი შემწევს, მზად და უფლებამოსილი ვარ, რომ მივიღო ძალა ზევიდან და ამ ძალის საშუალებით უმაღლესი სამყარო გავხსნა. რამდენადაც შემიძლია, ამ მიზნისაკენ მივისწრაფი. დაე, შორს ვიყო განზრახვის სისუფთავისგან, დაე ჩემი სულიერი „პროფვარგისობა“ საეჭვო იყოს – ყოველი ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ასეთი ვარ ახლა, ასეთია ჩემი ახლანდელი თვისებები, ჩემი მიმდინარე მდგომარეობა.

თუ ადამიანს ნებისმიერ სიტუაციაში სურს მიიღოს ძალა გამოსწორების მიზნით, სულიერი წინსვლის მიზნით, მაშინ იგი ამას იმსახურებს. „ზოარი“ კი ყველაზე ერთგვარ გავლენას უნდა ახდენდეს – არა აქვს მნიშვნელობა თუ რამდენი ხანი სწავლობს ადამიანი, რა ენაზე სწავლობს, როგორია მისი წარმოშობა, ასაკი. თვითონ იმ წყარომ, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ, ამგვარად უნდა მოახდინოს გავლენა ყოველ ჩვენთაგანზე.

50. ადგა რაბი ხია, დაიწყო სიარული და ტირილი. შეუერთდა მას რაბი იოსი. იმარხულა 40 დღე, რამეთუ რაბი შიმონი ეხილა. ნათქვამი იყო მისთვის, რომ მაინც არ არის ის ღირსი მისი ხილვისა. ატირდა და კიდევ 40 დღე იმარხულა. მაშინ უჩვენეს ხილვა მას: რაბი შიმონი და მისი ძე, რაბი ელაზარი, მსჯელობენ მისი, რაბი ხიას, სიტყვების შესახებ, რომელიც მან რაბი იოსის უთხრა. და ათასნი უგდებენ ყურს მათ მსჯელობას.

ადგა რაბი ხია, – ის იწვა მიწაზე და ტიროდა. ესე იგი თითქოს მთლიანად იყო განრთხმული თავის ეგოიზმზე, არაფრის გაკეთება არ შეეძლო მის საწინააღმდეგოდ და ამიტომ ტიროდა; ახლა კი მან ძალა მიიღო და ადგა; **დაიწყო სიარული** – მას სულიერი, ბუნებრივი მოძრაობის შესაძლებლობა

მიეცა; **და** მაინც **ტირილი** – და ამ მაღალ მდგომარეობაში, როდესაც ის ადგა, მაინც გრძნობდა, რომ მას არ ესმის, არა აქვს შეგნებული, ვერ ფლობს იმას რაც საჭიროა.

შეუერთდა მას კიდევ ერთი მეგობარი, **რაბი იოსი**.

„რაბი ხიამ“ – ერთმა სულმა, შეიერთა კიდევ ერთი სული, „რაბი იოსი“. „ზოარი“ გვიჩვენებს, თუ რამდენიმე სულის გაერთიანების საშუალებით, როგორ ვიწყებთ წინსვლას სულიერ სამყაროში.

იმარხულა 40 დღე, რამეთუ რაბი შიმონი ეხილა.

40 დღე – ეს გალგალთა ეინაიმის, ბინას დონეა. რატომ ბინას? იმიტომ რომ ბინა „გალგალთაში“ ყველაზე დიდი დონეა, როგორც სტადიებში, ასევე სურვილებში. ეს მეორე დონეა.

ნახეთ, რამდენად დიდი სურვილი ჰქონდა მას: **„იმარხულა 40 დღე, რამეთუ რაბი შიმონი ეხილა.“** – რამეთუ გამოემჟღავნებინა საფეხური, რომელსაც „რაბი შიმონი“ ეწოდება. და 40 დღის შემდეგ მიიღო პასუხი, ანუ ამ საფეხურთან თავისი დამოკიდებულება გამოამჟღავნა. და როგორი იყო პასუხი? – **რომ მაინც არ არის ის ღირსი მისი ხილვისა**.

ატირდა – კიდევ უფრო დაიმდაბლა თავი, თავისი ეგოიზმი, **და კიდევ 40 დღე იმარხულა** – კიდევ თავის ახალ ეგოისტურ

დონეზე იგივე გამოსწორება განახორციელა.



მაშინ უჩვენეს ხილვა მას: რაბი შიმონი და მისი ძე, რაბი ელაზარი, მსჯელობენ მისი, რაბი ხიას, სიტყვების შესახებ, რომელიც მან რაბი იოსის უთხრა, – და დაიმდაბლა რა თავისი ეგოიზმი და, ამგვარად, ავიდა რა უფრო მაღალ სულიერ დონეზე, მან აღმოაჩინა, რომ როდესაც ორი სული – „რაბი ხია“ და „რაბი იოსი“ – ერთიანდებიან იმ მიზნით, რომ შეიცნონ სულიერი საფეხური „რაბი შიმონი და რაბი ელაზარი“ მაშინ იმ მომენტიდანვე ეს უმაღლესი სულიერი საფეხური მათ დახმარებას იწყებს.

და აქედან ჩვენ შესაბამისი დასკვნები უნდა გავაკეთოთ.

... და ათასნი უგდებენ ყურს მათ მსჯელობას.

„ათასნი“ – შეიძლება ითქვას, რომ ეს ათასი სულია; ან, თუ იმ დონეს, რომელზედაც

მიმდინარეობს „მათი მსჯელობა“, მივიღებთ როგორც ერთეულს, მაშინ მათი მსჯელობის საგანი ათასი დონით უფრო მაღლაა.

მარხვა კაბალაში ნიშნავს, რომ მე ვიღებ გადაწყვეტილებას უმაღლესი სინათლის მიღების შეწყვეტის შესახებ...

ჩვენ ჩვენს სამყაროშიც ვმარხულობთ, იმიტომ რომ ეს უბრალოდ დისციპლინირებულს ხდის ადამიანს. მეორე მხრივ, მარხვა საშუალებას იძლევა როგორღაც შევინჯღრათ, მას ჩვენს ცხოვრებაში რაღაც ახალი შემოაქვს...

ჩვენ ხომ შექმნილნი ვართ, როგორც ცხოველები. ცხოველებისთვის მთავარია კვება. ნახეთ, რითი არიან ისინი დაკავებული მთელი თავიანთი ცხოვრება. ადამიანი ამით ამ დონეზე არ არის დაკავებული. მან გამოინთავისუფლა თავი ამ ყოველდღიური საზრუნავისაგან. მაგრამ რისთვის?! იმის ნაცვლად, რომ დაკავებული იყოს იმ ფუჭი საქმიანობით, რასაც დღესდღეობით ეწევა, უკეთესი იქნებოდა, პირველყოფილი ადამიანივით, ეძიოს პური არსობისა მისისა.

ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ კვების გარდა, რომელიც საჭიროა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის აუცილებელია ჩვენი სხეულის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ყველაფერი დანარჩენი – „უმაღლესი კვებაა“. უმაღლესი კვება ეს ის „მან“-ია, ის ციური მანაა, რომლითაც უდაბნოში „იკვებებოდნენ“.

ადამიანი არ ღებულობს უმაღლეს სინათლეს, მის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია; სურს იგი – და აი, ადამიანის ამ მისწრაფებას უმაღლესი სინათლისაკენ, გაცემის თვისებისაკენ, ეწოდება „მან“ - ი, ის ამ თვისებით ივსება.

51. იმავე ხილვის დროს დაინახა რაბი ხიამ რამდენიმე უმაღლესი დიდი ფრთა, თუ როგორ ავიდნენ მათზე რაბი შიმონი და მისი ძე, რაბი ელაზარი, და აფრინდნენ ცის კამარის შეკრებაზე. ფრთები კი ელოდებოდნენ მათ. შემდეგ დაბრუნდა ორივე თავის ადგილას და ანათებდა ადრინდელზე უფრო მეტად, მზის სინათლეზე უფრო მეტად.

გარდა იმისა, რომ მან იხილა მისი უფრო მაღალი სულიერი დონე, ამ დონის სიმაღლიდან მან აგრეთვე შემდეგი დონეც იხილა.

შეეცადეთ რამენაირად შეიგრძნოთ თქვენში ეს საფეხურები. „ზოარს“ ზუსტად ისევე შევყავართ სულიერ სამყაროში, როგორც ჩვენ შევიცნობთ ჩვენს სამყაროს – უშუალოდ, წინასწარი ცოდნის გარეშე.

რატომ არ ვიბადებით ამ ქვეყანაზე ყველა იმ ცოდნით აღჭურვილი, რომელიც სიცოცხლის მანძილზე გვჭირდება? ან რატომ არ ვიძენთ ამ ცოდნას დაბადებისთანავე უმოკლეს დროში – დავუშვათ ორ დღეში, ან ორ კვირაში? ამისთვის ადამიანს 20 წელი სჭირდება, ზოგჯერ ესეც არ არის საკმარისი.

ეს მთლიანი სისტემაა, ამის შესახებ საუბარი შემდეგისთვის გადავდოთ.

მაგრამ, პრინციპში, აქედან ჩვენ უნდა გავაკეთოთ დღეს ჩვენთვის ყველაზე აუცილებელი დასკვნა: სულიერის შეცნობა, ეს უშუალო შეცნობაა. ჩვენ კბილებით, ხელებით, ფეხებით უნდა ჩავეჭიდოთ იმას, რის შესახებაც „ზოარი“ მოგვითხრობს, და ამგვარად ჩვენ დავიწყებთ მის, ამ უმაღლესი სამყაროს, შეგრძნებას, მის გაგებას.

დასაწყისში დავიწყებთ უბრალოდ შეგრძნებას: ეს რაბი ხიაა ჩემში, ეს რაბი შიმონი, ეს ცის კამარა, ეს დედამიწა, ეს მე ვარ მტირალი, ეს მე – მდგომარე, ეს მე – მწოლიარე და ასე შემდეგ. მე შევიგრძნობ ამ მდგომარეობებს ჩემში, ამ თვისებებს, და შემდეგ დავიწყებ მათ შორის არსებული კავშირის გაგებას: ეს მეტია, ეს ნაკლებია, აქედან მე შემიძლია ამაღლება, აქ მე შემიძლია ჩასვლა; დავიწყებ იმის გაგებას, თუ ეს სისტემა რისთვის და როგორ მუშაობს.

ამიტომ ახლა ჩვენ ერთად უნდა დავაგროვოთ შთაბეჭდილებანი, შევეცადოთ უბრალოდ გავყვეთ წიგნის თხრობის დინებას.

იმავე ხილვის დროს დაინახა რაბი ხიამ, ახლა შენ და მეც რაბი ხია ვართ, **რამდენიმე უმაღლესი დიდი ფრთა** – ეს ის ეკრანებია, რომელთაც სულები მაღლა აჰყავთ, **თუ როგორ ავიდნენ მასზე რაბი შიმონი და მისი ძე, რაბი ელაზარი**...

ჩემი საფეხურიდან მე შემდგომ საფეხურს

ვუყურებ, რომელიც ჩემი თვისებების მიხედვით ჯერ კიდევ არა მაქვს მიღწეული, და ვხედავ, რომ არის რაღაც ძალა, რომელსაც ისინი კიდევ უფრო მაღლა აჰყავს, მათ შემდგომ საფეხურზე. და რა ხდება იქ? – **ცის კამარის შეკრება**. ანუ იქ სულები იკრიბებიან, ერწყმიან, უკავშირდებიან ერთმანეთს ისე, რომ მათ შეკრებას ამხანაგების შეკრება, დიდებულების შეკრება, მანათობლების შეკრება კი არა, არამედ ცის კამარის შეკრება ეწოდება.

ფრთები კი ელოდებოდნენ მათ, სანამ ისინი ამ შეკრებაზე იყვნენ. **შემდეგ დაბრუნდა ორივე**, ამ ფრთებით, **თავის ადგილას და ანათებდა ადრინდელზე უფრო მეტად, მზის სინათლეზე უფრო მეტად**, იმიტომ რომ ეს ცის კამარის ზემოთ მოხდა.

ჩვენ ახლა არ დავიწყებთ იმის გარკვევას, რომ მზე ეს ზეირ ანფინია, დედამიწა – მალხუთი, და რომ სულები მალხუთიდან ზეინ ანფინის გავლით ბინაში ადიან, რომელიც ცის კამარის ზემოთ იმყოფება. ხოლო იქ კი, უფრო მაღლა, უმაღლესი ცის კამარაა – ეს პარცუფი არიხ ანფინია, სადაც ადიან ეს განსაკუთრებული სულები. შემდგომში ყოველი ამას ჩვენ ჩვენში შევიგრძნობთ. ახლა კი ჩვენ ჯერ-ჯერობით თითქოს სირბილით გავდივართ ამ მასალას.

რა იხილა შემდეგ რაბი ხიამ?

52. გახსნა რაბი შიმონმა და თქვა: „დაე შემოვიდეს რაბი ხია, დაე იხილოს, რამდენად

ანახლებს შემქმნელი ყოველი წმინდანის სახეს მომავალ სამყაროში. ბედნიერია ის, ვინც აქ სირცხვილის გარეშე მოვა. ბედნიერია ის, ვინც იმ სამყაროში ყოველივეს წინააღმდეგ ვით მაგარი, მტკიცე ბოძი დგას.“ და იხილა რაბი ხიამ თავისი თავი, თუ როგორ შედის ის, ხოლო რაბი ელაზარი და ამ სამყაროს დანარჩენი ყველა სვეტი, რომელიც იქ იჯდა, რაბი ხიას წინაშე წამოდგა. ის კი, რაბი ხია, დაიმორცხვა რა მან, მოხრილი შევიდა, რაბი შიმონის კვარცხლბეკთან დაჯდა.

რაბი ხიას დონიდან, ჩვენ – ისინი ვინც ვუთანაბრებთ ჩვენს თავს რაბი ხიას, – ამჟამად თვალყურს ვადევნებთ უფრო მაღალ დონეს, სადაც რაბი შიმონი იმყოფება. ხოლო იქ რაბი შიმონი, ლაპარაკობს მისი, რაბი ხიას, მისი მოწაფის, ანუ ჩვენს შესახებ, ჩვენი მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ვიქნებით, როდესაც ავალთ იმ დონეზე.

ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ჩვენს მომავალ მდგომარეობას, და პრინციპში, ეს არაა რაღაც განსაკუთრებული ქმედება.

რას ნიშნავს „მომავალი“ ან „წარსული“ მდგომარეობა? ყოველი ეს ჩანაწერში არსებობს. ჩვენ არაფერს არ ვანახლებთ არც ჩვენს სამყაროში, და არც ჩვენს გზაზე – ჩვენ უბრალოდ ვავლენთ იმას, რაც არსებობს. ყველაფერი, რაც მოხდა, – ეს უსასრულობის სამყაროდან ჩვენს სამყაროში ჩამოსვლაა. ჩვენ კი ავდივართ – ჩვენი სამყაროდან

უსასრულობის სამყაროში.

თუ რაიმე მოვლენას, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ჩვენს სამყაროში, მე ჩავიწერ ვიდეომაგნიტოფონზე, შემდეგ კი აღვადგენ მას, ამით მე წარსულს აღვადგენ. ანუ მე თითქოს წარსულში მივდივარ და ვიმყოფები მასში იმ მომენტში, როდესაც მე ამ მოვლენას ვხედავ. და ასეთივე ფირი ჩემთვის ვინმეს რომ მომავლიდან გადმოეცა, ვიქნებოდი მომავალში. ანუ ეს ყველაფერი ჩანაწერია, და ამ ჩანაწერის მიხედვით მე შემიძლია მოგზაურობა. და ეს ისაა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ.

ამიტომ რაბი ხია ხედავს თავის თავს როგორც თავის დონეზე, ასევე თავის შემდგომ მდგომარეობაში. სულიერ სამყაროში ყველა ეს მდგომარეობა, ასე ვთქვათ, თავისუფლად წინდადებულია სულის წინაშე. თუ ძალუძს სულს, დაე გახსნას ეს მდგომარეობები.

გახსნა რაბი შიმონმა და თქვა: „დაე შემოვიდეს რაბი ხია, დაე იხილოს (ანუ გამოავლინოს), **რამდენად ანახლებს შემქმნელი ყოველი წმინდანის სახეს** (მის გაგებას, მის შეცნობას) **მომავალ სამყაროში**. (ეს ყოველთვის შემდგომი საფეხურია ამჟამად არსებულთან შედარებით; მე შეიძლება სულიერ სამყაროში მეასე საფეხურზე ვიმყოფებოდე. მაგრამ ეს მეასე საფეხური, თუკი მე მასზე ვიმყოფები, ჩემთვის „ეს სამყარო“–ა, შემდგომი საფეხური კი – „ჩემი მომავალი სამყარო“).

ბედნიერია ის, ვინც აქ სირცხვილის გარეშე

მოვა.

სირცხვილი – ეს მიღების შეგნებაა. როდესაც მაგალითად, მე პურმარილიანი მასპინძლის სუფრაზე ყოველგვარ კერძებს მივირთმევ, ვიწყებ იმის შეგრძნებას, რომ მე ვიღებ, მასპინძელი კი – გასცემს. ეს ჩემში უდიდესი სირცხვილის გრძნობას აჩენს: მე არ შემიძლია, მე ვალდებული ვარ უარი ვთქვა მიღებაზე, მაგრამ არ მძალუძს. ეს გრძნობა, პრინციპში, თითოეულ ჩვენთაგანს გააჩნია. ამ გრძნობაში პრაქტიკული ვარჯიში გვჭირდება, იმიტომ რომ იგი, სირცხვილი, ჩვენს ყოველგვარ ქმედებაში გვხელმძღვანელობს. და რაც უფრო ვუახლოვდებით შექმნის მიზანს, რაც უფრო მეტად გამოვასწორებთ ჩვენს თავს, მით უფრო მძაფრად შევიგრძნობთ სირცხვილის გრძნობას.

ბედნიერია ის, ვინც იმ სამყაროში ყოველივეს წინააღმდეგ ვით მაგარი, მტკიცე ბოძი დგას.

სვეტი (ბოძი) შუა ხაზს ეწოდება, რომელზეც ვმოძრაობთ, როდესაც ჩვენი ეგოიზმის გამოსწორებას ვიწყებთ, ანუ ვცვლით ჩვენს პირველად ეგოისტურ განზრახვას, სულიერი განზრახვით, გაცემის განზრახვით.

ქმნილება ეს შემქმნელის თვისებების თანდათანობითი დაბლა სვლა და რეალიზაციაა. მისი გამოსწორებისათვის შემქმნელი გვაძლევს სურვილს და სინათლეს. ადამიანი ითვისებს შემქმნელის თვისებებს, აანალიზებს, უპირისპირებს მათ ერთი-

მეორეს, არ აძლევს რა არც ერთ მათგანს უპირატესობას, ალაგებს მათ სხვადასხვა შეთავსებებით და საბოლოო ჯამში შუა ხაზს იღებს. შუა ხაზში ძალისხმევას და მუშაობას შემქმნელის შეცნობისა და შექმნის ჩანაფიქრის ამოცნობისკენ მივყავართ.

თავდაპირველად ადამიანი თავის თავში მხოლოდ საკუთარ თავს გრძნობს, ხოლო შემდგომ, თანდათან ასწორებს რა თავისი ეგოიზმის გარე ფენებს, რომლებიც **გე** (გალგალთა ეინამის) გარეთ იმყოფება (იხ. ნახაზი 2), იწყებს თავის თავში მთელი სამყაროს შეგრძნებას. რაც ადამიანს ადრე ეჩვენებოდა, როგორც მის გარეთ არსებული, ყოველი ამის აღმოჩენას ახლა იგი თავის თავში იწყებს. ადამიანის გარეთ არსებული – ეს თითქოს იმის ასლია, რაც სინამდვილეში არსებობს მასში, მის სურვილში.

და იხილა რაბი ხიამ თავისი თავი (ამ საფეხურზე), **თუ როგორ შედის ის, ხოლო რაბი ელაზარი და ამ სამყაროს დანარჩენი ყველა სვეტი, რომელიც იქ იჯდა, რაბი ხიას წინაშე წამოდგა**.

რას ნიშნავს: „რაბი ხიას წინაშე წამოდგა“? გამოასწორა რა თავისი ეგოიზმი, რაბი ხია ამაღლდა და შეუერთდა – **შედის ის** – „ამ სამყაროს დანარჩენი ყველა სვეტს, რომელიც იქ იჯდა“. თავისი გამოსწორებითა და შეერთებით მან მათ კიდევ უფრო მეტი ძალა მიანიჭა, და ახლა ისინი ერთად ამ საფეხურზე

დგანან.

ის კი, რაბი ხია - მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გამოსწორება მოახდინა და მისცა მათ ფეხზე ადგომის შესაძლებლობა - **დაიმორცხვა რა მან, მოხრილი შევიდა, და რაბი შიმონის კვარცხლბეკთან დაჯდა**.

უფრო მაღალი საფეხურის პირობების უდრტვინველი მიღება იმის საწინდარია, რომ ჩვენ მასზე ასვლას შევძლებთ. საჭიროა იმის მკაფიოდ გაგება, თუ რას ნიშნავს ამ უფრო მაღალ საფეხურზე ყოფნა, რა არის ამისთვის საჭირო, როგორი ძალები, როგორი თვისებები უნდა შევიძინოთ, რა ძალებისა და თვისებების, მოქმედებების დახმარებით შეიძლება ამ ახალი ძალებისა და თვისებების შეძენა. აი, ასეთი პირობები აქვს ამ საფეხურს, მორჩა და გათავდა. თუ გსურს – ინებე.

53. გაისმა ხმა: „დახარე თვალები, თავი არ ასწიო, არ შეხედო.“ დახარა თავისი თვალები და იხილა შუქი, შორიდან მანათობელი შუქი. კვლავ წარმოიშვა ხმა და თქვა: „უმაღლესნო – დაფარულნო და ჩაკეტილნო, თვალთა მქონენო, მთელი მსოფლიოს მეთვალთვალენო – შეხედეთ: უმდაბლესთს სძინავთ, თვალთა სინათლე მათი დაფარულია გუგებში. გააღვიძეთ ისინი!“

დახარე თვალები, – ჩვენი ინფორმაციის, ჩვენი შეგრძნების ორი ძირითადი წყარო მხედველობა და სმენაა; მოცემულ შემთხვევაში, მას არაფრის დანახვა არ შეეძლო,

მას მხოლოდ მოსმენა ძალუძს;

თავი არ ასწიო, – არ მიიღო არავითარი გადაწყვეტილება, თავი შენი უნდა იყოს შენი სხეულის დონეზე, ცხოველის მაგვარად;

არ შეხედო, – ნუ შეეცდები მიღების სურვილის გამომჟღავნებას, გამოვლინებას.

დახარა თავისი თვალები რაბი ხიამ **და იხილა შუქი, შორიდან მანათობელი შუქი**.

სწორად იმიტომ, რომ რაბი ხიამ უდრტვინველად მიიღო და ასევე აგრძელებს უმაღლესი საფეხურის პირობების მიღებას, მან **იხილა შუქი, შორიდან მანათობელი შუქი**.

და ეს წმინდანები, ფრთები, ცის კამარები, მზე – ყოველი ეს მის სურვილებში ხდება. „შორიდან მანათობელი შუქი“ – ეს მისი იმ სურვილებიდანაა, რომელთა რეალიზაციაც მას ჯერ კიდევ არ ძალუძს, მაგრამ ისინი უკვე უახლოვდებიან იმას, რომ მან დაიწყოს მათი გამოყენება, და ამიტომ მან იხილა მათში შუქი, თითქოს შორიდან მანათობელი.

კვლავ წარმოიშვა ხმა და თქვა: „უმაღლესნო – დაფარულნო და ჩაკეტილნო, თვალთა მქონენო, მთელი მსოფლიოს მეთვალთვალენო – შეხედეთ: უმდაბლესთს სძინავთ, თვალთა სინათლე მათი დაფარულია გუგებში. გააღვიძეთ ისინი!“

ჩაკეტა რა თავის თავში ყველა ის თვისება, რომლებიც, თითქოს, შეეძლო გაეხსნა, გამოემჟღავნებინა, მაგრამ არ ჰქონდა რაბი ხიას ამის გაკეთების უფლება, ის შემდეგ

მითითებას იღებს: „შენ ახლა შენი თავით და შემდგომ საფეხურზე დადგომით კი არ უნდა იყო დაკავებული, შენ შენს ქვევით მყოფებზე უნდა იზრუნო“.

თუ ჩვენ ვამბობთ, რომ მთელი სამყარო ჩემში იმყოფება, მაშინ ხომ არა აქვს მნიშვნელობა, ვის გამოსწორებას ვახდენ – ჩემი თავის თუ სხვების. ეს ერთი და იგივეა. ეს ახლა, ჩემი ვეებერთელა გამოუსწორებელი ეგოიზმის თვალსაზრისით, მეჩვენება რომ ისინი გარეშენი არიან, არ იმყოფებიან ჩემში, ხოლო როგორც კი დავიწყებ მათთან მუშაობას ისე, როგორც გარეშე პირებთან, მაგრამ შევეცდები მათთან ვიქონიო ისეთი დამოკიდებულება, როგორც საკუთარ თავთან – „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“, – მე თანდათან დავიწყებ იმის შეგრძნებას, რომ ისინი გარეშე პირები როდი არიან, და რომ საერთოდ ეს მე ვარ. ამგვარად გამოვლინდება, გამომჟღავნდება ჩემი ჭეშმარიტი მდგომარეობა.

54. ვინაა თქვენში, ვინც წყვდიადი სინათლით შეცვალა, ვის მიერადაც მწარე ტკბილად იგემებოდა, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მოევლინა აქ, ანუ ჯერ კიდევ მისი იმ ქვეყნად ცხოვრების დროს. ვინაა თქვენში, ვინც ყოველ დღე იმედოვნებს და ელის სინათლეს, რომელიც კიაფობს, როდესაც უფალი გვშორდება, როდესაც იზრდება სიდიადე უფლისა და იწოდება ის სამყაროს ყველა

მეფეთა მეფედ. მაგრამ ის, ვინც, ამ სამყაროში ყოფნისას, ამას ყოველ დღე არ ელოდება, არ არის მისთვის ადგილი იმ სამყაროშიც.

ვინაა თქვენში, ვინც წყვდიადი სინათლით შეცვალა, ანუ თუ არსებობს თქვენში ის, ვინც წყვდიადი, რომელიც მასში იყო, სინათლით შეცვალა?

რას ნიშნავს: „მე წყვდიადს სინათლით ვცვლი“? ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვიწყებ იმავე წყვდიადის შეგრძნებას ისე, თითქოს ეს სინათლეა. რანაირად? ჩვენ ამჟამადაც სინათლის ოკეანეში ვიმყოფებით, მაგრამ ვერ შევიგრძნობთ მას, იმიტომ, რომ გაცემის თვისებას არ ვფლობთ. მხოლოდ ამიტომ ჩვენ წყვდიადს შევიგრძნობთ.

არ არსებობს წყვდიადი. გარშემო ყოველი შემქმნელის სინათლითაა შევსებული. და რამდენადაც ჩვენ გაცემის თვისებას, სიყვარულის თვისებას შევიძენთ, იმდენად ჩვენ სინათლეს შევიგრძნობთ.

ვის მიერადაც მწარე ტკბილად იგემებოდა...

თუ მე სიმწარე სიტკბოდ არ გადავაქციე, მაშინ რატომ აღვიქვამ არსებულ მწარეს ტკბილად? იმიტომ, რომ მე ვიცი, რომ თუ სიმწარეს ვგრძნობ, არა აქვს მნიშვნელობა როგორ გამოვლინებაშია იგი, მე მესმის, რომ ეს ჩემი პირადი ნაკლოვანებანია, და თუ ისინი ახლა ამგვარად ჩემში ვლინდებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ მე მათი გამოსწორება შემიძლია. სულიერი გახსნა შემდეგი პრინციპის

მიხედვით მიმდინარეობს: დასაწყისში საკუთარ თავში ბოროტების შეცნობა, იმ დონემდე, როდესაც უკვე აღარ შეგიძლია მისი ატანა, ხოლო შემდეგ – ძალაუნებურად – მისი გამოსწორება.

ბოროტებას ჩემში მხოლოდ მაშინ შევიგრძნობ, როდესაც მისი გამოსწორება შემიძლია. ჩემში არ იხსნება ის შინაგანი ღრმა ეგოისტური სურვილები, რომელთა მიმართაც არაფრის გაკეთება არ შემიძლია. მე მათ არ ვგრძნობ. ახლა მე მხოლოდ იმ სურვილებს ვგრძნობ, რომლებშიც – თუ მე მათ გამოვასწორებ – შევძლებ უმაღლესი სამყაროს შეცნობის სიტკბოს შეგრძნებას.

რას შევიგრძნობ მე დღეს? ცოტა ცუდს, რაღაც ისე არ არის, კარგი იქნებოდა რაიმე სხვა... და მორჩა, არც განსაკუთრებული ზეწოლა, არც განსაკუთრებული ლტოლვა რაიმეს მიმართ. მხოლოდ ეს პატარა დონე, ასეთი პაწაწინა ნატეხი ყველა სურვილიდან, იმიტომ, რომ მეტის უნარი მე არ შემწევს.

მაძლევენ და მეუბნებიან: „იმუშავე ამაზე. ეცადე განავითაროთ შენში, შენი დღევანდელი მდგომარეობის შეგრძნება, როგორც საშინელი, აუტანელი. მაშინ შეძლებ შენ მისგან ამაღლებას.“ ამაღლება საჭიროა შემქმნელის გახსნის, გაცემის თვისების მიღწევის სურვილით, და არა იმის გამო გავრბივარ „ზემოთ“ რამეთუ ცუდად ვარ ამ ქვეყნად. მიწიერ ტანჯვებს ვერ გაექცევი და ამგვარად

შენს სულიერ განვითარებაში წინ ვერ წაიწევ.

ამიტომ დიდ ტანჯვას, წყვდიადის ძლიერ შეცნობას ჩვენ არ მივიღებთ. და თუ მივიღებთ, ისინი სულიერ განვითარებამდე არ მიგვიყვანენ – ეს იქნება „კეფაში კარგი წარტყმა“ ჩვენი სამყაროს დონეზე.

ვინაა თქვენში, ვინც ყოველ დღე იმედოვნებს და ელის სინათლეს,

სინათლე ეს გაცემის თვისებაა. რომელი ჩვენთაგანი იმედოვნებს, რომ გაცემის თვისება ახლა მივა მასთან, აავსებს მას, დაეუფლება და წარმართავს მას? თვალდახუჭული, ნებისმიერად, ოღონდ ამ თვისებამ დამიპყროს მე, როგორც ამჟამად დაპყრობილი ვარ – უკან მოუხედავად, აბსოლუტურად ყველაფრის ანგარიშის გაწევის გარეშე – ეგოიზმის მიერ.

რომელიც კიაფობს, – როდის? – **როდესაც უფალი გვშორდება**,

როგორც კი ჩვენში ჩნდება თუნდაც რაღაც აღმაფრენა, მისწრაფება გაცემის თვისებისკენ, შემქმნელი მაშინვე გვშორდება. რატომ? რამეთუ ვერ შევიგრძნობთ რა, ვერ ვხედავთ რა შემქმნელს, სულ ერთია გვინდოდეს დავემსგავსოთ მას, ანუ რომ ჩვენი სწრაფვა გაცემის თვისების მიმართ ჭეშმარიტი იყოს.

როდესაც იზრდება სიდიადე უფლისა და იწოდება ის სამყაროს ყველა მეფეთა მეფედ.

როდესაც ყველაფერში, რაც კი ხდება – ცუდშიც და კარგშიც – ჩვენ ვიწყებთ შემქმნელის შეგრძნებას, და არ შეგვიძლია

გაგება, თუ როგორ შეიძლება გამოდიოდეს ასეთი ბოროტება, პრობლემები, ტანჯვა მისგან, თუ ის მართავს ქვეყანას, – აი, მაშინ, ამის მიუხედავად, იზრდება ჩვენში შემქმნელის სიდიადის შეგრძნება.

მაგრამ ის, ვინც, ამ სამყაროში ყოფნისას, ამას ყოველ დღე არ ელოდება, არ არის მისთვის ადგილი იმ სამყაროშიც.

წიგნი „ზოარი“ მოგვითხრობს იმ პირობების შესახებ, რომლებიც ჩვენ უნდა შევასრულოთ. ბუნებრივია, ამ დროს ლაპარაკი სფიროთების, სურვილების შესახებ, რომლებიც ჩვენ უნდა შევიძინოთ, შევუთავსოთ ისინი ერთი მეორეს, როგორი სულები უნდა შევაერთოდ აქ ჩვენ ერთად.

აქ ხომ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ დასაბამიდანვე სული უკვე უნდა იყოს რაბი ხიას დონეზე, შემდეგ რაბი იოსის სულთან შეერთებული. მერე კი იმარხულა რა 40 დღე და ისევ 40 დღე, რაბი ხიამ იხილა შემდგომი დონე და მასზე რაბი შიმონი და რაბი ელაზარი, ანუ შემდგომი ორი სული. პრაქტიკულად ეს რაბი ხიას და რაბი იოსის სულებია, რომლებიც ახლა შემდგომ საფეხურზე იმყოფებიან. და შემდეგ ევლინებათ მათ, თუ რა უნდა გააკეთონ, როგორ უნდა მოემზადნონ, რამეთუ, ერთი მხრივ ავიდნენ შემდეგ საფეხურზე, ხოლო მეორე მხრივ – გაავრცელონ კაბალა.

55. თავის ხილვაში რაბი ხიამ იქ მდგომი ბოძების გარშემო თავისი ბევრი ამხანაგი

დაინახა. და იხილა, რომ აჰყავთ ისინი ცის კამარის შეკრებაზე, ერთნი აჰყავთ, ხოლო სხვები ჩამოჰყავთ. და ყველას ზემოთ იხილა ფრთების მქონე მატატი, რომელიც ახლოვდებოდა.

თავის ხილვაში რაბი ხიამ იქ მდგომი ბოძების გარშემო თავისი ბევრი ამხანაგი დაინახა, ანუ ყველა ის, ვინც რაბი შიმონის მეთაურობით წიგნი „ზოარი“ დაწერა. რაბი ხია ერთერთი მათგანი იყო.

და იხილა, რომ აჰყავთ ისინი ცის კამარის შეკრებაზე, ერთნი აჰყავთ, ხოლო სხვები ჩამოჰყავთ. და ყველას ზემოთ იხილა ფრთების მქონე მატატი, რომელიც ახლოვდებოდა.

და შემდგომ იხილა რაბი ხიამ, რომ ერთნი მისი ამხანაგებიდან ადიან, ხოლო მეორენი ეშვებიან, და, ამგვარად ყველანი ერთად შრომობენ, ეხმარებიან ერთმანეთს, ქმნიან რა საერთო პარცუფს, საერთო სულს. და ყველა მათ ზევით მან იხილა მატატი, რომელსაც ფრთები ჰქონდა (ფრთები – ეს საერთო ეკრანია), რომელიც შეისვამს მათ ახლა თავის ფრთებზე, როგორც არწივი თავის ბარტყებს და შემდგომ საფეხურზე აიყვანს.

მატატი – ეს განსაკუთრებული ანგელოზია, თავისებური ამწე, რომელსაც აჰყავს და ჩამოჰყავს ყველა სული, რომელიც გვაწვდის ჩვენ ამაღლებისთვის საჭირო ძალებს, ცოდნას, შესაძლებლობებს, პირობებს.

ანგელოზი – ეს ძალაა, რომელსაც არა აქვს

საკუთარი სურვილი, თავისი გადაწყვეტილება, ძალა, რომელიც სულიერ სამყაროში გარკვეულ ქმედებებს ასრულებს. ეს ისეთივე ძალაა, როგორც ბუნების ძალები ჩვენს სამყაროში.

ეს სამყარო, რომელსაც ჩვენ ამჟამად შევიგრძნობთ, შემთხვევით არა გვაქვს მოცემული. იგი გამომდინარეობს ბუნებიდან, რომელიც მოიცავს ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ფორმას: შემქმნელსა და ქმნილებას. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვიწყებთ ზესვლას რამეთუ შემქმნელს დავემსგავსოთ და გავაუქმოთ ეს დაცილება შექმნის წერტილსა, „არსებულისა არაფრისგან“, და შემქმნელს შორის, ჩვენ გვეძლევა ეს სამყარო, ანუ მდგომარეობა, რომელსაც შეიგრძნობს ქმნილების წერტილი, წერტილი, რომელიც მოწყვეტილია შემქმნელისგან და მისი საპირისპიროა.

იმისთვის, რომ გადაგვიყვანოს ჩვენ „ეკრანის იქეთა მხარეს“, მოცემული გვაქვს საშუალება – წიგნი „ზოარი“, რომელსაც მივყავართ განცალკევებიდან – გაერთიანებისკენ. მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ ახლა შევიგრძნობთ, და მდგომარეობა, რომელამდეც უნდა მივიდეთ, და ყველა საფეხური, ყველა ეტაპი, რომლებიც ჩვენ უნდა გავიაროთ ამ გზაზე, და საშუალება – წიგნი „ზოარი“, რომელიც მოგვითხრობს ამ ორი სამყაროს კავშირის შესახებ, – ყოველი ეს შემთხვევითი არ არის.

როდესაც ჩვენ „ზოარს“ ვკითხულობთ, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენს წინაშე

წიგნი კი არა, არამედ განსაკუთრებული მოწყობილობაა, რომელიც ხიდს სდებს ჩვენს ორ მდგომარეობას შორის – ამჟამინდელ მდგომარეობას, სადაც ჩვენ გამოცალკევებული ვართ შემქმნელისაგან, და შემდგომ, მაღალ მდგომარეობას შორის, სადაც ჩვენ მასთან (შემქმნელთან) ერთობაში ვიმყოფებით. ხოლო „ზოარი“, თავისი განსაკუთრებული ენის, განსაკუთრებული პროგრამის წყალობით, გვიჩვენებს თუ როგორ შეგვიძლია ჩვენი თავის გარდაქმნა, ისე რომ ჩვენი თვისებანი შემქმნელის თვისებების მსგავსი გახდეს.

გამოაღვიძეთ ისინი!

რაბი ხიას ხილვანი

(პუნქტები 56 – 60, დასასრული)

როგორც უკვე აღნიშნულ იქნა, წიგნი „ზოარი“ – განსაკუთრებული წიგნია. ეს იქედანაც კი ჩანს, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი ჩვენზე.

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ თქვენ ხართ დამწყებები, არაფერი არ იცით, არაფერი არ გესმით კაბალაში – ამას არა აქვს მნიშვნელობა. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ის ამხანაგები, რომლებიც მთელს მსოფლიოში წლების განმავლობაში სწავლობდნენ კაბალის მეცნიერებას, სერიოზულად მუშაობდნენ საკუთარ თავზე, ხვდებოდნენ ერთმანეთს კონგრესებზე, – ისინი წარმოადგენენ იმ მასას, რომელიც გახსნის წიგნ „ზოარს“. ხოლო ყველა დანარჩენები – ისინი, ვინც შემოუერთდებიან მათ, აგრეთვე მალე შეიგრძნობენ საკუთარ თავზე ამ წიგნის გავლენას... ასე რომ არ არის საჭირო წუხილი იმის გამო, რომ თქვენ უფრო ადრე არ იყავით ჩვენთან ერთად.

პრინციპში, ჩვენი თქვენთან ერთად მეცადინეობა – ეს არის დამწყებთა მეცადინეობა. და იმ მეცადინეობებსაც, რომლებიც ტარდება ძირითად ϰგუფში, არავითარ შემთხვევაში არავითარი კავშირი არა აქვს ადამიანის დონესთან – თუ რამდენად იცის, ახსოვს, ესმის შესწავლილი მასალა,

არამედ ეხება მხოლოდ მის სურვილს შეიცნოს საკუთარი თავი, რამეთუ „ზოარის“ ინფორმაცია, შთაბეჭდილება, ზემოქმედება ტალღებით შევიდეს მასში.

მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ როგორც კი დაიწყებთ ამ წიგნის შესწავლას, თქვენ დაიწყებთ თქვენს ცხოვრებაში ყოველგვარი ცვლილებების შეგრძნებას.

წარმოიდგინეთ, რომ ჩვენ ვიმყოფებით შტორმულ ზღვაში მყოფი ხომალდის გემბანზე. სამაგრეები არ არის, გემბანი ფეხქვეშ გვეცლება და ყოველ წუთში ზღვის მორევში გადაყრით გვემუქრება. გემბანზე გადაჭიმულია თავისებური ლატანი (სახელური), მაგრამ როგორც კი ჩავეჭიდებით მას – თითქოს პარაშუტის კავი (სახელური) ამოვქაჩეთო – მაშინვე ბორტს იქით გვისვრის.

შთაბეჭდილება საშინელია! ჩვენ კიდევ შევიცნობთ ამას საკუთარ თავზე.

მაგრამ თუ შენ ამხანაგებთან ხარ ხელჩაკიდებული, როგორც არ უნდა იხრებოდეს გემბანი – მიუხედავად იმისა, რომ შენ სურვილი გაქვს დაუზარლად გადაჭიმულ ლატანს ხელი ჩასჭიდო, შენ აგრძელებ მხოლოდ ამხანაგებთან ხელჩაჭიდებულ ყოფნას – შენ ხომალდზე დარჩები. და მაშინ ტალღაზე მოსრიალენი მივაღწევთ იმ ნაპირს, რომლიდან დაწყებული და შემდგომ უმაღლესი სამყარო არის გადაჭიმული.

მე ვიტყოდი, რომ საერთოდ წიგნი „ზოარი“

ადამიანმა არ უნდა ისწავლოს მარტომ. მისი შესწავლა მხოლოდ ჯგუფში შეიძლება, ისე როგორც ის იყო დაწერილი – კაბალისტების ჯგუფის მიერ.

56. ამ ანგელოზმა მატატმა დასდო ფიცი და დაიფიცა, რომ ესმოდა მას ფარდის იქიდან, როგორ წუხს შემქმნელი და როგორ იხსენებს ის ყოველ დღე მალხუთს, რომელიც ფერფლშია დამხობილი. და იმ დროს, როდესაც იგი იხსენებს მას, იგი ურტყამს 390 ცის კამარას და ყველა ისინი საშინელი შიშით შეძრწუნებულნი ძაგძაგებენ მის წინაშე. ხოლო გამჩენს კი ცრემლები ცვივა შხინის – მალხუთის გამო, რომელიც ფერფლშია დამხობილი. და ეს ცრემლები, დუღდებიან რა, როგორც ცეცხლი, ცვივიან დიდ ზღვაში. და ამ ცრემლების ძალით ცოცხლდება მთელი ზღვის მმართველი სახელად რახავ, და აკურთხებს შემქმნელის წმინდა სახელს, და იღებს ვალდებულებას შთანთქას ყველაფერი, გაჩენის პირველი დღიდან, და შეაგროვოს ყველაფერი ერთად თავის თავში, როდესაც შეგროვდება ყველა ხალხი წმინდა ხალხის წინააღმდეგ, და ამოშრება წყალი, და გაივლის ისრაელი ხმელეთზე.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ რაბი ხია მარხულობდა 40 დღეს და შემდეგ კიდევ 40 დღეს. რატომ? რაბი შიმონი, მისი მასწავლებელი, წავიდა ამ სამყაროდან და ავიდა უმაღლეს სამყაროში ისეთ მაღალ

სულიერ დონეზე, რომ რაბი ხიამ დაკარგა მასთან კონტაქტი. ეს კი მისთვის სიცოცხლის დაკარგვის ტოლფასი იყო. გამოავლინა რა ვეებერთელა ნებისყოფა, რაბი ხიამ უარი განაცხადა თავის იმ ეგოისტურ სურვილებზე, რომლებმაც „მოწყვიტეს“ იგი რაბი შიმონს, და შეძლო იმის ხილვა, თუ რა ხდება იმ დონეზე, რომელზედაც მისი მასწავლებელი იმყოფება.

და, აი, ხედავს ის, რომ **ანგელოზმა მატატმა დასდო ფიცი და დაიფიცა, რომ ესმოდა მას ფარდის იქიდან** (ეკრანის იქიდან), **როგორ წუხს შემქმნელი და როგორ იხსენებს ის ყოველ დღე მალხუთს** – ყველა იმ სულებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ერთ მთლიანს, **რომელიც ფერფლშია დამხობილი** (და ახლა ამ სულებს არ სურთ ერთმანეთთან შეერთება).

და იმ დროს, როდესაც იგი იხსენებს მას – გაერთიანებულ, აღდგენილ მალხუთს, **იგი ურტყამს 390 ცის კამარას...**

კაბალა – ეს არის უმაღლესი სამყაროს ფიზიკა, რომელიც, ისე როგორც ჩვენი სამყაროს ფიზიკა, ყველაფერს ზომავს, ყველაფერს იწერს, დაყავს გარკვეულ ფორმულებამდე. რიცხვები – 613, 248, 390 და ასე შემდეგ – აღნიშნავენ სხვადასხვა სულიერ მდგომარეობებს. ყოველი ამას ჩვენ თქვენთან ერთად შევისწავლით.

ასე რომ გამჩენი იხსენებს მალხუთს, რომელმაც უნდა აღაგზნოს ეს განცალკევებული სულები, რამეთუ ისინი

ხალახლა გაერთიანდნენ მასში. მაგრამ ეს ორმხრივი პროცესია: როგორც ზევიდან აღიგზნებიან სულების, ასევე თვით სულებში უნდა – „გამოიღვიძოს“ გაერთიანების სურვილმა.

ხოლო გამჩენს კი ცრემლები ცვივა შხინის – მალხუთის გამო, რომელიც ფერფლშია დამხობილი. ლაპარაკია იმ სულების შესახებ, რომლებიც თავისი განვითარების ცხოველურ დონეზე იმყოფებიან. მათში „ადამიანის“ დონე უბრალოდ არ არსებობს.

და ეს ცრემლები, რომლებიც ცვივა გამჩენს, **დუღდებიან რა, როგორც ცეცხლი, ცვივიან დიდ ზღვაში** – სინათლე ხოხმაში, სიცოცხლის სინათლეში.

და ამ ცრემლების ძალით ცოცხლდება მთელი ზღვის მმართველი სახელად რახავ,

რახავ (განიერი, ვრცელი), ასე ეწოდება თვით ზღვის თვისებების გამო – რამდენადაც გამჩენს სურს ამ ზღვით, ამ სინათლე ხოხმათი შეავსოს ყველა სულები. ეს სურვილი კი უსასრულოა.

და აკურთხებს შემქმნელის წმინდა სახელს, – ძალას (სიწმინდე – ეს არის გაცემის თვისება), რომელიც გამომდინარეობს შემქმნელისგან, გაცემის თვისებიდან, რომელიც მთელ სამყაროს გარს ახვევია. **და იღებს ვალდებულებას შთანთქას ყველაფერი** (ეს რახავ, ეს ძალა), **გაჩენის პირველი დღიდან**, – ესე იგი შეითავსოს მასში ყველა ეს სულები, გამოასწოროს ისინი და მიიყვანოს

ერთმანეთთან სრულ შეერთებამდე.

და შეაგროვოს ყველაფერი ერთად თავის თავში, როდესაც შეგროვდება ყველა ხალხი წმინდა ხალხის წინააღმდეგ, და ამოშრება წყალი (ზღვა), **და გაივლის ისრაელი** (ის წერტილი ადამიანში, რომელიც პირდაპირ შემქმნელისაკენ მიისწრაფვის) **ხმელეთზე**.

ზღვა უკვე აღარ იქნება მათ წინაშე. პასუხისმგებელი ამაზე რახავია – ზღვის ანგელოზი, ვეებერთელა ბობოქარი ზღვის, რომლის ტალღები, რომლის ძალები ეს სიბრძნის სინათლეა, სიცოცხლის სინათლე, გაგების, ჩაწვდომის სინათლე, უსასრულო სინათლე. იმის შესაბამისად, რამდენადაც ჩვენ გავერთიანდებით ერთი მეორესთან, ეს სინათლე იწყებს ჩვენს შევსებას. პრინციპში სწორად მან უნდა აგვიყვანოს იმ მდგომარეობამდე, როდესაც ჩვენ „ამოვაშრობთ“ ამ ზღვას, ანუ შევითავსებთ ჩვენში მთელ ამ სინათლეს, და გავივლით როგორც ხმელეთზე, გავალთ შემდგომ ნაპირზე, იქ, სადაც იწყება უსასრულობის სამყარო.

57. ყოველი ამას შორის მოესმა ხმა: „გაანთავისუფლეთ ადგილი, გაათავისუფლეთ ადგილი! მაშიახი, მეფე – განმათავისუფლებელი, შემოდის რაბი შიმონის საკრებულოზე“. იმიტომ რომ ყველა იქ მყოფი მართლები ჯგუფებისა და საკრებულოების მეთაურები არიან, ხოლო საკრებულოს ყველა

მონაწილე ამ საკრებულოდან ცის კამარის საკრებულოზე ადის. მაშიახი კი შემოდის ყველა ამ საკრებულოზე და ადასტურებს თორას, რომელიც მართლების ბაგეებიდან მომდინარეობს. და ამ მომენტში შემოდის მაშიახი რაბი შიმონის საკრებულოში, უმაღლესი საკრებულოების ყველა მეთაურით გარშემოხვეული.

რაბი ხიას ხილვა – ეს არ არის „მე მომეჩვენა“ ან „მე მომესმა ხმა“. იგი ჭეშმარიტად ხედავს, იცის, რა ხდება იმ სულიერ დონეზე, რომელზედაც რაბი შიმონი და მისი ამხანაგები, და თვითონ იგი (რაბი ხია) თავის მომავალ მდგომარეობაში იმყოფებიან. მაგრამ აქტიური ქმედება მას ამ საფეხურზე არ შეუძლია. მისი როლი, როგორც ბავშვის როლი ჩვენს სამყაროში, პასიურია: უფროსები მას ემსახურებიან, მხარში უდგანან, და ის არსებობს მათზე დაყრდნობილი.

ყოველი ამას შორის მოესმა ხმა: „გაანთავისუფლეთ ადგილი, გაანთავისუფლეთ ადგილი! ადგილი ეს სურვილია, რომელშიც შენ შეგიძლია მიიღო ინფორმაცია, შეგრძნებები, შეცნობები.

და რას ნიშნავს: „გაანთავისუფლეთ ადგილი“? გადააგდო ის, რაც არსებობს შენში? არა. შენ უნდა გახსნა შენში ახალი სურვილები.

ასე რომ: „გაანთავისუფლეთ ადგილი!“ რატომ? **მაშიახი, მეფე – განმათავისუფლებელი, შემოდის რაბი შიმონის საკრებულოზე**“. ანუ

ის ძალაა, რომელიც აქაჩავს ყველა სულს, აამაღლებს მათ საერთო გამოსწორებისკენ, ეს ძალა უკვე მზადაა, რომ დაიწყოს მოქმედება.

მაშიახი – ეს არის შემქმნელის გამოვლინება, ეს არის უმაღლესი სულიერი ძალა, უმაღლესი სინათლე, რომელიც ქაჩავს ადამიანს ამ სამყაროდან უმაღლეს სამყაროში, განუმარტავს და უჩვენებს იმას, თუ რა ხდება რეალობის იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად ადამიანისაგან დაფარულია. უმაღლესი სინათლის ეს ქმედება ხდება შექმნის ბუნების, მისი ჩანაფიქრის, მისი პროცესისა და მიზნის ცოდნის გახსნასთან ერთად.

იმ უმაღლესი სინათლის ზემოქმედების გამოწვევა, რომელსაც შესწევს ძალა ამოგვქაჩოს ჩვენი ეგოისტური ბუნებიდან, და მოგვცეს სინათლის ბუნება – სიყვარულის და გაცემის ბუნება, შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ და მხოლოდ ჩვენი ჭეშმარიტი სურვილით, რომ ავმაღლდეთ არსებობის სულიერ დონეზე, რასთანაც ჩვენ მიგვიყვანს ან უდიდესი გაჭირვება და ან სინათლის გზა – კაბალის შესწავლა.

როგორც კი იხსნება კავშირი ჩვენს შორის, მყისვე გასაგები გახდება, რომ ჩვენ ყველა ერთი ოჯახი ვართ, და ამ წამიდან ჩვენ უკვე მაშიახის თაობას მივეკუთვნებით.

იმიტომ რომ ყველა იქ მყოფი მართლები ჯგუფებისა და საკრებულოების მეთაურები არიან, ხოლო საკრებულოს ყველა მონაწილე

ამ საკრებულოდან ცის კამარის საკრებულოზე ადის.

რისი თქმა სურს? რომ მაშიახს, სულები, რომლებიც რაბი ხიას დონეზე იმყოფებიან, აჰყავს იმ დონემდე, რომელზედაც, რაბი შიმონი და ყველა დანარჩენი მართლები, მისი მოწაფეები იმყოფებიან (რაბი ხია ჯერ კიდევ იქ არ იმყოფება) და შემდეგ კი, კიდევ უფრო მაღალ დონეზე აჰყავს, რომელსაც ზეცის საკრებულო ეწოდება.

მაშიახი კი შემოდის ყველა ამ საკრებულოზე და ადასტურებს თორას – ადასტურებს გამოსწორების მეთოდიკას, ადასტურებს, რომ სწორად ამგვარად შეიძლებდა სულიერ სამყაროში ამაღლება, **რომელიც მართლების ბაგეებიდან მომდინარეობს. და ამ მომენტში შემოდის მაშიახი რაბი შიმონის საკრებულოში, უმაღლესი საკრებულოების ყველა მეთაურით გარშემოხვეული** – ანუ სულიერი ძალების ყველა წყაროებით შემოსილი.

ადამი – ჩვენი საერთო სული – დაყოფილია კერძო სულების თავისთაგვარ სისტემებად. თითოეული ასეთი სისტემის სათავეში იმყოფება მისი მმართველი ძალა. ამ ძალებს საკრებულოთა მეთაური ეწოდებათ, და იმ ძალით, რომელსაც მაშიახი ეწოდება, ისინი, (და შესაბამისად, სულები, რომლებიც მათ დაქვემდებარებაში მყოფ სისტემას მიეკუთვნებიან) უკვე საერთო საკრებულოში ადიან. აქედან რა დასკვნები უნდა გავაკეთოთ

ჩვენ?

ჩვენ, ჯერ კიდევ ამ სამყაროში ყოფნისას, უნდა გავაერთიანოთ ჩვენი მისწრაფებანი სულიერი სამყაროსკენ. არ იზრუნოთ თქვენი ცხოველური შემადგენელისათვის იმაზე მეტად, რაც აუცილებელია: კვებოთ, ბანოთ, დააძინოთ და ასე შემდეგ. მიატოვეთ ყოველი ზედმეტი, და ამოქაჩეთ თქვენგან უმაღლესისადმი მისწრაფება, აი, ეს წერტილები გულში, დაიწყეთ მათი (ამ წერტილების) ერთმანეთთან დაკავშირება, დაიწყეთ აწევა, დაიწყეთ, როგორც რაბი ხიამ, სწრაფვა იმ დონემდე, როდესაც მათ უკვე მაშიახი აიტაცებს და აქაჩავს მათ ზევით მართლების საკრებულოს დონემდე, შემდეგ კი უმაღლეს საკრებულოთა მეთაურების დონემდე.

ამგვარადაა ყველაფერი მოწყობილი – პრაქტიკულად სულების გაერთიანებაზეა აწყობილი.

ჩვენი სული, ეს არის თითოეული ჩვენ-თაგანის პატარა სურვილი სულიერებისადმი, და გაერთიანდება რა როგორც ყველა დანარჩენ სურვილთან, ასევე იმ სურვილებთან, რომლებიც უკვე უმაღლეს სამყაროში არსებობენ, გამოსწორებულ სურვილებთან, იგი შეურთდება იმ საერთო სურვილს, იმ საერთო სულს, რომელშიც არსებობს შემეცნების, შეგრძნების ეს უმაღლესი ზღვა, უმაღლესი სიცოცხლე, მუდმივი მდგომარეობა.

58. ამ დროს ადგა ყველა მონაწილე. წამოდგა ფეხზე რაბი შიმონი, მისი შუქი კი ცის კამარამდე ადიოდა. უთხრა მას მაშიახმა: „რაბი, ბედნიერი ხარ შენ, რომ თორა შენი ადის სინათლის 370 სხივში, და ყოველი სხივი იყოფა 613 სხივად (თვისებად), რომლებიც ადიან და ყურყუმელაობენ წმინდა აფარსემონის მდინარეებში. შემქმნელი კი ადასტურებს და აწერს ხელს შენი საკრებულოს თორას, ხიზკიას, იეჰუდას მეფის, და იხია აშილონის საკრებულოს თორას“.

ამ დროს ადგა ყველა მონაწილე, ანუ მდგომარეობა კატნუთ-იდან (მცირე მდგომარეობიდან) ისინი ავიდნენ მდგომარეობა გადლუთ-ში (დიდ მდგომარეობაში).

წიგნი „ზოარი“ მოგვითხრობს ჩვენი სულის აგებულების შესახებ. ამ წიგნის ნებისმიერი სიტყვა ლაპარაკობს ან რომელიმე შინაგანი თვისების, სულის მდგომარეობის, ან მის თვისებებს შორის შეფარდების, და ან გარეგან და შინაგან ქმედებათა შესახებ.

მდგომარეობას, რომელშიდაც სული (პარცუფი) მხოლოდ დაცულია ეგოიზმისგან, მაგრამ არა აქვს მას მასთან (ეგოიზმთან) ალტრუისტულად, ანუ გაცემის განზრახვით მუშაობის შესაძლებლობა, კატნუთი ეწოდება.

ეგოიზმის გამოსწორების მიხედვით სულს ეძლევა საშუალება იმუშაოს მასთან ალტრუისტულად, ანუ მიიღოს თავის თავში უმაღლესი სინათლე. ასეთ მდგომარეობას

გადლუთი ეწოდება.

თორის მთლიანი სინათლის სრული მიღება, შემქმნელის მთლიანად შეგრძნება, მასთან შერწყმა შეიძლება, მხოლოდ ეგოიზმის მთლიანად ალტრუიზმის სამსახურში გამოყენების შემთხვევაში.

წამოდგა ფეხზე რაბი შიმონი, მისი შუქი კი ცის კამარამდე ადიოდა.

ეს იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ რაბი შიმონმა შემდგომ სულიერ საფეხურის დონეს მიაღწია.

უთხრა მას მაშიახმა: „რაბი, ბედნიერი ხარ შენ, რომ თორა შენი, შენი გამოსწორება, შენი მეთოდიკა, **ადის სინათლის 370 სხივში, და ყოველი სხივი იყოფა 613 სხივად (თვისებად), რომლებიც ადიან და ყურყუმელაობენ წმინდა აფარსემონის მდინარეებში. შემქმნელი კი ადასტურებს და აწერს ხელს შენი საკრებულოს თორას, ხიზკიას, იეჰუდას მეფის, და იხია აშილონის საკრებულოს თორას**“.

„ზოარი“ აქ ძალიან რთულ სისტემებს ეხება. მაგრამ პრინციპში რაზეა აქ ლაპარაკი?

ლაპარაკია წიგნი „ზოარის“ შესახებ, და იმათ შესახებ, რომლებიც ამ წიგნის დახმარებით ადიან სულიერი სამყაროების საფეხურებზე. მათ მიაღწიეს „რაბი შიმონის საკრებულოს“ საფეხურს, და შემდგომ ადიან სინათლის 370 სხივში, და თითოეული სხივი იყოფა უკვე 613 სხივად. 613 სხივი ეს არის სინათლე, რომელიც ასწორებს თითოეული სულის ყველა 613

სურვილს, და ამგვარად ხდება აბსოლუტური სრული გამოსწორების დონის მიღწევა.

და ყველა ამსვლელი ყურყუმელაობს წმინდა აფარსემონის მდინარეებში. წმინდა აფარსემონი ეს არის გაცემის თვისების (ბინა-ს) უმაღლესი დონე.

როგორც უკვე ვიცით, ყოველ დასახელებას ჩვენს სამყაროში შეესაბამება თავისი ფესვი უმაღლეს სამყაროში. ჩვენ ვსვამთ ყურძნის ღვინოს, ვახდენთ წყალში განბანვას, ჩვენ გვაქვს გარკვეული წესები დაკავშირებული პურის გატეხვასთან, მარილთან და ასე შემდეგ. ყოველი ეს უფრო დაბალი საფეხურებია. აფარსემონი თავისთავად წარმოადგენს ძალიან მაღალ ფესვს. ის იმდენად დაფარულია ჩვენგან, რომ ჩვენს წეს-ჩვეულებებში ეს ნაყოფი საერთოდ არ გამოიყენება, უფრო მეტიც, მათში არ არის მისი რაიმე ხსენებაც კი.

შემქმნელი კი ადასტურებს და აწერს ხელს შენი საკრებულოს თორას – ანუ შემქმნელი თითქოს ხელს აწერს, ამტკიცებს, რომ წიგნი „ზოარის“ მეთოდიკამ ნამდვილად აგვამაღლა ჩვენ მთელ ამ კიბეზე ყველაზე უმაღლეს საფეხურამდე.

59. თქვა მაშიახმა: „მე გამოვცხადდი არა იმისთვის, რომ დავადასტურო თორა შენი საკრებულოსი, არამედ იმისთვის, რომ „ფრთების მქონე გამოცხადდება აქ. რამეთუ ვიცი მე, არ შემოვა ის არავითარ სხვა საკრებულოში, არამედ მარტო შენსაში“. იმავე

დროს მოუთხრო მას რაბი შიმონმა ფიცის შესახებ, რომელიც დადო „ფრთების მქონემ“. მყისვე შეძრწა მაშიახი, აიმაღლა ხმა, შეკრთნენ ცის კამარები, აღშფოთდა დიდებული ზღვა, შეირხა ლევიათანი, მთელი სამყარო გადაბრუნებით იმუქრებოდა.

იმავე დროს იხილა რაბი ხია რაბი შიმონის სამკაულებში. ჰკითხა: „ვინ მისცა აქ ადამიანს იმ ქვეყნის სამკაულები და სამოსელი (იმ ქვეყნის სამოსელი ამ ქვეყნის სხეულზე)?“ უპასუხა რაბი შიმონმა: „ეს ხომ რაბი ხიაა! ის თორის მნათობია“. უთხრა მას: „შეაგროვეთ ის და მისი შვილები (რომ წასულები არიან ამ ქვეყნიდან), და დაე შემოუერთდნენ ისინი შენს საკრებულოს“. თქვა რაბი შიმონმა: „დრო მისცეს მას, მისცეს მას დრო (ჯერ კიდევ არ მოსულა რაბი ხიას დრო)“.

თქვა მაშიახმა: „მე მოვედი არა იმისთვის, რომ დავადასტურო თორა შენი საკრებულოსი, არამედ იმისთვის, რომ „ფრთების მქონე“ მოვა აქ.

არსებობს ვინმე ანგელოზი, რაღაც ძალა, რომელიც თან უნდა ახლდეს – ან დადებითად, ან უარყოფითად – მათ შემდგომ ამაღლებას, ანუ ეგოიზმის გამოსწორებას. ადამიანი ადის მაღლა მხოლოდ თავისი ეგოისტური სურვილის გამოვლინების, თავისი ეგოიზმის გამოსწორების შემთხვევაში. არ შეიძლება იყოს ამაღლების სხვა წყარო.

რამეთუ ვიცი მე, რომ **არ შემოვა ის**, ფრთების

მქონე, **არავითარ სხვა საკრებულოში, არამედ მარტო შენსაში**“.

იმავე დროს მოუთხრო მას რაბი შიმონმა ფიცის შესახებ, რომელიც დადო „ფრთების მქონემ“.

ფიცი – ეს არის იმ ძალის მოსვლის პირობა, რომელსაც „ფრთების მქონე“ ეწოდება. როგორც უკვე აღნიშნულ იქნა, ფრთები ეს ეკრანია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია შემდგომ დონეზე ასვლა.

არსებობს ძალიან ბევრი ყოველგვარი ძალა, რომლებიც თითქოს „თამაშობენ“ ჩვენით და გვამაღლებენ, გვიჩვენებენ რა ჩვენში სულიერი გამოვლინების სხვადასხვა ვარიაციებს, სხვადასხვა მეტამორფოზებს.

მყისვე შეძრწა მაშიახი, აიმაღლა ხმა, შეკრთნენ ცის კამარები, აღშფოთდა დიდებული ზღვა, შეირხა ლევიათანი (ლევიათანი თავისთავად წარმოადგენს მთელ სიბრძნეს, რომელიც გაცემის თვისების შიგნით იმყოფება), **მთელი სამყარო გადაბრუნებით იმუქრებოდა**.

ჩვენი ამაღლება სულიერი სამყაროს საფეხურებით ანალოგიურია ბავშვის დაბადებისა. ისე, როგორც ბავშვი, იმისთვის რომ მოევლინოს სრულიად ახალ სამყაროს, ბრუნდება თავით ქვევით, ანუ მთლიანად ითიშება ყოველი იმისგან, რაც დედის საშვილოსნოში მის გარშემო იყო, – აგრეთვე ჩვენ. საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა,

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოსწორება, რომელიც სულმა უნდა მიიღოს, – ეს თავისებური გადატრიალებაა.

გამოსწორება, რომელიც სულებმა უნდა მიიღონ უმაღლეს საფეხურზე გადასვლის დროს, კარდინალურად განსხვავდება ყველა ადრინდელი გამოსწორებისაგან, – ეს განზოგადებული გამოსწორებაა.

იმავე დროს იხილა რაბი ხია (რაბი ხიამ თავისი თავი) **რაბი შიმონის სამკაულებში. ჰკითხა: „ვინ მისცა აქ ადამიანს იმ ქვეყნის სამკაულები და სამოსელი (იმ ქვეყნის სამოსელი ამ ქვეყნის სხეულზე)?**“ ანუ როგორ შეუძლია ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს განხორციელებული სათანადო გამოსწორებები, მიიღოს თვისებები, რომლებიც ჯერ არ დაუმსახურებია?

უპასუხა რაბი შიმონმა: „ეს ხომ რაბი ხიაა! ის თორის მნათობია“ – ანუ მთელი სამყაროს მნათობი. წარმოგიდგენიათ, ეს რაბი ხიას ესმის „ქვევით“ ის, თუ რას ლაპარაკობენ მის შესახებ „ზევით“.

უთხრა მას: „შეაგროვეთ ის და მისი შვილები – მისი ყველა მოსწავლე, ყველაფერი, რაც მან ამ სამყაროში გააკეთა, **და დაე შემოუერთდნენ ისინი** ჩემს **საკრებულოს**“.

თქვა რაბი შიმონმა: „დრო მისცეს მას, მისცეს მას დრო (ჯერ კიდევ არ მოსულა რაბი ხიას დრო)“. ანუ ჯერჯერობით დაანებეთ მას თავი, რამეთუ ჯერ არ მოსულა დრო რაბი ხიასი, რომ

ავიდეს ამ საფეხურზე. მან მხოლოდ შორიდან იხილა ის.

60. შეძრწა რაბი ხია, როდესაც გავიდა მაშიახი, და თვალები მისი ცრემლებით იყო სავსე. რამეთუ მაშიახმა ქვითინით დატოვა რაბი შიმონის საკრებულო, სრული საბოლოო გამოსწორებისა და გათავისუფლების უდიდესი სურვილის გამო. და რაბი ხიაც აგრეთვე შეძრწუნებული იყო სრული გამოსწორების ვნებითი სურვილის გამო. ატირდა რაბი ხია და თქვა: „ბედნიერია მართლების ხვედრი იმ ქვეყნად, ბედნიერია რაბი შიმონ ბარ იოხაის ხვედრი, რომ გახდა ყოველი ამის ღირსი“.

შეძრწა რაბი ხია, როდესაც გავიდა მაშიახი, და თვალები მისი ცრემლებით იყო სავსე. რამეთუ მაშიახმა ქვითინით დასტოვა რაბი შიმონის საკრებულო, სრული საბოლოო გამოსწორებისა და განთავისუფლების უდიდესი სურვილის გამო.

რაბი ხიას აღმასვლა „ცის კამარის საკრებულოზე“ თავისთავად უკანასკნელ გამოსწორებას განასახიერებს. იგი თან იყოლებს ყველა სულებს, და ჩვენც მათ შორის. რატომ გააჩერა ისინი რაბი შიმონმა (ეს კი დროულად იყო გაკეთებული) – ამის შესახებ ჩვენ მოგვიანებით გვექნება საუბარი.

და რაბი ხიაც აგრეთვე შეძრწუნებული იყო სრული გამოსწორების ვნებითი სურვილის გამო. ატირდა რაბი ხია და თქვა: „ბედნიერია

მართლების ხვედრი იმ ქვეყნად, ბედნიერია რაბი შიმონ ბარ იოხაის ხვედრი, რომ გახდა ყოველი ამის ღირსი“.

ის თვითონ კი ჯერ კიდევ ამ დონის ქვევით რჩება, რამეთუ უნდა ელოდოს, სანამ დანარჩენი ყველა სული, ანუ ჩვენ თქვენთან ერთად, არ ავიწევით მისკენ და ვაიძულებთ მას, რომ ამაღლდეს უკვე ჩვენთან ერთად ამ სრული გამოსწორების საბოლოო, სრულყოფილ საფეხურზე.

თუმცა ყველაფერი ეს ჟღერს ალეგორიულად, და, როგორც გვეჩვენება, არ ტოვებს ჩვენში განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას, სინამდვილეში უბრალოდ არ გვესმის, თუ როგორ მუშაობს წიგნი „ზოარი“. ჩვენ უბრალოდ უნდა ვიკითხოთ, ვეცადოთ, რამდენადაც შეგვიძლია, გავიზიაროთ წაკითხული, არავითარ შემთხვევაში არ მოვახდინოთ ტესტის განივთება და გამიწიერება, არამედ, პირიქით, ვისწრაფოთ მისკენ. ეს ძალები, ეს ქმედებები, რომელიც წარმოდგება ჩვენს წინაშე რაღაც ანგელოზების, საკრებულოების, რაღაც მდინარეების, ზღვების, მთებისა და ასე შემდეგ, სახით, – ყოველი ეს ჩვენ უნდა გადავიტანოთ ჩვენი შინაგანი თვისებების სამყაროში.

ჩვენი მცდელობები შევიცნოთ ჩვენს შინაგან თვისებებში წიგნი „ზოარის“ შინაარსი იწვევენ ჩვენში შინაგან ცვლილებებს, – როგორც ნათქვამია აქ: იხმობენ ჩვენზე 613 სინათლეს

ზევიდან, რომლებიც ჩვენს გამოსწორებას ახდენენ.

დღეს ჩვენ, ადამიანები, სამყაროს ჰარმონიას ვარღვევთ, იმიტომ რომ ჩვენ წარმოვადგენთ იმ ერთადერთ ძალას, იმ ერთადერთ თვისებას, რომელიც შემქმნელის საწინააღმდეგოა. შემქმნელს სურს, რომ თითოეული ჩვენთაგანი მისი ტოლი გახდეს, ჩვენ კი გვეჩვენება, რომ – პირიქით – იგი ყოველმხრივ ხელს უშლის ამას. „ბობოქარი ზღვის ტალღები“ – ეს ის დაბრკოლებებია, რომელთაც შემქმნელი ჩვენ გვიგზავნის. ჩვენ ისინი უნდა შევიყვაროთ, რამეთუ ჩვენი აღმავლა საფეხურიდან საფეხურზე ეს ამ დაბრკოლებათა გადალახვაა. დაბრკოლებები ეს „დახმარებაა შენს წინააღმდეგ“, დახმარებაა ჩემს ბრძოლაში „დღევანდელი მეს“ წინააღმდეგ.

პრობლემა სხვა რამეშია – ჯერ ეს ერთი იმაში, რომ, ჩვენ დაბრკოლებებისადმი ისეთი დამოკიდებულება გვაქვს, როგორც მდგომარეობებისა ან თვისებებისადმი, რომლებიც უნდა „წავშალოთ“ ჩვენში, მეორე – იმაში, რომ თუ გვინდა კიდევაც მათი გამოსწორება, ვფიქრობთ, რომ გვძალუძს დამოუკიდებლად ამის გაკეთება.

და სინამდვილეში, რას წარმოადგენს ჩვენი ამაღლება:

– მე აღმოვაჩენ ჩემში იმას, რაც დაბრკოლებად მეჩვენება;

– მივმართავ შემქმნელს (შემქმნელი – ეს ყოველთვის შემდგომი საფეხურია ჩვენს საფეხურთან შედარებით) თხოვნით, კი არ „წაშალოს“ ჩემში ეს დაბრკოლება, არამედ ამწიოს მასზე;

– იქიდან მოდის ძალა, რომლის დახმარებითაც ავდივარ ამ შემდგომ საფეხურზე.

ამგვარად ყოველ, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში, მე ვაღწევ შემქმნელთან შეერთებას, კავშირს, ვიწყებ იმის გაგებას, თუ რა არის ეს დაბრკოლებები, რისთვის არის, რატომ შექმნა შემქმნელმა ისინი ზუსტად ასეთი სახით, როგორ ახდენს იგი მათ გამოსწორებას. ანუ მე ამ დაბრკოლებებიდან ვიწყებ ჩემი თავის აგებას – ახლის, სულიერის, შემქმნელის ტოლის.

ჩვენ გვსურს ამაღლება აბსოლუტური ჩაწვდომის, შეგრძნების, გაგების დონემდე. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვაუქმებთ ეგოიზმს, არაფერს არ ვაუქმებთ იმისაგან, რაც შეგვიძენია, და კიდევ შეგვიძლია შევიძინოთ, არავითარ შემთხვევაში არ ვაუქმებთ ცოდნას. როდესაც ადამიანი აუქმებს ცოდნას, იგი ცხოველი ხდება.

„რწმენა ცოდნაზე მაღლა“ – არის ასეთი მცნება მეცნიერება კაბალაში – ნიშნავს, რომ როდესაც ჩვენ ავდივართ სულიერი სამყაროების საფეხურებით, ჩვენ ყოველ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში, გაცემის

თვისების დახმარებით, ცოდნის ახალ საფეხურზე ავდივართ. ამგვარად, გაცემის თვისება არის სწორად ის, რასაც რწმენა ეწოდება.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ თქვენთან ერთად, გარდა იმისა, რომ ვიხილავთ შემდგომ ეტაპს, წიგნი „ზოარის“ დახმარებით ავალთ მასზე, შევალთ უმაღლესი სამყაროს შეგრძნებაში, დავიწყებთ მასში წინსვლას. ჩვენ გავიყოლებთ მთელ კაცობრიობას, და მივალთ საფეხურებამდე, რომელთა შესახ წიგნი „ზოარი“ საუბრობს.

ასე რომ ყველაფერი წინაა და ჩვენ ოპტიმიზმით ვართ სავსე, რომ ამ სამუშაოს ბოლომდე მივიყვანთ. ჩვენზე მხოლოდ მისწრაფებაა დამოკიდებული. დანარჩენი კი...

ვისი მეწყვილენი ხართ?

(დასაწყისი, პუნქტები 61 – 66)

ყველაფერი, რის შესახებაც ჩვენ ახლა წიგნში „ზოარი“ ვკითხულობთ, ჩვენგან უახლოეს საფეხურზე იმყოფება. აბსოლუტურად ყველაფერი! ეს რომ უფრო მაღალ საფეხურებზე ყოფილიყო, ვერ შევძლებდით მის წაკითხვას.

ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვსურს, რომ თუნდაც ოდნავ მისტიკოსებად ჩაგვთვალოთ, მაგრამ რომ არ ყოფილიყო ყოველი ეს ჩვენს უახლოეს საფეხურზე, ჩვენ უბრალოდ ვერც კი დავინახავდით ამ სიტყვებს, ეს ცნებები ჩვენთვის სრულიად უცხო იქნებოდა, უბრალოდ ვერ შევძლებდით საუბარს მათ შესახებ, მათ მოსმენასაც ვერ შევძლებდით.

აი, როდესაც ავალთ ამ საფეხურზე, ჩვენ დავინახავთ წიგნში სრულიად სხვა სიტყვებს, დავინახავთ დამატებით ნიშნებს, და სრულიად სხვანაირად აღვიქვამთ ყველაფერს.

ასე რომ ყველაფერი, რაც ნათქვამია, ნათქვამია სწორად ჩვენთვის, ჩვენი დროისთვის.

გავაგრძელოთ წიგნი „ზოარი“-ის გაცნობა და დავიწყოთ ახალი სტატიის შესწავლა, რომელსაც ეწოდება „ვისი მეწყვილენი

ხართ?“

დავიწყოთ ნახაზით.

არსებობს შემქმნელი, რომელმაც გადაწყვიტა ქმნილების შექმნა, იმ მიზნით, რომ ეს ქმნილება იმ მდგომარეობამდე მიიყვანოს, რომელშიც იგი თავად იმყოფება. ეს მუდმივი, სრულყოფილი, ჰარმონიული მდგომარეობაა. ჩვენ საერთოდ არ გვესმის, თუ რა არის ეს, და ამიტომ მოკლებული ვართ თუნდაც რაღაც საწყის სწრაფვას მისკენ.

შემქმნელსა და ქმნილებას შორის არსებობს თავისებური გაცვლის ბუფერი – სამყარო აცილუთი, რომელიც პირობითად ორ ნაწილად შეიძლება იქნას დაყოფილი: ზეირ ანფინი და მალხუთი. ზეინ ანფინი არის შემქმნელის წარმომადგენელი, ხოლო მალხუთი წარმოადგენს ქმნილებას, ანუ წარმოგვადგენს ჩვენ. ქმნილება ეს ჩვენი ცხოველური სხეულები კი არა, არამედ სულებია, რომლებსაც ამაღლებით მალხუთში ჩართვა შეუძლიათ.



სულები ერთვებიან მალხუთში იმდენად, რამდენადაც მათ ერთმანეთთთან შეერთება, ანუ თავიანთი ეგოიზმის ანულირება, სურთ. ამიტომაც მალხუთს სულების საკრებულო ეწოდება. ერთმთნეთთან შეერთების სურვილი გამოწვეულია ჩვენს სამყაროში არსებული ტანჯვა-წვალებით, რაც გვიბიძგებს, რომ ვეძებოთ სიცოცხლის არსი, ტანჯვის არსი, რომ ავმაღლდეთ ყოველგვარ ტანჯვა-წვალებაზე, ვიყოთ მათ ზევით.

რა ხდება შემდეგ.

გაერთიანება სულიერ სამყაროში შეიძლება მხოლოდ თვისებათა მსგავსების საფუძველზე. ზეირ ანფინი გაცემის თვისებაა, მალხუთი კი – მიღების თვისება. მაშასადამე, თუ ჩვენ, სულები (შემქმნელის მიმართ ჩვენ ყველანი, ასე ვთქვათ, მდედრობითი ნაწილი ვართ) ერთმანეთს ვუკავშირდებით ერთ ერთიან სურვილში, შემქმნელისგან მიღების სურვილში – ჩვენ ხომ მიღების გარდა სხვა არავითარი უნარი არ გაგვაჩნია – მაგრამ თუ გვსურს მიღება რამეთუ გამოვიწვიოთ სიამოვნება შემქმნელში, მაშინ ჩვენი მიღება გაცემის ექვივალენტური იქნება. თვით მიღების სურვილი არ იცვლება, ხოლო თუ „რისთვის, რა მიზნით ხდება მისი გამოყენება“ – მოქმედების არსს მის საწინააღმდეგოზე ცვლის.

ზეირ ანფინისა და მალხუთის შეერთებას, შერწყმას ზივუგი ეწოდება და პრინციპში,

ეს ჩვენი სწავლის, ჩვენი მუშაობის, ჩვენი ძალისხმევის, ჩვენი ერთობის, გავრცელებისა და ასე შემდეგ მიზანს წარმოადგენს. ეს პროცესი – ზივუგ – გრძელდება მანამდე, ვიდრე შემქმნელი მთლიანად არ გამოვლინდება ზეირ ანფინში. ზეირ ანფინი (პატარა სახე) ეს სინათლე ხოხმას, სიბრძნის სინათლის, შევსების, სიამოვნების მცირე გამოვლინებაა. ხოლო საბოლოო ჯამში, როდესაც მალხუთი მთლიანად აიყვანს თავისთან ყველა სულს, ამას „ყველა სულების სრული გამოსწორება“ ეწოდება, მაშინ ზეირ ანფინი გარდაიქმნება „არიხ ანფინად“ – „დიდ სახედ“, ანუ წარმოიქმნება შემქმნელისა და ქმნილების ვეებერთელა, მუდმივი, სრულყოფილი, სრული შერწყმა.

დღევანდელ სამყაროს, და, საერთოდ, ჩვენს გარშემო ყოველი არსებულს, ჩვენ ქმნილების შემქნელთან შეერთებიდან გამომდინარე შევიგრძნობთ. ყველა ობიექტის, მოქმედების, ფერის, ბგერის დასახელება – ყოველი, რაც კი ხდება და არსებობს კოსმოსში, სულიერ სამყაროში, ჩვენს სამყაროში, – ყოველი ეს მხოლოდ ამ ორ ობიექტს შორის ერთი მეორესთან კავშირს მიეკუთვნება. სისტემას, რომელშიც ზეირ ანფინისა და მალხუთის შეერთება ხდება, ზონ-ი ეწოდება (მალხუთს აგრეთვე ნუკვა ეწოდება; ზეირ ანფინიც და მალხუთიც ღებულობენ უდიდესი რაოდენობის ყოველგვარ განსაზღვრებებს, დასახელებებს).

ეს შეერთება, რომ არ ყოფილიყო, თუნდაც ყველაზე მინიმალურ დონეზე, საერთოდ არაფერი არ იარსებებდა. მაგრამ რამდენადაც ეს კონტაქტი, კავშირის ეს მიკროსკოპიული არხი არსებობს, ზეირ ანფინიდან მალხუთში გადის სინათლე, რომელსაც „ნერ დაკიკ“ (პატარა სანთელი) ეწოდება. ეს პაწაწინა სანთელი ქმნის ჩვენში, მალხუთში, – მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არა ვართ გაერთიანებულნი, და არ ვისწრაფვით გაერთიანებისკენ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ ვისწრაფვით გაცემისკენ ან მიღებისკენ გაცემის მიზნით, – მაგრამ, სინათლის აი, ეს პატარა ნაწილაკი ჩვენ თითქოს ავანად გვაძლევს, რამეთუ რაღაციდან მაინც დავიწყოთ ჩვენი არსებობა, ჩვენი წინსვლა.

შემქმნელისგან მუდმივი შუქი – გაცემის, შევსების სინათლე, სიყვარულის სინათლე – მომდინარეობს. ჩვენ კი ასეთი სიყვარული არაფრად არ გვესაჭიროება. შემქმნელი ცოტ-ცოტა იხსნება ჩვენს მიმართ, ამით მას ჩვენი მიზიდვა სურს, ჩვენ კი გვეჩვენება, რომ ის ჩვენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ჩვენ ჩვენი ბუნებით მისი საწინააღმდეგონი ვართ, და მისი სინათლე ჩვენთვის წყვდიადს წარმოადგენს.

ამგვარად. ზეინ ანფინის უცვლელი სურვილია მალხუთი პარტნიორის, მეწყვილის სახით მიიზიდოს. და აი, სადღაა აქ პარტნიორობა ამ ორ ობიექტს შორის (ზეირ

ანფინიდან და ზევით შემქმნელის სფეროა, ხოლო ყოველი რაც მის ქვევითაა – ქმნილების სფერო), რომელთა გარდაც ბუნებაში არაფერი არ არსებობს?

ამიტომაც ამ სტატიას „ვისი მეწყვილენი ხართ?“ ეწოდება.

61. ბერეშით. რაბი შიმონმა გახსნა: „ჩადე სიტყვები ჩემი პირში შენისაში“. რამდენი ძალისხმევა უნდა მოახმაროს ადამიანმა თორას დღე და ღამე, რამეთუ ყურადღებითაა შემქმნელი მისი შემსწავლელების მიმართ. და ყოველი სიტყვით, რომელსაც ადამიანი თორაში თავისი ძალისხმევით შეიცნობს, ის ერთ ცის კამარას აგებს“.

ჩადე სიტყვები ჩემი პირში შენისაში (ბაგებსას შენსას).

ბაგეები ეს ის ადგილია, სადაც პარცუფში, სულში, ეკრანი იმყოფება. ეკრანი – როგორც უკვე ვიცით – ეს სისტემაა, რომელიც მაკავშირებს მე შემქმნელთან, ანუ შემდგომ, ჩემს ზევით მყოფ საფეხურთან. ეკრანის დახმარებით მე ამ საფეხურს ვხსნი, ავდივარ მასზე. სწორად ამის გაკეთებას გვთავაზობს რაბი შიმონი.

რამდენი ძალისხმევა უნდა მოახმაროს ადამიანმა თორას (ანუ შემეცნების მეთოდიკას) **დღე და ღამე**,...

დღე და ღამე ეს ადამიანის მდგომარეობებია. თუ, ისწრაფვის რა გაცემისკენ, იგი სძლევს თავის სურვილს ისიამოვნოს – ხედავს

სინათლეს. ხოლო იმდენად, რამდენადაც ეგოიზმი იმარჯვებს მასზე, იგი წყვდიადს შეიგრძნობს.

... რამეთუ ყურადღებითაა შემქმნელი მისი შემსწავლელების მიმართ.

რას ნიშნავს „ყურადღებითაა“? შემქმნელის მხრიდან არ არსებობს ყურადღება ან უყურადღებობა, უგულველყოფა და ან კიდევ რაიმე განსაუთრებული დამოკიდებულება. არა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ადამიანი თავისი ძალისხმევით თავის მიმართ ყურადღებას იწვევს.

და ყოველი სიტყვით, რომელსაც ადამიანი თორაში თავისი ძალისხმევით შეიცნობს, ის ერთ ცის კამარას აგებს“.

ყოველთვის, როდესაც ადამიანი რაღაცას ხსნის – რა თქმა უნდა, თავისი გამოსწორებით, – იგი ამასთან ერთად ცის კამარას ჰქმნის. ცის კამარა ეს ეკრანია, და ამ ეკრანზე ადამიანი ახალ კავშირს, მასსა და შემქმნელს შორის კავშირის ახალ ელფერს, ხსნის, ავლენს.

62. ვსწავლობდით ჩვენ, რომ იმავე დროს, როდესაც თორის განახლება ადამიანის ბაგეებით ხდება, ეს განახლება ადის და წარსდგება შემქმნელის წინაშე. შემქმნელი კი იღებს ამ სიბრძნეს, კოცნის მას და ამკობს 70 სამკაულში. თვით განახლებული სიბრძნე კი ადის და დაბრძანდება მართლის თავზე, რომელიც სამყაროებს აცოცხლებს, შემდეგ კი მიფრინავს, ლივლივებს რა 70 000 სამყაროში,

და ადის ათიკ-ში, სფირა ქეთერში. ყველაფერი კი, რაც ათიკ-შია, ეს ფარული უმაღლესი სიბრძნეა.

ვსწავლობდით ჩვენ, რომ იმავე დროს, როდესაც თორის განახლება ადამიანის ბაგეებით ხდება...

უმაღლესი შუქი (მას აგრეთვე „თორა“ ეწოდება) უცვლელია, ადამიანი კი ცვალებადია თავის ძალისხმევესა და მდგომარეობებში, და ამიტომ ეჩვენება მას, რომ მასზე სხვადასხვა სინათლეები ახდენენ ზემოქმედებას. ამ შეგრძნებას ადამიანის ბაგეებით თორის განახლება ეწოდება. „ბაგეებით“ – ესე იგი მისი ეკრანით, მისი სურვილით, გამოავლინოს შემქმნელი.

მივმართოთ ნახაზს.



პარცუფი, ანუ სული, სამი ნაწილისაგან შედგება: როშ, თოხ, სოფ. როშ-სა და თოხ-ს შორის ეკრანი იმყოფება, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენი სინათლე, იმ სინათლიდან, რომელიც როშში (თავში) იმყოფება, შეიძლება მიღებული იქნას შიგ (თოხ-ში), რამეთუ შემქმნელს ვასიამოვნოთ, და რამდენი კი არ შეიძლება. იმ ადგილს, სადაც ეკრანი მდებარეობს, „ფე“(ბაგეები, ანუ პირი) ეწოდება.

თუ იმ სინათლეს, რომელიც როშ-ში იმყოფება, მივიღებთ 100%-ად, ხოლო იმ ნაწილს, რომელიც, დავუშვათ, თოხ-ში გადის, 20%-ად, მაშინ პარცუფის იმ ნაწილს, რომელიც არ ატარებს დანარჩენ 80% – სოფი ეწოდება. ადგილი, რომელშიც ხდება სინათლის მიღების შეწყვეტა, „ტაბური“ (ჭიპი) ეწოდება.

შემქმნელი კი იღებს ამ სიბრძნეს – იმ სინათლეს, რომელიც სულს შეუძლია აითვისოს თავის თავში, **კოცნის მას და ამკობს 70 სამკაულში.**

ზეირ ანფინსა და მალხუთს შორის შეერთება (ზივუგი) ორ ეტაპად ხდება: ზივუგ დე-ნეშიკიმ (კოცნა) და ზივუგ დე-ესოდოთ.

ზივუგ დე-ნეშიკიმ ხდება როშ პარცუფის დონეზე. როშ ეს პირველი სამი სფირაა – ქეთერ, ხოხმა, ბინა.

ზივუგ დე-ესოდოთ ხდება პარცუფის გუფ-ის (სხეულის) დონეზე. გუფი ეს არის თოხ და სოფ, და, შესაბამისად, შვიდი დანარჩენი

სფირა: ხესედ, გვურა, თიფერეთ, ნეცახ, ჰოდ, ესოდ, მალხუთ. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, ათი სფირისაგან შესდგება, და, ამგვარად, გამოდის 70 ემანაცია, 70 თვისება, რომლებშიც ზეირ ანფინი მალხუთის წინაშე წარსდგება.

შეიძლება ითქვას, რომ „70 სამკაული“ ეს მალხუთზე ზემოქმედების 70 ვარიანტია.

თვით განახლებული სიბრძნე კი ადის და დაბრძანდება მართლის თავზე, რომელიც სამყაროებს აცოცხლებს, შემდეგ კი მიფრინავს, ლივლივებს რა 70 000 სამყაროში, და ადის ათიკ-ში, სფირა ქეთერში.

თითოეული შემდეგი საფეხური წინა საფეხურთან შედარებით 1000 – ჯერ უფრო „მძლავრია“.

იმის შესაბამისად, რამდენადაც ეს სინათლე, ეს „განახლებული სიბრძნე“, სულში შედის, სული ადის შემდეგ საფეხურზე – სადაც ზეირ ანფინის 70 სფირა ათასზე მრავლდება. ანუ იმის მაგიერ, რომ მიიღოს უმაღლესი სინათლე მის 70 ვარიანტში, სული თავის შევსებას 70 000 – ჯერ ადიდებს. ამგვარად, სული ადის იმ დონეზე, რომელსაც არიხ ანფინი ეწოდება, და შემდეგ – უფრო მაღალ დონეზე, რომელსაც ათიკი ეწოდება.

ყველაფერი კი, რაც ათიკ-შია, ეს ფარული უმაღლესი სიბრძნეა.

ათიკის (დაშორებული, განმარტოებული) შეცნობა, როგორც უკვე ნათქვამი იყო, – ჩვენ

„ქვემოდან“ არ გვძალუძს.

63. და ეს ფარული სიბრძნე, რომლის განახლებაც აქ, ამ სამყაროში ხდება, როდესაც ადის ის, უერთდება ათიკს, ადის და ეშვება, შედის 18 სამყაროში, სადაც, არავის თვალს არ უნახავს შემქმნელი, შენს გარდა. გამოდიან იქიდან და მოდიან სრულნი და სრულყოფილნი, წარსდგებიან ათიკის წინაშე. ამ დროს ათიკი ცდის მას, და სასურველია ის მისთვის ყველაზე მეტად. მაშინ იღებს ის მას და ამკობს 370 000 სამკაულში. ის კი, განახლებული თორა, ადის და ეშვება. და იქმნება მისგან ერთი ცის კამარა.

და ეს ფარული სიბრძნე, რომლის განახლებაც აქ, ამ სამყაროში ხდება, როდესაც ადის ის, უერთდება ათიკ-ს, ადის და ეშვება, შედის 18 სამყაროში...

სული ათიკში ასვლისას ორ შუალედურ მდგომარეობას გადის: აბა ვე იმას (მამა და დედა) და არიხ ანფინს.

ათიკში არსებობს 18 სამყარო, ანუ უმაღლესი სინათლის 18 გამოვლინება სულში, **სადაც, არავის თვალს არ უნახავს შემქმნელი, შენს გარდა**.

მხოლოდ ის, ვინც ადის ამ საფეხურზე, ვინც ამ მდგომარეობაში შედის, ის იწყებს იმის გაგებას, თუ რა მოსდის, სად მოხვდა, რამეთუ ის შეგრძნების, გაგების სრულიად ახალ ინსტრუმენტებს ღებულობს.



ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვხვდებით, სადაც აბსოლუტურად ყველაფერი გვეცვლება. იგი არავითარ შემთხვევაში არ არის ადრინდელი მდგომარეობების შედეგი, თუნდაც უფრო განვითარებული, უფრო ფართო, უფრო ღრმა მდგომარეობა, – იგი სრულიად განსხვავებულია მათგან.

ამიტომ ნათქვამია: „ვერავის თვალი ვერ ნახავს ამას, შენს გარდა“, ესე იგი, იმის გარდა, ვინც იქ შედის.

გამოდიან იქიდან და მოდიან იქ მხოლოდ **სრულნი და სრულყოფილნი** ანუ სრულიად გამოსწორებული სულები, **წარსდგებიან ათიკის წინაშე. ამ დროს ათიკი ცდის** ყოველ სულს: **სასურველია** თუ არა **ის მისთვის ყველაზე მეტად**. და იმას, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო სასურველია, **იღებს ის მას და ამკობს 370 000 სამკაულში** (ეს სულის შევსების

დონეა მისი ათიკში ასვლის დროს).

ის კი, ეს **განახლებული** სული, თორაში შემოსილი, **ადის და ეშვება. და იქმნება მისგან ერთი ცის კამარა**.

ადრე არსებული სხვადასხვა „პატარა ეკრანების“, აქა-იქ სხვადასხვა კონტაქტების ნაცვლად, ახლა იქმნება ერთი საერთო ცის კამარა – ერთი საერთო ეკრანი, ანუ შემქმნელსა და ქმნილებას შორის ერთი საერთო, სრული გლობალური კავშირი.

აი, ამგვარად აღწევს ქმნილება შემქმნელთან შერწყმას და მისი პარტნიორი ხდება.

ამ ქვეყნად ჩვენ ჩვენი მშობლების წყალობით მოვედით. მრავალი ჩვენი თვისებები განსაზღვრული და ჩადებული იქნა ჩვენში ჯერ კიდევ ჩვენს დაბადებამდე, ისინი გადმოგვეცა ჩვენი წარსული მდგომარეობებიდან, წრებრუნვებიდან, რომლებიც ჩვენ ამ ქვეყნად გავიარეთ. ადამიანის განვითარება ჩვენს სამყაროში მიმდინარეობს იძულებითი წესით. ჩვენ ჩვენს დაუკითხავად გვავსებენ სხვადასხვა ცოდნით, მოქმედებების მაგალითებითა და განსაზღვრებებით: „თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი“. არავითარ თავისუფალ ნებაზე ჩვენს მხრივ ლაპარაკი არ არის.

ჩვენს სულიერ განვითარებაში კი სამყარო აცილუთის აბა ვე იმა – სულიერი ძალა, რომელიც ახდენს ჩვენს განვითარებას, – ჩვენს დამოუკიდებელ თავისუფალ

გადაწყვეტილებას მოითხოვს: თუ როგორ და რანაირ მომავალ მდგომარეობამდე მისვლა გვსურს. ჩვენ მოგვეთხოვება თავისუფალი ნება, გაგება, შეგნება იმისა თუ რას ვაკეთებთ და საით მივდივართ.

სულიერი მომწიფების ეტაპები ფიზიკური განვითარების მსგავსია, მაგრამ მას ჩვენი სურვილი ამოქმედებს. ამაშია განსხვავება.

დასაწყისში ჩვენ ვღებულობთ უმაღლეს სამყაროში დაბადების სურვილს – „წერტილს გულში“, სულის ჩანასახს. შემდეგ ჩვენ მივყავართ იქ, სადაც ჩვენ შეგვიძლია ამ „წერტილის“ განვითარება – ჯგუფში. ლაპარაკია არა ადამიანებზე, როგორც ასეთებზე, არამედ მათ სწრაფვაზე შემქმნელისკენ. ვახდენ რა მათთან ჩვენი სწორი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მე ჩემი სულიერი ზრდის სათანადო პირობების წარმოქმნას ვუზრუნველყოფ. ჯგუფისაგან მე ვღებულობ ყველაფერს, რაც საჭიროა: ძალებს, გაგებას, მაგალითებს.

უმაღლეს სამყაროში შეღწევა დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, შევძლებ თუ არა იმ ძალის გარედან მიღებას, საკუთარ თავში გამოვლენას, რომელიც ჩემში გაცემის თვისებას შექმნიდა. მხოლოდ გაცემის თვისება უხსნის სინათლე ხოხმას (სიბრძნის სინათლეს) სულში შესასვლეს. და ვერავინ ვერ გაიგებს თუ რა „იმყოფება ჩემში“, ვინაიდან ამისთვის შეგრძნების შესაბამისი ორგანოებია საჭირო.

ამიტომაც ნათქვამია: „რასაც შენ ნახავ, ნახავ მხოლოდ შენ.“

64. და აი, ასე ყოველი ქმედება ჰქმნის ცის კამარებს, რომლებიც წარსდგებიან პარცუფ ათიკის წინაშე, ის კი ახალ ზეცას უწოდებს მათ. უფრო სწორად, განახლებულ ცის კამარებს, რომლებიც ჩაკეტილნი არიან უმაღლეს სიბრძნესთან. ხოლო ყველა სხვა ნაწილი თორისა, განახლდება რა არა უმაღლესი სიბრძნის საშუალებით, წარსდგება გამჩენის წინაშე, ადის და გადაიქცევა სიცოცხლის მიწად (არცოთ ხაიმ), და ეშვება, და ამკობს ერთ მიწას. და განახლდება, და წარმოიქმნება ყოველი იმისაგან, რაც თორაში განახლებულ იქნა, ახალი მიწა.

და აი, ასე ყოველი ქმედება – ყოველი ქმედება იმ სულისა, რომელსაც სურს ავიდეს და ზეირ ანფინს შეურთდეს, – **ჰქმნის ცის კამარებს, რომლებიც წარსდგებიან პარცუფ ათიკის წინაშე, ის კი ახალ ზეცას უწოდებს მათ. უფრო სწორად, განახლებულ ცის კამარებს, რომლებიც ჩაკეტილნი არიან უმაღლეს სიბრძნესთან**.

უმაღლესი სინათლე, უსასრულობის სინათლე, ყოველგვარი შესაძლო ეკრანების საშუალებით იმ დონემდე ასუსტებს თავის თავს, რომ ჩვენს წინაშე გამოვლინების საშუალება ჰქონდეს, რამეთუ რამენაირად ჩვენში მასთან „ასვლის“ სურვილი გამოაღვიძოს.



ხოლო ყველა სხვა ნაწილი თორისა, განახლდება რა არა უმაღლესი სიბრძნის საშუალებით, წარსდგება გამჩენის წინაშე, ადის და გადაიქცევა სიცოცხლის მიწად (არცოთ ხაიმ), და ეშვება, და ამკობს ერთ მიწას. და განახლდება, და წარმოიქმნება ყოველი იმისაგან, რაც თორაში განახლებულ იქნა, ახალი მიწა.

თორა, ერთი მხრივ, ეს უმაღლესი სინათლეა, მეორე მხრივ კი – წიგნი, სულიერი ამაღლების მეთოდიკა. როგორ ხდება ამ მეთოდიკის გამოვლინება ჩვენს მიმართ? იგი ვლინდება უმაღლესი სინათლის ჩვენზე ზემოქმედების სახით. ვკითხულობთ რა წიგნს, ჩვენ ჩვენზე ამ ზემოქმედებას ვიწვევთ. რაში მდგომარეობს უმაღლესი სინათლის ეს ზემოქმედება? უმაღლესი სინათლე ჩამოდის ჩვენთან და იწვევს ჩვენში ეგოიზმს, ისვე ახდენს მის

გამოსწორებას, შემდეგ მის შევსებას, ანუ გვაძლევს ჩვენ სრულყოფილი უმაღლესი არსებობის შეგრძნებას.

მაგრამ ყოველი ეს ხდება იმდენად, რამდენადაც ეს პატარა ადამიანი – ჩვენი სამყაროს შიგნიდან, ამ ჩვენი არარაობა მდგომარეობიდან – როგორღაც ფოფხავს, ცდილობს რა როგორმე მიიქციოს ყურადღება. არა აქვს მნიშვნელობა, რომ მისი მოქმედება მოკლებულია რაიმე აზრს, მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას, არა აქვს მნიშვნელობა იმასაც, რომ მის პატარა სურვილებში არავითარი ძალა არ არსებობს, – მაგრამ ასვლისას, ისინი გადიან რა აბა ვე იმას (ავი-ს) სისტემას, და აღწევენ რა ათიკს, ისინი გონიერნი, ძლიერნი, მიზანმიმართულნი ხდებიან.

ისევე, როგორც ჩვენს სამყაროში დედასა და მამას მშვენივრად ესმით ბავშვის სურვილები, და უზრუნველყოფენ ყოველივეს, რაც კი საჭიროა მისი განვითარებისთვის, აი, ასეთივე როლს ასრულებს სისტემა აბა ვე იმა სულიერ სამყაროში.

მთავარია გავიგოთ, რომ სულიერ სამყაროში ჩვენ იმავე მდგომარეობაში ვიმყოფებით, როგორც ბავშვი ჩვენ სამყაროში, და ამიტომ იგივე უნდა ვაკეთოთ, რასაც ბავშვი აკეთებს: ვაქნიოთ ხელები, ვაბაკუნოთ ფეხები, ვიტიროთ, ვიყვიროთ, მოვითხოვოთ – ნებისმიერი გზით ვისწრაფოთ გავხდეთ

მოზრდილები. ჩვენს სამყაროში ჩვენ ავტომატურად ვისწრაფვით ზრდისკენ, ინსტიქტების, გენების ზემოქმედების საშუალებით. სულიერ სამყაროში ზრდა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გარემომცველი სამყაროს ზემოქმედების საშუალებით, ამიტომ მის არჩევაში მდგომარეობს მთელი ჩვენი თავისუფალი ნება.

65. ნათქვამია: „როდესაც ახალი მიწა და ახალი ზეცა, რომელთაც მე ვქმნი.“ არ არის ნათქვამი „ვქმნიდი“, წარსულში, არამედ „ვქმნი“ – აწმყოში, რამეთუ იქმნებიან ისინი მუდმივად თორის განახლებისა და საიდუმლოებებისაგან. და ამის შესახებაა ნათქვამი: „და მოვათავსებ ამას პირში შენსაში, და ჩრდილში შენი ხელების სამოსელისა, აღება ცისა და დაფუძნება დედამიწისა“. ნათქვამია უბრალოდ „ცა“, იმიტომ, რომ მხედველობაშია თორით განახლებული ცა.

ნათქვამია: „როდესაც ახალი მიწა და ახალი ზეცა, რომელთაც მე ვქმნი“. არ არის ნათქვამი „ვქმნიდი“, წარსულში, არამედ ნათქვამია „ვქმნი“ – **აწმყოში**. რატომ? **რამეთუ იქმნებიან ისინი მუდმივად** და მათი განახლება ხდება ადამიანის მოქმედებებით თორაში. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა – თუ რა განახლდება და როგორ, მთავარია ჩვენი განზრახვა: გვსურს თუ არა ჩვენ, თუნდაც ოდნავ მაინც, წინსვლა. აი, ეს სურვილი ადის მაღლა და იწვევს სინათლის განახლებას ზევიდან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის გამო, რომ ადამიანი მუდმივად ახდენს თავის თავში სულ უფრო და უფრო მეტი გაცემის თვისების გენერირებას, მუდმივად მზარდი ეგოიზმის მიუხედავად (ეს ზრდა სპეციალურად ხდება ზევიდან), იქმნება მასში – ადამიანში – მუდმივად მზარდი და მუდმივად განახლებადი ზეცა.

და ამის შესახებაა ნათქვამი: „და მოვათავსებ ამას პირში შენსაში (ეკრანში, როდესაც ადამიანს შეუძლია გამოთვალოს მიღება გაცემის განზრახვით), **და ჩრდილში შენი ხელების სამოსელისა** (მიღების სურვილში, რომელიც ადამიანს შეუძლია გამოიყენოს გაცემის მიზნით), **აღება ცისა და დაფუძნება დედამიწისა**“ (ცა – გაცემის თვისება, ზეირ ანფინი; დედამიწა – მიღების თვისება, მალხუთი; მათ შორის მყარდება კონტაქტი და ადამიანი არსებობს ამ კონტაქტის „ატმოსფეროში“). **ნათქვამია უბრალოდ „ცა“, იმიტომ, რომ მხედველობაშია თორით განახლებული ცა**.

სინათლე ზევიდან, რომელიც მოდის ჩვენი პატარა, ისეთი ბავშვური, ზოგჯერ ჩვენს მიერ არც თუ მთლად შეგნებული თხოვნის საპასუხოდ, ქმნის ჩვენში ეკრანს, და ჩვენ – თანდათან, ცოტ-ცოტა – გვეხსნება სულიერი სამყაროს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ამგვარად ვიზრდებით ჩვენ, აბსოლუტურად არ გვესმის რა თავიდან, თუ რას ვაკეთებთ,

მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სწორად ამაში მდგომარეობს ზრდის პროცესი.

ყოველი რაც თორაშია დაწერილი, დაწერილია იმ ადამიანის მიმართ, რომელიც მოცემულ მომენტში თორას შეიცნობს. სულიერ სამყაროში არ არსებობს დრო. სწორად ამის ხაზგასმა სურს „ზოარ“-ს: საუბარია ადამიანის მიერ საკუთარ თავზე, საკუთარ ბუნებაზე მუდმივი მუშაობის შესახებ.

რაში მდგომარეობს ეს სამუშაო?

ადამიანს არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს თავის თავში რაიმე ცვლილების მოხდენა, და აი, ამიტომ, მთელი კაბალისტური მეთოდიკა ეს არის მეთოდიკა იმის შესახებ თუ როგორ გამოვიწვიო უმაღლესი სინათლე, რომელიც მე შემცვლის.

ჩვენი მიწიერი ისტორიაც კი გვიჩვენებს, რომ რამდენიც არ უნდა ვეცადოთ შევცვალოთ ჩვენი სიცოცხლე უკეთესობისაკენ, არაფერი კარგი არ გამოგვდის. ჩვენ გვეჩვენება, რომ აი, ახლა, აი, კიდევ ცოტა და... მაგრამ ხდება რაღაც ისეთი, რომ მთელი ჩვენი პროგრესი კრახს განიცდის. ეს იმიტომ ხდება, რომ არსებითად მთელი ჩვენი სამყარო მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ უმაღლესი სინათლე ჩვენსკენ მოვიზიდოთ. სანამ ჩვენ ამას არ ვაკეთებთ, ჩვენს სამყაროს სულ უფრო და უფრო მეტი წყვდიადი მოიცავს.

66. თქვა რაბი ელაზარმა: „და რას ნიშნავს: „ჩრდილში შენი ხელების სამოსელისა“?

უპასუხა მას: „როდესაც გადაეცემოდა მოშეს თორა, გამოცხადდა ათასობით უმაღლესი ანგელოზი, რამეთუ დაეწვათ იგი თავიანთი ბაგეების ცეცხლით, მაგრამ დაიცვა იგი შემქმნელმა. ამიტომ ახლა, როდესაც განახლება თორაში ადის და წარსდგება შემქმნელის წინაშე, იგი იცავს მას და იფარავს იმ ადამიანს, რომელმაც მოახდინა ეს განახლება, რამეთუ არ გაიგონ ამის შესახებ ანგელოზებმა და არ შეშურდეთ მისი – სანამ არ შეიქმნება თორის ამ განახლებიდან ახალი ცა და დედამიწა. ამიტომაც ნათქვამია: „ჩრდილში შენი ხელების სამოსელისა, აღება ცისა და დაფუძნება დედამიწისა“. აქედან დასკვნა, რომ ყოველი თვალთაგან დაფარული, უმაღლეს შედეგს აღწევს. ამიტომაა ნათქვამი: „ჩრდილში შენი ხელების სამოსელისა“. და რატომ თვალთაგან დაფარული? – სწორად უმაღლესი შედეგისათვის. ამიტომ მაშინვეა ნათქვამი: „აღება ცისა და დაფუძნება დედამიწისა“. როგორც ვისწავლეთ – რამეთუ მოევლინოს ამ დაფარვიდან ახალი ცა და დედამიწა.

თქვა რაბი ელაზარმა: „და რას ნიშნავს: „ჩრდილში შენი ხელების სამოსელისა“? უპასუხა მას რაბი შიმონმა: **„როდესაც გადაეცემოდა მოშეს თორა, გამოცხადდა ათასობით უმაღლესი ანგელოზი, რამეთუ დაეწვათ იგი თავიანთი ბაგეების ცეცხლით,..**

მოშეს, თორის მოთხრობის მიხედვით, სახელი მისცა ფარაონის ქალიშვილმა,

რომელმაც ამოიყვანა იგი ნილოსის წყლებიდან.

ადამიანის მიმართ კი, მოშე (სიტყვიდან „მოშეხ“ – ამოქაჩვა) ეს ჩვენი შემქმნელისაკენ სწრაფვაა, ეს ის თვისებაა, რომელიც ამოგვქაჩავს ჩვენ ჩვენი სამყაროდან.

და აი, ეს თვისება, რომელსაც სურს სულიერ სამყაროში გასვლა, აწყდება ძალიან დიდ წინააღმდეგობებს, ათასი პრობლემა წარმოიშობა მის გზაზე.

ეს სპეციალურადაა მოწყობილი, და სულაც არა იმისთვის, რომ ჩვენ უკანვე შეგვაგდოს, დაგვაბრუნოს ჩვენს არარაობა მიწიერ არსებობაში. სულიერ სამყაროში შესასვლელი ეს ძნელად მისადგომი სიმაღლის იერიშია, და ამისთვის მთელი ჩვენი ძალებია საჭირო.

ამიტომ ახლა, როდესაც განახლება თორაში ადის და წარსდგება შემქმნელის წინაშე, იგი (შემქმნელი) **იცავს მას** (მოშეს)...

დავუბრუნდეთ თორის თხრობას. „წავიდეთ ერთად ფარაონთან, – თავაზობს შემქმნელი მოშეს – მე შენთან ვიქნები, შენთან ხელჩაკიდებული, ნუ ღელავ“.

აქაც იგივე ხდება. ამ წინააღმდეგობებთან, ამ „ავ ანგელოზებთან“, ერთდროულად, ადამიანს უჩნდება შესაძლებლობა ჩასჭიდოს ხელი შემქმნელს, ანუ დაიწყოს კონტაქტირება უმაღლეს ძალასთან. იგი გრძნობს, რომ ეს ძალა მისთვის აუცილებელია. მანამდე იგი ვერ გრძნობდა ამგვარ მოთხოვნილებას, და

ამიტომ ვერ ამჩნევდა მას, იგი დაფარული იყო მისგან. ახლა კი – პირიქით – იგი ესაჭიროება მას და ამის შესაბამისად აღმოაჩენს მას. შემქმნელი სპეციალურად აგზავნის ათასობით ამ ანგელოზს, რამეთუ იძულებული გახადოს ადამიანი მონახოს მასთან კონტაქტი.

რამეთუ არ გაიგონ ამის შესახებ ანგელოსებმა და არ შეშურდეთ ადამიანისა.

ადამიანის წინაშე თამაშდება მთელი სპექტაკლი. პერსონაჟების ვეებერთელა რაოდენობა. ადამიანები, ცხოველები და ასე შემდეგ. და ყველაფერი ეს ჩვენი გარემო სამყაროს საუცხოო დეკორაციებში. სინამდვილეში არაფერი ეს არ არის – სინამდვილეში ჩვენს წინაშე ჩვენივე შინაგანი თვისებების პროექცია წარმოიქმნება.

და ამ არაცოცხალი, მცენარეული, ცხოველური და ადამიანური ბუნების და შემქმნელის, როგორც ყოველი ამის დამაგვირგვინებელის, საერთო შეგრძნებიდან – **შეიქმნება ახალი ცა და დედამიწა**.

ამიტომაც ნათქვამია: „ჩრდილში შენი ხელების სამოსელისა, აღება ცისა და დაფუძნება დედამიწისა“. აქედან დასკვნა, რომ ყოველი თვალთაგან დაფარული, უმაღლეს შედეგს აღწევს. ამიტომაა ნათქვამი: „ჩრდილში შენი ხელების სამოსელისა“. და რატომ თვალთაგან დაფარული? – სწორად უმაღლესი შედეგისათვის. ამიტომ მაშინვეა ნათქვამი: „აღება ცისა და დაფუძნება დედამიწისა“,

რამეთუ გამოვლინდეს აქედან დაფარული და გამომჟღავნებული, ახალი ცა და დედამიწა.

ესე იგი, მას შემდეგ ცისა და დედამიწის კიდევ შემდგომი მდგომარეობა, და კიდევ შემდგომი, და შემდგომი... და ასე ბოლომდე, სრულ გამოსწორებამდე.

რისგან ვიწყებთ ჩვენ მეცნიერება კაბალის შესწავლას?

არსებობს უმაღლესი ძალა, რომელმაც განიზრახა ქმნილების შექმნა, იმ მიზნით რომ ასიამოვნოს მას, ანუ ის თავისი ტოლი გახადოს. ამიტომ მან იგი თავისი საწინააღმდეგო თვისებებიდან შექმნა. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მხოლოდ რაშია პრობლემა? – როგორ შევიგრძნობ მე მას, რა ზომით.

ჩვენ, ჩვენ სამყაროში, მოკლებული ვართ უმაღლესი სამყაროს შეგრძნებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ არსებობს. „შემქმნელი იმყოფება ჩემში, ჩემს გარეთ.“ – ეს ყველაფერი ძალიან პირობითია. როდესაც ჩვენ უმაღლესი სამყაროს შეგრძნება გაგვიჩნდება, ჩვენ შევძლებთ მის შესახებ მოთხრობას, ჩვენი შეგრძნებიდან, ჩვენი შეცნობიდან გამომდინარე. ჩვენ ვერ შევიცნობთ შემქმნელს – ჩვენ შევიცნობთ მხოლოდ მის გამომჟავნებას ჩვენ მიმართ. შემქმნელი თანდათანობით ჩვენთან კონტაქტამდე ჩამოდის, და ამიტომ მანამდე, სანამ მე მთლიანად მისი ტოლი არ გავხდები, მე შეცნობის ყველანაირ ეტაპებს

გავდივარ.

და როდესაც მე მისი ტოლი ვხდები, ამასთან ჩემი გაჩენის წერტილზე მაღლა ავდივარ – იქ, საიდანაც ჩამოვედი, და შემდეგ, შევიცანი რა შემქმნელი, ისევ ავედი, – და ახლა ჩვენ ორივე ერთად სადღაც ვმაღლდებით.

ამ მდგომარეობის შესახებ მეცნიერება კაბალაში არაფერი არ წერია, იმიტომ რომ ეს ჩვენი გამოსწორების საზღვრების მიღმა იმყოფება. იქ სრულიად განსხვავებული მდგომარეობები, სხვა ძალები არსებობენ. ეს მართლაც უბრალოდ საიდუმლო არ არის. ცნება „საიდუმლო“ საერთოდ არ არსებობს. ეს არის ის, რომლის არც შეცნობა, და არც მის შესახებ მოთხრობა დღეს ჩვენ არავითარი სახით არ შეგვიძლია.

ამიტომ ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ იმის შესახებ, რასაც ჩვენი შეგრძნების ორგანოები აღიქვამენ: ან ჩვეულებრივი ადამიანების შესახებ ჩვენს ცხოველურ სამყაროში, ან კაბალისტების შესახებ – იმდენად, რამდენადაც ისინი შეიცნობენ შემქმნელს მათი ქვევიდან ზევით ასვლისას. ჯერჯერობით ეს ჩვენთვის საკმარისია.

იმისათვის რომ ზიანი არ მოგვაყენონ კაბალისტები ძალიან ფრთხილად გვიხსნიან ჩვენი გამოსწორების თანამიმდევრობის შესახებ. ისევე, როგორც ჩვენ პატარა ბავშვებს ვექცევით. ნებისმიერი ასაკის ბავშვისთვის არსებობს წიგნები, თამაშები, და

არასასურველია ბავშვისთვის იმის მიცემა, რაც არ შეესაბამება მის განვითარებას, აღემატება მისი აღქმის შესაძლებლობას.

ასე რომ, ჯერჯერობით ვიყოთ ჩვენი „საწოვარებით და სახვევებით“, – მაგრამ სწორად ვიაროთ წინ.

ვისი მეწყვილენი ხართ?

(პუნქტები 67 – 73, დასასრული)

რატომ მოხდა, რომ ათმა კაბალისტმა, რომლებიც შეიკრიბნენ ორი ათასი წლის წინ გამოქვაბულში მირონის მთაზე, დაარქვეს მათ მიერ შექმნილ წიგნს – „ზოარი“? თითოეულმა მათგანმა შესძლო თავისი პირადი ეგოიზმისაგან სრული განთავისუფლება, და ამის შედეგად მიაღწიეს ერთმანეთთან ერთობის ისეთ დონეს, რომ მასში, ამ ერთობაში, გამოამჟღავნეს, გახსნეს უმაღლესი სინათლე, „უმაღლესი ბრწყინვალება“ – „ზოარ“–ი.

„ზოარი“, პრაქტიკულად, ეს მათი სულიერი გზაა: ერთმანეთთან თანდათანობითი გაერთიანება და ამ გაერთიანებაში უმაღლესი სინათლის თანდათანობითი გამომჟავნება, გამოვლენა.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენც იგივეს შევძლებთ. ამისთვის ჩვენ არ დაგვჭირდება ასეთი მაღალი დონის გაერთიანების მიღწევა. მაგრამ თუ ოდნავ მაინც მივაღწევთ წარმატებას ამ მხრივ, მაშინ ჩვენს გაერთიანებაშიც შევძლებთ უმაღლესი სინათლის გამოვლინებას. ამიტომ, როდესაც ჩვენ თქვენთან ერთად ვკითხულობთ ამ სტრიქონებს, ვარკვევთ ყველაფერს, რაც კი მათ გზასთან, მათ წინსვლასთან არის დაკავშირებული. ჩვენ უნდა მოვიძიოთ ჩვენში

ეს თვისებები, ეს ძალები, ეს შესაძლებლობები.

რითი არის საინტერესო, რაში მდგომარეობს სულიერი სამყაროს შეცნობის თავისებურება?

სულიერი სამყაროს შეცნობა ეს გრძნობადი შეცნობაა. არა აქვს მნიშვნელობა თუ როგორ გვესმის ეს ტექსტი. ამას არა აქვს მნიშვნელობა იმიტომ, რომ „ზოარი“ მოგვითხრობს არა იმის შესახებ, რასაც მის სიტყვებში ვგულისხმობთ. ჩვენ აუცილებლად უნდა შევიგრძნოთ, აღვიქვათ, თუ რა ხდება ჩვენს გარშემო, და თვით ამ შეგრძნებიდან მოვა საჭირო სიტყვები, შესაბამისი დასახელებანი.

ახლა თქვენს წინაშე უმაღლესი სამყარო რომ გახსნილიყო, თქვენ დაიწყებდით მის შესახებ მოყოლას ივრითულად – მოულოდნელად, ვერც კი გაიგებდით რატომ.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ჩემს ხელში აღმოჩნდა ისეთ „მაღალ“ ივრითზე დაწერილი გასაოცარი ლექსები, რომ პრაქტიკულად ვერაფერი ვერ გავიგე მათში. კითხვისას მხვდებოდა ისეთი სიტყვები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში არ გამოიყენება. ეს ლექსები დაწერილი იყო ადამიანის მიერ, რომელიც ციმბირში პატიმრობაში იმყოფებოდა, და იქიდან, შემოვლითი გზებით შესძლო მათი ისრაელში გამოგზავნა.

ეს ლექსები ვაჩვენე ჩემს დიდ მასწავლებელს, რაბი ბარუხ აშლაგს, და ვუთხარი თუ ვინ იყო მათი ავტორი. „ეს ლექსები, – თქვა რაბიმ, –

დაწერა ადამიანმა, რომელიც სულიერ სამყაროს სრულიად აშკარად შეიგრძნობს, და მას აბსოლუტურად მკვეთრად, კონკრეტულად აღწერს.“

და მე შემშურდა ამ ადამიანის. წარმოიდგინეთ ბანაკში, პატიმრობის პირობებში, მარტო, გვერდით მასწავლებლის გარეშე, სად იყო იქ იუდაიზმი, ივრითი, – და ხსნის უმაღლესი სამყაროს ისეთ ფენებს, რომლებსაც მე ჯერ კიდევ ვერ ვხსნი, და წერს ამის შესახებ ისეთი სიტყვებით, რომლებიც მე არც კი მესმის.

მე აბსოლუტურად ჭეშმარიტი ფაქტი მოგიყვანეთ. ნეტავ ჩვენც შევიგრძნოთ ასეთი რამ.

მოდი ვეცადოთ, წინ წავიდეთ. ჩვენ ვკითხულობთ ქართულ ენაზე – ამას მნიშვნელობა არა აქვს. შევეცადოთ გავიკაფოთ გზა შეგრძნებებისკენ. სწორად ამგვარად იყო დაწერილი წიგნი „ზოარი“ – თანდათანობითი შეღწევით უმაღლეს სამყაროში, მისი შეგრძნებით, ბგერების, დასახელებების მიღებით, აზრის გაგებით.

მოდი გავყვეთ წიგნის შემქმნელებს. მაგრამ უნდა განვეწყოთ იმისთვის, რომ მხოლოდ ერთად, მხოლოდ ერთმანეთთან გაერთიანებაში ვხსნით ჩვენ უმაღლეს სამყაროს.

67. უთხრა ამ ჭიშკრებსა და სიტყვებს, რომლებიც ერთი მეორეზე იყვნენ

განახლებულ თორაში: „ვისთან ხართ თქვენ? თქვენ ჩემი მეწყვილენი ხართ: როგორც ვქმნი მე ცასა და დედამიწას ჩემი მეტყველებით, როგორც ნათქვამია, გამჩენის სიტყვითაა შექმნილი ზეცა, ასევე ქმნით თქვენ ახალ ცასა და დედამიწას თქვენი შრომით თორაში“.



უთხრა ამ ჭიშკრებსა და სიტყვებს, რომლებიც ერთი მეორეზე იყვნენ განახლებულ თორაში...

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, იმის შესახებ, რომ არსებობს უმაღლესი თვისება – შემქმნელი, და უმდაბლესი – ქმნილება. და შემქმელი მოგვმართავს ჩვენ.

ვისთან ხართ თქვენ? თქვენ ჩემი მეწყვილენი ხართ: როგორც ვქმნი მე ცასა და დედამიწას ჩემი მეტყველებით,

„მეტყველებით“ ანუ გამომჟღავნებით, გახსნით. სიტყვა ეს გახსნაა, გამოვლინებაა.

ასოები ეს ინსტრუმენტებია (ივრითზე "ქელიმ") – სწორად ფორმირებული სურვილები, რომლებიც დამწკრივდებიან რა ერთი მეორეს შემდეგ, წარმოქმნიან მოქმედებათა თანამიმდევრობას. აი, ეს თანამიმდევრობა იზიდავს უმაღლეს სინათლეს თავისკენ, და ამგვარად ადგილი აქვს ქმედებას.

როგორც ნათქვამია, გამჩენის სიტყვითაა შექმნილი ზეცა, – ანუ უმაღლესი სამყაროს გახსნითაა შექმნილი ზეცა (ცა ეს არის ბინა, გაცემის თვისება, ის რაც უკვე გვეხება ჩვენ).

ასევე ქმნით თქვენ ახალ ცასა და დედამიწას თქვენი შრომით თორაში – როდესაც თქვენ ცდილობთ დაემსგავსოთ უმაღლეს თვისებას.

68. მაგრამ თუ ვამტკიცებთ, რომ თორის განახლება იმ ადამიანის მიერ, რომელმაც არც კი იცის თუ რას ამბობს, ქმნის ზეცას, მაშინ შეხედე იმას, ვისაც თორის საიდუმლეობებთან არა აქვს საქმე: ვინაიდან ანახლებს ის თორას, არა აქვს რა ამისათვის საკმაო ცოდნა, განახლებული მის მიერ ადის და გამოდის მასზე უკუღმართი ადამიანი (უწმინდური ძალის მამრობითი ნაწილი) და ცრუ ენა (უწმინდური ძალის ნუკვიდან, რომელსაც თეჰომ რაბა – დიდი უფსკრული ეწოდება), ხოლო უკუღმართი ადამიანი ახტება 500 ფარსაოთებს (მანძილის საზომებს), რამეთუ მიიღოს თორის ეს განახლება, და იღებს მას, და აკეთებს მასთან ცრუ ზეცას, რომელსაც თოჰუ –

უფსკრული ეწოდება.

მაგრამ თუ ვამტკიცებთ, რომ თორის განახლება იმ ადამიანის მიერ, რომელმაც არც კი იცის თუ რას ამბობს, ქმნის ზეცას, (ეკრანს-მასახს), ესე იგი როდესაც ადამიანი ცდილობს თავის ეგოიზმზე ამაღლებას,

მაშინ შეხედე იმას, ვისაც თორის საიდუმლეობებთან არა აქვს საქმე (როგორც ჩვენ ჯერჯერობით): **ვინაიდან ანახლებს ის თორას, არა აქვს რა ამისათვის საკმაო ცოდნა** – ცდილობს, ისე როგორც ჩვილი ბავშვი, რაღაცა გაიგოს, რაღაცა გამოიცნოს, რაღაცნაირად რეაგირებს,



განახლებული მის მიერ (მისი ძალისხმევა – ასეთი უშუალო, ბუნებრივი, შეუცნობელი,

ისეთი, როგორც ჩვენი) **ადის და გამოდის მასზე უკუღმართი ადამიანი (უწმინდური ძალის მამრობითი ნაწილი) და ცრუ ენა (უწმინდური ძალის ნუკვიდან...)** – თითოეული ჩვენთაგანი, ყველაფერში, ორი ნაწილისაგან შედგება: მამრობითი და მდედრობითი; ჩვენგან გამოდის „უწმინდური“ მამრობითი ნაწილი და „უწმინდური“ მდედრობითი ნაწილი, და რჩება ის, რაც ჩვენ შემქმნელთან შეგვიძლია ავამაღლოთ,

ხოლო უკუღმართი ადამიანი ახტება 500 ფარსაოთებს, – ანუ ეშვება ქვევით ისეთ მანძილზე, რომელსაც „500 ფარსაოთი“ ეწოდება, **რამეთუ მიიღოს თორის ეს განახლება, და იღებს მას, და აკეთებს მასთან ცრუ ზეცას, რომელსაც თოჰუ – უფსკრული ეწოდება**. ეს ისაა, რაზედაც ნათქვამია თორაში: „შექმნა გამჩენმა ცა და დედამიწა. და სული შემქმნელისა დალივლივებდა უფსკრულის ზედაპირზე“, და ასე შემდეგ.

ადამიანი თავისი მისწრაფებით იწყებს თავის თავისგან „უწმინდური“ ნაწილის გამოყოფას, ანუ იმ სურვილების გამოყოფას, რომლებიც არ შეუძლია აამაღლოს და დაამსგავსოს ბინას.

იმდენად, რამდენადაც ჩვენ თუნდაც რაიმე დონით, შეგვიძლია შემქმნელის თვისებების მსგავსების მიღწევა, მასთან კონტაქტში შესვლა, იმდენად იქმნება ახალი ზეცა და ახალი დედამიწა. სწორად ამაშია ადამიანი

შემქმნელის მეწყვილე.

ამიტომ ეწოდება სტატიას: „ვისი მეწყვილენი ხართ?“

ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს თავისი თავი - თავისი სურვილი – საკმაოდ პრიმიტიული სქემის სახით, მაგრამ ის მას ეხმარება, რომ თავის თავში სწორად გაერკვიოს.



ჩემი სურვილი შემიძლია შემდეგნაირად დავყო:

სურვილები, რომლებიც შემიძლია შემქმნელს მივაკუთვნო, „წერტილი გულში“;

- *სურვილები, რომლებიც მიმართულია შემქმნელისაკენ სწრაფვის საწინააღმდეგოდ, რომლებიც მე ქვევით მქაჩავენ, – ანტისულიერი სურვილები;*

- *ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილი „ცხოველური“ სურვილები: საკვები, სექსი, ოჯახი;*

- *საზოგადოებრივი სურვილები;*

- *ჯგუფის (გარემოცვის) სურვილები.*

ანტისულიერი სურვილები – მე მათ უბრალოდ თავი უნდა დავაღწიო.

„ცხოველური“ სურვილები. აქ არ არის არც მინიმუმი, არც მაქსიმუმი. ჩემს „ცხოველს“ ვალდებული ვარ მივცე ყველაფერი მისი ბუნების შესაბამისად.

საზოგადოებრივი სურვილები. მე არ შემიძლია საზოგოდოებისაგან გამოყოფა. აქ არის შური, სიამაყე, ძალაუფლებისაკენ, განდიდებისაკენ სწრაფვა, ცოდნის სურვილი, სამსახურეობრივი დაწინაურება – რა გავლენას ახდეს ეს ხელფასზე, ოჯახის არსებობისთვის აუცილებელ პირობებზე, როგორ უთავსდება კაბალის სწავლას, და ასე შემდეგ. არსებობს ძალიან ბევრი ყოველგვარი პრობლემა, და ისინი მუდმივად განახლებას განიცდიან და აბნევენ ადამიანს.

ზემოთ ჩამოთვლილი სამი სახის სურვილი ჩვენი სამყაროს სურვილებია. მხოლოდ ასეთი სურვილები მქონდა სანამ კაბალას გავეცანი. ხოლო შემდეგ კიდევ ორი სურვილი გამიჩნდა: „წერტილი გულში“ და ჯგუფის სურვილი.

ჩემი შემქმნელისაკენ მისწრაფებით, „წერტილით გულში“, მე შემიძლია მხოლოდ გარემომცველი სინათლის გამოწვევა ჩემზე.

ერთადერთი, სადაც შემიძლია მკვეთრად მოვახდინო ჩემი სურვილების დახარისხება, – ჩემი სამუშაო ჯგუფია. მე ეს ძალიან არ მსურს! მე ყველაფერზე მზად ვარ, რაც კი გინდა: საზოგოდოებრივი სამუშაო, გავრცელება, სწავლა... ჯგუფთან მუშაობა ეს ჩემთვის ყველაზე უსიამოვნოა, ეს ისაა, რაც ყველაზე საწინააღედეგოა ჩემი ბუნებისათვის. მაგრამ თუ მთელი ძალით ვცდილობ შევუერთდე გარემოცვას, თუ მე მაინც ვაქცევ ამას ყურადღებას, მაშინ ეს ჩემში „სწორი“ სურვილების გამოვლენის საშუალებას მაძლევს.

69. და ეს უკუღმართი ადამიანი გადაიფრენს ცარიელ ზეცაზე 6000 ფარსაოთს ერთ ჯერზე. იმის შემდეგ კი, როდესაც ეს ცარიელი ზეცა ჩერდება, დაუყონებლივ გამოდის უწმინდური ქალი, უჭირავს ეს ცარიელი ზეცა და მონაწილეობს მასში. გამოდის ის მისგან და ხოცავს მრავალ ასეულ ათასს, იმიტომ რომ იმ დროს, როდესაც იმყოფება ის იმ ზეცაზე, მიცემული აქვს მას ძალაუფლება და ძალა იფრინოს და გადაკვეთოს ერთბაშად მთელი სამყარო.

და ეს უკუღმართი ადამიანი გადაიფრენს ცარიელ ზეცაზე ...

მამრობითი „უწმინდური“ ნაწილი

(განზრახვა) და მდედრობითი „უწმინდური“ ნაწილი (სურვილი) არ არის ჩვენთვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი თვისება. უბრალოდ მოცემულ ეტაპზე, ჩვენი ძალებით, ჩვენ არ ძალგვიძს მათთან მუშაობა, წინ წაწევა. ამ თვისებებს, რომელთაც ვავლენთ ჩვენში ჩვენი ანალიზის საშუალებით, ჯერ-ჯერობით „ვიშორებთ“ ჩვენგან – ისინი შემდეგი საფეხურისათვისაა საჭირო.

თითოეულ ეტაპზე ჩვენ ჩვენი სურვილებისა და განზრახვების რაღაცა ფრაგმენტი გვეძლევა. ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ: „ეს ჩემთვისაა, ეს – არა, ეს – უფრო მოგვიანებით, ამასთან მე შემიძლია ვიმუშაო“, და ა.შ. აი, ამგვარად, ადამიანი იკვლევს თავის თავს და ამასთან ერთად წინ მიიწევს.

ეს უკუღმართი ადამიანი, როგორც უკვე აღნიშნული იქნა, დასაწყისში ეშვება 500 ფარსაოთით – სურვილის (ავიუთის) 5 დონით. 5 დონე ეს: ქეთერი, ხოხმა, ბინა, ზეირ ანფინი, მალხუთია. შემდეგ კი ის გადაიფრენს კიდევ 6000 ფარსაოთს ერთ ჯერზე. 6000 – ჩვენ ესეც ვიცით – ეს ზეირ ანფინის ექვსი ძირითადი სფირაა: ხესედ, გვურა, თიფერეთ, ნეცახ, ჰოდ, იესოდ, რომლებიც უპირისპირდებიან ერთადერთ სფირას – მალხუთს.

ამგვარად ხდება მოცემული მომენტისათვის „წმინდა“ და „უწმინდერი“ ძალების სრული გაყოფა.

„ზოარი“ ეს უმაღლეს სამყაროში

გრძნობიერი ჩაწვდომაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა ჩვენ უნდა მივეჩვიოთ მეცნიერება კაბალის ტერმინებს და დავიმახსოვროთ ისინი.

იმის შემდეგ კი, როდესაც ეს ცარიელი ზეცა ჩერდება, დაუყონებლივ გამოდის უწმინდური ქალი, უჭირავს ეს ცარიელი ზეცა და მონაწილეობს მასში. გამოდის ის მისგან და ხოცავს მრავალ ასეულ ათასს, იმიტომ რომ იმ დროს, როდესაც იმყოფება ის იმ ზეცაზე, მიცემული აქვს მას ძალაუფლება და ძალა იფრინოს და გადაკვეთოს ერთბაშად მთელი სამყარო.

ადამიანმა მოახდინა გამოსწორება და, თითქოს ავიდა რომელიღაც დონეზე, მიაღწია რაღაცა კარგს, საჭიროს... და ამ დროს წარმოიქმნება ჩვენში მძლავრი უარყოფითი ძალა, რომელიც უკან გვქაჩავს, გვაიძულებს, თითქოს ქვევით ჩასვლას. ეს ძალა მდედრობითი „უწმინდური“ ნაწილია (სურვილია), ეგრეთ წოდებული „დახმარება შენს საწინააღმდეგოდ“. და ეს სინამდვილეში მართლაც დახმარებაა: ჩვენ „ვეფლობით“ ამ დაუმუშავებელ ეგოიზმში, ვახდენთ გამოსწორებას და კიდევ უფრო მაღლა ავდივართ.

70. ამის შესახებაა ნათქვამი: „ნუ შეუწყობთ ხელს ცოდვას ტყუილუბრალოდ“. ცოდვა ეს მამრობითი ნაწილია. როგორც ოთხთვალას ხელნა მძიმეა ცოდვა. რა ცოდვა? ეს უწმინდური

ნუკვა. სადავეებით ქაჩავს იგი მამრობით უწმინდურ ნაწილს სიცარიელისაკენ. შემდეგ კი, ამის შედეგად ხდება ცოდვა, რამეთუ მამრობითი ნაწილი ქაჩავს ამ ნუკვის მხარეს, რომელიც იზრდება და თავის ფრენას იწყებს, რომ მოკლას ადამიანები. და ამგვარად ამოხოცა უამრავი. და ვინ არის ამის მიზეზი – ეს ის თორის შემსწავლენნი არიან, რომლებმაც ვერ მიაღწიეს ორა-ს და მორა-ს – გაცემასა და სინათლეს. დაე შეიწყალოს ისინი შემქმნელმა!

ამის შესახებაა ნათქვამი: „ნუ შეუწყობთ ხელს ცოდვას ტყუილუბრალოდ“. ცოდვა ეს მამრობითი ნაწილია. (იმიტომ რომ მამრობითი ნაწილი მუშაობს განზრახვაზე – ან თავისთვის, ან გაცემისათვის). **როგორც ოთხთვალას ხელთა მძიმეა ცოდვა. რა ცოდვა? ეს უწმინდური ნუკვა** („უწმინდური“ მდედრობითი ნაწილი). **სადავეებით ქაჩავს იგი მამრობით უწმინდურ ნაწილს სიცარიელისაკენ**.

როგორც განზრახვა განაპირობებს იმას, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენი სურვილის გამოყენება, ასევე სურვილს შეუძლია დაიმორჩილოს განზრახვა. ადამიანი ფიქრობს, რომ მას ძალუძს თავისი „მძიმე“ ეგოისტური სურვილების გამოასწორება, მაგრამ ირკვევა, რომ ცდება. სურვილი მას ქვემოთ ექაჩება, და თანდათანობით ის თავის „გაცემის“ განზრახვას თვით ამ სურვილის შევსების განზრახვით ცვლის.

ამგვარად იმორჩილებს მას „უწმინდური“

მდედრობითი ნაწილი.

შემდეგ კი, ამის შედეგად ხდება ცოდვა, რამეთუ მამრობითი ნაწილი ქაჩავს ამ ნუკვის მხარეს, რომელიც იზრდება და თავის ფრენას იწყებს, რომ მოკლას ადამიანები. და ამგვარად ამოხოცა უამრავი. და ვინ არის ამის მიზეზი – ეს ის თორის შემსწავლენნი არიან, რომლებმაც ვერ მიაღწიეს ორა-ს და მორა-ს – გაცემასა და სინათლეს. დაე შეიწყალოს ისინი შემქმნელმა!

ეს იმათ კი არ მოსდით, რომლებიც არაფერს არ აკეთებენ, არაფრით და არავისთან არ არიან დაკავებულნი, არამედ იმათ, რომლებიც თავის გამოსწორებაზე მუშაობენ, წინსვლას ცდილობენ, – სწორად მათ მოსდით ეს. ისინი სწავლობენ, ცდილობენ მაღლა შეაღწიონ, მაგრამ ისეთ ეტაპებზე იმყოფებიან, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს და უკან დაბრუნდეს.

რა შეიძლება გაკეთდეს? ბაალ სულამი იძლევა ძალიან უბრალო მითითებებს, და ამ მითითებებით გაჯერებულია პრაქტიკულად ყველა მისი სტატია: მხოლოდ ერთობა, კოლექტიური მუშაობა ჯგუფში, ამხანაგებთან ერთად. მამაკაცების შემჭიდროებული ჯგუფი, რომელიც ღებულობს მხარდაჭერას ქალთა ჯგუფისგან, რომელიც თავის მხრივ ცდილობს მათ გაერთიანებას, წარმართვას, მხარდაჭერას, – თუ ეს სისტემა სწორად ფუნქციონირებს, მაშინ ადამიანს არა აქვს შესაძლებლობა თავის

„უწმინდურ“ მდედრობით ნაწილში ჩავარდეს.

და, სხვათაშორის ჩვენი საერთო მსოფლიო ჯგუფის ქალურ ნაწილს ეს უნდა ესმოდეს. ისე როგორც ჩვენს მატერიალურ სამყაროში ქალი განიცდის თავისი ოჯახის კეთილდღეობას, ბავშვების სწორად განვითარებას, წარმართავს, ზოგჯერ კი აიძულებს ქმარს იზრუნოს მიწიერი არსებობისათვის, ასეთივე ძალისხმევა უნდა გამოიყენოს მან სულიერი განვითარების გზაზე, სულიერი არსებობისათვის.

71. უთხრა რაბი შიმონმა ამხანაგებს: „გთხოვთ მე თქვენ ძალიან, ნუ წარმოთქვამთ ხმამაღლა თორის სიბრძნეებს, რამეთუ არ გაიგონ და არ მოისმინონ დიადი ხიდან ჭეშმარიტებისა. რამეთუ არ შეუწყოთ თქვენ ხელი უწმინდურ ნუკვას, რომ მოკლას უამრავი ხალხი ტყუილ-უბრალოდ“. გახსნა ყველამ და წარმოთქვა: „მოწყალეო, გადაგვარჩინე, მოწყალეო, გადაგვარჩინე!“

ადამიანმა, იზიდავს რა უმაღლეს სინათლეს, პრაქტიკულად არც კი იცის კარგად იქცევა იგი თუ ცუდად. თუ ის ხსნის უმაღლეს სინათლეს, როდესაც ამისთვის არ არის მომზადებული, მაშინ უმაღლესი სინათლე ზრდის მის ეგოისტურ სურვილებს, ესე იგი წამლის ნაცვლად ადამიანი შხამს ღებულობს.

თორის შესახებ ნათქვამია, რომ ის შეიძლება იყოს წამალი და შეიძლება იყოს შხამი. ეს მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რანაირად იყენებს ადამიანი მას, ანუ

რამდენადაა ის მომზადებული.

ოდესღაც, დიდი ხნის წინ, მოხუცებულმა ინდიელმა თავის შვილიშვილს ერთი სასიცოცხლო ჭეშმარიტება გაუხსნა:

„ნებისმიერ ადამიანში მიმდინარეობს ბრძოლა, რომელიც ძალიან წააგავს ორი მგლის ბრძოლას, ერთი მგელი წარმოადგენს ბოროტებას: შურს, ეჭვიანობას, სინანულს, ეგოიზმს, ამბიციებს, სიცრუეს. მეორე მგელი წარმოადგენს სიკეთეს: მშვიდობას, სიყვარულს, იმედს, ჭეშმარიტებას, სიკეთეს, ერთგულებას.

პატარა ინდიელი, გულაჩვილებული ბაბუას სიტყვებით, რამდენიმე წამით ჩაფიქრდა, შემდეგ კი იკითხა მან:

– რომელი მგელი იმარჯვებს?

მოხუცმა ინდოელმა ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმა და უპასუხა:

– ყოველთვის იმარჯვებს ის მგელი, რომელსაც შენ კვებავ...

72. მოდი და ნახე – თორით შექმნა გამჩენმა მთერი სამყარო. და ის იყურებოდა მასში არა ერთხელ, და არა ორჯერ, და არა სამჯერ, და არა ოთხჯერ. და მხოლოდ შემდეგ შექმნა სამყარო. ეს უნდა ასწავლიდეს ადამიანებს, თუ როგორ არ შეცდნენ.

მოდი და ნახე – თორით შექმნა გამჩენმა მთელი სამყარო.

იმავე სქემით, რომლის მიხედვითაც შექმნილ იქნა სამყარო, გამჩენი შემდგომ

მართავს სამყაროს.



დასაწყისში სინათლე თავის თავში ქმნის წერტილს, სურვილს, ნულოვან ფაზას, და შემდეგ იწყებს პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ფაზების შექმნას. ოთხ ფაზას (1 – 4) პირდაპირი სინათლის გავრცელების ოთხი სტადია ეწოდება, ხოლო მთელ სისტემას (0 – 4) თორა (სიტყვიდან „ორ“ – სინათლე) ეწოდება.

ამ გავრცელების მიზანია მეოთხე სტადიის – უსასრულობის სამყაროს მალხუთის – ვეებერთელა უსასრულო სურვილის შექმნა.

და ის იყურებოდა მასში არა ერთხელ, და არა ორჯერ, და არა სამჯერ, და არა ოთხჯერ. და მხოლოდ შემდეგ, მეხუთე ჯერზე, **შექმნა სამყარო**.

ეს უნდა ასწავლიდეს ადამიანებს, თუ როგორ არ შეცდნენ.

ჩვენ უნდა განვვითარდეთ, ესე იგი თანდათან სინათლის თვისებებს უნდა დავემსგავსოთ, ავიდეთ იმავე საფეხურებით, რომელთა მიხედვით, გვქმნიდა რა ჩვენ, ჩამოდიოდა სინათლე.

73. ამ ოთხი ჯერის საპირისპიროდ ხედავდა, თვლიდა, ამზადებდა, იკვლევდა გამჩენი იმას, რაც შექმნა. ჯერ კიდევ მანამ, სანამ შექმნა. ამიტომაა ნათქვამი: „დასაწყისში შექმნა გამჩენმა ოთხი სიტყვა, ოთხი ზემოთ მოყვანილის შესაბამისად“. შემდეგ კი ნათქვამია: „ცა – ყველა ოთხი სიტყვის საპირისპიროდ, რამეთუ იყურებოდა შემქმნელი თორაში, სანამ დაიწყო აღსრულება თავისი ჩანაფიქრისა“.



ამ ოთხი ჯერის საპირისპიროდ ხედავდა (სტადია 1), **თვლიდა** (სტადია 2), **ამზადებდა** (სტადია 3), **იკვლევდა** (სტადია 4) **გამჩენი იმას, რაც შექმნა**.

ნულოვანი სტადია ეს არის „ჩანაფიქრი“, და შემდეგ ამ ჩანაფიქრის თანახმად ეტაპობრივად შექმნილ იქნა უდიდესი სურვილი – მალხუთი, რომელშიც არის ყოველი აუცილებელი, იმისთვის, რომ ეს სურვილი ამაღლებული იქნას შემქმნელის დონეზე. ესე იგი საბოლოო ჯამში ჩვენი ყველა პერიპეტიების – ამ სამყაროში ჩამოსვლის, მასში არსებობის – შემდეგ იწყებს უსასრულობის სამყაროში ასვლას.

ჩვენ თქვენთან ერთად ამ აღმასვლის დასაწყისში ვიმყოფებით. ჩვენ პრაქტიკულად დავშორდით ამ სამყაროს.

ვისი მეწყვილენი ვართ? – ჩვენ შემქმნელის მეწყვილე ვართ, იმიტომ რომ განსაკუთრებული სურვილის მფლობელნი ვართ, რომლის რეალიზაციაც უნდა მოვახდინოთ.

შემქმნელი ადაბლებს, აუხეშებს ქმნილებას, სულ უფრო და უფრო არარაობად აქცევს მას. ხოლო ჩვენ ვსარგებლობთ რა იმით, რაც მან ჩვენ მოგვიმზადა, ავდივართ, ვქმნით სულ ახალ და ახალ „ცასა და დედამიწას“. დედამიწა ეს სურვილია, და ჩვენ ვქმნით რა ამ სურვილიდან გაცემის განზრახვით ახალს, მისი მეწყვილეები ვხდებით.

ჩვენი ამაღლების თითოეული საფეხური თავის საწყის სტადიაზე გამოიყურება როგორც ეგოისტური, საძაგელი, დამახინჯებული. შემქმნელი ჩვენ ამის შესახებ გვაფრთხილებს:

„მე შევქმენი ბოროტი საწყისი და მოგეცი შენ თორა მის გამოსასწორებლად. აი, შენ თორა, აი, მთელი ჩემი ჩანაფიქრი. ისარგებლე ამით, რომ გამოასწორო ის ბოროტება, რომელიც მე შენში შევქმენი“.

და აი, ასე, თანდათან ავდივართ რა 125 საფეხურზე, ჩვენ ვაღწევთ ჩვენს მიზანს.

რა თქმა უნდა შემქმნელია დამნაშავე ყველა ჩემს გაჭირვებაში. აბა სხვა ვინ? მე თუ მესმის მისი ერთადერთობა, სხვა არავინაა ვისაც შეიძლება მივმართო. ჯერჯერობით არაფერი კარგი არ მინახია მე ჩემს ცხოვრებაში. მაშ რისთვის უნდა მიყვარდეს შემქმნელი? რატომ უნდა მივისწრაფოდე მისკენ? ეს – ერთი მხრივ.

მეორეს მხრივ, მე თანდათან ვიწყებ იმის შეგნებას, რომ ჩემი ბუნება ტყუილ-უბრალოდ როდი მაქვს მოცემული, რომ ამავე დროს მოცემული მაქვს გამოსწორების შესაძლებლობის რაღაცა გაგება, რაღაცა გარეშე პირობები ჯგუფის, მასწავლებლის სახით, ვიწყებ იმის გაგებას, რომ ჩვენი სრულყოფილებამდე მიყვანა შემქმნელს შეეძლო თუ სწორად ამგვარად შეგვქმნიდა ჩვენ.

ჩემი შეგნების, გაგების შესაბამისად, მე შემქმნელთან კონტაქტირებას ვიწყებ.

მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენ გვამოძრაოს წინ, შემქმნელმა, სამწუხაროდ (თუ შეიძლება ასე ითქვას) უნდა „გაგვრეკოს“, დაგვაჩქაროს. ამისათვის კი არ არსებობს

უკეთესი ინსტრუმენტი, ვიდრე სტიმული – ჯოხი წვეტიანი დაბოლოებით, რომლის დახმარებითაც ხდება ვირის სიჯიუტის, მისი წინსვლის არ სურვილის, დაძლევა.

ასე რომ, ჩვენ გვჭირდება ამგვარი სტიმული, რომელიც ჩვენ თითქოს გვჩხვლეტავს, რომ ჩვენმა „ვირმა“ წინ იაროს.

ვირების გამრეკი

(პირველი ნაწილი, პუნქტები 74 – 79)

როგორც მაგალითად არსებობს სხვადასხვა განყოფილებები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, აგრეთვე კაბალაშიც არსებობს სხვადასხვა დისციპლინები, თითქოს კაბალის დანართები. ეს ეხება სამყაროების აგებულებას, ადამიანის თავისუფალ ნებას, ადამიანის აღზრდას, ადამიანის მოქმედებას სოციუმში და ა.შ.

პრინციპში, ეს მეცნიერება კაბალა არ არის. მეცნიერება კაბალა ეს შემქმნელის ადამიანისადმი უშუალო გამოვლინებაა ჩვენს სამყაროში, ანუ უმაღლესი სამყაროს გამოვლინება. დანარჩენი ყველაფერი კი – ეს ასე ვთქვათ შედეგები, განშტოებანი – ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ კაბალის რეკლამის, მისი გავრცელების მიზნით, რომ თანდათან მოვიზიდოთ ადამიანები, მივუახლოვოთ ისინი იმის გაგებას თუ რას წარმოადგენს კაბალა.

მხოლოდ უმაღლესი სამყაროს გახსნა აძლევს ადამიანს პასუხს მის კითხვაზე: „მართლაც რისთვის ვარსებობ ამ ქვეყანაზე? ის კი არა, თუ როგორ ვიარსებო უფრო კომფორტულად ამ ქვეყანაზე ამ ჩემი, დავუშვათ, 60–70–80 წლის განმავლობაში, არამედ რანაირად გავხდე ჩემი მუდმივი,

უსასრულო, სრულყოფილი სიცოცხლის ბატონ-პატრონი, ჯერ კიდევ ამჟამინდელი, ახლანდელი სიცოცხლის განმავლობაში ამ სამყაროში?“ ეს მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ გამოვავლენთ ჩვენში ამ მუდმივი სიცოცხლის შეგრძნებას, და მაშინ დავინახავთ, რომ იგი რეალურია, გაცილებით უფრო რეალური, ვიდრე ჩვენი დღევანდელი, თითქოს ასეთი ურყევი, გარემო სამყარო.

ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ცხოვრებისეულ პრობლემებს ჩვენ უაღრესად დიდ დროს ვუთმობთ, წიგნი „ზოარის“ შესწავლის დროს – ჩვენ კიდევ და კიდევ გთხოვთ მიაქციოთ ამას ყურადღება! – ჩვენ ამ სამყაროსაგან სრული აბსტრაგირება უნდა მოვახდინოთ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოვიდგინოთ თუნდაც რაიმე სახით, რომ წიგნში „ზოარი“ მონათხრობი როგორღაც არსებობს ჩვენს სამყაროში. ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს. ყოველნაირი სახელწოდებანი, განსაზღვრებანი, რომლებიც ჩვენი სამყაროდანაა აღებული, არავითარ შემთხვევაში არ მიეკუთვნება ჩვენს სამყაროს და მხოლოდ უმაღლეს სამყაროზე მიგვითითებენ.

ჩვენ სიტყვების შერჩევის გარკვეული და ძალიან ზუსტი წესი გვაქვს. მაგალითად, სიტყვაში „მაგიდა“ მე ვგულისხმობ უმაღლესი სამყაროს იმ ძალას, რომელიც, ჩამოდის რა

ჩვენს სამყაროში, შეიმოსება ჩვენი სამყაროს მატერიაში და წარმოქმნის ისეთ ობიექტს, როგორიც მაგიდაა. და ეს წესი უნივერსალურია ჩვენი საყაროს ყველა დანარჩენი ობიექტებისა და მოქმედებების მიმართ.

მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ამასაც არა აქვს მნიშვნელობა. არ არსებობს ჩვენი სხეული, ჩვენი სამყარო. დავივიწყოთ ისინი. მე სივრცეში ვარ გამოკიდული. მე წერტილი ვარ, ჩემი პატარა სურვილი, რომლისაგანაც ახლა მთელი სამყარო უნდა გამოვამჟღავნო, გავხსნა. ამ წერტილს „გულში წერტილი“ ეწოდება. იგი ჩვენში უეცრად, მოულოდნელად ჩნდება და სადღაც გვექაჩება ჩვენ. ახლა ჩვენ ვშორდებით ყოველი ამ ქვეყნად არსებულს, – იმიტომ, რომ ყოველი ეს დროებითი, ცრუ, მოკვდავია, – და ამის შემდეგ ვმუშაობთ მხოლოდ ამ წერტილთან. აი, ამის შესახებ მოგვითხრობს წიგნი „ზოარი“, მე კი უნდა ვეცადო რომ გავიგო თუ რისი თქმა სურს მას.

რა თქმა უნდა, მე არაფერი არ მესმის, ვერაფერი ვერ წარმომიდგენია, იმიტომ რომ ვერ ვხედავ ვერაფერს. მე ვტყუვდები ჩემს შეგრძნებებში, ვარაუდში. მაგრამ ეს არაა მნიშვნელოვანი, აბსოლუტურად არაა მნიშვნელოვანი! მთავარი ჩემი ძალისხმევაა. ისე, როგორც პატარა ბავშვი – მას ხომ ყველაფერი აინტერესებს. მან არაფერი არ იცის და არც ესმის – იგი უბრალოდ იწოვს ითვისებს ყოველი იმას, რაც მის წინაშე, მის

გარშემო არსებობს და შემდეგ თანდათან თანდათან გროვდება მისი ყოველგვარი შთაბეჭდილებანი, ლაგდება სურათის სახით და იწყებს იგი ამ სურათის გაგებას და გააზრებას. შემდეგ მასში ვლინდება მისი ეგოიზმი, მისი საუკეთესო გაანგარიშება, და უკვე ჩვენს წინაშე, ჩვენს თვალწინ წარმოგვიდგება პატარა ადამიანი, რომელიც უკვე იწყებს ტყუილის თქმას, მშობლების მანიპულირებას და ასე შემდეგ. აი, ასეთია ახალში შესვლის ყველაზე უფრო ბუნებრივი, ჩვეულებრივი კანონი.

ჩვენ ჩვენს მდგომარეობაში – იგივე ჩვილი ბავშვები ვართ. ჩვენ თვითონ უნდა გამოვეთიშოთ ჩვენი ყოველგვარი წარსულისაგან, იმიტომ რომ იგი არ ეკუთვნის იმ სამყაროს, რომელშიც შევდივართ – იქ არაფერი არ არის ისეთი, რაც ჩვენს სამყაროში არის. ჩვენ მთელი ძალისხმევით უნდა ვეცადოთ, რომ შევიგრძნოთ ყოველი ის, რის შესახებაც წიგნი „ზოარი“ მოგვითხრობს. ეს ზემოქმედებას მოახდენს ჩვენზე და საბოლოო ჯამში ჩვენ დავიწყებთ ყოველი ჩვენი შთაბეჭდილებების შეგრძნებას, დანახვას, გაგებას, შეცნობას, დაჯამებასა და დაგროვებას და ჩვენ წარმოგვექმნება უმაღლესი სამყაროს სურათი.

ნებისმიერი ჩვენი გაკვეთილი მცირედი წინასიტყვაობით იწყება. გაიმეორეთ ისინი. ეს თქვენ დაგეხმარებათ სწორად განეწყოთ

უმაღლესი სამყაროს აღქმისადმი.

74. რაბი ელაზარი, რაბი შიმონის ძე, მიდიოდა რაბი იოსის, ლაკუნიას, თავისი სიმამრის, ძის მოსანახულებლად და რაბი აბა მიდიოდა მასთან ერთად. ერთი ადამიანი, აჩქარებდა რა მათ სახედრებს, მიყვებოდა მათ. თქვა რაბი აბამ: „გავხსნათ თორის ჭიშკრები, რამეთუ ახლაა ჩვენი გზის გამოსწორების დრო“.

რაბი ელაზარი და რაბი აბა – ორი ამხანაგი, რაბი შიმონის მოსწავლეები, ორივენი მიდიოდნენ რაბი იოსის, კიდევ ერთი მათი თანამოსწავლის, მოსანახულებლად.

„ზოარი“ არასოდეს არ ლაპარაკობს იმის შესახებ თუ როგორ დავდივართ ჩვენ ფეხებით ამ ცოდვილ მიწაზე. „ზოარი“ ყოველთვის ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ჩვენ ავდივართ, ვმოძრაობთ სულიერ საფეხურებზე.

ერთი ადამიანი, აჩქარებდა რა მათ სახედრებს, მიყვებოდა მათ.

სახედარი ივრითზე არის „ხამორ“ (სიტყვიდან „ხომერ“ – მატერია). ჩვენი მატერია ეს მიღების სურვილია.

ეტყობა რაბი იოსი იმყოფებოდა ერთი საფეხურით უფრო მაღლა ვიდრე რაბი ელაზარი და რაბი აბა, და მასთან მისვლა (ასვლა) არც თუ ისე ადვილი იყო. მათ უნდა აეძულებინათ თავიანთი მატერია (თავიანთი ვირები), რომ ამ საფეხურზე ასულიყო. ძალას, რომელიც ეხმარებოდა მათ, რომელიც

უბიძგებდა მათ სახედრებს, „ვირების გამრეკი“ ეწოდება. ვირს კი (ჩვენ მატერიას), ბუნებრივია სრულებით არ სურს მოძრაობა – ამიტომაცაა იგი ვირი.

რისი გაკეთება შეეძლოთ მათ, რა გამოსავალი ჰქონდათ?

სახედარი = ხამორ = ხომერ = მატერია = მიღება



თქვა რაბი აბამ: „გავხსნათ თორის ჭიშკრები, რამეთუ ახლაა ჩვენი გზის გამოსწორების დრო“. ანუ: „თუ ჩვენ ერთად ვიმეცადინებთ, ამით მოვიზიდავთ შუქს, რომელიც დაგვეხმარება რაბი იოსის დონემდე ასვლაში. ჩვენი გზა ჩვენ მასთან მიგვიყვანს.“

75. გახსნა რაბი ელაზარმა და თქვა: „ნათქვამია: „შეინახეთ ჩემი შაბათები“. მოდი ვნახოთ: ექვს დღეში შექმნა სამყარო გამჩენმა და ყოველ დღეს ავლენდა თავის ქმედებებს და აძლევდა ძალებს იმ დღეს. როდის გამოავლინა თავისი ქმედებანი და მისცა ძალები? შექმნის მეოთხე დღეს, რამეთუ პირველი სამი დღე სრულიად დაფარული

იყო და არ მჟღავდებოდა. მოვიდა მეოთხე დღე – გამოავლინა ყველა დღის ქმედებები და ძალები.“

გახსნა რაბი ელაზარმა (მათ დაიწყეს მეცადინეობა და ამით უმაღლეს სინათლეს გზა გაუხსნეს) **და თქვა: „ნათქვამია: „შეინახეთ ჩემი შაბათები“. მოდი ვნახოთ** (ამბობს რაბი ელაზარი): **ექვს დღეში შექმნა სამყარო გამჩენმა და ყოველ დღეს ავლენდა თავის ქმედებებს და აძლევდა ძალებს იმ დღეს. როდის გამოავლინა თავისი ქმედებანი და მისცა ძალები? შექმნის მეოთხე დღეს, რამეთუ პირველი სამი დღე სრულიად დაფარული იყო და არ მჟღავნდებოდა. მოვიდა მეოთხე დღე – გამოავლინა ყველა დღის ქმედებები და ძალები“.**

შემქმნელმა ყოველი შექმნა ექვსი დღის განმავლობაში (პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე). მათ შესაბამისად ეწოდებათ: ხესედ, გვურა, თიფერეთ, ნეცახ, ჰოდ, იესოდ. ხოლო შემდეგ, როდესაც მან ყოველი ეს შექმნა, დგება დღე მეშვიდე, ანუ შაბათი.

შაბათი ივრითულად – „შაბბათ“ (სიტყვიდან „ლიშბოთ“) ნიშნავს, რომ ნებისმიერი სამუშაო აკრძალულია. რატომ? შაბათი მალხუთია. მალხუთს თვითონ არ შეუძლია გამოსწორება, მასში არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ამიტომ ნებისმიერი სამუშაოს, ნებისმიერი ქმედების გაკეთება შეიძლება მხოლოდ წინა

საფეხურებზე (დღეებში). ხოლო მალხუთი კი თითქოს აჯამებს აერთიანებს ყველა წინა მდებარე დღეებს. ჩვენ სრულიად არა გვაქვს მხედველობაში ის, რასაც ჩვენს სამყაროში შაბათი ეწოდება. ყოველი ეს მხოლოდ რაღაც სულიერი თვისებების ანარეკლია მიწიერ ადათებსა და ჩვეულებებში.

და თუ რაშია მეოთხე დღის თავისებურება – ეს ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რამეთუ ამბობს იგი: „პირველი სამი დღე აბსოლუტურად დაფარული იყო. დადგა მეოთხე დღე და გამოვლინდა ყველაფერი.“

ჩვენ ჯერჯერობით მეოთხე დღეში ვერაფერ განსაკუთრებულს ვერ ვხედავთ. მოდი ვნახოთ.



76. არის ცეცხლი, წყალი და ჰაერი, ხაგათ, – შექმნის პირველი სამი დღე. თუმცა ეს პირველი და უმაღლესი საფუძველია ყოველი შემდგომისა, მისი ქმედება არ ვლინდება მანამ,

სანამ დედამიწა, ანუ მალხუთი, არ გახსნის მას. და მაშინ ვლინდება სრულიად თითოეული უმაღლესი საფუძვლის ღვაწლი.

ამიტომ მხოლოდ მეოთხე დღეს იხსნება პირველი სამი დღის ძალა.

არის ცეცხლი, წყალი და ჰაერი, ხაგათ (ხესედ, გვურა, თიფერეთ – ცეცხლი, წყალი, ჰაერი), – **შექმნის პირველი სამი დღე. თუმცა ეს პირველი და უმაღლესი საფუძველია ყოველი შემდგომისა, მისი ქმედება არ ვლინდება მანამ, სანამ დედამიწა, ანუ მალხუთი, არ გახსნის მას. და მაშინ ვლინდება სრულიად თითოეული უმაღლესი საფუძვლის** – ცეცხლის, წყლის და ჰაერის – **ღვაწლი**.

ამიტომ მხოლოდ მეოთხე დღეს იხსნება პირველი სამი დღის ძალა.

მაგრამ მალხუთი ეს ხომ მეშვიდე დღეა და არა მეოთხე. რაშია საქმე? დავუშვათ, რომ ჩვენ ეს ჯერჯერობით არ ვიცით.

ხესედ, გვურა, თიფერეთ ეს თვისებებია, რომლებიც ზევიდან შემქმნელისგან ეშვება, ისინი შემქმნელის მართვის შედეგს წარმოადგენენ. სულში, სულიერ პარცუფში, ისინი ტაბურამდე ვრცელდებიან. და მხოლოდ მეოთხე დღეს, მხოლოდ მას შემდეგ როდესაც ყველა ეს სამი ფუძემდებლური თვისება შევიდა პარცუფის შიგნით, ისინი იწყებენ რეალიზებას მასში.

ძალიან საინტერესო სტატიაა „ვირების მეხრე“. იცით რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ

თქვენთან ერთად გვსურს ერთი საფეხურიდან მეორეზე ასვლა – როგორც რაბი ელაზარსა და რაბი აბას სურთ რაბი იოსის საფეხურზე ასვლა...

გვსურს ასვლა? გვსურს. და ამისათვის რა გვაკლია? და აი, „ზოარი“ მოგვითხრობს, თუ რანაირად შეგვიძლია ჩვენ ამის გაკეთება.

დღესდღეობით ნებისმიერი ჩვენთაგანი რომელიღაც საფეხურზე, რაღაც მდგომარეობაში იმყოფება. შემდგომ საფეხურზე მე მარტო ასვლა არ შემიძლია.



ამისთვის მე ყურებით უნდა ამოვქაჩო ჩემგან ჩემი ვირი და მოვიზიდო გამრეკი, რომელიც აიძულებს ჩემს ვირს წინსვლას, მე კი გავუყვები მათ, ვივლი მათ გვერდით, ფეხით, მსუბუქად...

გამრეკი მოვა, იგი არსებობს სამყაროში. მთავარია გამოვავლინოთ ვირი. ამ ვირს – ჩვენს ეგოიზმს – ხომ არ სურს წინსვლა

სულიერებისაკენ. მისთვის ეს საზიანოა – მან უნდა მიიღოს, და არა გასცეს. რომელი ვირი დათანხმდება?

ის, რაც სულიერ სამყაროებში ხდება, ხდება ჩვენდა შეუმჩნევლად ჩვენს სამყაროშიც. ჩვენც ვერ შევძლებდით განვითარებას, ბავშვებად დავრჩებოდით, რომ არ არსებობდეს ძალა, რომელიც წინ გვწევს, გვამოძრავებს.

ძალიან საინტერესო სტატიაა, ძალიან ჭკუის მასწავლებელი, ძალიან სასარგებლო.

77. მაგრამ ხომ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით მესამე დღის შესახებ, როგორც დღეზე, რომელიც ავლენს პირველ სამ დღეში შექმნილს. აკი ნათქვამია მის შესახებ: „დაე აღმოაცენოს დედამიწამ ბალახი“. ანუ დედამიწის, მალხუთის, ქმედებების გახსნა უკვე მესამე დღეს ხდება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ითქვა მესამე დღეს – თიფერეთს, ეს იყო მეოთხე დღე – მალხუთი. მაგრამ მალხუთი შეუერთდა მესამე დღეს, რამეთუ თიფერეთი და მალხუთი განუყოფელნი არიან. ხოლო შემდეგ გახსნა მეოთხე დღემ თავისი ქმედებანი: გამოავლინოს მუშაობა თითოეულისა ხაგათიდან, რამეთუ მეოთხე დღე ეს მეოთხე ფეხია უმაღლესი სამეფო ტახტისა – სფირა ბინა, და სამეფო ტახტის ოთხი ფეხი კი ხაგათ – მალხუთია.

რას ნიშნავს „სამი დღე“ და საერთოდ „შექმნის დღეები“? შექმნა ეს შემქმნელის თვისებების თანდათანობითი ჩამოშვებაა ჩვენს

სამყაროში, მისი თვისებების თანდათანობითი რეალიზაცია. პირველი ამ სამი დამავალი თვისებიდან არის ხესედ, მეორე – გვურა და მესამე – თიფერეთ.

ხესედ მარჯვენა ხაზი, შემქმნელის პირდაპირი ზემოქმედება, სინათლეა. გვურა – მარცხენა ხაზი, ჩვენი ეგოისტური სურვილები. როგორც ნათქვამია: „მე შევქმენი ეგოიზმი, და მე შევქმენი სინათლე, თორა, მის გამოსასწორებლად“.

თიფერეთ შუა ხაზია, მას ეწოდება „სული“, მას ეწოდება „ადამიანი“, მას ეწოდება „მე“. მე ვითვისებ მარჯვენა და მარცხენა ხაზების თვისებებს, ვაანალიზებ თუ როგორ შემიძლია მათი ერთმანეთთან შეთავსება. ამასთან მე ვცდილობ მაქსიმალურად ობიექტური ვიყო, არ დავემორჩილო, არ ავყვე არც სინათლისა და არც სურვილის გავლენას, და საბოლოო ჯამში, „ვღებულობ“ შუა ხაზს, ანუ ორი ხაზის სწორ შეთავსებას. დავრჩე ნეიტრალური, ავმაღლდე, დავდგე ჩემს სურვილებსა და გულის წადილზე უფრო მაღლა, მე შემიძლია მხოლოდ პირველი შეკვეცის (ციმცუმ ალეფ) პოზიციიდან.

პრინციპში შეგვიძლია ვთქვათ ასე: ჩემი სურვილები ეს მე არა ვარ; ის, რომ მე ეს სურვილები გამოვასწორე, მივანიჭე მათ რაღაც სხვა ფორმა – ესეც მე არა ვარ; ხოლო ჩემი მუშაობა, ძალისხმევა, ცოდნა, შეგრძნებები, დასკვნები, რომლებიც გამიჩნდა ამ მუშაობის

შედეგად – ეს მე ვარ.

ანუ პრაქტიკულად, მე შევიცნობ შემქმნელს: „რისთვის მომცა მან ეს მე. რატომ ამგვარად, რატომ შემქმნა მაინც და მაინც ასეთი სახით“. ეს არის ყველაზე მთავარი. შემქმნელის შეცნობა, და არა მარჯვენა და მარცხენა ხაზების პირდაპირი წარმოებული – ეს არის სული.



მე – ეს შავი წერტილია უმაღლესი შუქის ოკეანეში. მთელი ჩემი არსებობა ამ შუქთანაა დაკავშირებული, და მასთან შეფარდებით ვაფასებ ჩემს თავს. მე ვარკვევ, რომ უმაღლესი სინათლე, შემქმნელი, ჩემს მიმართ გამცემი და კეთილია, ხოლო მე კი, მიმღები ვარ და მისი გადაყლაპვა, შთანთქმა და გამოყენება მსურს. მე ვადარებ ჩემს თავს მას და ამით ვავლენ უფსკრულს ჩვენს შორის, და აი, მაშინ ჩემში იხსნება სირცხვილი!

ეს არის ჭეშმარიტი ქმნილება. იგი მომცემისაგან დამოუკიდებლად და გამოცალკევებულად გრძნობს თავს, ესმის რომ იგი მისი საპირისპიროა, მიდის იმ შეგრძნებამდე, რომ არ შეუძლია ამ

მდგომარეობაში დარჩენა, არ შეუძლია თავის გამართლება, და ამიტომ ახდენს შეკვეცას (ციმცუმ), აძევებს რა თავის თავისგან სინათლეს.

ყოველი ეს ხდება უსასრულობის სამყაროში მალხუთში, რომელიც განიცდის იმის გამო, რომ არ შეუძლია იყოს ისეთი, როგორც შემქმნელი, და მასსავით სიყვარული არ შეუძლია. ამიტომ მთელ განვითარებას პირველი შეკვეცის (ციმცუმ ალეფ) შემდეგ საბოლოო ჯამში მივყავართ სიყვარულამდე – ანუ იმ დამოკიდებულებამდე, რომლითაც შემქმნელი მოგვმართავს ჩვენ.

ყველაფერი ციმცუმ ალეფიდან მომდინარეობს. შეკვეცის გადაწყვეტილება ეს ერთადერთი გადაწყვეტილებაა, რომელიც ამოძრავებს მთელ სამყაროს და მიჰყავს იგი საბოლოო გამოსწორებამდე. სირცხვილის შეგრძნება იყო ის აფეთქება, რომლისაგანაც წარმოიშვა მთელი სამყარო და გაიარა მთელი გზა, ქვევით ამ სამყარომდე და უკან ზევით.

ჩვენი ეგოისტური სურვილები არასოდეს არ შეივსება, ამიტომ პირველი შეკვეცა არასოდეს არ გაუქმდება. შეივსება სხვა სურვილები – გაცემის ქელიმი, რომელთაც შენ აშენებ სიამოვნების მიღების სურვილის ზემოთ.

ამგვარად შექმნის პირველი დღე – ხესედ, მეორე – გვურა, და მესამე – თიფერეთ. სწორად მესამე დღეს, თიფერეთს, პირველად გამოვლინდა შექმნის ჩანაფიქრი: შემქმნელმა

შექმნა ზეცა (სინათლე, თვისება ხესედ), შექმნა დედამიწა (ჩვენი სურვილები, გვურა), იმისთვის, რომ ადამიანმა თავის თავში შეაერთოს ცა და დედამიწა – თიფერეთ. ამ დღეს აღმოცენდა ყლორტები, ამ დღეს წარმოიშვა სიცოცხლე. მთელი სიცოცხლე აგებულია იმაზე, რომ ავმაღლდეთ დედამიწიდან ცამდე, და ეს უკვე მცენარეული, ცხოველური და ადამიანური ბუნების დამოუკიდებელი ქმედებაა, რომელიც ემყარება ორი თვისების ერთდროულ რეალიზაციას. არ შეიძლება მცენარემ იარსებოს, თუ იგი არ ახდენს შეწოვას, და გამოყოფას: სასარგებლოს ითვისებს, მავნეს გამოყოფს. ასევეა ცხოველი, ასევეა ადამიანი ნებისმიერ დონეზე: ფიზიოლოგიურ, მენტალურ ან სულიერ დონეზე.

ამიტომ, როდესაც ჩნდება ყლორტები, ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ იწყებს გამოვლენას შუა ხაზი მცენარეულ, ცხოველურ ან ადამიანურ დონეზე.

და ამიტომ **ნათქვამია მის** (მესამე დღის) **შესახებ: „დაე აღმოაცენოს დედამიწამ ბალახი“. ანუ დედამიწის, მალხუთის, ქმედებების გახსნა უკვე მესამე დღეს ხდება. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ითქვა მესამე დღეს – თიფერეთს, ეს იყო მეოთხე დღე – მალხუთი**.

თიფერეთ, მხოლოდ აერთებს თავის თავში შემქმნელის ორ ზემოქმედებას – ხესედსა და გვურას, შემდეგ კი ეს შეერთება ჩამოდის მალხუთში.

მაგრამ მალხუთი შეუერთდა მესამე დღეს, რამეთუ თიფერეთი და მალხუთი განუყოფელნი არიან (რამეთუ ის, რაც მოხდა თიფერეთში, შემდეგ ჩამოდის მალხუთში). **ხოლო შემდეგ გახსნა მეოთხე დღემ თავისი ქმედებანი**, ანუ მან **გამოავლინა მუშაობა** თითოეული პირველი სამი დღისა, **რამეთუ მეოთხე დღე ეს მეოთხე ფეხია უმაღლესი სამეფო ტახტისა**, ბინას თვისებისა, და **სამეფო ტახტის ოთხი ფეხი კი ხაგათ – მალხუთია**.

ხესედ, გვურა, თიფერეთსა (ხაგათსა) და მალხუთს სამეფო ტახტის ოთხი ფეხი ეწოდება. იმიტომ, რომ მათი სწორი გამოყენების შემთხვევაში ადამიანი თავის თავს შუა ხაზის ზემოქმედების ქვეშ აყენებს, რომელიც ზევიდან, შემქმნელიდან გამომდინარეობს. ამ შუა ხაზიდან, პრინციპში, გამოდის როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ხაზები, ადამიანი შესაბამისად აერთიანებს მათ თავის თავში და შემდეგ აგზავნის მალხუთში, თავის სურვილებში, – იქ, სადაც ისინი თავიანთ ჭეშმარიტ რეალიზაციას, ჭეშმარიტ ფორმას იღებენ.

ამგვარად მალხუთი ემსგავსება ქეთერს (გვირგვინს), საიდანაც ჩამოდის შექმნის მთელი ჩანაფიქრი.



78. ყველა სფირის ყოველი ქმედება, შექმნის პირველ სამ დღეს – ხაგათ-ში, და შექმნის შემდგომ სამ დღეს – ნეჰი-ში, დამოკიდებულია შაბათ დღეზე – მალხუთზე, ზეირ ანფინის მთლიანი საფეხურის გარ-ზე და მის სრულყოფილებაზე. ამიტომაა ნათქვამი: „და ისვენებდა შემქმნელი მეშვიდე დღეს, შაბათს (მეოთხე ფეხი სამეფო ტახტისა)“. რამეთუ მეშვიდე და მეოთხე დღე ორივე მალხუთია. მხოლოდ მეოთხე დღე ეს არის მალხუთი, რომელიც შეიცავს ზეირ ანფინის სფირა თიფერეთს მისი მკერდიდან ზემოთ, მეშვიდე დღე კი ეს მთელი ზეირ ანფინის მალხუთია, ახდენს რა მასთან პირისპირ ზივუგს.

ყველა სფირის ყოველი ქმედება, შექმნის პირველ სამ დღეს – ხესედ, გვურასა და თიფერეთში, და შექმნის შემდგომ სამ დღეს – ნეცახ, ჰოდსა და იესოდში, დამოკიდებულია შაბათ დღეზე – მალხუთზე ...

სინამდვილეში ყველაფერი არც

ისე მარტივია, როგორც ზევით იქნა წარმოდგენილი. ხესედ, გვურასა და თიფერეთის გარდა მალხუთის წინ დგას კიდევ სამი სფირა: ნეცახ, ჰოდ, იესოდ – დამატებითი სისტემა, რომელიც მეხმარება შევაგროვო და განვაზოგადო ზევიდან მიღებული ყველა მონაცემი.

ნახეთ რა გამოდის: ხესედ, გვურა და თიფერეთ – ეს უმაღლესი თვისებებია, რომელთაც „მამები“ (ავოთ) ეწოდებათ. თვისება ხესედს „აბრაამი“ ეწოდება, თვისება გვურა-ს – „იცხაკი“, და თვისება თიფერეთ-ს – „იაკობი“. რა თქმა უნდა ამ დასახელებებს ჩვენს სამყაროსთან არავითარი კავშირი არა აქვს. ხოლო თვისებები ნეცახ, ჰოდ, იესოდ – ეს უკვე მათგან წარმოშობილია, მათ „ვაჟიშვილები“ ეწოდებათ. რატომ?

პირველი სამი თვისება ჩადებულია ადამიანში თითქოს ავტომატურად, მას არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს მათზე ზეგავლენის მოხდენა. მართალია ჩვენ ვთქვით, რომ თიფერეთ-ი წარმოიქმნება ორი სხვადასხვა თვისების – ხესედი-სა და გვურა-ს – შეთავსების შედეგად, მაგრამ რაც უფრო მეტს მუშაობს ამაზე ადამიანი, მით უფრო მეტად იწყებს იმის გაგებას, რომ პრინციპში, ამას თვითონ კი არ აკეთებს – ეს მას უჩვენებენ თუ როგორ უნდა იმუშაოს, რა უნდა გააკეთოს.

ჩვენ ჩვენს სამყაროში არც თუ ისე გვესმის,

თუ რანაირად, რის ხარჯზე ვვითარდებით, ვცხოვრობთ. ჩვენ გვეჩვენება, რომ ეს ჩვენ თვითონ ვწყვიტავთ ყველაფერს, ყოველივეს ჩვენი ძალებით ვაღწევთ. აბა მოდით, მოვიხედოთ უკან – თქვენ მართლაც გჯერათ, რომ თქვენ თქვენი ცხოვრება მართლაც და თქვენი ხელებით ააშენეთ? მგონია, რომ არა. თქვენ იწყებთ იმის გაგებას, რომ ეს უბრალოდ ხდებოდა თქვენს მიმართ.

და ახლა, მაინც, ადამიანმა თვითონ, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა იყო მიღებული ზემოდან, უნდა გამოიმუშაოს თავის თავში რაღაცა ახალი. და აი, ამ მოქმედებას – პირადს, დამოუკიდებელს – სწორად ამას ეწოდება „ვაჟიშვილები“. ხოლო ყველა ადრინდელი მოქმედება ჩვენში ეს „მამები“ არის. და აი, ახლა, პირადი, შეგნებული მოქმედების შემდეგ, ხდება ჩამოსვლა მალხუთში, რამეთუ ეს: „ჭეშმარიტად მე გავაკეთე, მე შევქმენი, მე მოვაგროვე, ავაწყე ყოველი ეს სწორად ჩემს თავში.“

ამიტომ, მალხუთი თუმცა, ერთი მხრივ, წარმოადგენს მეოთხე დღეს, მეოთხე ფეხს შემქმნელის სამეფო ტახტისა (ხესედ, გვურა, თიფერეთ, მალხუთ), საერთოდ – ეს „მეშვიდე დღე“ არის. ნეცახ, ჰოდ, იესოდ ეს არის შესაბამისად – მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ქმედება, ანუ შექმნის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე დღე.



ამგვარად ეს არეულ – დარეულობა არ არის: მალხუთი ეს მეოთხე საფეხურიცაა და მეშვიდე საფეხურიც, შექმნის მეშვიდე დღე, შაბათი. შაბათი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, წარმოიშვება ზმნიდან „ლიშბოთ“ (უარი მუშაობაზე). და ამასთან დაკავშირებულია შაბათის ტრადიციები ჩვენს სამყაროში.

ყველა სფირის ყოველი ქმედება, შექმნის პირველ სამ დღეს – ხესედ, გვურასა და თიფერეთში, **და შექმნის შემდგომ სამ დღეს** – ნეცახ, ჰოდსა და იესოდში, **დამოკიდებულია შაბათ დღეზე – მალხუთზე, ზეირ ანფინის მთლიანი საფეხურის გარ-ზე და მის სრულყოფილებაზე** (ანუ მალხუთზე, რომელიც აბსოლუტურად ყველაფერს ღებულობს). **ამიტომაა ნათქვამი: „და ისვენებდა შემქმნელი მეშვიდე დღეს, შაბათს (მეოთხე ფეხი სამეფო ტახტისა)“. რამეთუ მეშვიდე და მეოთხე დღე ორივე მალხუთია** (როგორც უკვე იყო აღნიშნული ნახაზზე). **მხოლოდ მეოთხე დღე ეს არის მალხუთი, რომელიც შეიცავს ზეირ**

ანფინის სფირა თიფერეთს მისი მკერდიდან ზემოთ, მეშვიდე დღე კი ეს მთელი ზეირ ანფინის მალხუთია, რომელიც შეიცავს აგრეთვე ნეცახ, ჰოდს, იესოდს, **ახდენს რა მასთან პირისპირ** (ფანიმ დე ფანიმ) **ზივუგს** (შერწყმას). ამასთან მალხუთი თავის თავში აბსოლუტურად მთელ სინათლეს ღებულობს.



როგორც უკვე ვიცით (თავი „ვისი მეწყვილენი ხართ?“) მამრობითსა და მდედრობით ნაწილებს შორის შეერთება (ზივუგი) – ნუ დავივიწყებთ, რომ ეს მხოლოდ განსაზღვრებებია, – ხდება ორ ეტაპად: ზივუგ დე ნეშიკიმ და ზივუგ დე იესოდოთ.

ახლა კი ოდნავ სხვაგვარი განმარტება ამასთან დაკავშირებით.

ზივუგ დე-ნეშიკიმ ეს შეერთებაა მალხუთისა პირველ სამ სფირასთან: ხესედ, გვურა, თიფერეთ. ამასთან მალხუთი მხოლოდ სინათლე ხასადიმს იღებს. მალხუთის ასეთ მდგომარეობას კატნუთ (მცირე მდგომარეობა)

ეწოდება.

ზივუგ დე-იესოდოთ ეს შეერთებაა მალხუთისა სამ პირველ და სამ შემდგომ სფირასთან, ანუ: ხესედ, გვურა, თიფერეთ, ნეცახ, ჰოთ, იესოდ. ამასთან მალხუთი იღებს როგორც სინათლე ხასადიმს, ასევე – რაც ყველაზე მთავარია – მთელ სინათლე ხოხმას. მალხუთის ასეთ მდგომარეობას გადლუთ (დიდი მდგომარეობა) ეწოდება.



ზივუგ დე ნეშიკინ ზივუგ დე იესოდოთ

ჩვენ ჩვენს თავს უმაღლესი სინათლის ზემოქმედებას ვუქვემდებარებთ. ჩვენ არ ვიცით რა არის ეს, არ ვიცით როგორ ზემოქმედებს იგი ჩვენზე, – ჩვენ მხოლოდ ამ ზემოქმედების შედეგების გააზრებას, შეგრძნებას ვახდენთ. მე უცებ ვგრძნობ, რომ ვიცვლები, ამასთან ისიც კი არ ვიცი, თუ საიდან და რატომ. სხვანაირი ვარ და მორჩა.

ჩვენ სულიერი განვითარების მსვლელობაში ვგრძნობთ, რომ სხვანაირები ვხდებით, იცვლება ჩვენი თვალსაზრისი, აღქმა, ყოფაქცევა... ეს განსაცვიფრებელი შეგრძნებაა, და ეს ამ უმაღლესი ზემოქმედების შედეგია.

უმაღლესი სინათლე ზემოქმედებს ჩვენზე და, მან, ასე ვთქვათ, იცის თუ როგორ მოახდინოს ეს ზეგავლენა, ანუ რანაირად გამოკვეთოს ჩვენი სულის განსაკუთრებული თვისებები: ახლა ეს თვისებანი, შემდეგ – სხვა, მათ სხვადასხვა კომბინაციებში. ეს უკვე სინათლის მეშაობაა იმ მასალაზე, რომელიც მან თვითონ შობა. ჩვენ მხოლოდ უნდა გამოვიწვიოთ მისი ზემოქმედება.

ჩვენს საქმეში მთავარია შეუპოვრობა მიზნის გამოვლინებაში და მოთმინება მის მიღწევაში. მხოლოდ ეს. ვერავითარი ინტელექტი, ეშმაკობა ვერ დაგვეხმარება. მე ამას გეუბნებით, როგორც საკუთარი გამოცდილების, ასევე ჩემი ბევრი მოსწავლის გამოცდილების საფუძველზე.

ჩვენ ყველაფერი გვეძლევა: როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გარემოება, ძალები, რომლებიც წინ გვიბიძგებენ და უკან გვექაჩებიან. ჩვენ ყოველი ეს უნდა გავიგოთ, უნდა მივიღოთ ისე, როგორც მხოლოდ შემქმნელისგან გამომდინარე. და მისგან მოსული – „არ არსებობს მის გარდა არავინ“ – მოვახდინოთ მათი სწორი კომბინირება, სწორი რეაგირება მათზე.

არსებობს ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის ისინიც კი, ვინც, თითქოს, კაბალას შეისწავლიან, რომლებიც არასწორად განსაზღვრავენ, არასწორად შეიგრძნობენ, არასწორად ახდენენ თავის დამოკიდებულების

ფორმირებას იმის მიმართ, რასაც ისინი შემქმნელისგან იღებენ. ისინი ამას ან არ უკავშირებენ შემქმნელს, ან უკავშირებენ მას, მაგრამ არ აცნობიერებენ, რომ შეფერხებებს მხოლოდ საკუთარი წინსვლისათვის იღებენ. ჩვენ ხომ სწორად ამ წინააღმდეგობათა შედეგად ვახდენთ ჩვენს პირად ფორმირებას, ზრდას: გესმის თუ რისთვის მოგცეს ეს შენ, მადლობელი ხარ იმის, რომ გაიარე ისინი, და აგრძელებ გზას.

აქ მთავარია არ დაკარგო კავშირი შემქმნელთან. ეს ყველაზე უარესია, რაც კი შეიძლება მოხდეს, ეს არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები.

79. მაგრამ თუ შაბათი – მალხუთია, რატომაა ნათქვამი თორაში: „შეინახეთ ჩემი შაბათები“, გათვალისწინებულია რა ორი შაბათი? ლაპარაკია შაბათის ორი ნაწილის შესახებ: ღამე – მალხუთი, და დღე – ზეირ ანფინი, რომელიც აშუქებს მალხუთში. ამიტომ არ არის გაყოფა მათ შორის, ისინი ხომ შერწყმულნი არიან ერთად, ზივუგში პირისპირ, და ამიტომ ეწოდებათ მათ ორი შაბათი.

ზეირ ანფინი და მალხუთი – მათი შეერთების შემდეგ – ჩვენს შეცნებაში როგორც ერთი მთლიანი ისე ვლინდებიან. მაშინ რატომ ვუწოდებთ მათ „ორ შაბათს“?

„შეინახეთ ორი შაბათი“ ნიშნავს, რომ:

– ერთი მხრივ, ჩვენ არ უნდა დავაშოროთ ზეირ ანფინის ზემოქმედება მალხუთის

ზემოქმედებისაგან;

– მეორე მხრივ, ჩვენ ეს უნდა აღვიქვათ, როგორც შემქმნელის, მთელი მისი თვისებებით, ჩვენს მიერ მისი შეგრძნებით, გაგებით, შემოსვლა ჩვენში.

ადამიანი, სული ჩვენს სამყაროში ეს მალხუთი, მდედრობითი ნაწილია, შემქმნელი კი ჩვენს მიმართ – მამრობითი ნაწილი, და ჩვენ იმისთვის ვემზადებით, რომ მისგან შევსება მივიღოთ. ეს არის შინაგანი არსი სულიერი მდგომარეობისა, რომელსაც „შაბათი დღე“ ეწოდება და ბუნებრივია, მას არავითარი კავშირი არა აქვს შაბათთან ჩვენს სამყაროში.

ამ თვისებას ადამიანი შეიცნობს, აღიქვამს მას შემდეგ, როდესაც იგი გადის ქვევიდან – ზევით შეცნობის ექვს საფეხურს, კვირის ექვს პირველ დღეს, და ადის მეშვიდე საფეხურზე, შედის მეშვიდე დღეში, სადაც იგი მთლიანად ახდენს წინა საფეხურების თვისებების რეალიზებას. ამგვარად ხდება ჩვენი სულიერი ამაღლება: ექვსი საფეხური და შაბათი, შემდგომი ექვსი საფეხური და კიდევ შაბათი, და ასე შემდეგ... და ასე შემდეგ, ჩვენი სამყაროდან უსასრულობის სამყაროში.

აი, ეს სქემა, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ, მუდმივია. არსებობს მისი სხვადასხვა ვარიანტი, შეიძლება მასში რაიმეს დამატება, მაგრამ პრინციპში, მასში ყველაფერი არის ჩადებული. მისი თითოეული შემადგენელი ეს სულიერი ძალები, სულიერი კატეგორიები,

სულიერი ობიექტებია, რომლებშიც თავის მხრივ არსებობს თავისი ქვესისტემები, თავისი ძალები, თავისი კატეგორიები. ეს არის თავისებური სამეფო დარბაზები (ივრითულად – „ეიხალოთ“), რომელში შესვლისასაც, შენ ხედავ ძალების, თვისებების უდიდეს რაოდენობას, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ შეზე, ხედავ შენი სულის ნაწილებს, შენს ნაწილებს.

ყოველი ეს ჩვენთვის არის, ყოველი ეს თანდათან იხსნება ჩვენს წინაშე, საბოლოო ჯამში, შევიწოვთ, აღვიქვამთ რა ყოველი ამას ჩვენში, ჩვენ ვხვდებით შექმნელის მსგავსი, ტოლი, რაშიც პრინციპში მდგომარეობს მთელი მეცნიერება კაბალა, მისი მიზანი.

დასაწყისში ადამიანები კაბალისაკენ მიისწრაფვიან ან გრძნობიერად, ან გონებრივად – ან გულით, ან ჭკუით. ასე ვართ ჩვენ შექმნილნი. გამჩენმა შექმნა სურვილი, შემდეგ კი სურვილი განვითარდა, დაიწყო თავისი თავის შეგრძნება, მომცემის შეგრძნება. მას გაუჩნდა თავისი განსაზღვრებანი, დასკვნები, და სურვილთან ერთად გაჩნდა გონება, ანუ გონება შედეგია. სასურველის მიღწევის სურვილი წარმოქმნის გონებას.

ჩვენ ჩვენს სამყაროში ამ ორი თვისებისაგან შევდგებით – „მოხა და ლიბა“, ეგრეთ წოდებული გონება და გული. ნებისმიერ ადამიანს გააჩნია ერთიც და მეორეც, მაგრამ უპირატესობა ერთ რომელიმეს ეძლევა: მე

ან მსახიობი, მხატვარი, ლიტერატორი; ან მეცნიერი ვარ. ერთერთი ამ ორიდან.

საერთოდ ძნელია იმის თქმა, თუ როგორი მიდრეკილებებით არის დაბადებული ადამიანი, იმიტომ, რომ დაბადებისთანავე ჩვენ ვხვდებით გარემო სამყაროს საშინელი პრესინგის ქვეშ და იგი ჩვენგან ქმნის იმას, რაც მას სურს. დღეს მოდაში ლირიკოსები არიან, ხვალ ფიზიკოსები იქნებიან და ასე შემდეგ.

კაბალაში თანდათან ხდება ამ ორი შემადგენელი ნაწილის ნიველირება და მოქმედებას იწყებს მათი ისეთი სიმბიოზი, ისეთი ჰარმონია, რომ მათი საწყისი საფუძველი – ლირიკა ან ფიზიკა – ქრება.

მე მაგალითად ზუსტი მეცნიერებებისკენ მაქვს მიდრეკილება – ცოდნა, მკვეთრი ფორმულირებანი, სქემები, გეგმები... მე ეს მიყვარდა და მეჩვენებოდა, რომ ეს არის ამ სამყაროში არსებობის რეალური საფუძველი, ხოლო შემდეგ კაბალაში ჩემდაუნებურად დავიწყე ჩემი სურვილების შეგრძნება, იმის დანახვა თუ რამდენად მმართავენ მე სწორად ეს სურვილები და არა გონება, რომ სინამდვილეში მე მათი ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფებოდი. მივხვდი, რომ ჩემი გონება პრაქტიკულად ჩემს სურვილებს (და არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ – მცირედ, დიდ, კარგ თუ ცუდ – სურვილებს) ემსახურება, რომ ჩემი გონება ჩვენს სამყაროში მხოლოდ ჩემი სურვილების დაკმაყოფილებისაკენ არის

მიმართული.

ამით მთავრდება, ასე ვთქვათ, ადამიანის განსაკუთრებული პატივისცემა თავისი გონების მიმართ. იგი ხვდება, რომ მისი გონება არაფრად არ ღირს, ის ისეთივე მდაბიოა, როგორც ის სურვილები, რომელთაც იგი ემსახურება, უფრო მეტიც – მათზე უფრო მდაბიოა. და ჩვენ ვიწყებთ მუშაობას მხოლოდ იმაზე, რომ შევცვალოთ ჩვენი სურვილები, ანუ იმაზე, რომ მოვიდეს უმაღლესი სინათლე და მომცეს მე სხვა თვისებები. და როდესაც მომანიჭებს სხვა თვისებებს, სხვა სურვილებს, გამიჩნდება სხვა გონება, რამეთუ მივაღწიო ამ ახალი სურვილების რეალიზებას. მაშინ ჩემი გონებაც უმაღალესი იქნება, რამეთუ იგი უმაღლესი სურვილების, გაცემის სურვილების მომსახურებას დაიწყებს.

ასე რომ, არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ შედის ადამიანი კაბალაში, – მთავარია, რომ შემდგომში ის იზიდავს უმაღლეს სინათლეს, ხდება მისი სურვილების გამოსწორება, და, შესაბამისად, გონება უფრო სუფთა ხდება.

ვირების გამრეკი

(მეორე ნაწილი, პუნქტები 80 – 83)

ვიდრე გადავშლიდეთ წიგნ „ზოარს“ ჩვენ უნდა წინასწარ განვეწყოთ იმის მიმართ, რის შესახებაც იგი მოგვითხრობს.

წიგნი „ზოარი“ მოგვითხრობს ჩვენი სულის აგებულების შესახებ, ანუ პრინციპში იგი გვიხსნის ჩვენს შინაგან არსს, ჩვენს შინაგან სტრუქტურას. „ზოარი“ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ უმაღლესი სინათლის, ამ სულიერი საკვების ზემოქმედების შედეგად აღვზარდოთ ჩვენში ჩვენი პატარა სურვილი, წერტილი გულში, და მაშინ ამ წერტილში ჩვენ შევიგრძნობთ უმაღლეს სამყაროს – ჩვენს სხვაგვარ არსებობას.

ჩვენ ჩვენს თავს შევიგრძნობთ როგორც რაღაც მოცულობაში არსებულს, რომელსაც „ეს სამყარო“, „ჩვენი სამყარო“ ეწოდება, და თუმცა ჩვენ გვეჩვენება, რომ ეს სამყარო გარე სამყაროა, ჩვენს გარეთაა – ეს ილუზიაა. ის ჩვენში იმყოფება, ჩვენს მიერ შეიგრძნება ჩვენში განვითარებად ეგოისტურ სურვილში. ახლა კი ჩვენ ჩვენი განვითარების შემდგომ ეტაპზე გადავდივართ, როდესაც ჩვენში ვლინდება კიდევ ერთი სურვილი – საწინააღმდეგო თვისების, გაცემისა და სიყვარულის თვისების, სურვილი. ამ სურვილის განვითარების შესაბამისად ჩვენ ვიწყებთ როგორც უმაღლესი

სამყაროს შეგრძნებას, ასევე ჩვენი სამყაროს მიმართ რეალურ დამოკიდებულებას, ანუ ჩვენ ვიწყებთ იმის ხილვას, რომ ჩვენი სამყარო მხოლოდ ჩვენს ეგოისტურ სურვილში არსებობს.

ჩვენ, სამყაროს ჩვენს ეგოისტურ აღქმაში გვეჩვენება, რომ არსებობს სიცოცხლე, და არსებობს სიკვდილი. მაგრამ თუ განვიხილავთ სიამოვნების მიღების სურვილს, სინამდვილეში იგი არც იბადება და არც კვდება, – იგი მხოლოდ იცვლის თავის მდგომარეობებს.

ამიტომ ადამიანი, რომელიც სიამოვნების მიღების სურვილიდან გამოსვლას ცდილობს და მიისწრაფვის გაცემის სურვილისაკენ, იღებს მუდმივ და სრულ შევსებას და შეიგრძნობს, რომ მუდმივი და სრულყოფილი სიცოცხლისაკენ მიემართება. ახალი სურვილის შეძენის შესაბამისად ადამიანი მასში მუდმივ სიამოვნებას გრძნობს. მაშინ ხომ სინათლე კი არ იკარგება, არამედ მუდმივად ავსებს ადამიანს. სინათლე მხოლოდ წამით უჩინარდება, იმისთვის, რომ ადამიანმა შემდგომ საფეხურებზე ასვლით კიდევ უფრო მეტი შევსების მიღება შესძლოს: შიმშილი, მადა – და იქვე შევსება, შიმშილი, მადა – შევსება.

ეს მოძრაობა არასოდეს არ მთავრდება. მაშინაც კი, როდესაც ადამიანი გრძნობს შიმშილს, უხარია, რომ იგი ახლა შეძლებს

თავისი თავის შევსებას. და როგორც კი ივსება, მაშინვე ვლინდება შიმშილი და მადა უფრო მაღალი საფეხურისა, რამეთუ შეძლოს ახალი შევსების მიღება. გამოდის, რომ ადამიანი იძენს მუდმივ სულიერ სიცოცხლეს, და არა სიცოცხლეს, რომელიც ყოველთვის მთავრდება.

და აი, იმ მიზნით, რომ გამოვიწვიოთ ჩვენში უმაღლესი სიცოცხლის შეგრძნება, მისი განვითარება ამ დაუსრულებელ წრებრუნვებში, რამეთუ მივაღწიოთ ჩვენს მუდმივ სრულყოფილ მდგომარეობას, იმ მდგომარეობას, რომელიც ჩაფიქრებული იყო ბუნების მიერ (ან შემქმნელის მიერ, რაც ერთი და იგივეა), – აი, ამ მიზნით გვეხსნება ჩვენ წიგნი „ზოარი“.

ეს მდგომარეობა, ვინაიდან იგი შექმნის მიზანს წარმოადგენს, წარმოადგენს აგრეთვე მიზანს ჩვენი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე. ამიტომ ჩვენს სამყაროში – თუმცა ეს თითქოს სრულიად არაბუნებრივია – არსებობს ყველა ეს ციკლები: დაყოფა ექვს დღესა და შაბათზე. ექვსი დღე ეს იმ ექვსი სფირის თვისებებია, რომლებიც ჩვენში უნდა შევითვისოთ (ხესედ, გვურა, თიფერეთ, ნეცახ, ჰოდ, იესოდ), მეშვიდე დღე კი, შაბათი, – ეს მალხუთია, ჩემი „მე“, რომელიც თავისი თვისებებით უტოლდება, სრულიად ემსგავსება შემქმნელის თვისებებს.



ჩვენი გზა, ადამიდან დაწყებული (ადამი ეს ადამიანია, რომელმაც ჩვენს სამყაროში პირველმა დაიწყო საკუთარი გამოსწორების პროცესი) სრული გამოსწორების მდგომარეობის მიღწევამდე, 6 ათასწლეულისაგან შედგება. თითოეული თვისების გამოსწორება – ეს ერთი ათასწლეულია. ამგვარად მალხუთი მეშვიდე ათასწლეულია.

ამჟამად 5775 წელია. ჩვენ მხოლოდ 225 წელი დაგვრჩა.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ეს პერიოდი გაცილებით უფრო სწრაფი, მსუბუქი, წყნარი გავხადოთ. და თუ ადამიდან ჩვენს დრომდე კაბალის გავრცელება ხდებოდა „თხელი ჯაჭვით“ მასწავლებლიდან მოსწავლემდე, და მხოლოდ ერთეულები ახდენდნენ თავიანთი სულების გამოსწორებას, დღეს ჩვენ სრულიად სხვაგვარ პირობებში ვიმყოფებით.

ჩვენი დრო – და ამის შესახებ კაბალისტები წერდნენ ასობით წლების წინ – ეს კაბალის ფართოდ გავრცელების და, შესაბამისად, გლობალური, საერთო, გაერთიანებული (არა ინდივიდუალური სულების, არამედ ერთად შეერთებული ყველა სულების) გამოსწორების დროა.



სულის გამოსასწორებლად ჩვენ უმაღლესი სინათლე უნდა მოვიზიდოთ. უმაღლესი სინათლის მოზიდვა ხდება კაბალისტური ლიტერატურის შესწავლით. უმაღლესი სინათლის მოზიდვის უძლიერესი წყარო ეს არის წიგნი „ზოარი“, რომელსაც ჩვენ ამჟამად შევისწავლით.

დავუბრუნდეთ ტექსტს.

კიდევ ერთხელ: ლაპარაკია მხოლოდ ჩვენზე, ჩვენს სულებზე, იმაზე, რაც არსებობს სულის

შიგნით. სხვა არაფერზე, არავითარ, თითქოს, გარეშე სამყაროზე, არ არის ლაპარაკი. ყოველი ის, რისი გახსნაც გვსურს, იხსნება ჩვენს სულში. ნებისმიერი სიტყვა მელაპარაკება ან სულის რაიმე თვისებაზე, ან მისი სხვადასხვა თვისებების შეფარდების შესახებ. ეს უნდა უთხრას თავის თავს ყველა ჩვენთაგანმა და შეეცადოს გააკეთოს ანატომიური გაკვეთა – სულიერი ანატომიური გაკვეთა თავის თავში, ანუ გახსნას თავისი სული და ჩაიხედოს შიგ – სად იმყოფება მასში ის, რაც ჩვენ ახლა უნდა შევისწავლოთ.

80. იკითხა ვირების გამრეკმა, მოდიოდა რა უკან ვირებით: „და რატომაა ნათქვამი: „გეშინოდეთ სიწმინდისა“?“ უპასუხეს მას: „მხედველობაშია შაბათის სიწმინდე“. იკითხა გამრეკმა: „და რა არის შაბათის სიწმინდე?“ უპასუხეს მას: „ეს სიწმინდეა, რომელიც ზემოდან, აბა ვე-იმა – დან, ჩამოდის“. უპასუხა მათ: „თუ ეს მასეა, მაშინ შაბათი წმინდა დღე არაა, სიწმინდე ხომ მასზე ზემოდან, აბა ვე-იმა – დან ჩამოდის“. უპასუხა მას რაბი აბამ: „და ეს ასეცაა. და მასეა ნათქვამი: „და უწოდე შაბათს სიამოვნება, წმინდა დღე, მიძღვნილი შემქმნელისადმი“. ლაპარაკია ცალკე ერთ დღეზე, შაბათზე, და ცალკე ერთ წმინდა დღეზე“. თქვა გამრეკმა: „თუ ეს მასეა, მაშ რას ნიშნავს „წმინდა“ შემქმნელისათვის?“ უპასუხა მას: „ეს როდესაც სიწმინდე ზემოდან, ზეირ ანფინიდან,

ჩამოდის, და ავსებს შაბათს, მალხუთს“. „მაგრამ თუ სიწმინდე ჩამოდის ზემოდან, მაშინ თვით შაბათი განსაკუთრებული დღე არაა, – შეეპასუხა გამრეკი, – და ხომ ნათქვამია: „წმინდად ჰყავ შაბათი“, ესე იგი თვით შაბათი“. უთხრა რაბი აბას რაბი ელაზარმა: „გაანებე თავი ამ ადამიანს, რამეთუ დიდი სიბრძნეა მასში, რომელიც არ ვიცით ჩვენ“. უთხრა გამრეკს: „შენ ილაპარაკე, ჩვენ კი მოგისმენთ.“

იკითხა ვირების გამრეკმა, მოდიოდა რა უკან ვირებით: „და რატომაა ნათქვამი: „გეშინოდეთ სიწმინდისა“?“

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ვირების გამრეკი ეს განსაკუთრებული ძალაა, რომელიც „მიერეკება“ ჩვენს მასალას, ჩვენს ეგოისტურ სურვილს, რომ იაროს წინ შექმნის მიზნისაკენ. მე მხოლოდ უნდა აღვაგზნო ეს ძალა ჩემში, ვიპოვო ის, და მაშინ ჩემთვის ამ გზით სიარული გაცილებით უფრო ადვილი იქნება. ეს ძალა დამეხმარება გამოსწორებაში.

არსებითად ვის მიმართავს გამრეკი? ის ჩემს სიბრძნეს, ანუ ჩემს იმ „ჭკვიანურ“ თვისებებს მიმართავს, რომლებიც, როგორც მე ვთვლი, არსებობენ ჩემში. ისინი, თვითკმაყოფილებით სავსე, დაბრძანებულნი არიან თავიანთ ვირებზე და საერთოდ არ იციან საით წავიდნენ. ხოლო თავმდაბალი და შეუმჩნეველი გამრეკი, ასე ვთქვათ, მუშაობს ახლა აი, ამ ჩემს თვისებებზე.

უპასუხეს მას (ამ ჩემმა შინაგანმა ბრძენებმა):

„მხედველობაშია შაბათის სიწმინდე“. იკითხა გამრეკმა: „და რა არის შაბათის სიწმინდე?“ უპასუხეს მას: „ეს სიწმინდეა, რომელიც ზემოდან, აბა ვე-იმა – დან, ჩამოდის“.

აბა ვე-იმა (მამა და დედა) – ეს უმაღლესი პარცუფი, უმაღლესი სისტემაა, რომელიც, ბუნებრივად, ჩემს სულში იმყოფება და მთელ მის გამოსწორებას წარმართავს.

უპასუხა მათ (გამრეკმა): „**თუ ეს მასეა, მაშინ შაბათი წმინდა დღე არაა, სიწმინდე ხომ მასზე ზემოდან, აბა ვე-იმა – დან ჩამოდის“. უპასუხა მას რაბი აბამ...**

წიგნი „ზოარის“ ტექსტს რაბი აბა წერდა. წიგნი დაწერილია ფორმით, რომელსაც „მეგილათ სთარიმ“, ანუ „გახსნა დაფარულში“ ეწოდება, და ნამდვილად მისი გაგება შესაძლებელია მხოლოდ მიზნისაკენ ჭეშმარიტი მისწრაფების შესაბამისად. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იყიდოს ეს წიგნი, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მისი კითხვა, შესწავლა, მაგრამ ჭეშმარიტი გახსნა მისი – ამაშია სირთულე. ტექსტის ტევადობა, მისი სიღრმე ვლინდება – თითქოს შედიხარ საოცრებათა სამყაროში – მხოლოდ შექმნის მიზნისადმი, გაცემის თვისებისადმი ჭეშმარიტი განზრახვის შესაბამისად.

უპასუხა მას რაბი აბამ: „და ეს ასეცაა.

სინამდვილეში ეს სინათლე, ეს მდგომარეობა, რომელსაც „სიწმინდე“ ეწოდება, ზემოდან ჩამოდის. სიწმინდე

გაცემის თვისებას, ბინის თვისებას ეწოდება.

და მასეა ნათქვამი (აგრძელებს რაბი აბა): **„და უწოდე შაბათს სიამოვნება, წმინდა დღე, მიძღვნილი შემქმნელისადმი“. ლაპარაკია ცალკე ერთ დღეზე, შაბათზე, და ცალკე ერთ წმინდა დღეზე**“.

ლაპარაკია იმ მდგომარეობაზე, როდესაც შენ შემქმნელის ტოლი ხდები, როდესაც მთელი ვეებერთელა სიამოვნება, მთელი უმაღლესი სინათლე შეგიძლია მიიღო გაცემის განზრახვით.

როდესაც, ისწრაფვის რა გაცემისაკენ, ადამიანი გადალახავს თავის სიამოვნების მიღების სურვილს, ის ხედავს სინათლეს, იღებს სინათლეს, და მის ასეთ მდგომარეობას ეწოდება „დღე“. და ეს წმინდა დღეა, რამეთუ ყველაფერი ადამიანში გამოსწორებულია და მიმართულია გაცემისკენ.

თქვა გამრეკმა: „თუ ეს მასეა, მაშ რას ნიშნავს „წმინდა“ შემქმნელისათვის?“

უპასუხა მას რაბი აბამ: „**ეს როდესაც სიწმინდე ჩამოდის ზემოდან, ზეირ ანფინიდან** – მალხუთის, ჩვენი უახლოესი საფეხურიდან, რომლის აბსოლუტური მართვის ქვეშ ვიმყოფებით ჩვენ, **და ავსებს შაბათს** ეს სიწმინდე, რომელიც ჩამოდის ზეირ ანფინიდან ჩვენსკენ, **მალხუთში**“.

„მაგრამ თუ სიწმინდე ჩამოდის ზემოდან, მაშინ თვით შაბათი განსაკუთრებული დღე არაა, – შეეპასუხა გამრეკი, – და ხომ ნათქვამია:

„წმინდად ჰყავ შაბათი“, ესე იგი თვით შაბათი“.

სიწმინდე არ შეიძლება რომ ზემოდან ჩამოვიდეს. ჩვენ მას თვითონ უნდა მივაღწიოთ, შინაგანად, ანუ მივაღწიოთ გაცემის, სიყვარულის თვისებას, ყველა სულების აბსოლუტურ ერთ სულად შერწყმის თვისებას, ისე, როგორც იყო, მანამ დაიმსხვრეოდა „ადამის“ სული უამრავი რაოდენობის სულებად.

უთხრა რაბი აბას რაბი ელაზარმა: „გაანებე თავი ამ ადამიანს, რამეთუ დიდი სიბრძნეა მასში, რომელიც არ ვიცით ჩვენ“. უთხრა გამრეკავს: „შენ ილაპარაკე, ჩვენ კი მოგისმენთ.“

წარმოგიდგენიათ?! წიგნი „ზოარის“ – კაცობრიობის მიერ შექმნის მიზნის მიღწევის ინსტრუქციის – შემქმნელთაგან ორნი მზად არიან მოუსმინონ უბრალო გამრეკს.

„ჩვენ გვესმის ის, რაც გვესმის, – ამბობენ ისინი, – მაგრამ ის, რასაც შენ გვეკითხები – უკვე ჩვენი გაგების მიღმაა. შენში რაღაც უმაღლესი ცოდნაა“, – და ელოდებიან გამრეკისგან ამ ცოდნის გახსნას. თუ ის გაუხსნის მათ თავის ცოდნას, იმ საფეხურს, რომელზეც თვითონ იმყოფება, მაშ ისინიც შესძლებენ ამ საფეხურზე ასვლას. ის ხომ ტყუილად არ არის მათი ვირების გამრეკი.

ჩვენ, დღევანდელთან შედარებით, გაცილებით უფრო მძიმე წრებრუნვების მთელი რიგი გავიარეთ. ახლანდელი წრებრუნვა, გადატანილ ტანჯვა-წვალებებთან

შედარებით, სასიამოვნო გასეირნებაა ამ ქვეყნად. მაგრამ ამჯერად ჩვენი აქ ყოფნა განსაკუთოებულია – ათასწლოვანი ეგოისტური განვითარების შემდეგ, ჩვენ უმაღლეს სამყაროში გასვლისაკენ, სულიერი გარღვევისაკენ გვიბიძგებენ.

თითოეულ ადამიანში არსებობს უმაღლესი სამყაროს შეგრძნების ჩანასახი – წერტილი გულში, რომელიც განუწყვეტლივ იზიდავს და უბიძგებს ადამიანს. იგი იღვიძებს ისეთ გარემოებებში, რომ ძნელი დასაჯერებელია, თუ საერთოდ როგორ შეიძლება ასე მომხდარიყო.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ სულიერ ველში, შემქმნელში, ვიმყოფებით. არ არსებობს მატერია, არ არსებობს ეს სამყარო, არამედ არსებობს სულიერი ველი, რომელშიც ყველა სული უგონო, მძინარე მდგომარეობაში იმყოფება. და აი, ზოგიერთ მათგანში იღვიძებს მისწრაფება გამოფხიზლდეს, გამოავლინოს თავისი ჭეშმარიტი მდგომარეობა. მაგრამ ვინაიდან სულიერი სრულყოფილია, მისი შეგრძნების ჩვენი სურვილიც აგრეთვე სრულყოფილი უნდა იყოს – ესე იგი ჩვენ მხოლოდ იგი უნდა გვსურდეს!

ამიტომ სულიერი განვითარების წინააღმდეგ არავითარი არგუმენტები არ უნდა მოვისმინოთ. თუ სულმა გამოიღვიძა, ადამიანმა მხოლოდ მას უნდა მოუსმინოს და სხვა არავის! მას ხომ თვით შემქმნელმა მიანიჭა

თავისთან მიახლოების შესაძლებლობა, და მან ეს უნდა განახორციელოს, რადაც არ უნდა დაუჯდეს.

81. გახსნა გამრეკმა და თქვა: „ნათქვამია: „შაბათები, ანუ ჩვეულებრივად ორი“. და ეს გვეუბნება შაბათის ზღვრის შესახებ, რომელიც 2000 ამას შეადგენს ქალაქიდან ყოველ მხარეს. ამიტომაა დამატებული სიტყვა „ეთ“ სიტყვა „შაბათების“ წინ, რაც მრავლობით რიცხვს აღნიშნავს – უმაღლეს შაბათს და ქვედა შაბათს, რომლებიც ერთად არიან შეერთებულნი.“

„გახსნა“ – მხედველობაშია „ბო უ-რე“: ერთი მხრივ ეს არის მოდი და ნახე, ხოლო მეორეს მხრივ „ბო უ-რე“ ეს არის ***ბორე,*** *შემქმნელია.*

წიგნი ზოარის თითოეული აბზაცი გეუბნება შენ: გაახილე თვალები, ანუ გამოავლინე შენი თვისებები, შედი, ჩაერთე ამ აბზაცში, ჩაწვდი მას, გამოაშკარავე შენს თვალწინ, და ამგვარად შენ ახლა შენს ახალ საფეხურზე გახსნი შემქმნელს – ანუ გაცემისა და სიყვარულის ამ საერთო ძალას, მისი ტოლი ხდები, ერწყმი მას, და ასე საფეხურიდან საფეხურამდე მიდიხარ წინ.

გახსნა გამრეკმა და თქვა: „ნათქვამია: „შაბათები, ანუ ჩვეულებრივად ორი“ (მრავლობითი რიცხვი, ეს მინიმუმ, ორია; და თუ ორზე მეტია მაშინ ყოველთვის რაოდენობაა მითითებული). **და ეს გვეუბნება შაბათის ზღვრის შესახებ, რომელიც 2000 ამას შეადგენს ქალაქიდან ყოველ მხარეს** (ქალაქი

ეს მალხუთია).



ამა ეს სიგრძის ძველთაძველი ზომის ერთეულია, ხოლო კაბალაში ამა წელიწადად ითვლება. დავუშვათ, სამყაროები (მანძილები), რომელიც ჩვენ თქვენთან ერთად უნდა გავიაროთ – ასია, იეცირა, ბრია – თითოეული მათგანი 2000 წლად ითვლება. სულ 6000 წელიწადი (ამა).

წელიწადი (ამა) მხოლოდ ჩვენს აღქმაში წარმოადგენს დროის საზომ ერთეულს, წრფივი გაზომვის ერთეულს. ფაქტიურად ეს ასე არ არის, ვინაიდან სულიერში ასეთი განსხვავებები საერთოდ არ არსებობს.

ამიტომაა დამატებული სიტყვა „ეთ“ სიტყვა „შაბათების“ წინ, რაც მრავლობით რიცხვს აღნიშნავს – უმაღლეს შაბათს და ქვედა შაბათს, რომლებიც ერთად არიან შეერთებულნი.“

და რა არის ეს ორი თვისება სულიერ სამყაროში, ყოველ მათგანს რომ „შაბათი“ ეწოდება?

82. დარჩა ერთი შაბათი, მოუხსენებელი ადრე, და რცხვენოდა მას. უთხრა მას: „შემქმნელო სამყაროსა, ჩემი შექმნის პირველი დღიდან მეწოდება მე შაბათი. მაგრამ არაა დღე ღამის გარეშე“. უპასუხა მას შემქმნელმა: „ქალიშვილო ჩემო, შენ შაბათი ხარ, და ეს სახელი მე დაგარქვი შენ. მაგრამ აი, მე გარსს გერტყმი და გამკობ შენ ყველაზე უმაღლესი სამკაულით“. აიმაღლა ხმა და წარმოთქვა: „წმინდად შემრაცხველნმა, დაე მოიშიშონ და ეს შაბათი ღამეა, რომელიც შიშს ასხივებს“. მაგრამ ვინ არის ის? ეს ერთად შერწყმაა, რომელსაც ეწოდება: „მე, მალხუთი, შაბათი ღამე, თვით შემქმნელთან, ზეირ ანფინთან, რომელიც ერწყმის მალხუთს ერთად, ერთ მთლიანობაში“. მე კი გამიგია მამაჩემისაგან, რომ სიტყვა „ეთ“ ლაპარაკობს ზღვრებზე – შაბათის საზღვრებზე, შაბათები – ორი შაბათი – განისაზღვრება როგორც წრეწირი და კვადრატი მასში, სულ ორი. მათ შესაბამისად არსებობს ორი წმინდად შერაცხვა, რომელიც უნდა მოვიხსენიოთ შაბათის კურთხევაში: „ვე იახულუ“ შედგება 35 სიტყვისაგან, და „კიდუშ“ აგრეთვე შედგება 35 სიტყვისაგან, და ერთად ისინი შეადგენენ 70 სახელს ზეირ ანფინისა, რომლებშიც იმკობიან ზეირ ანფინი – შემქმნელი და მალხუთი – საკრებულო

ისრაელისა.

დარჩა ერთი შაბათი, მოუხსენებელი ადრე, და რცხვენოდა მას. უთხრა მას (გამჩენს): **„შემქმნელო სამყაროსა, ჩემი შექმნის პირველი დღიდან მეწოდება მე შაბათი. მაგრამ არაა დღე ღამის გარეშე“.**

შემქმნელი ეს ზეირ ანფინია, შაბათი – მალხუთი. მათ შორის ურთიერთობა – ქმნილების მამრობით (გამცემ) და მდედრობით (მიმღებ) ნაწილებს შორის – შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც ყოველგვარი, სრულიად სხვადასხვაგვარი ურთიერთობა მამაკაცსა და ქალს შორის ჩვენს სამყაროში. ეს შეიძლება იყოს ურთიერთობანი ქმარსა და ცოლს შორის, მამასა და ქალიშვილს, სიძესა და პატარძალს შორის და ა. შ.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთ შეგრძნებებში იმყოფება ის ადამიანი, რომელიც თავის თავში ახდენს თითოეულ ამ მდგომარეობის გამომჟღავნებას, გამოვლენას. ჩვენ რომ ვავლენდეთ იმას, რასაც „ზოარი“ მოგვითხრობს, ჩვენ შევიგრძნობდით ამ მდგომარეობათა მუდმივ ცვალობადობას, ერთი დონიდან მეორეზე გადასვლას, ასე ვთქვათ ვცვლიდით ჩვენს მიერ შემქმნელის გახსნას.

უპასუხა მას შემქმნელმა: „ქალიშვილო ჩემო (ამ საფეხურზე შემქმნელი ქმნილების მიმართ ეს მამაა ქალიშვილის მიმართ), **შენ შაბათი ხარ, და ეს სახელი მე დაგარქვი შენ.**

მაგრამ აი, მე გარს გერტყმი და გამკობ შენ ყველაზე უმაღლესი სამკაულით“. აიმაღლა ხმა (ვირების გამრეკმა) **და წარმოთქვა: „წმინდად შემრაცხველნმა, დაე მოიშიშონ და ეს შაბათი ღამეა, რომელიც შიშს ასხივებს“. მაგრამ ვინ არის ის? ეს ერთად შერწყმაა, რომელსაც ეწოდება: „მე, მალხუთი, შაბათი ღამე, თვით შემქმნელთან, ზეირ ანფინთან, რომელიც ერწყმის მალხუთს ერთად, ერთ მთლიანობაში“.**

ყველაზე სერიოზული, ყველაზე რთული, ყველაზე ძლიერი სურვილების გამოსწორება ხდება ღამით. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ისინი ჩვენ თვითონ უნდა გამოვასწოროთ, და ვასწორებთ მათ მაშინ, როდესაც შემქმნელი არ გვევლინება ჩვენ, არ გვინათებს. როდესაც მე შევიგრძნობ შემქმნელის სინათლეს, მაშინ ხომ, ბუნებრივია, არავითარი გამოსწორება შესაძლებელი არ არის – მე მთლიანიად მისი ძალაუფლების ქვეშ ვიმყოფები, მე უდავოდ მზადა ვარ შევასრულო ყოველი ის, რასაც მიბრძანებს, მავალებს შუქის გახსნა. ღამით კი – როდესაც მე ვერ ვხედავ, არ ვგრძნობ სულიერ ამაღლებას, როდესაც ვიმყოფები არეულ, უთავბოლო მდგომარეობაში, მხოლოდ და მხოლოდ ჩემს საკუთარ შეგრძნებებში, – აი, სწორად მაშინ მე გამაჩნია თავისუფალი ნება, და მაშინ მეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ დავუახლოვდე შემქმნელს, მასთან მსგავსებას მივაღწიო.

არავითარი სინათლე – სულიერ სამყაროში – არსაიდან, გარედან არ მოდის. მხოლოდ მაშინ, როდესაც მალხუთი თავისი თვისებებით ემსგავსება შემქმნელის თვისებებს, აღწევს მასთან შერწყმას, ის იწყებს იმის შეგრძნებას, რომ ის მდგომარეობა, რომელიც ადრე მას ღამედ, წყვდიადად ეჩვენებოდა, – თურმე დღეა, სინათლით სავსე მდგომარეობაა.

მე კი გამიგია მამაჩემისაგან, რომ სიტყვა „ეთ“ ლაპარაკობს ზღვრებზე – შაბათის საზღვრებზე, შაბათები – ორი შაბათი – განისაზღვრება როგორც წრეწირი და კვადრატი მასში, სულ ორი.



ჩვენი გამოსწორება შეიძლება გრაფიკულად იქნას გამოსახული (ჯერჯერობით ამაზე შევჩერდეთ) კვადრატის სახით. მისი ორი ზედა კუთხე

ეს ორი უმაღლესი თვისებაა: ხოხმა და ბინა; ორი ქვედა კი – მალხუთი და ზეირ ანფინი.

„ორი შაბათი“ – მხედველობაშია ბინა და მალხუთი, ბინა – „უმაღლესი შაბათი“ ეს შემქმნელის თვისებაა: აბსოლუტური გაცემა, აბსოლუტური სიყვარული. მალხუთი – „ქვედა შაბათი“ ეგოისტური თვისებებია, რომლებიც ჩვენ უნდა გამოვასწოროთ.

გამოსწორების პროცესი ეს მალხუთის ასვლაა ბინაში, და მასში, მალხუთში, ბინას თვისებების ჩართვაა.

მათ შესაბამისად არსებობს ორი წმინდად შერაცხვა, რომელიც უნდა მოვიხსენიოთ შაბათის კურთხევაში: „ვე იახულუ“ შესდგება 35 სიტყვისაგან, და „კიდუშ“ აგრეთვე შედგება 35 სიტყვისაგან, და ერთად ისინი შეადგენენ 70 სახელს ზეირ ანფინისა, რომლებშიც იმკობიან ზეირ ანფინი – შემქმნელი და მალხუთი – საკრებულო ისრაელისა.

35 სიტყვა, შემქმნელის 35 სახელი, რომლებშიც იმკობა მალხუთი, ეს 35 თვისებაა, რომელთაც იძენს, ითვისებს თავის თავში მალხუთი ბინაში ასვლისას.

მოდით გრაფიკულად ავსახოთ ეს ასვლა და მისი დახმარებით შევეცადოთ გავიგოთ ასოების, სიტყვების მნიშვნელობა და, საერთოდ, ივრითული ანბანის წარმოშობა.

ბინას (პარცუფის) იმ ნაწილს, რომელიც

მალხუთს მიეკუთვნება **ზათ დე ბინა** (ბინას ქვედა ნაწილი) ეწოდება, შემდეგ, როგორც უკვე ვიცით, ზეირ ანფინი იმყოფება, და შემდეგ – მალხუთი (პარცუფი). ზათ დე ბინა ეს პირველი ცხრა ასოა, მეორე ცხრა ასო – ზეირ ანფინი, და კიდევ ოთხი ასო – მალხუთი. საიდან გამომდინარეობს ეს?

როგორც ბინა, ასევე ზეირ ანფინი, ისე როგორც ნებისმიერი პარცუფი, ათი თვისებისაგან, სფირისაგან შედგება: ქეთერ, ხოხმა, ბინა, ხესედ, გვურა, თიფერეთ, ნეცახ, ჰოდ, იესოდ, მალხუთ. მაგრამ მალხუთის თვისება მხედველობაში არ მიიღება. და აი, პარცუფი მალხუთი „იმოსება“ ზეირ ანფინის მხოლოდ ოთხ სფირაზე: ნეცახ, ჰოდ, იესოდ, მალხუთ, და ამიტომ პარცუფი მალხუთი ეს მხოლოდ ოთხი ასოა.

სულ: 9+9+4=22. ოცდაორი ასო, რომელთაგან თითოეული მათგანი აღნიშნავს მალხუთის ბინასთან მსგავსების ზომას, მსგავსების ფორმას, მსგავსების ხარისხს, ხოლო ამ ასოთა შენაცვლება ნიშნავს გამოსწორებების თანმიმდევრობას. ამიტომ თორის მთელი ტექსტი, პირველი სიტყვიდან ბოლო სიტყვამდე, ადამიანის გამოსწორებას წარმოადგენს – პირველი გამოსწორებიდან უკანასკნელამდე.





თორის ორიგინალურ ტექსტში არ არის არც წერტილები, არც მძიმეები, არც ცალკეულ სიტყვებად დაყოფა. ეს ტექსტი – თავიდან ბოლომდე – პრაქტიკულად ერთ სიტყვას წარმოადგენს. შემდეგ მასში შეტანილ იქნა ეგრეთწოდებული „თიკუნ სოფრიმ“ – გადამწერთა შესწორებანი, რომლებმაც მაინც გადაწყვიტეს ტექსტის ცალკეულ სიტყვებად, ცალკეულ შტამპებად დაყოფა, და ამგვარად, ჩვენ თქვენთან ერთად შეგვიძლია მისი წაკითხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს 500 თუ 600 ათასი სიტყვა სულმოუთქმელად უნდა წაგვეკითხა როგორც ერთი სიტყვა.

ასე რომ, 22 ასო, 22 სიმბოლო, რომელთა

კომბინაციაც ჩვენ გვეძლევა ჩვენი სრული გამოსწორებისათვის, – აი, ეს არის თორის ტექსტი.

ეს ალფაბეთი (ანბანი) მომდინარეობს ადამიდან – ადამიანიდან, რომელშიც პირველად გაიღვიძა „წერტილმა გულში“, და რომელიდანაც ჩვენ ვახდენთ ჩვენს წელთაღრიცხვას. „რაზიელ – ამალახ“ (საიდუმლო ანგელოზი) წიგნია, რომელშიც ადამმა ასახა მის მიერ გახსნილი, შეცნობილი უმაღლესი სამყარო. ამ შეცნობის ტოლფასი ენითა და ასოებით დაწერა მან ეს წიგნი. ეს პირველი წიგნია, რომელიც ამგვარადაა დაწერილი.

ამგვარად, რა ვიცით უკვე ჩვენ?

– მალხუთი ზეირ ანფინის გავლით ადის ბინაში, და ამის შესაბამისად გვაქვს სამი სახის ასოები.

რა არ ვიცით ჩვენ ჯერ კიდევ?

– ასოებს აქვთ რიცხობრივი მნიშვნელობა: ბინას ასოები ერთეულებია, ზეირ ანფინის ასოები – ათეულები, მალხუთის ასოები – ასეულები.

– ასოებს აქვთ თავიანთი ფერები: ბინას ასოებს – წითელი ფერი, ზეირ ანფინის ასოებს – მწვანე, მალხუთის ასოებს – შავი.

როგორ ხდება ასოების ფერების გამომჟღავნება? ასოების ფერი, ბუნებრივია, ვლინდება თეთრ ფონზე. თეთრი ფონი ეს სინათლე ხოხმაა. სინათლე ხოხმა ეს

შემქმნელის გამოვლინებაა, და ამიტომ ეს შუქი მუდმივია. მაგრამ ციმცუმ ალეფის (პირველი შეკვეცის) შემდეგ მისი გამოვლინება ხდება მხოლოდ ადამიანის მიერ გაცემის განზრახვის გენერირების შესაბამისად.

საერთოდ, უმაღლესი სამყაროს შეცნობა იმყოფება ჩვენი მიწიერი, ჩვენთვის ასე ჩვეული, შეცნობის მიღმა. სულიერ შეცნობაში ასოები ეს ჩემი თვისებებია, უმაღლეს სინათლესთან ჩემი მსგავსების ზომაა, და ასოები მნიშვნელოვანია, ისინი აუცილებელია ჩემი თვისებების დასაპირისპირებლად უმაღლესი შუქის, შემქმნელის თვისებეთან. ვუპირისპირდები რა უმაღლეს სინათლეს, მე თითქოს ვამატებ, დავურთავ მას ჩემს თვისებებს, შემაქვს მასში დამახინჯებანი, შეშფოთებანი, და ამგვარად ვსწავლობ, ვწვდები მის თვისებებს. ჩაწვდომის, შეცნობის და მიხედვით, ჩემი თვისებები სულ უფრო და უფრო ემსგავსება შემქმნელის თვისებებს, მანამ სანამ, ბოლოს და ბოლოს, წითელი, მწვანე და შავი ფერები მთლიანად არ გაქრება თეთრ ფონზე.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მე მთლიანად წავიკითხე თორა, გადავამუ-შავე ჩემში ყველა ასო, პირველიდან უკანასკნელამდე, – და მორჩა, ასოები გაუჩინარდა, აღარ არის.

ამიტომ კაბალისტებს, რომლებიც ბინის დონის მაღლა ავიდნენ, ანუ მთლიანად

შეერწყნენ უმაღლეს სინათლეს, ჩვენთან ლაპარაკი არ შეუძლიათ. და ეს იმიტომ კი არა, რომ მათ არ ჰყოფნით გრძნობები, გაგება, გარკვეულობა და ასე შემდეგ, – პირიქით, მათ გაცილებით მეტი ესმით, მაგრამ ისინი გავიდნენ იმ დონის იქით, სადაც ასოები არსებობს, და ამიტომ მათ არ ძალუძთ თავიანთი მდგომარეობის გამოხატვა.

აი, რას წერს ბაალ სულამი თავის „წინასწარმეტყველებაში“:

„და არ შემეძლო მე სეირნობა მშვიდად ადამიანებს შორის, ვხედავდი რა, რომ ცარიელნი არიან ისინი სრულიად, მესმოდა რა, თუ რა აუგად იხსენიებენ ისინი შემქმნელს და მის ქმნილებას. არ შემეძლო მე, სიუხვით სავსეს და ქება-დიდების მიმძღვნელს, რომ მეარა უბრალოდ და გამეხარა, თითქოს დავცინებ ამ უბედურებს. ამაღელვა მე ყოველივე ამან ჩემი გულის სიღრმემდე.

და გადავწყვიტე მაშინ მე გულში ჩემსაში: „რაც იქნება იქნება – თუნდაც ჩემი დონიდან ჩამოსვლის ფასად, ვალდებული ვარ აღვმართო შემქმნელის წინაშე მხურვალე ლოცვა, რამეთუ მომცეს **მან** *მე შეცნობა და ცოდნა, მეტყველებანი წინასწარმეტყველური, სიბრძნე და ენა, რამეთუ შევძლო მე დავეხმარო უბედურ ხალხს და ავამაღლო ისინი სიბრძნისა და სიამოვნების იმ დონეზე, რომელიც გამაჩნია მე“.*

და თუმცა ვიცოდი მე მაშინ, რომ არ

შეიძლებოდა ჩემთვის დაბნელება ჩემი სულისა, მაგრამ ვერ შევიკავე თავი და მივმართე შემქმნელს მხურვალე ლოცვით...“

შემქმნელი გამოეხმაურა მის თხოვნას, და ბაალ სულამმა შესძლო წიგნ „ზოარზე“ თავისი კომენტარის დაწერა.

83. რამეთუ წრეწირი და კვადრატი შაბათებია, მოთავსებულია ისინი ორივე მითითებაში: „დაიცავი შაბათი დღე“. მაგრამ უმაღლესი შაბათი ჩართულია არა მითითებაში „დაიცავი“, არამედ მითითებაში „გახსოვდეს“. რამეთუ უმაღლესი მეუფე, ბინა, სრულყოფილია, როგორც გონი. ამიტომ ეწოდება ბინას მეუფე, რომლის სრულყოფილება სამყაროში, გონშია და ამიტომ არაა ზემოთ წინააღმდეგობა.

კვადრატის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. და რას ნიშნავს წრეწირი? წრეწირი ეს უკანასკნელი გამოსწორების სიმბოლოა, ეს **უსასრულობის** სამყაროა.

მალხუთის ბინაში ასვლა ეს ჩვენი გამოსწორების არასრული სურათია. სინამდვილეში ხდება შემდეგი:

– თანდათან ხოხმა ბინას უერთდება;

– ზეირ ანფინი და მალხუთი ერთმანეთთან ერთიანდებიან და ბინა-ხოხმაში ადიან;

– პრინციპში, ჩვენ მივდივართ იქამდე, რომ ვაერთიანებთ ყველა ამ თვისებას და ვაფართოებთ მათ უსასრულობის სამყარომდე.

ამგვარად: არის 6 დღე, რომლის განმავლობაშიც ჩვენ ვამზადებთ ყველა

ჩვენს სურვილს, შემდეგ კი ზევიდან მოდის განსაკუთრებული სინათლე, რომელსაც „შაბათის დამატებითი სინათლე“ ეწოდება, სინათლე, რომელიც აერთიანებს ყველა ამ ექვს დღეს, და გამოდის მეშვიდე დღე, შაბათი. შაბათი ექვსი სამუშაო დღის მათემატიკური ჯამი არაა. ეს სრულიად ახალი თვისებაა – მეშვიდე საფეხური, მეშვიდე გამოსწორება.

მეშვიდე დღე ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა, რომელიც შემქმნელის საერთო თვისებას წარმოადგენს, ეს მთლიანობა და სრულყოფილებაა, რომელიც ჩვენ სამყაროში წრეწირით აისახება.



მაგრამ უმაღლესი შაბათი ჩართულია არა მითითებაში „დაიცავი“, არამედ მითითებაში „გახსოვდეს“.

„დაიცავი“ და „გახსოვდეს“ ეს ორი პირობა, ორი განსაკუთრებული გამოსწორებაა, რომელიც უნდა განვახორციელოთ, რამეთუ

ერთი გამოსწორებით შევიყვანოთ ჩვენი თავი კვადრატში, ხოლო მეორე გამოსწორებით გამოვიყვანოთ ჩვენი თავი კვადრატიდან წრეში.

რამეთუ უმაღლესი მეუფე, ბინა (თვისება, რომელიც სუფევს შაბათს), **სრულყოფილია, როგორც გონი**.

ამიტომ ეწოდება ბინას მეუფე, რომლის სრულყოფილება სამყაროში, გონშია და ამიტომ არაა ზემოთ წინააღმდეგობა.

უმაღლეს სამყაროში არ არსებობს წინააღმდეგობა კვადრატსა და წრეს შორის. ჩვენს სამყაროში ამ წინააღმდეგობას ჩვენ აშკარად შევიგრძნობთ: არ მოდის ჩვენს სამყაროში ის განსაკუთრებული შუქი, რომელიც ნებისმიერი ჩვენი ქმედებიდან – ფიგურალურად ვთქვათ, კვადრატიდან, შექმნიდა სრულყოფილებას – წრეწირს.

ჩვენს სამყაროში ადამიანი თვითონ არაფერს არ აკეთებს. ჩვენი თავისუფლების შესახებ ლაპარაკი სისულელეა. ჩვენ გვმართავს ძალების მრავალგანზომილებიანი ქსელი. იგი განმსჭვალავს მთელ ქმნილებას, მათ შორის, ჩვენს პატარა სამყაროსაც. ჩვენ მასში ვიმყოფებით.

ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია და რასაც, საბოლოო ჯამში, ჩვენ უნდა მივაღწიოთ – ეს არის ის, რომ ჩვენ უნდა ავიღოთ ხელში ამ ძალების ქსელის მართვა. მას თვითონ მივყავართ ამისკენ. მივყავართ

მკაცრად, დარტყმებით, ვინაიდან ჩვენ მისი თვისებების – სრული გაცემისა და სიყვარულის თვისების – აბსოლუტურად საპირისპირონი ვართ. ძალების ეს ქსელი შემქმნელია.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ შევეცდებით დავამსგავსოთ ჩვენი თვისებები ამ ძალების ქსელის თვისებებს, თუ ჩვენ ვიწყებთ მისი აგებულების შესწავლას, ვცდილობთ იმაში გარკვევას, თუ როგორ ახდენს იგი ჩვენს მართვას, მაშინ ჩვენ შევძლებთ დავასწროთ მის ზემოქმედებას ჩვენზე, და ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ ვიწყებთ მის მართვას. და მანამ სანამ არ მიგვიღწევია ამისთვის, ჩვენ ყველა აბსოლუტურად მართვადი ცხოველები ვართ.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა: მივიყვანოთ სამყარო საყოველთაო გამოსწორებამდე – გამოვლინდა გლობალობა, გამოვლინდა ჩვენი აბსოლუტური ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ ამასთან ერთად გაიხსნა წიგნი „ზოარი“. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ გამოვასწოროთ ჩვენი თავი აქტიურად, ჩვენ თვითონ ქვევიდან! და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კაბალის გავრცელების საშუალებით, ერთად შევძლებთ ამის გაკეთებას.

ვირების გამრეკი

(მესამე ნაწილი, პუნქტები 84 – 88)

ჩვენ შეგვიძლია საათობით ვიკითხოთ „ზოარი“. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ რამდენად სწორია ჩვენი განზრახვა.

თვით ტექსტი შეიძლება გვეჩვენოს ძალიან რთული, დაფარული ან ძალიან უბრალო. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ შინაგანი თვისებების შესახებ, მაშინ მოშე, რაბი აკივა, აბრაამი, ესავი, კეთილი ან ბოროტი ძალები – ყველა ესენი იმყოფებიან თვით ადამიანში, და ამგვარად „ზოარი“ აგვიწერს ჩვენი სულიერი გზის ერთ – ერთ ეტაპს.

მე არ მესმის აქ რა წერია, და არც კი მინდა ვიცოდე. მე მინდა შევიგრძნო ეს, მივაღწიო ისეთ მდგომარეობას, რომ გამოვცადო ეს ჩემზე, ვიცხოვრო ამაში. მე მინდა გავიგო ეს არა გონებრივად, არამედ ჩემს შინაგან თვისებებში, რომ ისინი შეიცვალნონ, და მე გავაიგივო ჩემი თავი იმ მდგომარეობებთან, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს „ზოარი“. ლაპარაკი ხომ იმის შესახებაა, რაც იმყოფება ჩემში, მაგრამ დაფარულია ჩემგან. მე მომითხრობენ იმის შესახებ, რაც ჩემში ხდება, და მე მინდა შევიგრძნო ეს.

ყველა ეს თვისება და მდგომარეობა, ყველა ეს „კადრი“, ყველა 125 საფეხური არსებობს ამჟამად ყოველ ადამიანში, სულიერში ხომ

დრო არაა. მე მსურს გავხსნა ეს საფეხური, რომლის შესახებაც ვკითხულობ, ის ხომ ჩემია. მე მსურს ისეთნაირად შევიცვალო, რომ განვიცადო ეს მდგომარეობა, შევიცნო იგი. შეცნობა ნიშნავს შეერთებას.

მე მინდა შევუერთდე ამ მდგომარეობას, ვიცხოვრო მასში. ამის გარდა სხვა არაფერი არ არის საჭირო. მე არ მესმის და ვერ შევიგრძნობ, მაგრამ ეს მე არ მაღელვებს. მე მხოლოდ მსურს ამ ტექსტის გახსნა – შეგრძნებებში და არა გონებაში, მე მინდა განვიცადო ის.

სულიერი მიზანი ეს არის გაერთიანება ერთ მთლიანობაში ადამიანის, რომელიც მიისწრაფვის შემქმნელისაკენ, გამომასწორებელი სინათლის და თვით შემქმნელის. ყოველ მდგომარეობაში, ყოველ მომენტში მე უნდა დავრჩე ამ მიზნის შიგნით – მაშინ წინ წავიწევ მისკენ.

მაგრამ რა წინსვლაზეა ლაპარაკი, თუ მე უკვე ვიმყოფები მასში?! მე თუ ახლა, ამ მომენტში დავიჭირე მიზანი – მაშინ საით უნდა ვიმოძრაო კიდევ? მაგრამ შემდგომ წამში სიამოვნების მიღების კიდევ უფრო მეტ სურვილს მომცემენ და მე კიდევ ხელახლა უნდა დავიჭირო მიზანი. და ასე ნაბიჯ – ნაბიჯ მოვიწევთ წინ.

ნუ იფიქრებ რომ მიზანი სადღაც წინ, შორს არის, და როდესმე შენ მას მიაღწევ. შენ მას უნდა მიაღწიო პირდაპირ აქ, ახლა და არა შემდგომში.

84. ორი სახის სრულყოფილება (შლემუთ) **არსებობს ქვემოთ: ერთი – იაკობი, თიფერეთ; მეორე – იოსები, იესოდ. ამიტომაა ნათქვამი ორჯერ სალამი** (შალომ): **„სალამი, სალამი შორს და ახლო მყოფს“. შორი ეს იაკობია, ახლო ეს იოსებია. ან, როგორც ნათქვამია: „შორიდან ჩანს ჩემთვის შემქმნელი“, „შეჩერდა მოშორებით“.**

ორი სახის სრულყოფილება (შლემუთ) **არსებობს ქვემოთ** (ამბობს წიგნმი „ზოარი“): **ერთი – იაკობი, თიფერეთ; მეორე – იოსები, იესოდ.**

რას ნიშნავს ეს? ჩვენ ერთად – ჩვენი სულები – ჩვენი გაერთიანების სურვილის შესაბამისად წარმოვადგენთ მალხუთს, ვიმყოფებით მასში. ჩვენი სწრაფვა მალხუთისაკენ – ეს არის ჩვენი წერტილი გულში. იმდენად, რამდენადაც აი, ამ ცალკეულ სულებს სურთ გაერთიანება, მალხუთი იღებს ზემოდან სინათლეს.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი უმაღლესი სინათლის მიღების სქემის შესახებ, ავღნიშნეთ, რომ იგი (ეს სქემა) მუდმივია, და რომ შესაძლებელია მისი ვარიანტები. მოდით კიდევ ერთხელ „გავიაროთ“ იგი, რამეთუ გავიგოთ, თუ რაში მდგომარეობს იაკობისა და იოსების მნიშვნელობა.

ხაზი მალხუთის ზევით ასახავს მასახს – ეკრანს. ეკრანი ეს არ არის ტიხარი, რომელიც მალხუთს გამოყოფს, გამოაცალკევებს შემქმნელისაგან, ეს არის სისტემა, რომელიც

აკავშირებს მალხუთს შემქმნელთან და რომელიც უმაღლესი სინათლის მიღების საშუალებას იძლევა. უმაღლესი სინათლე ჩამოდის ბინიდან (ბინა ეს არის შემქმნელი) ორი მოწყობილობის, ორი ქვესისტემის საშუალებით. ბინასაგან უახლოესს **ხაგათ** ანუ **გე** (გალგალთა ეინაიმ) ეწოდება – იგი წარმოადგენს სამ სფირას, სამ თვისებას – ხესედ, გვურა, თიფერეთ. შემდგომი – **ნეჰი** ანუ **ახაფ** – წარმოადგენს შემდეგ სამ თვისებას – ნეცახ, ჰოდ, იესოდ.

თითოეულ ამ თვისებათაგანს თავისი სახელი აქვს: ხესედ – აბრაამი, გვურა – იცხაკი, თიფერეთ – იაკობი, ნეცახ – მოშე, ჰოდ – აჰარონი, იესოდ – იოსები.

იაკობი ღერძული თვისებაა **ხაგათში**, იმიტომ, რომ სწორად მისი გავლით ხდება ბინადან მომდინარე სიუხვის გადაცემა **ნეჰი**-ში. და აი, **ნეჰი**-ში, ისე კი სინათლის ჩამოსვლის მთელ პროცესშიც, ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს იოსები – მისი გავლით უმაღლესი შუქი ხვდება მალხუთში, ანუ ჩვენს სულებში, ჩვენში.

აი, ასე მუშაობს ეს სისტემა.

ამიტომაა ნათქვამი ორჯერ სალამი (შალომ): **„სალამი, სალამი შორს და ახლომყოფს“. შორი ეს იაკობია** (ჩვენგან უფრო დაშორებული), **ახლო ეს იოსებია.**

ივრითულად სალამი არის „შალომ“. „შალომ“ სიტყვიდან „შლემუთ“ –

სრულყოფილება. როდესაც მე ვამბობ: „შალომ (სალამი), შალომ (სალამი)ახლო და შორს მყოფს“, – ეს ნიშნავს სრულყოფილებას, რომელსაც მე ვაღწევ ქვედა და შემდგომ უფრო მაღალ სტადიებზე.

როგორც ნათქვამია: „შორიდან ჩანს ჩემთვის შემქმნელი“, „შეჩერდა მოშორებით“.

ანუ ჯერჯერობით მე ამ სრულყოფილებას შორიდან ვხედავ.



85. „შორიდან“ ეს უმაღლესი წერტილია, რომელიც მის სადგომში დგას, რომლის შესახებაცაა ნათქვამი: „უდარაჯეთ. გეშინოდეთ ჩემი სიწმინდის“. ეს წერტილია, რომელიც ცენტრში დგას, რომლისაც უნდა გვეშინოდეს ყველაზე მეტად, რამეთუ მისი

სასჯელი სიკვდილია. როგორც ნათქვამია: „შემცოდავნი მასში – კვდებიან“. ვინ არიან ისინი, ეს შემცოდავნი? ეს ისინი არიან, ვინც შევიდა სივრცეში წრეწირისა და კვადრატის, და შესცოდა. ამიტომ ნათქვამია: „გეშინოდეთ!“. ეს წერტილია, რომელსაც „მე“ ეწოდება, და მასზე არსებობს მისი გახსნის აკრძალვა, რომელსაც ავაია ეწოდება. „მე“ და ავაია – ეს ერთი მთლიანია.

გადმოვიდნენ რაბი ელაზარი და რაბი აბა თავიანთი სახედრებიდან და აკოცეს მას. უთხრეს: „როგორი სიბრძნეა შენში, შენ კი ვირებს ერეკები ჩვენს უკან! ვინ ხარ შენ?“. უპასუხა მათ: „ნუ შემეკითხებით, ვინ ვარ მე, მოდით გავაგრძელოთ გზა და ვიმეცადინოთ თორა. თითოეული იტყვის სიბრძნეს თავისას, რამეთუ გავანათოთ ჩვენი გზა“.

„შორიდან“ ეს უმაღლესი წერტილია, რომელიც დგას მის სადგომში, რომლის შესახებაცაა ნათქვამი: „უდარაჯეთ. გეშინოდეთ ჩემი სიწმინდის“. ეს წერტილია, რომელიც ცენტრში დგას, რომლისაც უნდა გვეშინოდეს ყველაზე მეტად, რამეთუ მისი სასჯელი სიკვდილია. როგორც ნათქვამია: „შემცოდავნი მასში – კვდებიან“.

რას ნიშნავს „კვდებიან“?

ჩემი ბინასთან მსგავსების ზომა სინათლე ხასადიმია – სიყვარულისა და გაცემის სინათლე, უმაღლესი სინათლის ერთ-ერთი გამოვლინება ქმნილებისადმი.

იმდენად რამდენადაც სინათლე ხასადიმის „გენერირებას“ ვახდენ, მე ვქმნი სინათლე ხოხმას – სიცოცხლის სინათლის მიღების პირობას, ვქმნი „მოცულობას“ მის მისაღებად. სინათლე ხასადიმის გაქრობა ნიშნავს სინათლე ხოხმას ამოფრქვევას, მის გაქრობას, და შეიგრძნება როგორც სიკვდილი.

იმაში, რომ ჩვენ ვარსებობთ იმ სახით, როგორითაც ვარსებობთ, „დამნაშავეა“ სინათლე ხოხმას ნაპერწკალი, თავისი ზომით მიკროსკოპული, მაგრამ ენერგიის ძალის მიხედვით – უსასრულო. უმაღლესი ბუნების კანონის მიუხედავად – იმის მიუხედავად, რომ სინათლე ხოხმა ვალდებულია შეიმოსოს სინათლე ხასადიმით, – სპეციალურად იმ მიზნით, რომ ჩვენ ვიარსებოთ, დარტყმითი მეთოდით, – „არ არის ცნობილი, თუ საიდან“ გამოირღვა უმაღლესი სინათლის უმცირესი ოდენობა და შექმნა მან მთელი ჩვენი ქვეყნიერება, და მათ შორის, ჩვენც თქვენთან ერთად.

პატარა ნაპერწკალი. და მხოლოდ...

და ახლა შევეცადოთ წარმოვიდგინოთ, თუ რამდენის მიღება შეგვიძლია, როდესაც გამომავალ სინათლე ხასადიმში ვლინდება სინათლე ხოხმა. მილიარდი მილიარდჯერ მეტი, ვიდრე საერთოდ შეუძლია ადამიანს წარმოიდგინოს ნებისმიერ თავის შეგრძნებაში, ცნობიერებაში, შევსებაში

და ა.შ. ამიტომ ჩვენი მდგომარეობა სულიერ სიკვდილის დონეზე უფრო დაბალი მდგომარეობაა. ანუ ჩვენ მკვდრები, მკვდრები ვართ სულიერად. ასე იგულისხმება, ასე ითვლება კაბალაში.

ვინ არიან ისინი, ეს შემცოდავნი? ეს ისინი არიან, ვინც შევიდა სივრცეში წრეწირისა და კვადრატის, და შესცოდა.

თუ რას ნიშნავს წრეწირი და კვადრატი, ჩვენ უკვე განვიხილეთ: ჩვენი წინსვლა ეს მალხუთის ასვლაა ბინის მსგავსებასთან, და საბოლოო ჯამში ჩვენ მიგვყავს ჩვენი თავი უსასრულობის სამყაროს მდგომარეობამდე.

ამასთან ჩვენ ვხსნით წრის კვადრატულობის ამოცანას. რატომ? ყოველი იმას, რისი მოთავსებაც ჩვენ არ შეგვიძლია კვადრატში, ეწოდება „ლევ ჰა-ევენ“ (ქვის გული). ლევ ჰა-ევენ ეს ჩვენი გულის, ჩვენი სურვილების ის ნაწილია, რომელთა გამოსწორებაც ჩვენ არ ძალგვიძს. ისინი სწორდებიან თავისით, თანდათან, რამდენადაც ჩვენ პირველ ცხრა სფირას ვასწორებთ – ქეთერიდან იესოდამდე.

ცნება „შესცოდა“ ნიშნავს სინათლე ხასადიმის გაუჩინარებას და, ბუნებრივია, შემცოდავნი უკვე ვეღარ შეიგრძნობენ სინათლე ხოხმას. საქმე იმაშია, რომ სულიერ ბუნებაში არსებობს გარკვეული კანონი: დაწყებული ციმცუმ ალეფიდან და შემდგომ, სინათლე ხოხმა, ეს შემავსებელი,

შემაჯერებელი სინათლე, შეიძლება შემოსილ იქნას სინათლე ხასადიმში, მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ადამიანი ღებულობს რა მას, – გასცემს. შეწყვეტს გაცემას – კვდება.

ამიტომა ნათქვამია: „გეშინოდეთ!“. ეს წერტილია, რომელსაც „მე“ ეწოდება, და მასზე არსებობს მისი გახსნის აკრძალვა, რომელსაც ავაია ეწოდება. „მე“ და ავაია – ეს ერთი მთლიანია.

„**მე**“ ეს მალხუთია, თვით მისი გამომჟღავნება აკრძალულია. და როგორ შეიძლება? მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მალხუთი ბინაში ადის: ერთი საფეხურით, მეორე, მესამე, მეოთხე საფეხურით და ასე შემდეგ. სულ 125 საფეხურით. და მაშინ ჩვენ ვაღწევთ მდგომარეობას, რომელსაც „**ავაია**“ ეწოდება. **ავაია** ეს არის ყველა სულს შორის სწორი ურთიერთმოქმედება მათი არსებობის ყველაზე მაღალ დონეზე.

ამ მდგომარეობას კიდევ ერთი სახელწოდება აქვს: „**შ**ემქმნელის საიდუმლო სახელი“. საიდუმლო – იმიტომ, რომ იგი ეხილება მხოლოდ იმას, ვინც ამ გახელვის დონეს მიაღწევს, ხოლო იმისთვის, ვინც ამ დონეს ვერ აღწევს, ეს სახელი, ბუნებრივია, საიდუმლოდ რჩება. გსურს გახსნა, გამოამჟღავნო – გამოამჟღავნე, ეს შენზეა დამოკიდებული.



ჩვენი რეალობის შეგრძნება ჩვენ არ შეგვიძლია არც მალხუთში და არც ბინაში. მისი შეგრძნება ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მათ შორის კავშირში, ან უფრო მეტიც, მათი კავშირის კოეფიციენტში, ანუ მალხუთის ბინაში ან ბინას მალხუთში ჩართვის ცვლილებებში.

ჩვენ შევიგრძნობთ ჩვენს თავს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვმოძრაობთ მალხუთსა და ბინას შორის. ცვალებად შეფარდებას მალხუთსა და ბინას შორის, რომელიც იცვლება ჩვენში, ჩვენ შევიგრძნობთ, როგორც სიცოცხლეს. თუ ეს შეფარდება აღარ იცვლება, თითქოს ირინდება, – ეს ჩვენს მიერ შეიგრძნობა როგორც სიკვდილი. ასეთ მდგომარეობაში ყოველგვარი შეგრძნება და თვისებათა გრადაცია ქრება.

ამიტომ, ერთი მხრივ, მალხუთის ბინაში და ბინას მალხუთში ჩართვის ცვლილების და მათი ერთმანეთთან შეერთების პროცესში

ჩვენ შევიგრძნობთ სიცოცხლეს; მეორე მხრივ კი, ეს ჩვენ მძიმე და უსიამოვნო შეგრძნებებს გვაძლევს, ჩვენ არ გვყოფნის მოთმინება. მაგრამ სწორად ამაში ჩვენ შევიგრძნობთ სიცოცხლეს. ჩვენ არ ძალგვიძს სიცოცხლესთან განშორება და ამიტომ უპირატესობას მოძრაობას ვანიჭებთ.

სულიერებაში ეს მოძრაობა ისეთ მდგომარეობას აღწევს, რომ მის შიგნით ჩვენ ვავლენთ შემქმნელს, წყაროს, საიდანაც მოდის ჩვენთან სიცოცხლე, საიდანაც მომდინარეობს მოძრაობა, ძალა, და მალხუთსა და ბინას შორის კავშირების ცვალებადობა. როდესაც ჩვენ ვავლენთ, თუ რისთვის ხდება ჩვენში ყოველი ეს ცვლილებანი, მაშინ ჩვენ ვმაღლდებით ამ მოძრაობების, ჩვენში მიმდინარე ცვლილებების ზევით, – და ამით ვერწყმით შემქმნელს, ამით ვგრძნობთ სრულ სიმშვიდეს. მაშინ ხომ ამ მოძრაობას ჩვენ აღვიქვამთ, როგორც აბსოლუტურად აუცილებელს ქმნილებისათვის, რომელსაც ამის გარეშე შემქმნელის შეგრძნება არ შეუძლია.

ყოველი, რის შესახებაც წერს „ზოარი“, ხდება სურვილის შიგნით. სურვილის გარდა არაფერი არ არსებობს. ჩვენ ვსწავლობთ მის შინაგან გამოვლენებს, ცვლილებებს, მის ნაწილებს შორის სხვადასხვა კავშირებს. ეს ვეებერთელა აპარატი, ეს სულიერი სტრუქტურა, რომელსაც „მალხუთი“ ეწოდება, თანდათან, საფეხურ-საფეხურ

იცვლება, ყოველჯერ აღწევს რა უფრო მეტ მსგავსებას სინათლესთან, და ამიტომ ჩვენ მხოლოდ იმის შესახებ უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ მოვიზიდოთ სინათლე ამ სურვილისაკენ.

თუმცა მე არ მესმის, თუ სახელდობრ რომელი თვისებებისა და ცვლილების შესახებაა ლაპარაკი, და რა ხდება იქ, მაგრამ მე ველოდები, რომ სინათლემ ზემოქმედება მოახდინოს ამ სურვილზე – ჩემს სულზე, და რომ მე შევიგრძნო, თუ რას წარმოადგენენ ეს სურვილი და სინათლე, რომელიც ავსებს მას, რომ ისინი ორივე ერთად შევიგრძნო. მათი შეგრძნება ხომ შეუძლებელია ერთმანეთის გარეშე, – ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ეხებიან ერთმანეთს, თუნდაც ყველაზე მინიმალური ოდენობით.

სწორად ამას ველოდები მე.

გადმოვიდნენ რაბი ელაზარი და რაბი აბა თავიანთი სახედრებიდან და აკოცეს მას (გამრეკს).

რაბი ელაზარი და რაბი აბა თავიანთ სახედრებზე – ანუ თავიანთ ეგოიზმზე, თავიანთ ეგოისტურ მასალაზე, – მიემართებიან შექმნის მიზნისაკენ. უკნიდან მისდევს გამრეკი, რომელიც მათ სახედრებს მიერეკება, და ერთობლივი ძალისხმევით ისინი აიძულებენ ამ ცხოველებს ავიდნენ სულიერ საფეხურებზე.

გამრეკი ეს განსაკუთრებული სულიერი

ძალაა, რომელიც თან დაგვყვება, – თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს წინსვლა, მაშინ ზევიდან ვღებულობთ დახმარებას.

უთხრეს (ჰკითხეს გამრეკს, რომელმაც ყოველი ეს აუხსნა მათ): **„როგორი სიბრძნეა შენში, შენ კი ვირებს ერეკები ჩვენს უკან! ვინ ხარ შენ?“. უპასუხა მათ: „ნუ შემეკითხებით, ვინ ვარ მე, მოდით გავაგრძელოთ გზა და ვიმეცადინოთ თორა**, ანუ მოვიზიდოთ სინათლე. და როდესაც ეს სინათლე საკმარისი ოდენობით გამოვლინდება თქვენს მიმართ, მაშინ დაინახავთ, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში თითოეული ჩვენთაგანი.

თითოეული იტყვის სიბრძნეს თავისას, რამეთუ გავანათოთ ჩვენი გზა“ – ჩვენი შემდგომი აღმასვლა.

აი, ამგვარად ეხსნება ადამიანს მისი სულიერი მოგზაურობა.

ყველა სულის შეერთება, იმ მიზნით, რომ ამ შეერთებაში აღმოჩენილ, გამოვლენილ იქნას ურთიერთგაცემის თვისება – ეს ის არის, რასაც, ნებით ან უნებლიედ, მთელმა კაცობრიობამ უნდა მიაღწიოს. როდესაც ჩვენ ამისკენ მივისწრაფვით, მაშინ ვხედავთ, თუ რამდენად შეუძლებელი, ძნელია, უბრალოდ საწინააღმდეგოა ეს მთელი ჩვენი ბუნების, და მაშინ ჩვენ შევიგრძნობთ იმ გარეშე ძალის უდიდეს საჭიროებას, რომელიც ჩვენ დაგვეხმარება.

ეს გარეშე ძალა შემქმნელის მოციქულია,

ანუ განსაკუთრებული ძალაა, რომელიც ჩვენ გვეხმარება: ჩვენ უცებ ვგრძნობთ გაცისკროვნებას, უცებ ვიღაცა რაღაცნაირად იწყებს ჩვენს წარმართვას. ჩვენ აშკარად ვგრძნობთ, თუ როგორ მოქმედებს ჩვენში შინაგანად ვიღაცის უხილავი ხელი. განგება, ანგელოზი, მოციქული, ვირების გამრეკი – არა აქვს მნიშვნელობა თუ რას დავარქმევთ. სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა მდგომარეობაში ეს ძალა სხვადასხვანაირად ვლინდება.

რა თქმა უნდა, იმაზე საშინელი არაფერი არ არის, ვიდრე წარმოვიდგინოთ ეს ძალა რაღაცა ამქვეყნიურის, მიწიერის სახით: ფრთების შრიალით გადაიფრინა ჩემს თავზე რაღაცა ანგელოზმა და რაღაც ბარათი ჩამოაგდო, ან კიდევ სხვა რაიმე ამის მაგვარი. ამგვარი შენათხზავი გვაშორებს სულიერი სამყაროსაკენ მიმავალ გზას. არ არსებობს არავითარი გამოსახულება, ხატი: სულიერი სამყარო აბსოლუტურად არანივთიერია – ეს უბრალოდ ძალაა, თვისებაა.

თავისთავად რას წარმოადგენს ჩვენი გზა?

უსასრულობის სამყაროდან – ხუთი სამყაროს გავლით: ადამ კადმონ, აცილუთ, ბრია, იეცირა, ასია – ჩვენ ჩამოვედით ჩვენს სამყაროში, და ახლა ვალდებულნი ვართ უკან გავიაროთ ეს გზა. 21 საუკუნემდე ჩვენ ამ გზას შეუგნებლად გავდიოდით, ხოლო ამ მომენტიდან დაწყებული, და შემდგომ

– მხოლოდ ადამიანის ნებასურვილის თანახმად. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი უბრალოდ პატარა ცხოველად დარჩება. ამიტომ ადამიანმა თვითონვე, იმ შესაძლებლობის მიხედვით, რაც მას გააჩნია, უნდა განავითაროს თავისი სურვილი შექმნის მიზნისაკენ, და მხოლოდ მაშინ იმოძრავებს. იგი იმოძრავებს იმ ძალის დახმარებით, რომელიც დააჩქარებს, გაქაჩავს მას წინ. მაგრამ ეს ძალა იმოქმედებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანი მოისურვებს მიზნის მიღწევას.

საიდან და რანაირად შეიძლება, რომ ჩვენ შევიძინოთ ეს სურვილი? თუ მე ვიქნები მხოლოდ ჩემი თავის იმედზე, იმის იმედზე, რომ ჩემი აღმასვლის ყოველ მომენტში ეს სურვილი თავისთავად გაიზრდება ჩემში, – ეს თავის მოტყუებას ნიშნავს. მაგრამ ჩემს გვერდით მუდმივად არსებობს ეგრეთწოდებული გარემოცვა, ეს სულები არიან, რომლებსაც ასევე სურთ მიზნის მიღწევა. თუ მე მსურს მათთან შეერთება, მე ამით გამოვხატავ შემდგომ საფეხურზე ასვლის სურვილს. შემდგომ საფეხურზე გაერთიანების კიდევ უფრო დიდი სურვილი მიჩნდება და ასე შემდეგ.

ზუსტად ამაში მდგომარეობს ჩვენი თავისუფალი ნება.



86. უთხრა მას: „ვინ მიგითითა შენ იარო აქ, სახედრების გამრეკი იყო?“ უპასუხა მას: „ასო „იუდ“ საომრად აღსდგა ასოებზე „ხავ“ და „სამეხ“, რამეთუ მოვსულიყავი მე შესაერთებლად. ასო „ხავ“-ს არ სურდა დაეტოვებინა თავისი ადგილი, რამეთუ ვალდებულია შეეშველოს იმათ, ვინც ეცემა, რადგან არა აქვთ მათ სიცოცხლე ეკრანის გარეშე“.

ერთი ასო, მეორე. ერთი ასო მეორეზე აღსდგა საომრად...

რისი თქმა უნდა მას? ამაში არავითარი სირთულე არაა, „დამნაშავეა“ „ზოარის“ ალეგორიული ტექსტი. პრინციპში, უბრალო საქმეა: ასოები, როგორც ჩვენ ვიცით, – ეს იგივე თვისებებია.

მივმართოთ ნახაზს. **ქეთერ**, **ხოხმა** და **ბინა**-ს ზედა ნახევარი ეს შემქმნელის თვისებების სფეროა. ხოლო ბინას ქვედა ნახევრიდან დაწყებული, **ზათ** დე – **ბინა**,

და შემდგომ – ყველაფერი ეს ქმნილებას მიეკუთვნება.

ზათ დე – **ბინა** ეს ცხრა სფირა და, შესაბამისად, ცხრა ასოა: პირველიდან მეცხრეს ჩათვლით; **ზეირ ანფინ** – აგრეთვე ცხრა სფირა და ცხრა ასო: მეათედან მეთვრამეტეს ჩათვლით; **მალხუთ** კი – ეს ოთხი სფირა და, შესაბამისად, ოთხი ასო: მეცხრამეტედან ოცდამეორეს ჩათვლით. საბოლოო ჯამში ბინადან მალხუთამდე ოცდაორი სფირა, ოცდაორი თვისებაა.

მალხუთის ქვემოთ გადის საზღვარი, თავისებური ფილტრი, რომელსაც ფარსა ეწოდება. ეს ფილტრი შედგება სურვილის ხუთი დონისაგან, ხუთი თვისებისაგან, – **მანცეპახ**. **მანცეპახ** ეს არის ხუთი ეგრეთწოდებული საბოლოო ასო: მემ, ნუნ, ცადიკ, ფეი და ხავ (23 – 27).

ბუნებრივია, ეს ასო-თვისებები ფორმირებას იწყებენ შემქმნელის თვისებების სფეროში, ხოლო შემდეგ, **ზათ** დე-**ბინა**-დან დაწყებული, – სიუხვის, სინათლის სახით – ფარსას გავლით ეშვებიან სამყაროებში **ბრია**, **იეცირა** და **ასია**, იქ სადაც იმყოფებიან ჩვენი სულები. და ჩვენ, ასე ვთქვათ, უკვე ვიღებთ იმას, რასაც ვიღებთ.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ჩვენ არა ვართ. ჩვენ, ჩვენს სამყაროში ვიმყოფებით სამყარო

ასია-ს ქვემოთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მე ვისწრაფვი, რომ წერტილი ჩემს გულში შევუერთო წერტილებს სხვების გულში, მაშინ, ამ შეერთების შესაბამისად, მე ავდივარ **მალხუთ**-ში და შემიძლია კიდევ 27 თვისების მიღება.



მთელი ის სულიერი სიუხვე, რომელიც მომდინარეობს, ჩამოედინება ჩემთან, ისე, როგორც ჩემსკენ მომავალი ასოები, აღიბეჭდება ჩემში – ანუ, ჩემს მასალაში, ჩემს სიამოვნების მიღების სურვილში. თითოეული ასო აღიბეჭდება ჩემს სურვილში – დასაწყისში ეს არის რაღაცა ამორფული, უფორმო – თავისი რაღაც თვისებით, მათი სხვადასხვაგვარი შეხამებით. შემქმნელის თვისება იმოსება ჩემს მატერიაში, და ყოველ ჯერს მე უფრო და უფრო ვემსგავსები შემქმნელს.



ამგვარად მთელი ჩვენი სულიერი მიღწევა, ჩაწვდომა ეს ჩვენი სურვილებია, რომლებზედაც აღიბეჭდება შემქმნელის თვისებები. ამიტომ შემქმნელს, როგორც უკვე არაერთხელ იქნა აღნიშნული, ეწოდება „ბორე“: „ბო“ ეს არის „მოდი“ და „რე“ – „ნახე“. ანუ შენ უნდა მიაღწიო ისეთ მდგომარეობას, როდესაც შენ შენს თავში დაინახავ, აღმოაჩენ, გახსნი ამ თვისებებს.

87. ასო „იუდ“ მოვიდა ჩემთან მარტო, მაკოცა და იტირა ჩემთან. მითხრა მე: „ვაჟიშვილო ჩემო, რა შემიძლია მე გავაკეთო შენთვის? მაგრამ აი, ვქრები მე მრავალი კარგი ქმედებიდან, საიდუმლო უმაღლესი ძირითადი ასოებიდან. მაგრამ შემდეგ დაგიბრუნდები მე შენ და დამხმარე ვიქნები შენი. და მაშინ მოგცემ მე შენ დამხმარე ორ ასოს, უფრო მაღალს, ვიდრე ისინი, რომლებიც გაქრნენ, – ასოებს „იუდ“ და „შინ“, რომლებიც შენთვის ყოველთვის სრული საცავი იქნებიან. და ამიტომ ვაჟიშვილო ჩემო, წადი და რეკე სახედრები“.

და ამიტომა ვარ მე აქ, ამ როლში.

ასო „იუდ“ მოვიდა ჩემთან მარტო (ჰყვება

გამრეკი), **მაკოცა** (ანუ შეერთება მოხდა რომ პარცუფის დონეზე – გადაწყვეტილებების მიღების დონეზე) **და იტირა ჩემთან**.

გახსოვთ რას ნიშნავს „ტირილი“? ტირილი ეწოდება მდგომარეობა „კატნუთ“-ს (მცირე მდგომარეობას), როდესაც არ არის ძალა, არ არის გაგება და თანაგრძნობა, და ამიტომ არ არის დახმარების შესაძლებლობა.

მითხრა მე: „ვაჟიშვილო ჩემო, რა შემიძლია მე გავაკეთო შენთვის? მაგრამ აი, ვქრები მე მრავალი კარგი ქმედებიდან, საიდუმლო უმაღლესი ძირითადი ასოებიდან. მაგრამ შემდეგ დაგიბრუნდები მე შენ და დამხმარე ვიქნები შენი. და მაშინ მოგცემ მე შენ დამხმარე ორ ასოს, უფრო მაღალს, ვიდრე ისინი, რომლებიც გაქრნენ (ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ორი ასო ერთმანეთს ებრძოდა და საბოლოო ჯამში გაქრა), – **ასოებს „იუდ“ და „შინ“, რომლებიც შენთვის ყოველთვის სრული საცავი იქნებიან**, – რამეთუ საცავი ეს სურვილებია, რომლებიც ყოველთვის ავსებულნი იქნებიან უმაღლესი შუქით, რამეთუ ეს გამოსწორებული სურვილებია, გაცემისკენ მიმართული. **და ამიტომ ვაჟიშვილო ჩემო, წადი და რეკე სახედრები**“.

და ამიტომ ვარ მე აქ, ამ როლში.

გამრეკი უხსნის მათ, რა ძალების დახმარებით, რატომ აღმოჩნდა იგი ამ როლში. იმიტომ რომ, ამ საქმით დაკავებული ადამიანი

მიდის მდგომარეობამდე, როდესაც იგი აღწევს „იუდ“ და „შინ“ ასოების თვისებებს.

„იუდ“ ეს მეათე ასოა, რომელიც აბოლოებს ყველა ათი სფირას წყობას. „შინ“ აღნიშნავს მარჯვენა, მარცხენა და შუა ხაზებს. როდესაც ყველა ათი თვისება, რომელიც ახასიათებს ასო „იუდ“-ს, ერთმანეთს უერთდება შუა ხაზში, ანუ, როდესაც მარცხენა ხაზი (სურვილი) და მარჯვენა ხაზი (გაცემა) ერთმანეთს უერთდებიან შუა ხაზში, და თუ ადამიანი სწორად იყენებს ამ ორ ხაზს შუა ხაზში, მაშინ იგი აღწევს სრულყოფილებას.

ასე რომ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ეს გამრეკი, ეს მაღალი სული, სპეციალურად ჩამოვიდა რაბი ელაზარისა და რაბი აბას დასახმარებლად. ამ დახმარების წყალობით ისინი ავლენ საფეხურზე, რომელსაც „რაბი იოსი“ ეწოდება, გამრეკი კი – ის აღწევს ყველაზე მაღალ დონეს, ანუ ყველა ათი სფირას სრულ გამოსწორებას დაამთავრებს.

საჭიროა გავიგოთ, რომ მარჯვენა და მარცხენა ხაზები ეს ბუნების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალაა. ყველაფერი მომდინარეობს შემქმნელისაგან, ორად იპობა და გვმართავს ჩვენ. ამიტომ, ყოველთვის უნდა ვეცადოთ – ჩვენი საფეხურისა და ყველა გამოვლინებული სურვილებისა და თვისებების შესაბამისად – დავემსგავსოთ შემქმნელს შუა ხაზში.

ყოველი იმისაგან, რასაც შენ მისგან

იღებ, ამ ორი „სადავის“–გან, ორი ხაზისგან, ორი „ანგელოზის“–გან, შენ ვალდებული ხარ შეადგინო შუა ხაზი, და მაშინ შენ დარწმუნებული იქნები, რომ მართლაც აღწევ საუკეთესო მდგომარეობას, შენთვის, მისთვის და *თქვენთვის ორივესთვის. თუ შენ წინასწარ არ ამზადებ შენ თავს შემდგომი საფეხურის შუა ხაზისთვის, შენ სასჯელი გელოდება. მაგრამ, არსებითად, ეს სასჯელი კი არაა, ეს სწორად იმ თვისებების გამოვლინებაა, რომელებიც შენ არ გამოასწორე.*

თვისებები ეს ასოებია. ასოები ეს ძალიან რთული და საინტერესო სისტემაა, რომლის საშუალებითაც გამოისახება შემქმნელის სულიერი თვისებები, მათი სულებზე დადებისას. ჩვენ უნდა განვიმსჭვალოთ ასოების სიმბოლოებით, რამეთუ მათი საშუალებით დავალაგოთ, გამოვითვალოთ, ვაუღლოთ ჩვენი თვისებები და ამგვარად მათგან შემქმნელის თვისება ავაგოთ.

ასო – თვისებების სხვადასხვანაირი შეწყობა, იმ წესების მიხედვით, რომლებიც აღწერილია კაბალისტურ წიგნებში, ჩვენში იწვევს ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას, გრძნობების შეცვლა კი თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში სამყაროს შეგრძნების ახალ სურათს გვიქმნის. ჩვენ აღმოვჩნებით ახალ, შეუცნობელ სამყაროში და მასში ვმოგზაურობთ, ვახდენთ რა შინაგანად ჩვენში ყოველგვარი თვისებების გადაადგილებას.

ჩვენ შევიცნობთ შექმნის სიღრმესა და ჩანაფიქრს: თუ რატომ მოახდინა შემქმნელმა სამყაროს სისტემის ფორმირება, ისე, რომ ჩვენ მისი ყველაზე გარე ნაწილიდან შევძლოთ უმაღლესი სამყაროს შეცნობა, საერთო სულთან შერწყმა და იმ ძალის შეგრძნება, რომელმაც იგი შექმნა.

ჩვენ ეხლაც შემქმნელის სინათლეში „ვცურავთ“, მაგრამ არ ვგრძნობთ ამას, იმიტომ რომ არ გვსურს სხვებთან შეერთება. მოვახმართ რა ძალისხმევას ამ მიზნის განხორციელებას, ჩვენ შევიგრძნობთ უმაღლეს შუქს, რომელიც შეავსებს მანძილს, რომელიც გვყოფს ჩვენ, და შეჰკრავს ჩვენს შორის კავშირს, განახორციელებს რა შემქმნელთან სრულ შერწყმას.

88. აივსნენ სიხარულით რაბი ელაზარი და რაბი აბა, ატირდნენ და თქვეს: „შენ შეჯექი სახედარზე, ჩვენ კი ვიქნებით გამრეკნი შენს უკან“. უპასუხა მათ: „განა არ გითხარით მე თქვენ, რომ ეს მეფის ბრძანებაა – ასე ვიმოქმედო მე, სანამ არ მოვა სახედრების ის გამრეკი (გადაკვრით ლაპარაკია მაშიახის შესახებ, რომელიც, როგორც ნათქვამია, მოგვევლინება როგორც ღარიბი, სახედარზე ამხედრებული)“, უთხრეს მას: „აი, სახელიც კი არ გაგვიმხილე შენი, და შენი ადგილსამყოფელი, სად არის ის?“ უპასუხა მათ: „ადგილსამყოფელი ჩემი კარგია და ძვირფასია ჩემთვის. და ის კოშკია ერთი, ჰაერში მოლივლივე, დიდი და ღირსებით

სავსე. და ისინი, ამ კოშკში მცხოვრებნი, არიან შემქმნელი და ღარიბი ერთი. და ესაა ადგილსამყოფელი ჩემი. და მოცილებული ვარ იქიდან, და სახედრებს ვრეკავ მე“. შეხედეს მას რაბი აბამ და რაბი ელაზარმა, და იგემეს სიტყვები მისი, რომ ტკბილი იყო, ვითარც მანა (მანანა) და თაფლი. უთხრეს მას: თუ გვეტყვი სახელს მამაშენისას, ვეამბორებით ფერფლს შენს ფეხქვეშ“. უპასუხა მათ: „და რისთვის ეს, არაა ეს ჩემი გზა ამგვარად ვიამაყო თორით“.

აივსნენ სიხარულით რაბი ელაზარი და რაბი აბა, ატირდნენ და სთქვეს: „შენ შეჯექი სახედარზე, ჩვენ კი ვიქნებით გამრეკნი შენს უკან“.

მათ აღმოაჩინეს, რომ გამრეკი – ეს ძალიან მაღალი სულია, რომელიც სპეციალურად ჩამოეშვა აქ, რამეთუ შემდგომში კიდევ უფრო მაღლა ავიდეს.

უპასუხა მათ: „განა არ გითხარით მე თქვენ, რომ ეს მეფის ბრძანებაა – ასე ვიმოქმედო მე ...

ის ამბობს: „არა, ეს მეფის ბრძანებაა, ანუ იმ საფეხურისა, რომელიც ჩემზე უფრო მაღლა დგას“.

შემქმნელი ყოველთვის იმ საფეხურს ეწოდება, რომელიც ჩემზე უფრო მაღლაა. მე ვიმყოფები მეხუთე საფეხურზე – მეექვსეს „შემქმნელი“ ეწოდება, მე ვიმყოფები მეექვსე საფეხურზე – მეშვიდეს „შემქმნელი“ ეწოდება, და ასე შემდეგ. ანუ, არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული სახე, ყოველთვის არის

უფრო მაღალი საფეხური, რომლისაკენ მე სწრაფვა შემიძლია, და რომელთანაც მე მაინც შემიძლია კავშირი ვიქონიო.

შემქმნელმა მიბრძანა **ასე ვიმოქმედო მე, სანამ არ მოვა სახედრების ის გამრეკი**, რომელსაც მაშიახი ეწოდება, – ანუ გამრეკი, რომელიც ყველა – ყველა ჩვენ ვირს – მთელ ჩვენ მასალას, მთელ ჩვენ სურვილს – წინ გარეკავს.

...რომელიც, როგორც ნათქვამია, მოგვევლინება როგორც ღარიბი, თეთრ სახედარზე ამხედრებული.

მაშიახი ეს არის განსახიერება ადამიანისა, რომელიც ღარიბია, აბსოლუტურად არაფერთან არ არის დაკავშირებული, რომელსაც მხოლოდ გაცემის თვისება გააჩნია. ეს ადამიანი თეთრ სახედარზეა ამხედრებული. სახედარი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, განასახიერებს მატერიის თვისებას, მიღების სურვილს, და ის, რომ ის შავიდან თეთრად იქცა, ნიშნავს, რომ მისი მიღების სურვილმა შეიძინა გაცემის თვისება.

ასე რომ, მაშიახი ეს თვისებაა, რომელიც „ამხედრებულია“ ადამიანის მთელ ცხოველურ მასალაზე, და ეს ცხოველური მასალა ხდება თეთრი, ნათელი, ანუ მთლიანად გაცემის თვისებაში იმყოფება.

უთხრეს მათ მას: „აი, სახელიც კი არ გაგვიმხილე შენი, და შენი ადგილსამყოფელი, სად არის ის?“

სახელი და ადგილსამყოფელი ეს ერთი და იგივეა. სახელი მიეკუთვნება იმ დონის შესაბამისად, რომელზედაც სული იმყოფება.

უპასუხა მათ: „ადგილსამყოფელი ჩემი კარგია და ძვირფასია ჩემთვის. და ის კოშკია ერთი, ჰაერში მოლივლივე, დიდი და ღირსებით სავსე. და ისინი, ამ კოშკში მცხოვრებნი, არიან შემქმნელი და ღარიბი ერთი.

ნახეთ, როგორ ალეგორიულად აგვიწერს „ზოარი“ სხვადასხვა მდგომარეობას. „კოშკი, ჰაერში მოლივლივე“ ეს ბინას თვისებაა.

და ესაა ადგილსამყოფელი ჩემი. და მოცილებული ვარ იქიდან, და თქვენს სახედრებს ვრეკავ მე“. შეხედეს მას რაბი აბამ და რაბი ელაზარმა, და იგემეს სიტყვები მისი, რომ ტკბილი იყო, ვითარც მანა (მანანა) და თაფლი.

უთხრეს მას: თუ გვეტყვი სახელს მამაშენისას (შენი წინა საფეხურის სახელს, იქნებ ის მაინც შევიცნოთ)...

ადამიანი თავის თავში ორ თვისებას მოიცავს: თავის საკუთარ მიღების თვისებას, რომლის გამოც ის რჩება ქმნილებად, და ამით შემქმნელისაგან გამოცალკავებულია, და ამის (მიღების თვისების) ზემოთ – გაცემის თვისებას, რომელიც მან შემქმნელისგან შეითვისა. ამიტომ მასში ყოველთვის იქნება შინაგანი ბრძოლა ამ ორ ძალას შორის. და მხოლოდ მაშინ, როდესაც აბრაამი ზრდის

თავის ვაჟიშვილს, იცხაკს, ის იწყებს თავისი ჭეშმარიტი მდგომარეობის გაგებას შემქმნელთან შედარებით. შემთხვევითი არ არის, რომ ვაჟიშვილი (ბენ) ნიშნავს „გაგებას“ (ლეჰავინ), ბინას, ანუ ახალ საფეხურს.

ყოველი შემდგომი საფეხური წინა საფეხურზე მაღალია: ვაჟიშვილი დასაწყისში მამაზე უფრო დაბლა იმყოფება, ხოლო შემდეგ უსწრებს მას და მასზე უფრო მაღლა დგება.

... **ვეამბორებით ფერფლს შენს ფეხქვეშ“** – ესე იგი როგორღაც შევძლოთ თუნდაც მის მალხუთთან შეერთება, იმ მიზნით, რომ შემდგომ შენს დონეს მივაღწიოთ.

უპასუხა მათ: „და რისთვის ეს, არაა ეს ჩემი გზა ამგვარად ვიამაყო თორით“ – არ შემიძლია მე თქვენ გითხრათ იმ საფეხურის სახელი, რომელმაც დამბადა მე, რამეთუ ჯერ კიდევ ძალიან მაღალია ის თქვენთვის.

ჩვენ არავითარი სხვა საშუალება, სხვა ენერგიის წყარო არ გაგვაჩნია, გარემოცვის გავლენის გარდა, რომლის დახმარებითაც მე შემიძლია წინსვლა. თუ მე მთლიანად, სავსებით და სრულიად, მთელი გულისყურით მიმართული ვარ ჩემს შიგნით, მაშინ რა ძალებს შეუძლიათ ჩემი გარეთ გამოქაჩვა? ჩემში არ არსებობს ასეთი ძალა. მთელი ჩემი ძალები მოქმედებენ „ჩემთვის“, „ჩემი ინტერესებისათვის“.

როგორ შევქმნათ უკუქმედება – თუ „სხვებისთვის“ არა, „ახლობლებისათვის“

მაინც? ამისათვის გვაქვს ჩვენ გამზადებული სულის ორ ნაწილად დაყოფა – მე და ჩემი გარემომცველი სამყარო, და მოცემული გვაქვს ერთადერთი თავისუფალი არჩევანი – ავირჩიოთ თუ რა არის უფრო მნიშვნელოვანი. თუ გსურს მიაღწიო სულიერ სამყაროს – უნდა მოახდინო შენი გარე სამყაროს ისეთი ორგანიზება, რომ ის შენთვის შენზე უფრო მნიშვნელოვანი გახდეს. როგორც საშუალება შეგვიძლია გამოვიყენოთ: გავრცელებაში, კონგრესებში მონაწილეობა – იმდენად, რამდენადაც კი შესაძლებელია ეს ადამიანისათვის იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იმყოფება, და იმის მიხედვით თუ სად ცხოვრობს.

გარდა ამისა, სისტემატური მეცადინეობა, სასწავლო პროცესის სრულყოფა სის-ტემატურად ხდება ჩემს მიერ. იმისმიხედვით, თუ რამდენად მეტი ადამიანი შემოგვიერთდება ჩვენ, რამდენად წინ მი-დიან ეს ადამიანები შინაგან მუშაობაში, რამდენად ესმით უკვე მათ თუ როგორ უნდა წავიდნენ წინ, – იმდენად ჩვენ უფრო ღრმად და ღრმად შევდივართ კაბალაში.

თუ თქვენ შემეკითხებით მე, თუ რისკენ მივისწრაფვი, გულახდილად გეტყვით: მე მივისწრაფვი იმისკენ, რომ წიგნი „ზოარის“ შესწავლის შედეგად დაწყებულ იქნას იმ პირთა ჯგუფის ორგანიზება, რომელთაც სერიოზულად შეიცნეს, ნათლად აღიქვეს –

მათში შინაგანად, ერთი მეორეს შორის – უმაღლესი სამყარო, ხოლო დანარჩენები კი, იმის შესაბამისად, თუ რამდენად დაუახლოვდებიან და შევლენ უმაღლეს სამყაროში, აგრეთვე შემოუერთდნენ ამ ჯგუფს.

თუ სხვადასხვა ქვეყნებში გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც შეიცნობენ სულიერ სამყაროს, ჩვენ მათ ერთად შევკრებთ. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რომ ისინი ერთად შეიკრიბონ. „გამოქვაბული“ კი უკვე მზადაა. მე თქვენ იქ გელოდებით.

კაბალის საერთაშორისო აკადემია

დამაარსებელი და ხელმძღვანელი – პროფესორი მიხაელ ლაიტმანი:

კაბალის საერთაშორისო აკადემია დაარსებული იქნა 2001 წელს პროფესორ მიხაელ ლაიტმანის მიერ. ორგანიზაციის ძირითადი მიზანი არის: სამყაროს კანონების შესწავლა და გახსნა, რომელთა შეცნობა გამოიწვევს როგორც თითოეული ადამიანის პირადი პრობლემების, ასევე მთელი საზოგადოების გლობალური პრობლემების გადაწყვეტას. აკადემიის ფილიალები გახსნილია სამყაროს 52 ქვეყანაში.

კაბალის საერთაშორისო აკადემიის საიტი – www.kabbalah.info/ge/ – აღნიშნულია ენციკლოპედია „ბრიტანიკა“-ში როგორც ერთ-ერთი უდიდესი სასწავლო-საგანმანათლებლო ინტერნეტრესურსთაგანი მონაწილეთა რაოდენობის, მასალის ინფორმატიულობის მიხედვით. იგი ხელმისაწვდომი არის 30 ენაზე და ითვლის თვეში 4 მილიონ მომხმარებელს.
კაბალის საერთაშორისო აკადემია გამოსცემს სასწავლო სახელმძღვანელოებს და სხვა წიგნებს მეცნიერება კაბალის დამოუკიდებელი შესწავლისათვის. კაბალის საერთაშორისო აკადემიის მიერ გამოცემული მასალები კაბალისტების ორიგინალურ ტექსტებზეა დაფუძნებული და მათ აკადემიის ხელმძღვანელის, კაბალისტ მიხაელ ლაიტმანის, კომენტარები ახლავთ თან.

მეცნიერ – კაბალისტის მიხაელ ლაიტმანის ბლოგი http://www.laitman.ru/my-blogs/

მეცნიერ – კაბალისტის მიხაეილ ლაიტმანის ბლოგი გთავაზობთ მრავალფეროვან ინფორმაციას ადამიანის ამქვეყნად არსებობის მიზნის, მოვალეობის, პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ.

„დღეს, როდესაც წყდება ჩვენი ამქვეყნად არსებობის, ჩვენი მომავლის საკითხი, უძველესი მეცნიერება – კაბალა ისევ იძენს თავის აქტუალობას. კაბალისტურ ნაწარმოებებში ჩადებული სიბრძნე მრავალი თანამედროვე პრობლემის გადასაწყვეტად და ახალი შესაძლებლობების მოსაძებნად უნდა იყოს გამოყენებული.“ – პროფესორი ერვინ ლასლო – ბუდაპეშტის კლუბის (Club of Budapest) და ბრძენთა მსოფლიო საბჭოს (World Wisdom Council) დამაარსებელი და პრეზიდენტი (იტალია/უნგრეთი).

მიხაელ ლაიტმანი (ფილოსოფია PhD, ბიოკიბერნეტიკა MSc) – მსოფლიოში ფართოდ ცნობილი მკვლევარი – მეცნიერი კლასიკური კაბალის დარგში, ფილოსოფიის დოქტორი, ონტოლოგიისა და შემეცნების თეორიის პროფესორი. ორი სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის თავისუფალი, არაკომერციული ასოცოაციის – კაბალის საერთაშორისო აკადემიის (www.kabbalah.info) და იუდა აშლაგის სახელობის კაბალის კვლევითი ინსტიტუტის (www.ashlag.info) დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

კაბალის ინტერნეტ – ტელევიზია www.kab.tv

აქ ყველა მსურველს შეუძლია შეუერთდეს ყოველდღიურ გაკვეთილებს, სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებს.

ყოველდღე (შაბათის გარდა), დილის 4 საათიდან 7 საათამდე (საქართველოს დროით) საიტზე www.kab.tv შეგიძლიათ მოისმინოთ კაბალისტ მიხაელ ლაიტმანის გაკვეთილების პირდაპირი ტრანსლაცია. ყოველდღიური დილის გაკვეთილები განკუთვნილია ყველასთვის, ვისაც სურს მეცნიერება კაბალის ყოველდღიური ღრმა შესწავლა და კაბალისტური პირველწყაროების გამოკვლევა. მეცადინეობები სინქრონულად ითარგმნება მსოფლიოს 9 ენაზე, მათ შორის ქართულ ენაზეც. გაკვეთილის მსვლელობისას შეგიძლიათ თქვენთვის საინტერესო კითხვების დასმა პირდაპირ ეთერში.

საიტს გააჩნია მედია-არქივი, რომლის გამოყენებით შესაძლებელია თემების მიხედვით მასალების მოძიება, ნახვა და სასურველ მისამართზე გაგზავნა.

სწავლების დისტანციური კურსი: www.kabacademy.com

კაბალის საერთაშორისო აკადემია უფასოდ თავაზობს ყველა მსურველს კაბალის ღრმად შესწავლას ინტერაქტიული დისტანციური კურსების საშუალებით. სასწავლო კურსი მოიცავს კაბალის და სხვა მეცნიერებების შედარებით ანალიზს, მეცნიერებისა და კაბალისტების შეხედულებებს მატერიალური სამყაროს შექმნაზე და ევოლუციაზე, ადამიანის ბუნებასთან და

საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს და ბევრ სხვა საინტერესო თემას. სწავლის დასრულებისას სტუდენტს გადაეცემა დიპლომი და ექნება შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო აკადემიის მიერ ჩატარებულ კონგრესებში და სხვა სასწავლო პროგრამებში.

კაბალის დასწრებული სწავლება

კაბალის საერთაშორისო აკადემიის სასწავლო ცენტრები თავაზობენ ყველა მსურველს მეცნიერება კაბალის დასწრებულ სწავლებას

საქართველოში:

თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის 12 (ყოფილი შეროზიას ქუჩა)
(+995) 577 257 090
kabbalah.tbilisi@gmail.com
www.kabbalah.info/ge, www.kabbalah.ge

ისრაელში:

კაბალის 66 უფასო ტელეარხი (YES და HOT)
კაბალის შემსწავლელი კოლეჯი „კაბალა ლე ამ“:
WWW.KAB.CO.IL / CAMPUS
1-700-509-209

კაბალის საერთაშორისო აკადემია გთავაზობთ წიგნებს ქართულ ენაზე

კაბალა დღეს - დაფარულის გამჟღავნება.

სახელმძღვანელო დედამიწის მოქალაქეებისთვის ბედნიერების მისაღწევად.



მე ამ წიგნის დაწერა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მეჩვენებინა: კაბალა არის მეცნიერება, ცხოვრებისეული სიბრძნის წყარო, რომელმაც თავისი მაღალი ღირებულება გასული ათასწლეულების განმავლობაში დაამტკიცა. კაბალა, როგორც სახელმძღვანელო სულიერ და პრაქტიკულ ცხოვრებაში, სწორად დღესაა ისე აქტუალური, როგორც არასდროს.

ეს წიგნი მოგითხრობთ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს უძველესი მეცნიერება სინამდვილეში, საიდან აიღო სათავე, როგორ ვითარდებოდა და როგორ გვემსახურება ის დღეს, როგორ მიგვიძღვის წინ ამ ცვალებად სამყაროში, გვაიმედებს და წარმატებაში გვეხმარება.

წიგნი შესაძლოა თქვენს პირად მოგზაურობად იქცეს, რომელშიც მრავალ საინტერესო აღმოჩენას

გააკეთებთ. მე შევეცადე მეცნიერება კაბალის შესახებ ადვილი და გასაგები ენით მომეთხრო, რადგან მსურდა, რომ წიგნის კითხვა თქვენთვის სასიამოვნო ყოფილიყო. თუ „კაბალა დღეს - დაფარულის გამჟღავნება“ თქვენს ცხოვრებას უფრო მეტად საიმედოსა და კომფორტულს გახდის და, ამასთან ერთად, ერთი თვალის გადაკვრით მაინც გადაგახედებთ მარადისობაში - ეს ჩემი საუკეთესო საზღაური იქნება.

მიხაელ ლაიტმანი

მარადიული წიგნის საიდუმლოებანი.

თორის კაბალისტური კომენტარები.

მიხაელ ლაიტმანი



როდესაც ვიღებდით გადაცემას „თორას კაბალისტური კომენტარები“, ჩვენ მონაწილეები ხშირად ვიჭერდით თავს ასეთ აზრზე: „ნეტავ არ დამთავრდეს ეს საოცრება“... საოცრება, როცა ყველა შენს კითხვაზე იღებ პასუხს. როცა ნათელი ხდება რისთვის ცხოვრობ. რისთვისაა შექმნილი ეს სამყარო... როცა იხსნება ინსტრუქცია, ზუსტი, უკიდურესად ნათელი, იმის შესახებ, თუ როგორ გახდე ბედნიერი.

დღეს მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ წიგნი, რომელიც შეიცავს ამ გადაცემებს. თქვენ კი მოგეთხოვებათ – მხოლოდ ის, რომ „ნიჩბები დაუშვათ“ და შეუერთდეთ ცხოვრების ამ დიად მდინარეს, რომელსაც თორის თავების

კაბალისტური კომენტარები ჰქვია. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ რომ, საიმედო მეგზური გყავთ. ამ მდინარეს ისე გრძნობს როგორც საკუთარს, ის მისთვის მშობლიურია. ეს ამ წიგნის ავტორი – მიხაელ ლაიტმანია.

მოგზაურობა ადამიანის სულში



წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ერთგვარ კაფსულაში იმყოფებით და ადამიანის აღქმებისა და შეგრძნებების შიგნით შედიხართ. თქვენს წინაშე ადამიანის სურვილების თვალუწვდენელი სივრცე იშლება. თუ სადმე ქვეყანაზე სიამოვნების მაცთუნებელი სურვილებია, აქ, ამ ჭრელ ვიტრინებშია გამოფენილი. თქვენ გთავაზობენ დატკბეთ საუცხოო ნუგბარითა და სასმელით, იქროლოთ მაგარი ავტომობილით რომელიმე ეგზოტიკური ქვეყნის ხიფათიან გზებზე, ჩაყვინთოთ უძირო ოკეანის სიღრეებში, დასეროთ კოსმოსის უკიდეგანო სივრცე...

მაგრამ, მოდი ერთი წამით დავფიქრდეთ. ღირს კი გაუთავებლად იკმაყოფილებდეთ სურვილებს, როცა სიამოვნება იმავე წამს, მის დაკმაყოფილებასთან ერთად ქრება და მის ნაცვლად ახალი, სიცარიელის უფრო მძაფრი განცდა გიჩნდებათ? იქნებ, იმისათვის, რომ ამ ცხოვრებაში საკუთარი თავი უფრო მეტად ბედნიერ და სრულყოფილ ადამიანად იგრძნოთ, სხვა გზაც არსებობს?

თქვენს წინაშეა წიგნი, რომელიც ადამიანის სულის სიღრმისეულ ლაბირინთებში სამოგზაუროდ გიწვევთ. გისურვებთ, რომ ყველა იმ თქვენ საკრალურ კითხვაზე, რომელ კითხვებსაც, როგორც წესი, სხვა, უკეთესი დროისათვის გადავდებთ ხოლმე, აქ გეპოვოთ პასუხი. იქნებ, დადგა კიდეც ეს დრო?

კაბალა არის მეცნიერება, ცხოვრებისეული სიბრძნის წყარო, რომელმაც თავისი მაღალი ღირებულება გასული ათასწლეულების განმავლობაში დაამტკიცა. კაბალა, როგორც სახელმძღვანელო სულიერ და პრაქტიკულ ცხოვრებაში, სწორად დღესაა ისე აქტუალური, როგორც არასდროს.

ეს წიგნი მოგითხრობთ იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ეს უძველესი მეცნიერება სინამდვილეში, საიდან აიღო სათავე, როგორ ვითარდებოდა და როგორ გვემსახურება ის დღეს, როგორ მიგვიძღვის წინ ამ ცვალებად სამყაროში, გვაიმედებს და წარმატებაში გვეხმარება.

წიგნი შესაძლოა თქვენს პირად მოგზაურობადაც იქცეს, რომელშიც მრავალ საინტერესო აღმოჩენას გააკეთებთ. მე შევეცადე კაბალის მეცნიერების შესახებ ადვილი და გასაგები ენით მომეთხრო, რადგან მსურდა, რომ წიგნის კითხვა თქვენთვის სასიამოვნო ყოფილიყო. თუ „კაბალა დღეს - დაფარულის გამჟღავნება“ თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებას უფრო მეტად საიმედოსა და კომფორტულს გახდის და, ამასთან ერთად, ერთი თვალის გადაკვრით მაინც გადაგახედებთ მარადისობაში - ეს ჩემი საუკეთესო საზღაური იქნება. – მიხაელ ლაიტმანი

შიშები ბავშვებში



მარტო დარჩენის შიში, სიბნელის შიში, ურჩხულების, ხიფათის შიში... შიში-ეს ძლიერი და საკმაოდ გავრცელებული ბუნებრივი შეგრძნებაა, მნიშვნელოვანი პატარებისა თუ დიდებისათვის. ამის მიუხედავად, არაერთი თავსატეხი გაუჩენია მშობლისთვის ბავშვის გულუბრყვილო და გულწრფელ შეკითხვას: „რატომ მეშინია?“, „რა ვქნა, რომ მეშინია?“.

წიგნი „შიშები ბავშვებში“ პირველი წიგნია სერიიდან „კაბალა და ფსიქოლოგია“. სერიიდან, რომელიც იმისათვის არის შექმნილი, რომ დაგვეხმაროს, როგორ გავუგოთ საკუთარ თავსა და ბავშვებს. ის განსაკუთრებული გზამკვლევია, რომელიც მშობლებსა და ბავშვებს შიშის პრობლემის ერთობლივ გადაწყვეტაში შეუწყობს ხელს. წიგნის სიახლე მისი ავტორების (ცნობილი ფსიქოლოგების,ფსიქიატრების, სპეციალური სემინარების წამყვანებისა და კაბალის მასწავლებლების) ახლებურ მიდგომაში მდგომარეობს. შიში კი არ უნდა დავმალოთ და ჩავახშოთ, პირიქით, მისი სწორი გამოყენების საფუძველზე, ჩვენს პიროვნულ განვითარებას უნდა მივაღწიოთ. თქვენს წინაშეა ორი მეცნიერების წარმატებული შეხამება, კაბალისა და ფსიქოლოგიის ტანდემი, შიშის გადასალახი ინსტრუმენტების უახლესი ნაკრები. წიგნში წარმოდგენილია ფსიქოლოგიის უახლესი

მონაცემები, რომელიც ეხება ზოგადად შიშებს და კერძოდ, შიშებს ბავშვებში. ასევე განხილულია ამ მოვლენის სულიერი ფესვები. წიგნი ჩვენი ბავშვებისათვის შიშის გადალახვის ეფექტურ და პრაქტიკულ მეთოდებს გთავაზობს.

ამ წიგნს არ გააჩნია იმის პრეტენზია, რომ საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი პროფესიონალური კონსულტაციის ნაცვლად იყოს გამოყენებული, თუმცა ის მშობლებისათვის და აღმზრდელებისათვის ცალსახად სასარგებლო იქნება. წიგნი დაგეხმარებათ შიშის გამომწვევი მიზეზებისა და მისი მიზნების გარკვევაში. ამის გარდა, იმის ბრწყინვალე საშუალებას მოგცემთ, ბავშვებთან მჭიდრო კავშირი დაამყაროთ, გაუგოთ მათ და როგორც ჭეშმარიტი მეგობარი, მხარში ამოუდგეთ.

ზღაპარი კეთილ ჯადოქარზე



ზღაპარი - ეს სიბრძნეა. ყველაფერი ჩაივლის, მაგრამ ჭეშმარიტი ზღაპრები დარჩება. ზღაპრები რომ მოყვე, საჭიროა ძალიან ბევრი იცოდე, აუცილებელია ხედავდე იმას, რაც სხვებისთვის უხილავია... ჯადოქარს ყველაფერი შეუძლია, მაგრამ არ შეუძლია იყოს მარტო... კაბალისტური ზღაპარი ბავშვებისათვის და უფროსებისათვის კეთილ ჯადოქარზე, რომელიც მეგობარს ეძებს.

პროექტის ხელმძღვანელი:
მირიამ ბერენი-ბებერაშვილი,
რედაქტორი: თამარ კრიხელი
კორექტორები: ზაზა ხურციძე, ხათუნა გელაძე,
რობერტ ბებერაშვილი, სილვა კანზაველი
დამკაბადონებელი: ალექსანდრე მუხინი
გამომცემელი რედაქტორი: მიხაელ ბრუშტეინი,
ზაზა ხურციძე
კონსულტანტები: დიმიტრი სიჩანინი,
ისრაელ ელაშვილი

კაბალის საერთაშორისო აკადემია უღრმეს
მადლობას უხდის ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორს, პროფესორს, მრავალი სამეცნიერო
ნაშრომის და 13 მონოგრაფიის ავტორს, ბატონ
სიმონ სიმონიშვილს, თანამშრომლობისთვის და
ამ წიგნის შესანიშნავი თარგმნისათვის.



წიგნი „ზოარ"-ის სამყარო
სავსეა იდუმალებით და
დაბინდული სიმბოლოებით.
იგი თითქოს და არ
ლაპარაკობს ჩვენს ცხოვრებაზე,
მაგრამ მათ, ვისაც შეხება
აქვთია ამ წიგნთან, იციან, რომ
სინამდვილეში ქვეყნად არ
არსებობს ადამიანთან უფრო
ახლო მდგომი მონათხრობი.
ადამიანი ეს ძალთა და
თვისებათა მთელი სამყაროა,
სურვილების სამყარო,
სიბრძნით და გულმონყალებით
სავსე სამყარო. წიგნი „ზოარი"
კი რუკაა, რის გარეშეც ადამიანი
დაიკარგება ამ მრავალფეროვან,
უსასრულო სამყაროში.
წიგნების ახალი ხერია, საერთო
დასახელებით „ვხსნით ზოარს",
გამოდის იმისათვის, რომ
დაეხმაროს ადამიანს ამ რუკის
გამოყენებაში. რუკის, რომელიც
წარსულის დიდმა კაბალისტებმა
დაგვიტოვეს.

9 789941 973601